


როლანდ თოფჩიშვილი
თეიმურაზ გვიმრაძე

ეთნოლოგიური თბილისი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

როლანდ თოფჩიშვილი თეიმურაზ გვიმრაძე

ეთნოლოგიური თბილისი

თბილისელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა



გამომცემლობა „ანიპრესალი“
თბილისი 2017

საქართველო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ერთობლიობას წარმოადგენდა; ასეა დღესაც. მართალია ქვეყნის დედაქალაქი თბილისი ქართლშია, მაგრამ ის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ეთნოგრაფიული ერთეული. ამას არა მხოლოდ ქალაქური ყოფა განაპირობებდა, არამედ ქართული და არაქართული კულტურების თანხვედრა, აქ ამ კულტურათა დიალოგი აშკარად იყო, რომელშიც წამყვანი პოზიცია ყოველთვის ქართულს ჰქონდა. ძველი თბილისური ყოფიდან ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, რაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ევროპეიზაციის მძლავრმა ქროლვამ განაპირობა. წინამდებარე წიგნი მივიწყებულ ეთნოგრაფიულ თბილისს, მის ტრადიციულ ყოფასა და კულტურას ეხება. ის ძირითადად სტუდენტებისათვისაა განკუთვნილი. წიგნის მიმართ ინტერესს, ვფიქრობთ, ფართო საზოგადოებაც გამოიჩენს.

რედაქტორი ნოდარ შოშიტაშვილი

**რეცენზენტები: ლავრენტი ჯანიაშვილი
ალექსანდრე ბოშიშვილი
მირიან ხოსიტაშვილი**

საილუსტრაციო მასალის ძირითადი ნაწილი მოგვაწოდა
ისტორიკოსმა **ჭაბუკა მეტონიძემ**

© რ. თოფჩიშვილი, თ. გვიმრაძე, 2017

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2017

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; universal@internet.ge

ISBN 978-9941-26-119-0



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ხიდი ვარაზისხევზე



თბილისი 1847 წელს. გრიგოლ გაგარინის ნახატი



13360. თბილისი. გრუაინა და გრუაინი. 1145.

თბილისელი ქართველები ეროვნულ სამოსში

შესავალი

ყველა ქართველისათვის ნამდვილად თბილი სიტყვაა – „თბილისი“; თბილისი საქართველოს უპირველესი ქალაქია, მისი დედაქალაქია; თბილისის ისტორია ვახტანგ გორგასლიდან იწყება. V საუკუნიდან თბილისი ქართველთა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრი ხდება. მართალია, ის დროა, როდესაც ზოგჯერ კარგა ხნითაც, მტერების ხელში გადადიოდა, მაგრამ აღნიშნული ფუნქცია მას არასდროს არ დაუკარგავს, უფრო მეტი, საქართველოს უპირველესი ქალაქი კავკასიის ცენტრსაც წარმოადგენდა. ამიტომაც მისკენ მოისწრაფოდნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ სხვანაც. ქართველებისა და მოსული ეთნიკური ერთეულების თანაცხოვრება თბილისის ნიშანდობლივი შტრიხი იყო.

მართალია თბილისი ქართლში (შიდა და ქვემო ქართლის, აგრეთვე კახეთის მიჯნაზე) მდებარეობს, მაგრამ ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორებმა თბილისი ჩამოაყალიბა როგორც განსაკუთრებული ეთნოგრაფიული ერთეული. ორიგინალური ხალხური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მქონე თბილისში პრიმატი ყოველთვის ქართულ ენასა და კულტურას ჰქონდა. უცხო ეთნიკური ერთეულები მისი მატარებელნი ხდებოდნენ; მათ, ბუნებრივია, თავისი მოჰქონდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში თბილისელებად იქცეოდნენ. საამისოდ, საყოველთაოდ ცნობილი თბილისელი სომხების მაგალითის გახსენებაც კი საკმარისია: მთელი XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში თბილისელი სომხების ენა ქართული იყო; ისინი არა მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ, არამედ საბუთებსაც ქართულად ადგენდნენ. მხოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებიდან თბილისში სომეხთა დიდი და რამდენიმე მიგრაციული ნაკადის მოსვლის შემდეგ და სხვა ფაქტორების გამოისობითაც (სასულიერო სასწავლებლების დაარსება, სომხურ ენაზე პრესის გამოცემა) თბილისელი სომხებისთვის წამყვან ენად სომხური იქცა.

თბილისის ეთნოგრაფიის შესახებ ცოტა არ დაწერილა. წერდნენ როგორც XIX საუკუნის, ისე XX საუკუნის ავტორები. მთნოგრაფიული გამოკვლევა კი მხოლოდ რუსულ ენაზე გაგავანია. ესაა ნატალია ვოლკოვასა და იური ანჩაბადის წიგნი «Старый

Тбилиси: Город и горожане в XIX веке, М., 1990». ამ წიგნს ერთი დიდი პლუსი გააჩნია – ესაა წყაროების მრავალფეროვნება. თბილისის ტრადიციული ყოფის შესახებ ბევრი საარქივო მასალა რუსულ ენაზე. მდიდარი მასალებია დაბეჭდილი XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი ორი ათეული წლის თბილისში გამოძვალ რუსულენოვან პრესაში. ამ ორი კატეგორიის მონაცემების მეცნიერებაში შემოტანამ კი დასახელებულ მონოგრაფიას გარკვეული პრიორიტეტი მოუპოვა. რაც შეეხება ქართულენოვან ლიტერატურას, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ იოსებ გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემას“. თბილისის ტრადიციულ ყოფასა და კულტურაზე მომუშავე ვერც ერთი მკვლევარი მას გვერდს ვერ აუვლის, პირველ რიგში კი იმიტომ, რომ წიგნი თბილისის ეთნოგრაფიული ყოფის თვითმხილველის დაწერილია, დაწერილია იმ ადამიანის მიერ რომელიც ეთნოგრაფიულ მასალას სხვისგან კი არ მოიპოვებდა, არამედ ის თბილისურ ყოფაში იყო გაზრდილი.

წინამდებარე წიგნს მონოგრაფიული გამოკვლევის პრეტენზია არ გააჩნია. ის განკუთვნილია სახელმძღვანელოდ უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. შეძლებისდაგვარად ავტორები ეთნოგრაფიული თბილისის თითქმის ყველა პრობლემას შეეხნენ, ზოგს ვრცლად, ზოგსაც შედარებით მოკლედ, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, რასაც არსებული მასალა იძლეოდა. აღნიშნული წიგნით არ მთავრდება თბილისის ეთნოგრაფიაზე მუშაობა, პირიქით, იმედი გვაქვს ის ახალი მასალების გამვლენის და ახალი გამოკვლევების დაწერის სტიმულს მისცემს მკვლევართ.

თბილისის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

საქართველოს დედაქალაქი თბილისი მდებარეობს სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, მდინარე მტკვრის ხეობაში ზღვის დონიდან 380-750 მეტრ სიმაღლეზე. თბილისის განედზე ან მისგან ოდნავ მოშორებით მდებარეობს ქალაქები: რომი, ბარსელობა, ტაშკენტი, ხოლო თბილისის მერიდიანზე – ვოლგოგრადი, ბაღდადი ვლადიკავკაზი. თბილისი მესამე სასაათო ზოლშია. თბილისის დრო 4 საათით უსწრებს მსოფლიო (გრივინჩის ობსერვატორიის) დროს¹. თანამედროვე თბილისი მტკვრის ხეობაში ზემო ავჭალიდან ფონიჭალამდე გადაჭიმული. თბილისის ქვაბული ზღვის დონიდან ძირითადად 350-450 მეტრის ფარგლებში ცვალებადობს, კალთები კი ზოგან 1.500 მეტრამდე აღწევს.

თბილისსა და მის მიდამოებს საკვანძო ადგილი უჭირავს საქართველოს განსხვავებულ ლანდშაფტურ რეგიონებს შორის. ქალაქს დასავლეთით ესაზღვრება თრიალეთის ქედის ჩრდილო განშტოებანი, აღმოსავლეთიდან – ძეძვის, ყეენისა და მახათას მთები, ხოლო სამხრეთით – თრიალეთის ქედი; ჩრდილოეთის მხრიდან ქალაქს საგურამოს ქედი ემიჯნება. ქალაქის ზრდასა და განვითარებასთან ერთად მისი საზღვრებიც იცვლებოდა. ვრცელია თბილისის მიდამოების საზღვრები: იგი მოიცავს თბილისის ქვაბულს და მის ფარგლებსაც შორდება. თანამედროვე თბილისის საზღვარი ჩრდილოეთით გაუყვება საწკეპელას, არმაზისა და საგურამოს ქედებს, აღმოსავლეთით – მდინარეების საცხენისისა და ლოჭინის ხეობებს, სამხრეთით – თელეთისა და კოჟრის ქედებს, დასავლეთით გადაკვეთს მდინარე ვერეს ბეთანიასთან და გაუყვება საწკეპალას ქედს. თბილისის რელიეფში გამოიყოფა მთაწმინდის ქედი, რომლის სიმაღლე 727 მეტრია.

თბილისი მდებარეობს საქართველოს მნიშვნელოვანი ლანდშაფტის გზაშესაყარზე, როგორებიცაა სამცხე-თრიალეთის მთიანეთი,

¹ საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000, გვ. 200.

კახეთისა და შიდა ქართლის მთათაშორისი ბარი, იორის ზეგანი და სხვ.

ისტორიულ-ეთნოგრაფიულად თბილისი სამი მხარის ტერიტორიაზე მდებარეობს; ეს მხარეებია შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და კახეთი. მაგალითად, ქვემო ქართლს ეკუთვნის ვაკე, შიდა ქართლს – დილომი და დიდუბე, კახეთს – გლდანი, ავჭალა და ლილო.

ისტორიულად თბილისის ტერიტორია ბუნებრივად იყო დაცული გარშემოკრული მთებით, რომლებიც იცავდა ქალაქის მოსახლეობას მრავალრიცხოვანი მტრებისაგან.

გეოლოგიურად თბილისის ტერიტორია მესამეული ეპოქის ზღვის ფსკერს წარმოადგენს. მდინარე მტკვარი თბილისს ორ ნაწილად ყოფს: მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებად. მარჯვენა მხარე საგრძნობლად შემაღლებულია, უფრო ციცაბოა პატარა მდინარეებითა და ხრამებით. მარცხენა მხარეზე რელიეფი შედარებით თანაბარია, მაგრამ აქაც არის მშრალი ხეობები და ხრამები. თბილისის ასეთი მდებარეობა დიდად აფერხებდა მის ტერიტორიულა ზრდას. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მოსახლეობა ხელოვნურ ტერასებს აწყობდა მტკვრის ორივე მხარეს.

ახლო წარსულში თბილისის რამდენიმე ხევი ჰკვეთდა: სოლოლაკის ხევი, ეკალხევი, ვარდისუბნის ხევი, გაბაანთ ხევი, კუკიის ხევი, ჩურლურეთის ხევი, ვარაზის ხევი და სხვ. ამჟამად ეს ხეობები გადახურულია და მასზე აშენებულია სხვადასხვა ნაგებობანი. მტკვარს თბილისში ერთვის მდინარეები ვერე და წავკისის წყალი ანუ ლელვთა ხევი, დიდმის ხევი. თბილისის ტერიტორია არ არის მდიდარი წიაღისეულით. აქ მოიპოვება ნავთობი, სამშენებლო მასალები და მინერალური წყლები.

თბილისის კლიმატი საკმაოდ მრავალფეროვანია. ნალექი მცირე იცის. ჰაერი მშრალია, ღრუბლიანობა მცირეა, ხოლო მზის რაღაცა უხვი და ხანგრძლივი.

ქალაქის წლიური საშუალო ტემპერატურა მაღალია და აღწევს დაახლოებით 12,6. თბილისის კლიმატური და რელიეფური პირობები ბევრად განსაზღვრავს შიდა წყლების ქსელის წარმოქმნას. მდინარე მტკვარი წყალუხვია და წყლის ენერჯის საკმაოდ მრავლს შეიცავს. მცირე მდინარეების, ხეობისა და ლეღებისათვის, ძლიერი

წვიმების დროს, დამახასიათებელია ღვარცოფები, განსაკუთრებით მაისსა და ივნისში.

თბილისის მიდამოებში ტბებიც არის: კუს ტბა, ლისის ტბა, გლდანის ტბა (ამჟამად „თბილისის ზღვა“).

რელიეფის, კლიმატისა და სხვა ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენით თბილისის ნიადაგიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა; უმეტეს წილად გავრცელებულია წაბლა ნიადაგები, რაც ხელს უწყობდა ვენახის გაშენებას, ბოსტნეულისა და ხორბლეულის მოყვანას. მამადავითის ქედზე არის მცირე სისქის ხირხატიანი ტყის ყავისფერი ნიადაგები, ზოგან კი ფერდობი მთლიანად გადარეცხილია.

თბილისის მიდამოები მდიდარია მცენარეული საფარით. წარსულში კი ტერიტორიის დიდი ნაწილი ტყით იყო დაფარული. სხვადასხვა გარემოების გამო ტყე გაიჩეხა; მცირე რაოდენობით არის ჭალის ტყე. თბილისის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ხელოვნურად გაშენებულ ტყეებს უჭირავს. თბილისის მიდამოებში ბოლო დროს შეინიშნება ბუნების სტიქიური მოვლენების – მეწყერების, ღვარცოფების, წყალდიდობების გააქტიურება, რაც, უმთავარესად, წინდაუხედავი სამეურნეო საქმიანობის შედეგია².

თბილისის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა საკმაოდ ხელსაყრელი იყო იმისათვის, რომ აქ უძველესი დროიდან ქალაქი დამკვიდრებულიყო და შემგომ დედაქალაქად გადაქცეულიყო.

² საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი I, თბ., 2000, გვ. 202.

თბილისის ისტორია (მოკლე მიმოხილვა)

მრავალ ათას წელს ითვლის თბილისის ისტორია. ხალხმა მისი წარმოშობა ვახტანგ გორგასლის სახელს დაუკავშირა. მისდამი მიძღვნილი ლეგენდა მოგვითხრობს ქალაქის დაარსების ამბავს, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ თბილისი და მისი ახლომდებარე მიდამოები უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. ოქროყანასა და მიცკევიჩის ქუჩაზე აღმოჩენილი კაჟისა და ოფსიდიანის ნატეხები მიგვანიშნებენ ქვის ხანის ადამიანის საგარაუდო არსებობას აღნიშნულ ტერიტორიაზე. მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა დიდუბეში, რომელიც მეცნიერთა ვარაუდით, ენეოლითის პერიოდის (ძვ. წ. IV-III ათასწლეული) განეკუთვნება. აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, კაჟისა და ოფსიდიანის იარაღები, ცხოველთა ძვლები იმის მაჩვენებელია, რომ აქ ბინადარი მოსახლეობა იყო, რომლის მეურნეობაში დიდი ადგილი ეკავა მონადირეობასა და მეთევზეობას; როგორც მასალებიდან ირკვევა, დიდუბის მოსახლეობას სცოდნია აგრეთვე სუფთად დართული ძაფით ქსოვა³. თბილისის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების გაფართოვებას ხელი შეუწყო 1972 წელს „დიდი თბილისის“ არქეოლოგიური ექსპედიციის ჩამოყალიბებამ.

ვაჟა-ფშაველას გამზირზე აღმოჩნდა უძველესი დასახლების ნაშთი, რომელიც „დელისის ნასახლარის“ სახელითაა ცნობილი. ამ ძეგლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს... თბილისის ტერიტორიაზე ნასახლარებს ჩვენ უკვე 6000 წლის წინ ვხვდებით⁴. აქ აღმოჩენილი მასალები პარალელურს პოულობს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებთან და აგრეთვე მტკვარ-არაქსის კულტურასთან.

ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთები აღმოჩნდა დილოშში, ე. წ. „თრელიგორეებზე“. გვიანი ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელი, სამკაულები, ბრინჯაოს იარაღები აღმოჩნდა ავჭალის გზატკეცილის მახლობლად აგურ-კრამიტის კომბინატის მიდამოებში. აქ აღმოჩენილი მასალები ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებით

³ დ. ქორიძე. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1955.

⁴ რ. აბრამიშვილი. თბილისი. არქეოლოგიური ძეგლები, IV, 1978.

თარიღდება⁵. ამავე პერიოდის საყოფაცხოვრებო ჭურჭელი და სამკაულებია აღმოჩენილი ნავთლულში, ორხევის მინდორზე.

ზემოთხსენებული არქეოლოგიური მონაცემები საშუალებას იძლევა, მეცნიერებმა გააკეთონ ობიექტური დასკვნა, რომ თბილისის ტერიტორიაზე ინტენსიური დასახლება გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ჩანს.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის შესანიშნავი მასალები იქნა აღმოჩენილი დიღმში, „თრელიგორებზე“. განსაკუთრებით საყურადღებოა აქ აღმოჩენილი ქვევრი, ყურძნის წიპწა, პურის საცხობი ღუმელი, თიხატკეპნილი და ქვის ფილებით დაკეპული იატაკი, რკინის ნამგალი, ბრინჯაოს საკინძი და სხვა. ბრინჯაოს ხანის ძეგლები მიკვლეულია თბილისის სხვა რაიონებშიც: ღრმაღელე, ნაძალადევი, დავით აღმაშენებლის გამზირი, მახათას მთის ფერდობი, ნავთლული, ორთაჭალა, კრწანისი, ისანი, ავლაბარი და სხვ.

გვიანანტიკური პერიოდის სამარხებიდან აღსანიშნავია ვაკის უბანში აღმოჩენილი ქვასამარხი, რომელშიც იყო ოქროს ორი მონეტა რომის იმპერატორ ავეუსტუსის დროს მოჭრილი (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14 წწ.). ასევე საყურადღებოა დიღმის ველზე, ახალი ხიდის მახლობლად, ძ. წ. IV-III საუკუნეების ბერძნული მონეტის აღმოჩენა. თბილისის სხვადასხვა უბნებში აგრეთვე აღმოჩენილია ბაქტრიული, ბოსფორული და სხვა დიდ სახელმწიფოთა მონეტები. მხოლოდებული მასალები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ფართო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი ჰქონია საბერძნეთის, ბაქტრიის, ეგვიპტის და რომის, ბოსფორის სახელმწიფოებთან. ეს ურთიერთობები სხვა გარემოებებთან ერთად თბილისის სტრატეგიული მდებარეობითაც იყო განპირობებული.

თბილისის არქეოლოგიურ წარსულზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქალაქს თავისი სახელწოდება „ტფილისი“ ცხელი, გოგირდოვანი წყლების გამო ეწოდა, რომელიც დღევანდელი „ლეღვთახევის“ მიდამოებში მოიაზრებოდა. თავდაპირველად თბილისიც დაახლოებით ამ ტერიტორიაზე და მეტეხ-ავლაბარის მიდამოებში მდებარეობდა. რაც შეეხება იმ ადგილებს, სადაც აღმოჩენილია ზემოთ დასახელებული არქეოლოგიური ძეგლები ძვ.

⁵ დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1955.

წ. V-IV ათასწლეულებიდან ახ. წ. IV საუკუნემდე, ისინი თბილისის ახლოს მდებარე დასახლებებს წარმოადგენდნენ და სავარაუდოა, რომ ამ დასახლებების ხარჯზე და ურთიერთშერწყმის შედეგად წარმოიშვა ძველი თბილისის ჯერ „ქალაქი-ციხე“, შემდეგ კი სამეფოს კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი – დედაქალაქი.



მეტეხი

ფეოდალური ხანის თბილისი არქეოლოგიური თვალსაზრისით დღემდე არ არის სრულად შესწავლილი. მხოლოდ სამ ადგილას ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები: 300 არაგველის ბაღი, ერეკლე II-ის მოედანი. რაც შეეხება დედაციხეს აქ არქეოლოგიური სამუშაოები დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა და აღმოჩნდა მეტად მრავალფეროვანი მასალები, მათ შორის, ვახტანგ გორგასლის ეპოქის თლილი კვადრატული ქვებით ნაგები კოშკი. თბილისის დედაციხის არქეოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია ძველი სასახლის ნაშთების აღმოჩენა, რაზეც ვახუშტი ბაგრატიონი მიაჩნებდა: „მაღალს ციხეში არს... სასახლე, მეფისა, პალატნი დიდი და მშვენიერი“.

პალეონტოპოლოგიური მონაცემები თბილისის შესახებ დგინდება იმ არქეოლოგიური მასალიდან, რომლებიც აღმოჩენილი იქნა თბილისსა და მის შემოგარენში, ესენია: ზემო ავჭალა ვლდანი, ნამგალა მიწა, თელოვანი, ვაშლაჯვარი, საფურცლე, ჩალიპირაგორები. თბილისში აღმოჩენილი მასალებიდან გამოყოფილი იქნა 58 თავისქალა. აქედან 48 რესტავირებულია. შესწავლილი მასალებიდან ჩანს, რომ დომინანტურ ანთროპოლოგიურ ტიპს წარმოადგენს „დოლიქოკრანული“ (გრძელთავიანი) ვიწროსახიანი, ვიწროცხვირიანი მკვეთრად პროფილირებული სახისა და ცხვირის მქონე გრაცილური კომპლექსის ადგილობრივი ვარიანტი, რომელიც ზოგად რასობრივ სისტემატიკაში ხმელთაშუაზღვისპირული რასის სახელწოდებითაა ცნობილი. აღმოჩენილი თავის ქალების შედარებისას დიდი მსგავსება იქნა დადგენილი აღმოსავლურ ქართულ ტიპთან, რომელიც სამხრეთქართულ ანთროპოლოგიურ ტიპთან ერთად ქმნის წინააზიური რასის იბერიულ ვარიანტს⁶.

თბილისი ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებულია IV საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც სასანიანთა ირანი ქართლში პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებისათვის იბრძვის. ეს ცნობა „მოქცევა ქართლისაჲს“ ანონიმ ავტორს ეკუთვნის. ფეოდალური ხანის ქართული საისტორიო წყაროები თბილისს „ტფილისის“ სახელით მოიხსენიებდნენ. ასე გრძელდებოდა 1936 წლამდე.

„ტფილ“-ი, რომელიც საფუძვლად უდევს თბილისის სახელს და თბილს ნიშნავს, ძველი ქართული სიტყვაა და მას შესატყვისება მოეძებნება ჭანურ-მეგრულსა და სვანურში⁷.

ქართველი მემატიანის ცნობას, რომ ამ ადგილს IV საუკუნეში უკვე ეწოდებოდა „ტფილისი“, რამდენადმე მხარს უჭერს IV საუკუნის მეორე ნახევარის რომაული საგზაო რუკა, რომელზედაც დატანილია „ფილალო“ ან „ტილიდა“, რაც თბილისს უნდა ნიშნავდეს⁸.

⁶ მ. აბდუშელიშვილი. კავკასიის ანთროპოლოგია ფეოდალურ ხანაში, თბ., 1980.

⁷ ა. შანიძე. საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის. – თბილისი 1500, საიუბილეო კრებული, თბ., 1958, გვ. 21.

⁸ С. Т. Еремян. Торговые пути Армении в эпоху сасанидов. – ВДИ, 1939.

ბიზანტიური საისტორიო წყაროებში თბილისი VI საუკუნიდან მოყოლებული იხსენიება „ტიფლისად“⁹. „ტიფლისის“ ფორმიდან გავრცელდა ქალაქის სახელწოდება სხვა ენებში. აქედან ნაწარმოები სომხური „ტფილის“, ბერძნული „ტიფლის“, არაბული, სპარსული და თურქული ფორმა „ტიფლის“, ასევე რუსულ და ევროპულ ენებში დამკვიდრდა „ტიფლისი“¹⁰.



ძველი თბილისი. XIX საუკუნის შუა ხანები. ნახატი

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, კერძოდ, მეგრელები და სვანები თბილისს ძველად „ქართს“ უწოდებდნენ. ქართი (ქართლი) ძველი იბერიის სამეფოს დედაქალაქის ციტატედლს ერქვა და, რადგან შემდეგ ქართლის სამეფოს დედაქალაქმა თბილისში გადაინაცვლა, მეგრელებმა და სვანებმა ახალ დედაქალაქზე გადაიტანეს ძველი დედაქალაქის სახელი და თბილისს „ქართი“ შეარქვეს¹¹.

⁹ ნ. ლომოური. კრებული „თბილისი 1500“, თბ., 1950.

¹⁰ ა. შანიძე. საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის, გვ. 22.

¹¹ გ. მელიქიშვილი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.

ზოგიერთი სომეხი ავტორი (თომა არწრუნი, შაპუკ ბაგრატუნი) თბილისს „ფაიტაკარანის“ სახელით მოიხსენიებს, რაც ხის ქალაქს ნიშნავს. არსებობს ამ ტერმინის სხვაგვარი ინტერპრეტაცია.

სახელწოდება „თბილისი“, რაც ძელი ქართულით „ტფილისს“ ნიშნავს თბილი (ტფილი) წყაროებიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც ქალაქში საკმაოდ არის და რითაც ცნობილი იყო თბილისი მაშინდელ სამყაროში.

თბილისის დედაქალაქად გადაქცევა რეალურად ობიექტურმა ფაქტორებმა განაპირობა. ასეთ ფაქტორთა შორის კი პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ ჰერეთ-კახეთთან უფრო სიახლოვე, ვიდრე მცხეთისა. თბილისი, გარდა თავდაცვისათვის ხელსაყრელი მდებარეობისა, მტკვრის ვიწროებში, ქვეყნის შუაგულში იყო და ადვილად სწვდებოდა არა მარტო აღმოსავლეთის პროვინციებს, არამედ სამხრეთსაც (ქვემო ქართლი), ჩრდილოეთსაც (შიდა ქართლი) და დასავლეთსაც (ზემო ქართლი, ეგრისი). როდესაც დაისახა ტენდენცია ამ მხარეებს შორის უფრო ინტენსიური სამეურნეო და კულტურული ურთიერთობისა, რაც ვახტანგ გორგასლის დროს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებითაც გამოიხატა, მაშინ თბილისის უპირატესობაც მცხეთასთან შედარებით აშკარად წარმოჩნდა. ამიტომაც გადაიქცა იგი ქართლის (შემდეგ კი ერთიანი საქართველოს) სამეფოს დედაქალაქად.

V საუკუნის ბოლოსათვის, თბილისის დედაქალაქად გადაქცევის შემდეგ მისი დასახლება სწრაფად ვითარდებოდა, ტერიტორიულად იზრდებოდა და მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრად იქცა. VI საუკუნის 30-იანი წლებიდან სპარსელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს, ამის შემდეგ ის ირანელი დიდმოხელის – მარზპანის რეზიდენციად იქცა. ამავე საუკუნის 70-იანი წლებიდან თბილისი ქართლის სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლის – ერისმთავრის რეზიდენცია გახდა. VII საუკუნის შუა წლებიდან თბილისი არაბთა მფლობელობაში აღმოჩნდა, რამაც მისი სამეურნეო და პოლიტიკური აღმავლობა დროებით შეაფერხა. VIII საუკუნის 40-იანი წლებიდან თბილისში დამკვიდრდა არაბი ხალიფას ნაცვალი, არაბი დიდმოხელე ამირა და საფუძველი ჩაეყარა თბილისის საამიროს. IX საუკუნის ბოლოდან მთელი X საუკუნის განმავლობაში თბილისის საამირო ფაქტობრივად დამოუკიდებელ

სამთავროდ ჩამოყალიბდა. ის მოიცავდა ქვემო ქართლის ტერიტორიას, დიღმის ხეობას და მტკვრის სანაპირო ზოლს ქალაქ რუსთავიანად.

უკვე ადრე შუა საუკუნეებში გამოიკვეთა თბილისის როგორც კავკასიის ცენტრის ფუნქცია. საქართველოს გაერთიანება თანდათან ხდებოდა თბილისის გარეშე, რადგან ის არაბული სამყაროს ნაწილად მიიჩნეოდა. მაგრამ 1032 წლიდან თბილისის ამირა უკვე საქართველოს მეფის ვასალი იყო. 1045 წელს ამირა ჯაფარის სიკვდილის შემდეგ თბილისელმა ბერებმა ბაგრატ IV მიიწვიეს, რომელიც ზარ-ზეიმით შევიდა ქალაქში. მაგრამ ლიპარიტ ერისთავის მტრული მოქმედების გამო საქართველოს მეფემ ვერ შეინარჩუნა თბილისი და დატოვა იგი. ბაგრატი თბილისელებმა მეორადაც მიიწვიეს. მაგრამ იმავე ლიპარიტის წყალობით სამი წლის შემდეგ, 1051 წელს კვლავ მოუწია მისი დატოვება. 1062 წლამდე თბილისის თბილელი ბერები განაგებდნენ. ამის შემდეგ თბილისი ამირასა და ქართველებს შორის კვლავ გადადიოდა ხელიდან ხელში. 1082-1122 წლებში თბილისს უშუალოდ თბილელი ბერები განაგებდნენ. 1121 წლის დიდგორის ბრძოლის შემდეგ, 1122 წლის იანვარში დავით აღმაშენებელმა თბილისიც აიღო და „ოთხას წელ სპარსთა ქონებულნი“ დედაქალაქი კვლავ საქართველოს დაუბრუნდა. დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში იქნა გადმოტანილი. თბილისის დაბრუნებასთან ერთად დაიწყო მისი საქალაქო წეს-წყობილებისა და, საერთოდ, ცხოვრების ეროვნულ ყაიდაზე გარდაქმნა, „გაქართველება“, რაც მთელი XII საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. IX საუკუნის შუა ხანებში თბილისის მოსახლეობა თუ 50.000-მდე იყო, XII საუკუნის დამდეგს 100. 000-ს მიაღწია. სამეფო კარის გარდა აქ სახლები ფეოდალურ არისტოკრატიასაც ჰქონდა. თბილისის „მკვიდრებად“ ითვლებოდნენ მოქალაქეთა პრივილეგიური ზედაფენის წარმომადგენლები, პირველ რიგში, დიდვაჭრები. მათ გვერდით საშუალო და წვრილი ვაჭრებიც იყვნენ, რომლებიც ამქრულ ორგანიზაციებში გაერთიანებულ ხელოსნებთან ერთად „ქალაქის ერს“ ქმნიდნენ. თბილისის სოციალური იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა ქალაქის უპოვარი მოსახლეობა – „ქალაქის გლახაკნი“. XII საუკუნის ერთ-ერთი ავტორის მიხედვით, იმდროინდელ თბილი-

სში მუსლიმები და ქართველები ერთმანეთში აღრევით ცხოვრობდნენ.

1226 წლამდე თბილისი უცხოელ დამპყრობელს აღარ აუოხრებია. ქვეყანამ ასი წელი შეისვენა და ამ ხნის განმავლობაში მშვიდობიანად ცხოვრობდა. განვითარდა საქალაქო ცხოვრება, ვაჭრობა-ხელოსნობა გაფართოვდა. მაშინდელი ქართული კულტურულ-საზოგადოებრივი მოძრაობის უდიდეს ცენტრს თბილისი წარმოადგენდა. აქ იმართებოდა ლიტერატურული დისკუტები, მეცნიერული პაექრობანი, სამხედრო აღლუმები, დიპლომატიური შეხვედრები.

1226 წელს მშვიდობიანი ცხოვრება შეწყდა, თბილისს უბედურება დაატყდა – ის ჯალალედინმა დაიპყრო. მან ქალაქი ააოხრა და ხელში ჩაიგდო დიდი სიძლიდრე. ამის შესახებ მას განუცხადებია: მე რომ მარტო სიძლიდრისათვის წავსულიყავ, თბილისი სავსებით საკმარისი იყო¹². ამის შემდეგ დიდი დრო არ იყო გასული, რომ ქალაქი მონღოლების ხელში აღმოჩნდა. ხვარაზმელებისა და მონღოლების შემოსევების შემდეგ ტერიტორიულად და მოსახლეობითაც თბილისი შემცირდა. XIV საუკუნის პირველ ნახევარში, გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დროს თბილისმა ძველი დიდება ისევ დაიბრუნა. მის დროს თბილისის ზარაფხანაში „ყაზანური თეთრის“ ნაცვლად უკვე ვერცხლის ქართული ფულის – „გიორგაულის“ მოჭრა დაიწყო. თბილისს მალე ახალი მტერი გამოუჩნდა; ეს იყო თემურ-ლენგი. ბერძენი ისტორიკოსის მიხედვით პანარეტოსის სიტყვით, თემურლენგმა „გააჩალა ბრძოლა და ხელთ იგდო გასაოცარი ტფილისი... მოხდა ყოველივე ეს ნოემბრის 21-ს 1386 წელს“. ალექსანდრე I-ის მეფობისას (1412-1442 წლები) თბილისს დაუბრუნდა გახიზნული მოსახლეობა, თანდათან გამოცოცხლდა მოშლილი მეურნეობა, აღორძინდა დაქცეული ეკლესია-მონასტრები.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისი საქართველოს დედაქალაქის ნაცვლად ქართლის დედაქალაქად იქცა. ახლა უკვე ქართლის დედაქალაქს მოსვენება არ ჰქონდა: 1477 წელს უზუნჰასანმა დაარბია თბილისი, 1522 წელს სპარსელებმა თბილისი კვლავ ცეცხლს მისცეს, 1541 წელს თბილისი ყიზილბაშებმა გადა-

¹² დ. გვრიტიშვილი. თბილისი 1500 წლისაა. – თბილისი 1500, საიუბილეო კრებული, თბ., 1958, გვ. 2.

წვეს, 1579 წელს თბილისი ოსმალებმა გაძარცვეს; მართალია 1606 წელს ქართველებმა ოსმალები განდევნეს, მაგრამ ის კვლავ სპარსელებმა დაიკავეს. თბილისი მნიშვნელოვნად დაზარალა შაჰ-აბასმაც XVII საუკუნის დასაწყისში. 1632-1658 წლებში ქართლის მეფის როსტომის დროს თბილისის აღმშენებლობა დაიწყო, რაც გამოიხატა როგორც თბილისის გარეგანი სახის სასიკეთოდ შეცვლით, ისე მისი ეკონომიკური ცხოვრების წინსვლა-აღორძინებითაც. როსტომი ქალაქის ახლო-მახლო სოფლებიდან თბილისში გლეხებსაც ასახლებდა (მაგალითად, სოფელ წოდორეთიდან ჯავახიშვილის უშიღბირო გლეხები ავლაბარში დაასახლა). XVI-XVIII საუკუნეების თბილისისათვის დამახასიათებელი იყო სომხური მოსახლეობის ზრდა (ლტოლვილთა სახით). შესაბამისად იმატა სომხურ-გრიგორიანული ეკლესიების რიცხვმაც. ამ პერიოდის თბილისისათვის დამახასიათებელი იყო გარკვეული კულტურული აღმავლობაც, განსაკუთრებით ეს ითქმის ვახტანგ VI-ის მეფობის პერიოდზე (1709 წელს პირველი სტამბის დაარსება, საკანონმდებლო კრებულის „დასტურლამალისა“ და „სწავლულ კაცთა“ კომისიის შექმნა).

მართალია თბილისი ქართლის სამეფოს დედაქალაქი იყო, მაგრამ ის კვლავ რჩებოდა არა მარტო ქართული სულიერი კულტურის ცენტრად, არამედ მატერიალური კულტურის ცენტრადაც, მთელი საქართველოს ეკონომიკის ბურჯად. უცხო დამკვირვებელი *სერაფინო მელიოკოკანელი* XVII საუკუნის 60-იან წლებში წერდა: აქ „განუწყვეტლივ ერთმანეთს ხედებიან ყოველი კუთხის ვაჭრები – სპარსეთიდან, ალეპოდან და მთელი საქართველოდან“¹³.

1762 წელს თბილისი უკვე ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს – აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქად იქცა. 1795 წელს თბილისმა ირანელთა უკანასკნელი შემოსევა განიცადა – ალა-მაჰმად-ხანმა თბილისი თითქმის მიწასთან გაასწორა, ქალაქი გაიძარცვა, მოსახლეობა დატყვევდა, ბიბლიოთეკები და არქივსაცავები ცეცხლს მისცა. პოეტი *სტეფანე ფერმანგიშვილი* ლექსს „თბილისის აოხრება“ ასე იწყებს: „ქალაქი, რომელ გენახებათ ყოვლით ქებული, // ხალხით, მორთული, კეკლუც-ნაზი, გალაღებული, // აწ

¹³ შ. მესხია. თბილისის როლი ქართველი ხალხის ისტორიაში. – თბილისი 1500. საიუბილეო კრებული, თბ., 1958, გვ. 12.

მოდით, ნახეთ, როგორ არის გაოხრებული, // მისნი შვენიერ ქალ-
ვაჟნი დატყვევებული“.

1801 წლიდან ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მი-
ერ გაუქმების შემდეგ, თბილისის დედაქალაქობის პერიოდიც დამ-
თავრდა – ის საგუბერნიო ქალაქად იქცა; იქცა კავკასიაში მთავარ-
მართველისა და მეფისნაცვლის სამყოფ რეზიდენციად და კავკასიის
ცენტრად. XVIII საუკუნიდან კიდევ უფრო გაიზარდა თბილისის
როლი ქართული კულტურის განვითარებაში (დაფუძნდა სახელმწი-
ფო სკოლები, ფილოსოფიური სემინარია, სტამბა, ქართული თეატ-
რი, გაიზარდა ქართული წიგნსაცავების რაოდენობა).

თბილისი ისე, როგორც წინათ, XIX საუკუნეშიც მნიშვნე-
ლოვან როლს ასრულებდა სამხრეთ კავკასიის სხვა ხალხების კუ-
ლტურის განვითარებაში. აქ, და არა ერევანში, მოისწრაფოდნ ოს-
მალეთსა თუ სპარსეთში მცხოვრები სომხები – აქ დაარსეს მათ
სასულიერო სასწავლებელი, გამოდიოდა სომხური გაზეთები, საფუ-
ძველი ჩაეყარა სომხურ თეატრს და სხვ.



წისქვილები მტკვარზე

თბილისის ტერიტორიული განვითარება და უბნები

შუა საუკუნეების ავტორები თბილისს დადებითი ეპითეტებით მოიხსენიებენ. მაგალითად, X საუკუნის სომეხი მემატიანე უხტანესი მას საკვირველნაშენ, საოცარ, სახელოვან დიდ დედაქალაქს უწოდებდა. უცხოელთა განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოს უპირველესი ქალაქი იმიტომაც იქცევდა, რომ ის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიის ცენტრიც იყო. ამით იყო განპირობებული თბილისის ეთნიკური და რელიგიური სიჭრელეც.

თბილისი მხოლოდ თბილისი არ იყო. მისი არსებობა წარმოდგენილი გახლავთ გარეუბნების, მიმდებარე სოფლების გარეშე. გვიან შუა საუკუნეებში სამეფო კარზე მყოფ მოხელეებს ქალაქის შემოგარენზეც მიუწვდებოდა ხელი. დროთა განმავლობაში საგარეუბნო და ახლოს მდებარე სოფლები თბილისის შემადგენლობაში შევიდა.

თანამედროვე თბილისი მთელი რიგი უბნებისაგან შედგება. ასევე იყო ისტორიული თბილისიც. ყველა უბანს თავისი სახელწოდება ჰქონდა. უბნების ძირითადი ნაწილი მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა. თავდაპირველი თბილისი *კალის* უბანს მოიცავდა. კალა გალავნით იყო შემოფარგლული. აქ იდგა მეფისა და მისი ოჯახის, ფეოდალების, ეკლესიების წინამძღვრების სასახლეები. კალაში იყო ორი დიდი მოედანი – თათრისა და მეფის/ბატონის. თათრის მოედანი სავაჭრო ფუნქციის მქონე იყო, ბატონისას კი საზოგადოებრივი ფუნქცია გააჩნდა. იქვე მდინარის მიმართულებით იყო *სეიდაბადი* (ვახუშტი: “სეიდაბადი ანუ ტფილისი”). როგორც ერთ, ისე მეორე უბანში თბილისური გოგირდოვანი აბანოების ძირითადი ნაწილი იყო.

მდინარის მარცხენა მხარეს, მეტეხის ტაძრის მიმდებარედ ასევე ძველი უბანი *ავლაბარია*. მარჯვენა მხარეს იყო *ხარფუხი*, მარცხნივ *კუკია* და *ჩუღურეთი*. დღევანდელი კოტე აფხაზის ქუჩა და მიმდებარე ტერიტორია *შუა ბაზრად* იწოდებოდა, რომელიც კალას ორ ნაწილად ყოფდა. კალას (ვახუშტი: „კალა ანუ ტფილისი“) ზედა ნაწილი ეს იყო ციხე-სიმაგრე (დღევანდელი „ნარიყალა“) და ქვემო ნაწილი კი *რაბათად* იწოდებოდა. ზედა ნაწილში თუ ქალაქის არისტოკრატია ცხოვრობდა, ქვედა ნაწილში – ხელოსნები და

ვაჭრები. ამავე პროფესიის ადამიანებით იყო დასახლებული ძირითადად *სეიდაბადი*. თბილისში იყო მიკროუბნები, რომლებშიც სხვადასხვა პროფესიისა და ხელობის ადამიანთა ჯგუფები, აგრეთვე ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ერთობები მკვიდრობდნენ. ცნობილი იყო ოქრომჭედლების, მღებრების, ფეიქართა, აგრეთვე აბანოების უბნები. სეიდაბადი უდავოდ არაქართული სახელწოდებაა. აქ თავის დროზე სეიდები (მუსლიმური სასულიერო პირების პრივილეგირებული ჯგუფი) ცხოვრობდნენ და სახელწოდებაც აქედან აქვს მიღებული. ზოგიერთი უბანი კი იქ არსებული ტაძრებისა და ეკლესიების მიხედვით იწოდებოდა: *სიონის*, *ანჩისხატის*, *მეტეხის*... 1830-იან წლებში ჩამოყალიბდა *მოლოკანთა გარეუბანი* რიყეზე.

ისევე როგორც ყველა ქალაქის, თბილისის ტერიტორიაც ხშირად იცვლებოდა. XVIII საუკუნეში დედაქალაქის ტერიტორიამ მნიშვნელოვანი გაფართოვება დაიწყო. პირველ რიგში კალას გალავნის ჩრდილოეთითა და დასავლეთით მდებარე გარეთუბნის ხარჯზე ხდებოდა მისი ტერიტორიის ზრდა. ვახუშტის თქმით, გარეთუბანს მეოთხე „ქალაქს“ უწოდებდნენ. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში გარეთუბნი თბილისის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია – ის მოიცავდა აწინდელ თავისუფლების მოედანს, რუსთაველის პროსპექტის დასაწყისსა და მტკვარს შორის მოქცეულ ტერიტორიას. მისი გარე ზღვარი ქაშუეთის ეკლესიის მიდამოებამდე აღწევდა. ქალაქის სანახებში „გარეთუბანი“ პირველად XVI საუკუნის საბუთში გვხვდება. ვახუშტის მიხედვით, მჭიდრო დასახლების მიჯნა სწორედ აქამდე აღწევდა. ვახუშტის მიერ შედგენილი თბილისის 1735 წლის გეგმით, „ამ უბნის საზღვრები დღეს ასე უნდა წარმოვიდგინოთ: აღმოსავლეთით – მდ. მტკვარი, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – დადიანის, პუშკინის და ბარათაშვილის ქუჩები (ძველად ამ უკანასკნელი ქუჩების – პუშკინისა და ბარათაშვილის ადგილას ავანანთ – სოლოლაკის ხევი იყო), დასავლეთით – მთაწმიდა და ჩრდილოეთით – ჯორჯიაშვილის (ახლანდელი ჭანტურიას) ქუჩის მიდამოები“¹⁴. 1781 წლის აღწერით გარეთუბანში 550 კომლი ცხოვრობდა. აქ ჰქონიათ სახლები არაგვის ერისთავებს, აბაშიძეებს, ხე-

¹⁴ თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977, გვ.47-48.

რხეულიძეებს, თუმანიშვილებს... გარეთუბანში სხვადასხვა პროფესიის ხელოსნები ცხოვრობდნენ, ბევრი იყო ბაღ-ვენახები. ამ დროს გარეთუბანი მთლიანად ქალაქის ადმინისტრაციას იყო დაქვემდებარებული. გარეთუბნელებს მტკვარზე რამდენიმე წისკვილი ჰქონდათ აშენებული. აქ არსებულ ქარხნებში ამზადებდნენ აგურს, კრამიტსა და თიხის ჭურჭელს. გარეთუბანში გამოდიოდა თბილისის ჩრდილო-დასავლეთ გალავანში დატანებული სამი კარი – „კოჯრის“, „შუა ანუ დიღმის“ და „ქვემო ანუ წყლის“¹⁵.

გარეთუბანში რამდენიმე მიკროუბანი იყო: მუხრან-ბატონის უბანი, წყლის კარის უბანი, ცხრაპურას უბანი, ბომის უბანი, ორბელიანის უბანი, ვანქისუბანი, კალოუბანი და სხვა. ქაშუეთთან ყოფილა *კალოუბანი* (ეკლესია თანამედროვე რუსთაველის კინოთეატრის ადგილას მდგარა). დროთა განმავლობაში გარეთუბნის ნაწილს *მუხრანთუბანი* დარქმევია, იმიტომ რომ ამ ადგილის ერთადერთი მფლობელები *მუხრან-ბაგრატიონები* იყვნენ. მუხრანთუბნის ჩრდილოეთითა და დასავლეთით *ვანქის* უბანი მდებარეობდა, ეს სახელი ამ უბანს აქ მდგარი სომხური მონასტრის – ვანქის – სახელის მიხედვით შეერქვა. ვანქის უბნის გვერდზე, აღმა *ორბელიანების* უბანი იყო გაშლილი. მათივე ყოფილა ტერიტორია *ყაბახსა* (ავლაბრის ბაღი) და მტკვარს შორის. საქართველოს რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობის შემდეგ თბილისის ზრდა ძირითადად გარეთუბნისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ხარჯზე ხდებოდა. აქ აშენდა რუსეთის ხელისუფლების ადმინისტრაციული დანიშნულების შენობები – სამხედრო შტაბის შენობა, მეფისნაცვლის სასახლე, ჰაუპტვანტი...¹⁶ XIX საუკუნეში გარეთუბანში ქართველ დიდებულთა ბაღების ადგილზე ჩნდება ადგილის სახელი „სოლოლაკი“. ეს სახელწოდება უბანმა აქ მიმდინარე სალაღაკის ხევისაგან მიიღო. სალაღაკის ხევი ამაღლების ქუჩიდან იწყებოდა, გაივლიდა დღევანდელი ლეონიძის, პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩებს და ბარათაშვილის ხიდთან უერთდებოდა მტკვარს. სოლოლაკის გაშენება XIX საუკუნის მეორე მეოთხედიდან დაწყებულია, მას შემდეგ, რაც სოლოლაკის ხევი გადახურეს.

¹⁵ თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., გვ.52.

¹⁶ თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., გვ.57.

ავლაბარი თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია. ზოგიერთი მკვლევარი ავლაბარს ისანთან-მეტეხთან აიგივებს. ეს მოსაზრება სრულიად სამართლიანად გაზიარებული არაა. მეტეხსა და ავლაბარს ცალკე მიუთითებენ არა მხოლოდ ადრეული, არამედ XVIII საუკუნის წყაროებიც. მაგალითად, 1785 წლის *პიშჩევინის* მიერ შედგენილ ფრანგულ რუკაზე მეტეხი და ავლაბარი ცალ-ცალკეა შემოზღუდული. მეტეხის გალავანს აღმოსავლეთიდან კარი ჰქონდა დატანებული, საიდანაც შეიძლებოდა ავლაბარში მოხვედრა. გალავანშემოზღუდული იყო ავლაბრის ტერიტორიაც, რომელშიც სხვადასხვა კვარტლები გამოიყოფოდა. ოსმალობის დროს ავლაბარი ხარაბად გადაქცეულა. მას შემდეგ XVIII საუკუნის 70-იან წლებში მარიამ დედოფალს ავლაბრისათვის გალავანი შემოურტყია, სასახლე და ეკლესია აუშენებია და მოსახლეობაც დაუსახლებია. ე. ი. ავლაბრის სომხური მოსახლეობა ამ პერიოდში იყო დასახლებული. აქ ჩანან ლორედან, ერეენიდან გადმოსახლებული სომხებიც. უფრო ადრე ავლაბრის მოსახლეობას ქართველებს გარდა, სომხები და მაჰმადიანებიც შედაგენდნენ. 1706 წლის საბუთი ავლაბრელი სომხის გაქართველების (მართლმადიდებლობის მიღების) შესახებაც კი მიუთითებს: „მე სომეხი ვიყავი და თქვენს საყდარს მოვინათლე“¹⁷. 1392 წლის საბუთით ტფილისში ავლაბარი ჯერ კიდევ არ შედიოდა; ის მეტეხის ყოვლად წმიდის მფლობელობაში არსებული ტერიტორია ყოფილა. შ. მესხიას ვარაუდით ისანს სინონიმი – ავლაბარი XIV საუკუნეში შეერქვა. „XVII ს. ავლაბარი ასე შემოისაზღვრებოდა: ჩრდილოეთიდან – ჩუღურეთის ხევით (ავლაბრის, სურბ-კარაპეტის, კიბალჩინის), აღმოსავლეთიდან – ღომელაურით და დირსიჭალის ბალებით, დასავლეთიდან – მდინარე მტკვრით და მეტეხის ციხით“¹⁸. საინტერესოა, რომ 1781-1782 წლების აღწერით ორი ავლაბარი – „გარეთ ავლაბარი“ და „შიგნით ავლაბარი“ – არსებობდა. „გზა კალას ტერიტორიიდან ავლაბარში მტკვარზე გადაებული ხიდით მიდიოდა. ხიდიდან მაშინვე იწყებოდა აღმართი, რომელზედაც *სირაჯების* ღუქანი იყო და ამიტომ მას სირაჯხანას უწოდებდნენ («Винный ряд») – „ღვინის აღმართი“. ... სირაჯხა-

¹⁷ ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, წ. V, 1913, გვ. 8.


¹⁸ თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, გვ. 136.

ნის მარცხნივ, ზურგით მტკვრისაკენ, რიყე დევს“¹⁹. ავლაბარს ჰყავდა ადგილობრივი მოხელეები, რომლებიც ემსახურებოდნენ და ზედამხედველობას უწევდნენ მეფის, დედოფლის, კათალიკოს-პატრიარქის და ბატონიშვილთა ავლაბარში მდებარე მამულებს თუ აქ მოსახლე მათ ყმა-გლეხებს. ავლაბარი მრავალდარგოვან სახელოსნო უბანსაც წარმოადგენდა. აქვე დადასტურებულია ბევრი დუქანიც. ავლაბარშივე ყოფილა ქარვასლა, სადაც შორიდან მოსული მგზავრი და ვაჭარი თავსაც აფარებდა.

რიყე ძველი თბილისის უბანი იყო მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ავლაბარსა და ჩუღურეთს შორის. ეს სახელი გვიან შუა საუკუნეებში ეწოდა „ავლაბრის ჭალას“. რიყე ერქვა ავლაბრის ხიდიდან აღმა, მტკვრის სანაპიროსთან არსებულ ტერიტორიას, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი XVIII საუკუნეში დაიკავა სოფელმა ჩუღურეთმა. მტკვრის ადიდებისას რიყე ხშირად იტბორებოდა. რიყე მეფე როსტომის სასახლის მოპირდაპირე მხარეს იყო, სასახლის აივანზე მყოფთ საშუალება ჰქონდათ თვალყური ედევნებინათ ყველაფრისათვის, რაც კი იქ ხდებოდა (ასეთი საშუალება ჰქონდათ ქალაქელებსაც და ქალაქისპირა სოფლელებსაც – ავლაბრელებს, ჩუღურეთელებს, კუკიელებს). სწორედ ამიტომ XVII საუკუნეში რიყე სასაპარეზო ადგილი იყო. რიყეზე გადიოდა ავჭალის დიდი გზა. რიყეზე XIX საუკუნის 20-30-იან წლებში დასახლება დაიწყო გერმანელებმა და მოლოკებმა, რომლებიც აქედან შემდეგ ახალ კუკიაზე გადავიდნენ; XIX საუკუნის 30-იან წლებში აქ სასტუმრო ააშენა ზალცმანმა („ზალცმანის სასტუმრო“). აქვე იდგა სასტუმრო რუსი სამხედრო მოსამსახურეებისათვის. რიყე მთლიანად ეკავა სავაჭრო და სახელოსნო დუქნებს. აქ იდგა რამდენიმე ქარვასლა, მათ შორის, ზუბალაშვილების, მელიქიშვილების და სხვათა ქარვასლები. რიყის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი (ქარვასლებთან ახლოს) ეკავა თბილისში შემოსული სავაჭრო ქარავნების პირუტყვისათვის (აქლემები, ხარები, სანედრები) საგანგებოდ გამოყოფილ ადგილს, ე.წ. *თივის მოედანს*. თბილისის ფარგლებში რიყე იყო მტკვრის ხეობის ყველაზე დაბალი ნაწილი. ამიტომ აქ ხშირად ხდებოდა წყალდიდობა. 1893 წლის 13 (25) მაისს რიყის მთავარ ქუჩაზე წყლის

¹⁹ თბილისის ისტორია, ტომი I, თბ., 1990, გვ. 333.

ღონე 3-4 მეტრით აღემატებოდა ტროტუარის ნიშნულს. წყალი ჩაღვა ყველა სარდაფში და სახლების პირველ სართულზე. უფრო ტრაგიკული იყო 1896 წლის 3 (15) მაისის წყალდიდობა. ამ დროს წყლის ღონემ 6 მეტრით აიწია. დაზარალდა 300 საცხოვრებელი სახლი. 1960 წელს ამ რაიონის რეკონსტრუქციის დროს რიყის მთელი განაშენიანება დაანგრეს. ტერიტორიის ნიშნულმა მნიშვნელოვნად აიწია. საბჭოთა პერიოდში აქ ხშირად ტარდებოდა „თბილისობა“²⁰.



დედაციხე/ნარიყალა

ავლაბარს აღმოსავლეთიდან *ნავთლული* და *ღირსიჭალა* ესაზღვრებოდა. ეს უკანასკნელი მტკვრის პირას მდებარეობდა. მოპირდაპირე მხარეს კი ორთაჭალის ბალები იყო. ღირსიჭალასა და ნავთლულს ერთმანეთისაგან *ღომელაურის* წყალი ყოფდა, სადაც სოფელი *ღომელაური* იყო. ღომელაური ღომელაურთა/გომელაურთა სოფელი იყო. ამ სოფელთა თანამიმდევრობა 1786 წლის საბუთშია მოცემული: „... ავლაბრის მამულიდამ რომ წავა ნათლულისაკენ,

²⁰ თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977.

შევა ღომელაურის მამულში, ღომელაურის მამულს რომ გაივლის ნათლულის სოფელს ახლო მიადგება ერთს ხევს. ეს ხევი ზეიდაძვე მოსდევს ლარზედ ამ მეთირიშვილებისა და ღომელაურის მამულს ჰყოფს და მტკვარს შეერთვის, რომელიც მისის უმაღლესობას მეფის უმაღლესობას მეფის ბრძანებამ და ადგილის მდებარეობამ ეს ხევი მიჯნად დაამტკიცა, რომ იმის იქით ნათლულის სოფლამდის მიჯნა აღარ არის“²¹. XVII საუკუნეში მოხსენიებული სოფელი ღომელაური მომდევნო საუკუნეში ნასოფლარადაა ქცეული. თუმცა იმავე საუკუნის ბოლოს ეს სოფელი კვლავ აღდგენილია. დირსიჭალაში მხოლოდ ბალები ყოფილა, რომლის მესაკუთრენი ყოფილნ როგორც ქალაქელები, ისე ავლაბრის, ღომელაურისა და ნავთლულის მკვიდრნი. დირსიჭალა XIX საუკუნეში აგებული წმიდა ბარბარეს ეკლესიის სიახლოვეს მდებარეობდა. XVIII საუკუნის ბოლო პერიოდის ერთი საბუთით ირკვევა, რომ დირსიჭალის მებაღეებს უფროსი ჰყოლიათ – მისი სახელო „უსტაბამის“ ყოფილა. როგორც ქალაქისპირა ყველა ბაღიდან, ქალაქის მოურავს დირსიჭალიდანაც ეკუთვნოდა თავისი სარგო“²².

ნავთლული ორი ყოფილა – დიდი და პატარა. 1840 და 1842 წლების კამერალური აღწერის დაეთარში დაფიქსირებულია სოფელი დიდი ნავთლული და პატარა ნავთლული. როგორც ერთ, ისე მეორე სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. ნავთლული თბილისის აღმოსავლეთით, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. ნავთლულს მეორე სახელი – *ერეკლეს ციხეც* ერქვა. 1761 წელს მეფე ერეკლეს ნავთლულისათვის ციხე-გალავანი აუგია და აღნიშნული სახელის წარმოქმნაც ამ ფაქტს უკავშირდება. მასვე დაუსახლებია ერეკლეს ციხე სხვადასხვა სოფლებიდან „მორეკილი“ გლეხებით.

აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ქალაქის სწრაფი ზრდა XVIII საუკუნეში გარეთუბნისა და მიმდებარე სოფლების ხარჯზე ოსმალთა ბატონობამ შეაჩერა. ოსმალებს გარეთუბანი გაუნადგურებიათ. უფრო გავერანებულია მოშორებული ადგილები.

²¹ სცსსა, ფონდი 1450, დავთარი 21, №3.

²² თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, გვ. 148-149.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნიდან მდინარე ვერეს აუზში თბილისელთა ბალები, ვენახები იყო გაშენებული; აქვე ყოფილა ყანები და წისქვილები²³. აქ იყო ქალაქისპირა სოფლები: *ვერე/ვერა* (თავდაპირველად მოიცავდა საბურთალოს, (გ)დელისსა და ვაკეს. ვერე ეკუთვნოდათ აზნაურ *გაბაშვილებს*. ვერაზე გადიოდა ქალაქიდან წამოსული „დიდის გზა“). სოფელი ვერე XVIII საუკუნეში ვერეს ქვემო წელზე, მტკვრის სიახლოვეს მდებარეობდა. ვერეზე მდებარეობდა ლურჯი მონასტერი. ვერეს უფრო ადრე სკვირეთი ერქვა. სკვირეთის/ვერეს ხევზე გადიოდა მანგლისის დიდგორისაკენ თრიალეთში მიმავალი მოკლე გზა. სტრატეგიული მნიშვნელობის ამ გზას შუა საუკუნეებში საგანგებოდ გამოყოფილი მეომართა ჯგუფი – „ყარაული“ – იცავდა²⁴. ლეკებისაგან თავდასაცავად აქ მორიგე ჯარიც მდგარა. ვერეზე ბალ-ვენახების გარდა, ბევრი წისქვილი ყოფილა. მათი მფლობელები იყვნენ: ქალაქის მელიქი, თბილელი, ორბელიანები, მელიქიშვილები, ყორღანაშვილები. ქალაქის მოურავს თავისი წილი ვერის ბალებიდანაც ერგებოდა. ვერეს ხევზე გადიოდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქალაქთაშორისო და საქარავნო გზა. ეს გზა გადიოდა ვერეზე მდებარე „ვერეს ხიდზე“, რომელიც „დიდი ქვითკირისა“ ყოფილა. ვერეს ნაწილი – ვაკე თბილისს 1907 წელს შემოუერთეს. მაგრამ 1870-იან წლებში ვერე (აგრეთვე ორთაჭალა) ჯერ კიდევ არ იყო დასახლებული. XIX საუკუნეში საბურთალოზე ქართველებთან ერთად (არჩვაძეები, როსტიაშვილები) მესაქონლე და მეეტლე მოლოკნები, აისორები (მეთულუხნეები), პოლონელები და ებრაელები ცხოვრობდნენ. საბურთალო ქალაქის ნაწილად 1917 წელს იქცა²⁵.

თავდაპირველად თბილისის საგარეუბნო სოფელები იყო *კრწანისი* (კრწანისის მოურავები იყვნენ *თაზიშვილები*. კრწანისში ბევრი იყო ბალ-ვენახები), *ორთაჭალა* (XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე ერქვა „შუა ჭალა“), *ყურყუთა* (შემდეგდროინდელი სოღანლული), *ღომელაური* (გომელაურთა სოფელი), *ღირსიჭალა*, *ნავთლული* (იგივე „ერეკლეს ციხე“. კრწანისი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე

²³ თბილისის ისტორია, ტომი I, თბ., 1990, გვ. 319.

²⁴ თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., გვ. 61.

²⁵ თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., გვ. 59-67.

მდებარეობდა. ის პირველად 1392 წლის გუჯარში გვხვდება. კრწანისი თავდაპირველად საეკლესიო სოფელი ყოფილა. სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან მას ესაზღვრებოდა *ხატის თელეთი* და *შინდისი*, ჩრდილოეთიდან, თაბორის ეკლესიის ჩამოყოფებით, – *ლელეთა ხევი* (წავეისის ხევი, დაბახანა), აღმოსავლეთიდან – მდინარე მტკვარი. XVII საუკუნის 30-იან წლებში ლელეთა ხევის მარჯვენა ნაპირზე და თაბორის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე შეიქმნა ტომის დასახლების შემდეგ, მას ცალკე გამოეყო სეიდაბადის უბანი. კრწანისის შემადგენელი ნაწილი იყო *ორთაჭალა*. ისევე როგორც მთლიანად კრწანისში, ორთაჭალაშიც ბევრი იყო ზვრები, ბაღჩა-ბოსტნები, ბაღები. ორთაჭალაში მტკვრის წყლის საქაჩი დიდი ბორბლები – დოლაბები ყოფილა მოწყობილი. ორთაჭალაში გადადიოდნენ როგორც ხის ხილით, ასევე ნავით. 1781 წლის ერთ-ერთ საბუთში „ორთაჭალის მენავე“-ა მოხსენიებული. მისი მოვალეობა ყოფილა მებაღეების, ბაღის მეპატრონეთა და სხვათა გადაყვანა.

XVIII საუკუნის II ნახევარში მტერთა მიერ გაუკაცრიელებული ნავთლული ერეკლე მეორემ აღადგინა სხვადასხვა სოფლებიდან მოყვანილი ყმებით (ამიტომაც შეერქვა ერეკლეს ციხე²⁶), *ჩულურეთი* (აქ გადიოდა „ავჭალის გზა“, რომელიც ავჭალის გალავანში იწყებოდა), *ახალსოფელი* (ჩრდილოეთით ჩულურეთს ესაზღვრებოდა), *კუკია* (აქ ეს სოფელი თრიალეთის კუკიიდან მოსახლეობის გადმოსახლების შემდეგ გაჩენილა XVIII საუკუნის 40-50-იან წლებში), *დიღუბე* (ადრინდელი სახელი – ცხენისტერფი).

თანამედროვე თბილისის უბნები კუკია და ჩულურეთი თავდაპირველად ქალაქის საგარეუბნო სოფლები იყო. ჩულურეთი პირველად

²⁶ 1781 წელს ერეკლეს ციხეში 71 კომლი ცხოვრობდა. აქ მკვიდრობდნენ შემდეგი გვარისანი: იმნაძე, კუჭიაშვილი, მებაღურიშვილი, მღვდლიშვილი, ლაშქარაშვილი, კაკაშვილი, თემურაშვილი, მენახიურიშვილი, პაპაშვილი, დარჩიაშვილი, კოკოზაშვილი, ჯარიაშენელიშვილი (შიდა ქართლის სოფელ ჯარიაშენიდან მოსულის შთამომავლები. XIX საუკუნეში სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მიღების შემდეგ ჯარიაშენელებად იქცნენ), ბაბულაშვილი. ჩილინდრიშვილი, ციბიტაშვილი, კოლაშვილი, ალაძე, დოღიაშვილი, ზაზიაშვილი, აგრეთვე „თოფჩი ბერუა“ და სხვ. (ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 158-160).

გვხვდება ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე. ის თბილისს ჩრდილოეთიდან ებჯინება. უფრო ადრინდელი მონაცემებით ამ სოფელს *ჩუხურსაც* უწოდებდნენ. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩუღურეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა *თელის წყაროს ხევი* (ცოდვიანის ხევი, კვირაცხოვლის ხევი, დიდი ხევი), რომელიც იწყებოდა ილღვიანის ტბასთან და ეშვებოდა მტკვრამდე; სამხრეთით შემოიზღუდებოდა ისევ ხევით (ჩუღურეთის, კიბალჩინის), რომელიც სათავეს იღებდა მახათას მთასთან და ეშვებოდა მტკვრამდე; ჩუღურეთელები ქალაქის ცენტრალურ ნაწილს XIX საუკუნის 20-იან წლებში აგებული ხის ხილით უკავშირებდნენ.

მტკვრის მარცხენა მხარეს, ჩრდილოეთის მხრიდან, ჩუღურეთის შემდეგ ესაზღვრებოდა სოფელი კუკია. კუკია დაარსეს თრიალეთის სოფელ კუკიდან გადმოსახლებულებმა XVIII საუკუნის 40-50-იან წლებში. XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში კუკია გაპარტახებულია. მაგრამ სულ რაღაც ათი წლის შემდეგ აქ უკვე მოსახლეობაა. დარეჯან დედოფალს კუკიაში თავისი კუთვნილი გლეხები გადმოუსახლება ქვემო ქართლიდან. აქვე დაუსახლებიათ განჯელი სომხების რამდენიმე კომლი. XIX საუკუნეში კუკია ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით იზრდებოდა. 1823 წელს კუკიაში 183 კომლი (1008 სული) ცხოვრობდა. 1824 წელს კუკია თბილისის განუყოფელი ნაწილი გახდა. XIX საუკუნის 40-50-იან წლებში კუკიის დასახლება ხდებოდა ჩუღურეთიდან და ავლაბრიდან გადასახლებულებით. დასახლება იმდენად ინტენსიური იყო, რომ 1850 წელს ახალი კუკიის დასახლებაც გაჩნდა. ახალ კუკიაში ინტენსიურად სახლდებოდნენ რუსი კოლონისტებიც.

თბილისს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ჩრდილოეთის მხრიდან სოფელ ჩუღურეთისა და კუკიის შემდეგ სოფელი *დიღუბე* ემიჯნებოდა. დიღუბე პირველად XI საუკუნის სიგელშია მოხსენიებული. დიღუბეში მდგარა მეფის სასახლე. შუა საუკუნეებში რამდენიმეჯერ მოხდა დიღუბის ხელახალი დასახლება. დიღუბის ძველი მიჯნები დადგენილი აქვს თ. ბერიძეს: „მას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა ჩუღურეთის და კუკიის მიწები, თელისხევიდან გაუყვებოდა ჩრდილოეთის მიმართულებით მელის გორა, სწორხაზოვ-

ნად განიღული გორა (უღელტეხილი). ყენის გორა, სათათრო გზა, ხევძმარი და აქედან ჩაუყვებოდა მდინარე მტკვარს. დასავლეთიდან მას ესაზღვრებოდა მდინარე მტკვარი²⁷. ვახუშტი ბაგრა-ტიონი დიდუბეს დაბად მოიხსენიებს. 1764 წლის სიგელით დიდუბის მოურავებად ჩანან გურგენიძეები. ისინი ამ სახელოს ძველთაგანვე ფლობდნენ. 1772 წლისათვის დიდუბე გაპარტახებულია, რის მიზეზიც ლეკთა თარეშები ყოფილა. თავდაპირველი დიდუბე გვიანდელ დიდუბესთან შედარებით უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავდა. გვიან სახელი „დიდუბე“ შერჩა ძველი სოფლის მცირე ტერიტორიას, რომელიც იფარგლებოდა დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიით. დიდუბის ეკლესიის მოშორებით, ჩრდილოეთით დიდუბის მიწაზე, 1818 წელს საქართველოში ჩამოსახლებულ გერმანელ კოლონისტთა ნაწილი დასახლდა. აქ გერმანელებმა შექმნეს თავიანთი კოლონია – *ალექსანდრედორფი*. გერმანელ ლუთერანელთა კირხა დიდუბეში დღემდეა შემორჩენილი. XIX საუკუნის დასაწყისიდან დიდუბე როგორც ცალკე სოფელი აღარ გვხვდება, რადგან დიდუბელები ქალაქში, კუკიასა და ჩუღურეთში გადასახლდნენ. 1872 წელს თბილისი-ფოთის რკინიგზის გახსნას ძველი დიდუბის ტერიტორიის უგეგმოდ დასახლება მოჰყვა. რკინიგზის მუშახელი ნებართვის გარეშე, თვითნებურად, ძალით იკავებდა ცარიელ სამოსახლოებს. ამის გამო, მის ერთ ნაწილს – ახალშენს – «Нахаловка» („ნაძალადევი“) ეწოდა. რკინიგზამ ძველი დიდუბის ტერიტორია ორ ნაწილად გაყო, „ნაძალადევი“ გაშენდა რკინიგზის გაღმა – აღმოსავლეთით, გამოღმა, დასავლეთ ნაწილს კი შერჩა ძველი სახელი – დიდუბე. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დიდუბე მჭიდროდ შეერწყა თბილისს. XIX საუკუნის ბოლოს თბილისის ახალი უბნები წარმოიქმნა ქალაქის მივარდნილ განაპირა ადგილებში, მაგალითად, რკინიგზის სადგურის სიახლოვეს წარმოიქმნა დასახლება, რომელშიც ძირითადად მუშები არაკანონიერად, ძალადობრივად სახლდებოდნენ. თანამედროვე თბილისი მოიცავს აგრეთვე მთელ რიგ საგარეუბნო სოფლებს: *ლისი, თხინვალა, ოქროყანა, შინდისი, ტაბახმელა, გლდანთი, ავჯალა, დილომი*. დილომი ანუ დილმის „ქვეყანა“ თრიალეთის ქედის ორ დამამთავრებელ შტოს შორისაა

²⁷ თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., გვ. 229.

მოქცეული. აღმოსავლეთიდან დიღმის საზღვარია მდინარე მტკვარი. აქ მისი ერთი კიდე „დიღმის იწროებთან“ იყო (მანამ, სანამ „ვეფხისტისა და მოყმის“ ძეგლთან მივალთ) და მეორე კიდე კი ნასოფლარ *ნაქულბაქევი*თან მდებარეობდა, სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სიახლოვეს, საქართველოს სამხედრო გზის მარჯვენა მხარეს (თბილისიდან მცხეთისაკენ). 1840 წლის კამერალურ აღწერაში სოფელი *ნაქულბაქევი* შეტანილია, თუმცა, ირკვევა, რომ სოფელში მკვიდრი ოთხი კომლი (*ბეჭური, დავითაშვილი* – 2 კომლი და *კიენაძე*) ძველი მაცხოვრებლები არ იყვნენ.

ისევე როგორც ყველგან, თბილისშიც დასახლების ფორმა რელიეფმა განაპირობა. ქალაქის ისტორიული ნაწილი ფერდობებზე იყო შეფენილი, სადაც სახლები ერთმანეთზე საფეხურების სახით მჭიდროდ იყო ერთმანეთთან მიწყობილი. XIX საუკუნის პირველი ათწლეულიდან კი მშენებლობის მასშტაბები მკვეთრად შეიცვალა, შეიცვალა ქალაქის კონფიგურაციაც. 1820-იან წლებში თბილისის ფარგლებში მოექცა *გარეთუბანი* (თანამედროვე თავისუფლების მოედანი და რუსთაველის პროსპექტის დასაწყისი), *კუკია, ჩუღურეთი*, 1840-იან წლებში – რიყე და ნავთლული. ახალი დასახლებები უკვე ევროპეიზირებული იყო.

ამრიგად, თბილისის ფართობი ცვლილებას განიცდიდა, უფრო მართებული იქნება ვთქვათ, რომ იზრდებოდა. XVIII-XIX საუკუნეებში ქალაქის ფართობის ცვლილება ასე წარმოგვიდგება: 1735 წელს ის 240,5 ჰექტარი იყო, 1800 წელს – 268,5 ჰექტარი, 1850 წელს – 346,7 ჰექტარი, 1898 წელს – 523,5 ჰექტარი²⁸. ქალაქის განვითარებას კარგად აჩვენებს 1864 და 1911 წლის მონაცემების შედარება. 1864 წელს თუ თბილისში იყო 134 ქუჩა, 61 შესახვევი, 17 მოედანი და 2 ბულვარი, 1911 წლის მონაცემებში უკვე დაფიქსირებულია 1.120 ქუჩა, 23 მოედანი, 77 დესეტინა ეჭირა ქალაქის ბაღებს/პარკებს, სკვერებსა და ბულვარებს.

თბილისის ქუჩები ყოველთვის იყო ხალხმრავალი და გამოცოცხლებული. თბილისელები ქუჩაში მუშაობდნენ, ვაჭრობდნენ, ისვენებდნენ, სეირნობდნენ, ურთიერთობდნენ. ეს ტრადიცია ფაქტობრი-

²⁸ კ. ხარაძე. თბილისი XVIII-XIX საუკუნეების ტოპოგრაფიული გეგმების მიხედვით. – მაცნე, ისტორიის... სერია, №2, 1975, გვ. 125.

ვად გადატანილი იქნა ახლად წარმოქმნილ ქუჩებსა და მოედნებზე. XIX საუკუნეში ახალი თბილისის სიმბოლოდ იქცა გოლოვინის პროსპექტი (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი, სადაც ადრე გადიოდა დიღმის კარიდან გამომავალი „დიღმის გზა“). ეს პროსპექტი მოქალაქეების სეირნობისა და დასვენების ძირითად ადგილად იქცა. თბილისელებში არანაკლებ პოპულარული იყო მიხაილოვის ქუჩა (ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტი).

თბილისის წარსული, რელიგია, თბილისელთა შრომა-საქმიანობა, ადრინდელი სოფლები თანამედროვე თბილისის ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებიდანაც კარგად ჩანს. ქვემოთ მხოლოდ იმ ქუჩებს ჩამოვთვლით, რომელთა სახელდებმაც ჩვენამდე მოაღწია: ამაღლების ქუჩა, სიონის ქუჩა, ფერისცვალების ქუჩა; ბეთლემის ქუჩა, დელისის ქუჩა, დიდუბის ქუჩა, დირსიჭალის ქუჩა, კრწანისის ქუჩა, ხარფუხის ქუჩა; აბანოს ქუჩა, ბამბის რიგი, დოქის ქუჩა, ვერცხლის ქუჩა, მაშხლის ქუჩა, ოქრომჭედლების ქუჩა, პურის მოედანი, სამღებროს ქუჩა, სანთლის შესახვევი, ფაბრიკის შესახვევი, ღვინის აღმართი, ხაზინის ქუჩა და სხვ.

შუა საუკუნეებში ქალაქის ირგვლივ არსებული სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო დანიშნულების სოფლების და გარეუბნების პროდუქცია და ნაწარმი (მარცვლეული, ბოსტნეული, ხილი, ღვინო, თიხის ჭურჭელი, აგური, კრამიტი) შემოდის თბილისის ბაზარზე. ქალაქისპირა სოფლებზე ვრცელდებოდა ქალაქის მოურავის, მელიქის, მამასახლისის, ქეთხუდის ხელისუფლება.

თბილისის ისტორიისა და ეთნოლოგიისათვის საყურადღებოა ინფრასტრუქტურული მონაცემებიც. 1864 წელს თბილისის ფართობი 243, 750 კვ. საჯენი ყოფილა (1911 წელს – 2589 დესეტინა). იყო 134 ქუჩა (1911 წელს – 1.120), 61 შესახვევი, 17 მოედანი (1911 წელს – 23), 2 ბუღვარი. ქალაქში იყო 9.048 კერძო საცხოვრებელი სახლი, 482 საეკლესიო და სამონასტრო შენობა, მათ შორის, 67 საკულტო (ეკლესია, მონასტერი, მეჩეთი და ა. შ.), 102 სახელმწიფო და საზოგადოებრივი შენობა; 2.867 დუქანი, 14 ქარვასლა, 24 არასაცხოვრებელი ნაგებობა (საწყობი, მაღაზია), თეატრი, 3 აფთიაქი, 12 საპოლიციო ჯიხური, 192 ქარხანა, მათ შორის 93 აგურის, 5 სასტუმრო, 41 სამიკიტნო, 71 ღვინის საწყობი

და სარდაფი, 37 აბანო, 306 ფანარი/მაშუქი. 1911 წელს თბილისში
22 სასაფლაო არსებობდა.



მუშა კასრით

დემოგრაფიული ვითარება ძველ და თანამედროვე თბილისში

თავისებური ეთნოგრაფიული ყოფით გამოირჩეოდა საქართველოს დედაქალაქი *თბილისი*. მისთვის ტრადიციული იყო: *ყვენობა, ამქრობა, აშულობა, კრივი, არიფანა, რივისპური, ყავახანები, ზეპირსიტყვაობა, ქუჩის წარმოდგენები, საღვინო ბალები, მტკვრის სანაპიროები...* თბილისი, ქართული საისტორიო წყაროებით, V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა გააშენა. თუმცა თბილისის ტერიტორია დასახლებული ყოფილა ძვ. წ. IV ათასწლეულშიც. ვახუშტის მიხედვით თბილისი ოთხი უბნის – *საკუთრივ თბილისის, კალის, ისნისა და გარეთუბნის* ერთობლიობას წარმოადგენდა. XII–XIII საუკუნეებში თბილისი კეთილმოწყობილი ქალაქი იყო და მისი მოსახლეობა 80 ათასს აღწევდა. ხშირად წყაროებში თბილისის ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ უშუალოდ ქალაქი თავისი საგარეუბნო ქვეყნით, არამედ უფრო დიდი ტერიტორია – *ვახუშტი ბაგრატიონი* „თბილისის მხარეში“ აღწერს *ნათლულს, ლილოს, დიდუბეს, დიდმის ხევის სოფლებს* და *ვერეს ხეობის* ქვემო წელის სოფლებს: *წყნეთს, ახალდაბას, ლისს*. ანალოგიურად წარმოადგენს თბილისსა და მასზე მიწერილ სოფლებს *იოანე ბაგრატიონი*. ის ჯერ ასახელებს „ტფილისს, რომელნიც მიეწერებიან სოფელნი აღმოსავლეთის მხარეს – *ტფილისი* თვით ქალაქი, *ავლაბარი* (1781 წლის აღწერით ავლაბარი ორ ნაწილად იყოფოდა: *გარეთ ავლაბარი* და *შიგნით ავლაბარი*. შიგნით ავლაბარში ციხეც ყოფილა), *კუკია, ჩუღურეთი, დიდუბე, ახალსოფელი, ლილო, ნათლული, ლოჭინხედ* ორი თათრის ნასოფლარი, შემდეგ „ჩრდილოეთის კერძო და დასავლეთისა, რომელიც მიეწერება“ (*გარეთუბანი, ვერე* და მისი ხეობა რომელნიც არიან (ჩამოთვლილია სოფლები), *დიდომი* და მისი ხევი)“.

1672 წელს თბილისი ნახა ფრანგმა მოგზაურმა *ჟან შარდენმა*, რომელიც თბილისს ახასიათებს როგორც იმდროინდელ აღმოსავლეთის ერთ-ერთ ულამაზეს, მჭიდროდ დასახლებულ ქალაქს მკვიდრად ნაგები ლამაზი ტაძრებით, საზოგადოებრივი შენობებით, სავაჭრო რიგებითა და ქარავასლებით. *ტურნეფორის* ცნობით, 1700 წელს თბილისში 20 ათასი კაცი ცხოვრობდა (ქართველი თავადაზნაურობა, ვაჭრები, სოვდაგრები, მოქალაქეები და გლეხები). მაგრამ ამ საუკუნეში მიმდინარე მთელმა რიგმა მოვლენებმა მისი მოსახლე-

ობის შემცირება გამოიწვია და XVIII საუკუნის ბოლოს თბილისის მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა. ალა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევამ ქალაქში კატასტროფიული სიტუაცია შექმნა. 1803 წელს თბილისში მხოლოდ 11,8 ათასი კაციღა ცხოვრობდა. მაჰმადიან დამპყრობლებთან ერთად, თბილისის აონრებას არც ლეკები აკლებდნენ ხელს. ერთი ასეთი შემოტევა ლეკებს მაჰმად-ყული-ხანთან ერთად 1723 წელს მოუხდენიათ. ამის შესახებ სომეხი ისტორიკოსი *ესაია ჰასან ჯალალიანცი* გვაუწყებს. საუბრობს რა თბილისელთა სიმდიდრის შესახებ, ის აღნიშნავს: „ყოველივე აქ ჩამოთვლილი ხელთ ივდეს ველურმა... ხარბმა... წურბელასავით გაუმადლარმა ლეკებმა, ვადარცვეს და აივსნენ ნდავლით, ხოლო ბავშვები, ემაწვილები, ქალები და ქალიშვილები, ვინც კი თვალში მოუვიდათ, ყველანი ტყვედ წაიყვანეს... ლეკები ფულს ითხოვდნენ“²⁹.

საგარეო ფაქტორის (ლეკიანობა, ყიზილბაშობა, ოსმალობა), გარდა, თბილისის მოსახლეობის შემცირებაში ებიდემიებმაც (შავი ჭირი, ხოლერა) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. განსაკუთრებით ტრაგიკული იყო 1811 წლის შავი ჭირის შედეგები. მოსახლეობის შემცირებაში სიკვდილიანობის გარდა, მიგრაციულმა პროცესებმაც თავისი წვლილი შეიტანა. თბილისელები სოფლებში გარბოდნენ. მაგრამ თანდათან ცხოვრების კალაპოტში ჩადგომის შემდეგ თბილისის მიმართულებით სხვადასხვა მიგრაციული ტალღები დაიძრა. პირველ რიგში აშკარა იყო აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ქართლის სოფლის მკვიდრთა თბილისში მიგრაცია. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას არც დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა მკვიდრნი ჩამორჩებოდნენ, განსაკუთრებით ეს ითქმის იმერლებზე. თბილისისაკენ, როგორც კავკასიის ცენტრისაკენ, მოემართებოდა ოსმალეთის იმპერიისა და სპარსეთის მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ეთნიკური სომხები (XIX საუკუნის დასაწყისში მართო ერევნისა და ბამბაკის მხრიდან 2,4 სომეხი გადმოსახლდა თბილისში. ბევრი მიგრანტი იყო აგრეთვე ყარაბაგიდან, ნახჭევანიდან და აზერბაიჯანული სახანოებიდან). სომხების გარდა თბილისში მიგრირდებოდნენ რუსები, ებრაელები, ოს-

²⁹ დ. ბერძენიშვილი. უცხოელები საქართველოსა და ქართველების შესახებ, თბ., 2008, გვ. 32.

ები, ლეკები... თბილისის მოსახლეობის ზრდა იწვევდა მის ტერიტორიული გაფართოვებას, ირგვლივ მდებარე სოფლების შემოერთებას (1819 წელს შეუერთდა *ხარფუხი*, 1824 წელს – *კუკია* და *ჩუღურეთი*, 1853 წელს – გერმანული კოლონია – „*ტიფლისი*“).

XIX საუკუნის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით კიდევ ერთ ფაქტორზე შეიძლება ყურადღების გამახვილება – ზამთართან შედარებით, ზაფხულში თბილისის მოსახლეობა იზრდებოდა. 1865 წელს ზამთარში ის შეადგენდა 60,1 ათასს, იმავე წლის ზაფხულში 71,1 ათასს. შემდგომ წლებში ეს მაჩვენებელი უფრო იზრდებოდა. დასავლეთ საქართველოდან (იმერეთი, სამეგრელო), აღმოსავლეთ სომხეთიდან, ოსური სოფლებიდან და სპარსეთიდან ყოველწლიურად 20 ათასი საშოვრის მძიებელი შემოდის. 1902 წელს თბილისში 81,4 ათასი დროებით მაცხოვრებელი იყი აღრიცხული., რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 43%-ს შეადგენდა.

მეცნიერებს საშუალებას აქვთ შედარებით ზუსტად განსაზღვრონ თბილისის მოსახლეობის რაოდენობა XIX საუკუნიდან, რადგან რუსეთის იმპერიის სტატისტიკური მონაცემებმა ჩვენამდე მოაღწია, საპირისპიროდ შუა საუკუნეების აღწერის დავთრებისა, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია რთული საგარეო ფაქტორის გამო. 1803 წელს თბილისის მოსახლეობა 20. 000-ის ფარგლებში იყო. აქედან მამაკაცი შეადგენდა 51,4%-ს, ქალი – 48,6%-ს. XIX საუკუნის დასაწყისიდან თბილისის მოსახლეობა მუდმივად მატულობდა და ეს ნამატი ძირითადად მექანიკური მიგრაციის შედეგი იყო როგორც საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან, ისე უცხო ქვეყნებიდან. 1864 წლის ზამთრის მონაცემებით 60.085, ხოლო 1865 წლის ზაფხულის მონაცემებით 71.051 სული იყო. ორივე მონაცემში მამაკაცების რაოდენობა მკვეთრად მეტი იყო ქალების რაოდენობაზე. ეს მამაკაცები ძირითადად სავაჭროდ ან სამუშაოდ, საშოვარზე იყვნენ ჩამოსული. მოსულები ოჯახების გარეშე იყვნენ. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ჩამოსულთაგან მამაკაცი იყო 10.676, ქალი კი მხოლოდ – 328. ზამთარში ეს სხვაობა თუ 6.781-ს შეადგენდა, ზაფხულში ის 1.091 იყო. სხვაობა გამოწვეული იყო იმით, რომ ზაფხულში მოსახლეობის მიგრაცია თბილისის მიმართულებით მკვეთრად მატულობდა. ზაფხულში ჩამოსულთაგან ყველას სჭარბობდნენ სპარსელები – 6.624 კაცი (მიგრირე-

ბულთა 58,5%), სომეხი – 3.426 კაცი (30,3%), თათარი – 569 (5,1%), ბერძენი – 312 (2,8%), ებრაელი – 231 (2%)...³⁰

1876 წლის კამერალური აღწერით თბილისის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 104.024 სულს, მათ შორის 66.147 მამაკაცი (53,6%) და 37.877 ქალი (36,4%). „მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ბავშვები 15 წლამდე შეადგენდა 29,3%, მათ შორის: ვაჟები – 25,6%, ხოლო გოგონები – 35,5%. ამ აღწერით მოსახლეობის მხოლოდ 44,8% ყოფილა წერა-კითხვისმცოდნე³¹.

1897 წელს თბილისის მოსახლეობა შეადგენდა 159.590 სულს, მათ შორის, მამაკაცი – 59,7% და ქალი – 40,3%. აშკარაა, რომ XIX საუკუნეში თბილისის მოსახლეობა ინტენსიურად იზრდებოდა მექანიკური მიგრაციის გზით. 1876 წლიდან 1897 წლამდე, 21 წლის განმავლობაში მისი რაოდენობა 55,6 ათასით ანუ 53,5%-ითა გაიზარდა.³² სწრაფ მექანიკურ ზრდას განაპირობებდა მთელი რიგი ფაქტორები. ის ახლა არა მხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით იყო კავკასიის ცენტრი, არამედ ადმინისტრაციულადაც. უმსხვილესმა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა ცენტრმა კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მის ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო და სახელოსნო-სამრეწველო ცენტრად გადაქცევას. ბუნებრივია იზრდებოდა მისი ტერიტორიაც.

1803-1897 წლების მანძილზე, ე. ი. 94 წლის მონაკვეთში, თბილისის მოსახლეობა გაიზარდა 20 ათასიდან თითქმის 160 ათასამდე, ე. ი. ათჯერ.

1902 წელს თბილისში უკვე 216 ათასი კაცი ცხოვრობდა, 1910 წელს – 331.800, 1914 წელს – 370.600. 1914 წლიდან 1917 წლამდე თბილისის მოსახლეობა მკვეთრად შემცირებულა: 108.700-ით ანუ 29,3%-ით. შემცირების მიზეზი იყო მოსახლეობის სამხედრო სამსახურში გაწვევა და, ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის სოფლებში წასვლა. აგრეთვე: მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი სხვა ქვეყნის ქვეშევრდომი იყო და ბევრმა მათგანმა პირველი მსოფლიო ომის

³⁰ შ. კაკურია. ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ. თბ., 1979, გვ. 25.

³¹ შ. კაკურია. ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ. გვ. 34.

³² შ. კაკურია. ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ. გვ. 42.

დაწყებისთანავე დატოვა თბილისი და თავის ქვეშევრდომობის ადგილს დაუბრუნდა³³. საბჭოთა პერიოდში თბილისის მოსახლეობის რაოდენობა შემდეგნაირად იცვლებოდა: 1922 წელი – 245.461, 1926 წელი – 294.044, 1930 წელი – 310.100, 1939 წელი – 519.220 (1926 წლიდან 1939 წლებამდე, ე. ი. 13 წლის მონაკვეთში თბილისის მოსახლეობა გაზრდილა 225.176 ანუ 76,6%-ით), 1949 წელი – 694.664 (20 წლის მონაკვეთში, 1939 წელთან შედარებით, თბილისის მოსახლეობა გაზრდილა 174,4 ათასით ანუ 33,8%-ით. თბილისში ყველაზე დაბალი შობადობის კოეფიციენტი 1941-1945 წლებში ყოფილა. თბილისში 1939-1958 წლებში მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსულა 521,7 ათასი, ხოლო წასულა 384,1 ათასი), 1970 წელი – 889.020³⁴.

1959 წელს საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობა 694.664 იყო, 1970 წელს – 889.020. 1979 წლის აღწერით თბილისის მოსახლეობამ მილიონს გადააჭარბა – 1.052.734. ათი წლის შემდეგ მან 1.243.150 შეადგინა. ეს მატება კი ძირითადად განპირობებული იყო მექანიკური მატებით, სოფლის მოსახლეობის თბილისში მიგრაციით. 2002 წელს, წინა აღწერასთან შედარებით, თბილისის მოსახლეობამ 161.471-ით დაიკლო – 1.081.679. კლება გამოწვეული იყო მექანიკური მოძრაობით – პოსტსაბჭოთა პერიოდში სხვადასხვა ეთნიკურ ერთეულთა ბევრმა წარმომადგენელმა დატოვა საქართველოს დედაქალაქი. ამას ისიც ადასტურებს, რომ 1989 წლის ქართველთა პროცენტული რაოდენობა თბილისში 66,0%-დან 2002 წელს 84,2%-მდე გაიზარდა. შესაბამისად დაიკლო სხვა ეთნიკურ ერთობათა პროცენტულმა მაჩვენებელმა (სომხებმა 12,1%-დან 7,6%-მდე, რუსებმა 10,0%-დან 3,0%-მდე, ოსებმა 2,7%-დან 0,9%-მდე, ებრაელებმა 1,1%-დან 0,2%-მდე აზერბაიჯანელებმა 1,5%-დან 1,0%-მდე)³⁵. 2014 წელს თბილისში ქართველების პროცენტულმა რაოდენობამ მაქსიმუმს 90%-ს გადააჭარბა.

³³ შ. კაკურია. ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ. გვ. 64.

³⁴ დაწვრილებით იხ.: შ. კაკურია. ქ. თბილისის მოსახლეობა...

³⁵ საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები. სტატისტიკური კრებული, თბ., 2004, გვ. 58.

2014 წელს თბილისის მოსახლეობამ 1 მილიონ 108.717 კაცი შეადგინა (მატება – 27.038). ეს მაჩვენებელი 2,5%-ით მეტია 2002 წლის აღწერასთან შედარებით, რაც განპირობებულია საგარეუბნო სოფლების თბილისთან შეერთებით.

ცნობილია, რომ საქართველოს და თბილისის მოსახლეობაც მიგრაციისადმი მიდრეკილებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მიგრაციული პროცესები გააქტიურდა. 2002 წელს წინა 1989 წლის აღწერასთან შედარებით თბილისში შიდა მიგრირებულთა რიცხვმა 96.911 შეადგინა. ყველაზე დიდი გადაადგილება მოხდა აფხაზეთიდან – იძულებით ადგილგადანაცვლებულთა 29,6% თბილისში ცხოვრობს. მათი რაოდენობა 2002 წელს 47.954-ს იყო.

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით თბილისის მოსახლეობა შეადგენდა 1. 086.900 მცხოვრებს, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია 1989 წლის მოსახლეობის უკანასკნელი საბჭოთა აღწერის შედეგზე, რომლის მიხედვითაც თბილისში 1.259.700 კაცი ცხოვრობდა, თუმცა უმნიშვნელოდ აღემატება დამოუკიდებელ საქართველოში პირველად ჩატარებული აღწერის მონაცემებს, რომელმაც 1.073.400 მცხოვრები დააფიქსირა. 1990-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა თბილისის დემოგრაფიულმა სისტემამ, რაც უპირველეს ყოვლისა მოსახლეობის რაოდენობის კლებაში აისახა. 1990-2015 წლებში მისი მოსახლეობის რაოდენობა 13%-ით შემცირდა. მიუხედავად მოსახლეობის რაოდენობის კლებისა, მისი წილი საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 3,1 პუნქტით გაიზარდა. 2015 წელს თბილისში საქართველოს მთელი მოსახლეობის თითქმის მესამედი და ქალაქების მოსახლეობის ნახევარზე მეტი (50,8%) ცხოვრობდა.

ნახევარ საუკუნეზე მეტია თბილისში მიმდინარეობს შობადობის კლების პროცესი. 1961 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი თბილისში 20%-ს შეადგენდა, ხოლო 2015 წელს – 15,8%.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, საქართველოდან ემიგრირებული მოსახლეობის თითქმის მესამედი (29,0%) თბილისზე მოდიოდა. ემიგრირებულთა საერთო რაოდენობიდან ნახევარზე მეტი (52,3%) ქართველი იყო, სომხების წილი 17,4%-ს შეადგენდა. საგრძნობი იყო ემიგრირებული ბერძნებისა (7,7%) და რუ-

სების (6,4%) წილი. იეზიდებისა და აზერბაიჯანელების მაჩვენებელი შესაბამისად 4,5% და 4,4% იყო. თბილისიდან ემიგრირებულთა უდიდესი ნაწილი შრომით მიგრანტებს წარმოადგენენ.



11265. Тбилисть. Рыболовы на бурдючном плоту закидывают сеть. 917.

მეთევზეები მტკვარზე


თბილისში მიმდინარე თანამედროვე დემოგრაფიულ პროცესებს სპეციალისტები არაორდინალურს უწოდებენ. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მოსახლეობის ასაკობრივმა სტრუქტურამ. 1989-2014 წლების აღწერებს შორის პერიოდში 4,1 პუნქტით შემცირდა 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი. ინტენსიურად მიმდინარეობდა თბილისის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი, 2014 წლის აღწერის წინასწარი მონაცემებით 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილმა 12% შეადგინა. თბილისში

სულ უფრო მატულობდა და მატულობს მოსახლეობის დაბერების ინდექსი³⁶.



მეტეხი და მისი მიდამოები


³⁶ თანამედროვე დემოგრაფიული ვითარების მონაცემები აღებულია წიგნიდან: ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურება, ტომი I, ზოგადი დებულებები.



რიყე



მეტეხი და მეიღანი



მიტროფანე ლალიძის ქუჩა

თბილისის მოსახლეობა სოციალური თვალსაზრისით

XIX საუკუნის დასაწყისში თბილისელების ძირითად ნაწილს გლეხები შეადგენდნენ, რაც მთელი მოსახლეობის 80,9% იყო. 1807 წლისათვის მათი რაოდენობა 72%-მდე დავიდა. ქალაქში გლეხობის დიდი პროცენტული რაოდენობა გაპირობებული იყო სოფლებიდან დიდი მიგრაციით. ეს ტენდენცია რეფორმამდელი პერიოდისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. აქ ყმა-გლეხები ჰყავდათ ძირითადად სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს, *აბაშიძეებს, ორბელიანებს, მაჩაბლებს, ნიყარაძეებს, მაჭავარიანებს, ბაქრაძეებს...* გარდა საბატონო გლეხებისა, იყვნენ საეკლესიო და სახაზინო გლეხები. თბილისის მკვიდრი იყვნენ აგრეთვე მსახურები, ვაჭრები და მევახშეები, მოქალაქეები. ამ უკანასკნელ ფენას ეკუთვნოდნენ ძირძველი თბილისელები. მოქალაქეები ყმა-გლეხების შემდეგ თბილისის მოსახლეობის მნიშვნელოვან ფენას შეადგენდნენ. ეს ფენა ქალაქში შედარებით გვიან წარმოქმნილა. X-XVI საუკუნეებში თბილისში მცხოვრები ყველა ადამიანი მოქალაქედ იწოდებოდა. მოქალაქეობა ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ქალაქის მოსახლეობის ამ თუ იმ ფენის პრივილეგიას. XVI საუკუნის შუა ხანებიდან „თბილისში მცხოვრები სამეფო, საეკლესიო და საბატონო ყმა-ვაჭრებისა და ხელოსნების ძირითად მასას გამოეყო ქალაქის მცხოვრებთა შეძლებული ნაწილი, რომელიც თანდათანობით იღებს სახელწოდებას „თბილისელ მოქალაქისას“ ან უბრალოდ „მოქალაქისა“ და უპირისპირდება ქალაქის მცხოვრებთა დანარჩენ მცხოვრებთა მასა“³⁷.

თბილისის მოსახლეობის ერთი ნაწილის მოქალაქეთა ფენად ჩამოყალიბება ეკონომიკური მდგომარეობით იყო განპირობებული. სწორედ ამ ფენის ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებდა მოქალაქეების სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშვნას. XVIII საუკუნეში თბილისში მხოლოდ სამეფო და საეკლესიო მოქალაქეების ფენა არსებობდა. მოქალაქეები თბილისში ძირითადად ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ. საბუთებში მოქალაქეებად გვხვდებიან აგრეთვე ხარაზები, ყასბები, მეთოფეები, სარაჯები, მკერვალები... მოქალაქეებად მო-

³⁷ თ. ბერიაშვილი. რეფორმამდელი ხანის საქართველოს ქალაქების სოციალური ფენები, თბ., 1964, გვ. 15.

სსენიებული არიან მეფის მუსიკოსებიც, მეზარაზტრებიც, მენალარეებიც, მდივნებიც. მოქალაქეებს შორის განსხვავებაც ყოფილა. პირველი ხარისხის მოქალაქები დიდი ქონების პატრონები იყვნენ. ისინი სამეფო კარსა და ქალაქში სხვადასხვა თანამდებობასაც ფლობდნენ. მოქალაქეებს საქმიანობის მიხედვით სამ კატეგორიად ყოფენ: პირველი – ვაჭარ-მეწარმეები, მეორე – ხელოსნები, მესამე – მოხელეები., სამეფო კარზე თუ რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა დაწესებულებებში დაწინაურებული პირნი³⁸. ქართულ საბუთებში გვხვდებიან „სადედოფლო მოქალაქენი“, „საეკლესიო მოქალაქენი“, „მოქალაქე მჭედელი“, „მოქალაქე ხელოვანი მხატვარი“. თბილისის მოქალაქეთა სიაში შეჰქონდათ ისეთი მოხელენიც, რომელნიც მეფესთან გარკვეული ჯამაგირით მსახურობდნენ, მაგალითად, მეფის მემუსიკენი, მენალარენი, ზარაფხანის მუშაკები, ამბარდნები, ბაირაზტარები და სხვანი.

ქართულ მეცნიერებაში გარკვეულია, რომ „გვიანფეოდალურ თბილისში მოქალაქის წოდება შეეძლოთ მიეღოთ სახელმწიფო (სამეფო-სადედოფლო) და საეკლესიო ყმებს, უცხოეთიდან გადმოსახლებულ და ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მფარველობაში შესულ ვაჭრებსა და ხელოსნებს, საქართველოს სოფლებიდან მოსულ სახელმწიფო და მეზატონეთაგან თავდახსნილ სათავადაზნაურო ყმებს. მოქალაქეობის მიღების აუცილებელი პირობა თბილისში „ყოველ ჟამიერ“ (მუდმივად) მყოფობა და ხელმწიფის წინაშე სხვადასხვა სახის სამსახურის შესრულება იყო“³⁹.

XVIII საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს თბილისში მოქალაქეთა 556 კომლი ყოფილა. გაგვარნია სტატისტიკური მონაცემები XIX საუკუნის თბილისში მოქალაქეთა რაოდენობის შესახებ: 1811 წლის აღწერით ქალაქში მოქალაქეების 299 კომლი იყო აღრიცხული, 1824 წელს – 480 კომლი, 1834 წელს – 578 კომლი, 1848 წელს – 617 კომლი. სამივე აღწერით, მოქალაქეთა ფენაში რაოდენობრივად ყველაზე მეტს ვაჭრები წარმოადგენდნენ. ზემოთ დასახელებულ პერიოდებში მოქალაქეები თბილისის მცხოვრებთა

³⁸ თ. ბერიაშვილი. რეფორმამდელი ხანის საქართველოს... გვ. 77.

³⁹ დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია, თბ., 1952, გვ. 185-186.

10-15 პროცენტს შეადგენდნენ. კიდევ ერთი გარემოების შესახებ – ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობით დიდვაჭარი მოქალაქეები აზნაურებთან იყვნენ გაიგივებულნი. დიდვაჭრები თბილისელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ. დიდვაჭარ *ზანქან ზორაბაბელს* იხსენიებს თამარის ისტორიკოსი XII საუკუნეში. ბუნებრივია, „დიდვაჭარი“ „ვაჭარსაც“ გულისხმობს. ისინი თავისი ეკონომიკური მდგომარეობით დიდვაჭრებს ჩამოუვარდებოდნენ. როცა დიდვაჭრები სხვადასხვა საქონელს ჩამოიტანდნენ თბილისში, ამ საქონელს თვით კი არ ჰყიდდნენ, არამედ ვაჭრებს აყიდვინებდნენ⁴⁰. ქალაქის სხვა მოსახლეთაგან განსხვავებით ვაჭართა ფენას განსხვავებული ტანსაცმელი სცმია. შოთა რუსთაველიც „ვეფხისტყაოსანში“ იხსენიებს „სამოსელს ვაჭრულს“, „ვაჭრულად შემოსილს“. დიდვაჭრები სამეფო კართან ახლოს ყოფილან. ცნობილია, რომ ზემოხსენებულ *ზანქან ზორაბაბელს* ჩამოუყვანია თამარ მეფის საქმრო ვლადიმერ-სუზდალის მთავარი გიორგი რუსი.



ყარაჩოხელები

⁴⁰ დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია, გვ. 177.

1876 წლის აღწერით თბილისში შემდეგი სოციალურ-წოდებრივი დანაწილება იყო: მეშჩანების, მოქალაქეების და ამქრების; გლეხების, დაბალი წოდების რიგითი სამხედრო პირების, შთამომავლობითი თავადაზნაურების, რაზნოჩინცების, შთამომავლობითი საპატიო მოქალაქეების, სამსახურიდან გადამღვარი დაბალი წოდების სამხედრო პირების, თეთრი სამღვდელოების, არარიგითი დაბალი სამხედრო წოდების, ვაჭრების⁴¹. პრივილეგირებულ წოდებას მიეკუთვნებოდა 17.970, ე. ი. მოსახლეობის 17,3%, არაპრივილეგირებულს – 86.054, ე. ი. 82,7%.



დღევანდელი რუსთველის პროსპექტისა და ჭანტურიას ქუჩის შესართავი. მარჯვნივ ყოფილი ალექსანდრეს ბაღი.

⁴¹ შ. კაკურია. ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ. გვ. 36.

თბილისის მმართველობა

თბილისმა ქალაქის სტატუსი ვახტანგ გორგასლისაგან მიიღო, ხოლო დედაქალაქად მისი მემკვიდრის – დარჩის დროს იქცა. დამოუკიდებლობის დროს თბილისს ქართველი მეფის მოხელეები განგებდნენ. VI საუკუნის 30-იან წლებში ქალაქს ირანელი მარზპანი მართავდა, VIII-XI საუკუნეებში – არაბი ამირა. არაბთა მმართველობის დროს თანდათან ჩამოყალიბდა ვაჭარ-ხელოსანთა არსებითად დამოუკიდებელი ხელისუფლება, თვითმმართველობა, რომლის სათავეში **თბილისელი ბერები** – ქალაქის უხუცესები იდგნენ. როცა 1082 წელს თბილისელებმა საბოლოოდ დააღწიეს თავი არაბი ამირების ბატონობას, 40 წლის განმავლობაში თბილისი დამოუკიდებელი ქალაქი იყო. მას თორმეტთა საბჭო და მის წინაშე პასუხისმგებელი ადგილობრივი მოხელენი განაგებდნენ. თბილისის საბჭოს წევრები რიგრიგობით, თითო თვით მეთაურობდნენ ქალაქს. ასეთ დროებით გამგებელს „ქალაქის თავადი“ ეწოდებოდა. საკუთრივ თბილისის გამგებელს მაშინ, როცა თბილისი საქართველოს მეფეთა ხელში იყო „ამირა“ ან „ამირთამირა“ ეწოდებოდა (ტერმინი არაბულია, რაც არაბთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგი იყო). ამირა დიდგვაროვანთა წრიდან ინიშნებოდა მეფეთა მიერ. ის იყო ქალაქის უზენაესი გამგებელი. ამირთამირას „კელი“ საქალაქო ცხოვრების მთელ სფეროს ეხებოდა. ამირები სხვა ქალაქებსაც ჰყავდა. ამირთამირა მხოლოდ დედაქალაქის, თბილისის გამგებელი იყო. „ამირთამირობა ისევე, როგორც ამირობა მეჭურჭლეთუხუცესის უწყებაში შედიოდა, ხოლო თვით თბილისის ამირთამირა ამ სავაზიროში ვაზირის შემდეგ პირველი კაცი იყო: თბილისის ამირთამირა არის იგივე ნაცვალთა მეჭურჭლეთუხუცესისა“⁴². XII-XV საუკუნეების თბილისში მეფის მიერ დანიშნული სხვა მოხელეებიც იყვნენ. ერთ-ერთი ქალაქის ციხისთავი იყო. მას ქალაქისა და მისი ციხის დაცვა-პატრონობა ევალებოდა და ემორჩილებოდნენ „მეციხოვნეები“. საბუთებში კიდევ მოხსენიებული არიან „შურტა“ (ევალებოდა წესრიგის დაცვა), „მეკოშრე“ (იგივე მესასწორე), „მებაჟე“.

⁴² დ. მუსხელიშვილი. სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 327

XVII საუკუნის დასაწყისიდან „ამირთ-ამირას“ წოდება „მოურავის“ წოდებად იცვლება. თავდაპირველად „ამირთ-ამირა“ და „მოურავი“ ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდა, მაგალითად, შეიძლება გიორგი სააკაძე დავასახელოთ. მოურავს მეფე ნიშნავდა. „ქალაქის სამოქალაქოსი ყოველივე მოურავს უნდა ეკითხოს“-ო, – მითითებულია თბილისის მოურავის უფლება-მოვალეობის განმსაზღვრელ დოკუმენტში. მას განსაკუთრებით ქალაქის ეკონომიკური ცხოვრებისათვის უნდა ედევნებინა თვალი. მის პირდაპირ მოვალეობაში შედიოდა აგრეთვე ქურდების, ცუდი ზნის ქალებისა და სხვათა ძებნა-დაპატიმრება, საზომ-საწყაოთა სისწორისათვის თვალყურის დევნება. მოურავს ქალაქის შემოსავლის ცალკეული სახეებიდან გასამრჯელო ჰქონდა დანიშნული. თბილისის მოურავის ყოველწლიური შემოსავალი XVIII საუკუნის დასასრულს მოურავის ყოველწლიური შემოსავალი 263 თუმანი ყოფილა. როგორც გარკვეულია თბილისში მოურავი სხვაც ყოფილა, უფრო ზუსტად, *კათალიკოსის მოურავი*, რომელსაც კათალიკოსი ნიშნავდა და აქ მცხოვრები საეკლესიო ყმა-მოქალაქეების ზედამხედველობა ევალებოდა. სავარაუდოდ ვახტანგ VI-ის წინ გაჩენილი ეს „მრავალმოურავიანობა“, ერეკლე მეორემ 1784 წელს გააუქმა⁴³.

XV-XVI საუკუნეებიდან არსებობდა თბილისის მამასახლისისა და მელიქის თანამდებობებიც. XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ეს ორი თანამდებობა გაუერთიანებიათ. მოურავის შემდეგ თბილისის პირველი ხელისუფალი მელიქ-მამასახლისად იწოდებოდა. სხვათა შორის, მელიქი თბილისის სომხური მოსახლეობის მამასახლისი იყო. ამ თანამდებობების გაერთიანება კი იმ ფაქტმა განაპირობა, რომ თბილისის სომხური მოსახლეობა კულტურულად და ენობრივად ქალაქის ქართულ მოსახლეობას დაუახლოვდა. ისინი თავისი შეგნებით, კულტურულად და ენობრივად თითქმის არ განსხვავდებოდნენ ქალაქის ქართული მოსახლეობისაგან. მელიქ-მამასახლისი მოურავის ხელქვეითი მოხელე იყო. მელიქ-მამასახლისის ერთ-ერთ მოვალეობას თბილისის მოქალაქეთა გაყრისა და შეყრის საქმეც შეადგენდა. ისევე ამტკიცებდა მამულის, დარბაზის, სახლის ნასყიდობის წიგნებს. ხელმძღვანელობდა სამეფო დუქნების გადაკეთება-შეკე-

⁴³ დ. მუსხელიშვილი. სამეცნიერო სტატიები, წერილები... გვ. 345-360.

თებას, ჯარისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის ჩამოსატანად ქალაქიდან ურმების გაგზავნას, ქალაქში წესიერების მეთვალყურეობას, ხანძრის საწინააღმდეგო ზომების დაცვას... მელიქ-მამასახლისის თანამდებობა ვახტანგ VI-იდან მოკიდებული ვიდრე სამეფოს გაუქმებამდე მემკვიდრეობით თანამდებობად გადაიქცა. ის ბებუთაშვილების ხელში იყო. მელიქ-მამასახლისის თბილისის ვაჭარ-ხელოსანთა ამქრებიც ემსახურებოდნენ: ყოველ დღესასწაულ დღეს ამქრები როგორც თბილისის მოურავს, ისე მელიქ-მამასახლისს, ძღვენს მიართმევდნენ.

მოურავს, მელიქ-მამასახლისის გარდა, თბილისში სხვა ხელქვეითი მოხელეებიც ჰყავდა. მაგალითად შეიძლება „ქალაქის ნაცვალი“/„ბატონის ნაცვალი“, და „მოურავის ნაცვალი“ დავასახელოთ. „ქალაქის ნაცვალს“ მთელი რიგი მოვალეობები ჰქონდა; ესენია: ბაზარში წესიერების დაცვა, სენის გავრცელების წინააღმდეგ ღონისძიებების გატარება (ასეთი ავადმყოფების ქალაქიდან გაყვანა), საზღვარგარეთიდან მოსულებისათვის თვალყურის დევნება, საზოგადოებრივი ბაღებზე თვალყურის დაჭერა, ქალაქის მოსახლეობის ზუსტი აღწერა. ქალაქის ნაცვლის განკარგულებით ხდებოდა უცხოეთიდან მოსულების, ელჩების თუ კურიერების, დაბინავება. ამისათვის მოქალაქეთა შორის შემოღებული იყო მორიგეობა და უცხოეთიდან მოსულთა ჩასახლება მათ ბინებში მორიგეობით ხდებოდა.

თბილისის მოხელეთა შორის გვიან შუა საუკუნეების ღოკუმენტებში მოიხსენიებიან „ქალაქის მებაჟენი“. მათი რიცხვი ექვსზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, რადგან XVIII საუკუნის თბილისის ექვსი კარი ჰქონდა. მათი უპირველესი მოვალეობა იყო თბილისში სავაჭროდ შემოტანილ საქონელზე ბაჟის აკრეფა.

ქალაქის მოურავს ქალაქში წესიერებისა და ქურდ-ავაზაკებისაგან მოქალაქეთა დასაცავად ჰყავდა ასასები. მათ სათავეში ასასბაში ედგა. ისინი „მოურავის იასაულები“ იყვნენ. მეფის მოხელე იყო „ქალაქის მწერალი“, რომელსაც ქალაქის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა და სათანადო დავთარში შეტანა ევალებოდა. მასვე ევალებოდა თბილისის სახლების, მამულების, ბაღების და აგრეთვე მოსახლეობის აღწერა. ქალაქს ჰყავდა მთავარი მესასწორეც – ყაფანდარი. თბილისის მოხელეთა შორის იყვნენ „ჯარჩებიც“. ჯარჩი იმ საგანგებო მოხელეს ეწოდებოდა, რომელსაც ბაზრობის დღეს მეფის

სხვადასხვა ბრძანების გამოცხადება ევალეობდა. ჯარჩების უფროსს ჯარჩბაში ერქვა. თბილისის თითქმის ყველა თანამდებობა რაც XVII-XVIII საუკუნეებში არსებობდა, XI-XIII საუკუნეებშიც იყო, უბრალოდ ზოგიერთმა მათგანმა დროთა განმავლობაში სახელი შეიცვალა, მაგალითად, *შურტას ასასბაში* დაერქვა.



კინტო

თბილისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა

თბილისის მოსახლეობა მისი დაარსებისთანავე, რა თქმა უნდა, ქართული იყო. მაგრამ არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ აქ სხვა ეთნიკური ჯგუფებიც გაჩნდა. მნიშვნელოვანი ძვრები თბილისის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში იწყება არაბთა ბატონობის დამყარების (VII საუკუნის 50-იანი წლები), განსაკუთრებით კი თბილისის საამიროს შექმნის დროიდან (VIII საუკუნის 30-იანი წლები). საამიროს ჩამოყალიბებასთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში ჩადგა სანაპირო ზოლის (რუსთავი, დმანისი, თბილისი) დამცველი შეიარაღებული რაზმები, რომელთა შევსება-გადლიერების მიზნით დაიწყო არაბული ტომების ჩამოსახლება. იმატა მაჰმადიან ვაჭარ-ხელოსანთა რიცხვმაც. მაჰმადიანური მოსახლეობის გაჩენას თბილისში მეჩეთის აგება და კულტის მსახურთა მოვლინებაც მოჰყვა.

XII-XIII საუკუნეების არაბი ავტორები ალ-ფარიკი, ალ-ჯაუზი, ალ-აინი და სხვები მუსლიმებთან ერთად თბილისის ძირითად მოსახლეობად ასახელებენ ქართველებს, ებრაელებსა და სომხებს. დავით აღმაშენებელი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის თქმით, „მეტ პატივს სცემდა მუსლიმებს, ვიდრე მათ სცემდნენ პატივს ისლამის მფლობელები“. XII-XIII საუკუნეების იტალიელი *მარკო პოლო* აღნიშნავდა: „თბილისში ცხოვრობენ ქრისტიანი ქართველები და სომხები, ასევე მაჰმადიანები და ებრაელები, მაგრამ ისინი ცოტანი არიან“. ამ დროისათვის სხვადასხვა ეთნიკურ ერთობათა თანამშრომლობას თბილისში ფესვები უკვე ღრმად ჰქონდა გადგმული.

შუა საუკუნეების საბუთებში ძირითადი აქცენტი მოსახლეობის სარწმუნოებაზე კეთდებოდა და არა ეთნიკურობაზე. სწორედ ამას გულისხმობს ერეკლე მეორის მიერ რუსეთის რეზიდენტისათვის 1770 წელს გაცემულ დემოგრაფიული ცნობის შემდეგი სიტყვები: „არს ქალაქი ტფილისი და ამას შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი, ფრანგნი და თათარნი, კომლი ოთხი ათასი“. საბუთში ქართველთა, როგორც დომინანტი მოსახლეობის, კონფესიაზე ყურადღების გამახვილების საჭიროება გამოწვეული იყო არამართლმადიდებელ ქართველთა საგრძნობი რაოდენობით. თითოეული კონფესიური ჯგუფი, თავის მხრივ, სხვადასხვა ეთნიკური

ერთობის წარმომადგენლებს აერთიანებდა და არცერთი მათგანი არ იყო მონოეთნიკური გაერთიანება. მაგალითად, „თათარი“ მაჰმადიანური მოსახლეობის აღმნიშვნელი საერთო სახელი იყო და გულისხმობდა სპარსელს, თურქულენოვან ეთნიკურ ერთობებს და გამაჰმადიანებულ ქართველს. ერეკლე II-ის დოკუმენტში მოხსენიებული ფრანგი, რა თქმა უნდა, ეთნიკური ფრანგი არ იყო. ის შეიძლება ყოფილიყო როგორც ქართველი და სომეხი კათოლიკე, ისე ნებისმიერი ევროპელი კათოლიკე. ნიშანდობლივია, რომ საბუთში ებრაელები არ არიან მოხსენიებულნი. იმ დროს თბილისში მათი რაოდენობა ძალიან შემცირებული იყო. ისინი ძალიან შეზღუდა XVII საუკუნის შუა ხანებიდან თბილისში ჩამოსახლებულმა სომეხებმა. ამ უკანასკნელებმა შეზღუდეს ებრაელების ვაჭრობისა და ხელოსნობის სფერო და ებრაელობა იძულებული გახდა თავისი მოქმედების ასპარეზი შედარებით პატარა ქალაქებში გადაეტანა.



1900. Тифлис. Прачки-туземки подь столомъ сѣрпахъ подь нѣмъ. 702.

მრეცხავები გოგირდოვანი წყლის წყაროზე

ალა-მანამდ-ხანის შემოსევამ ქართველთა ძირითადი ნაწილი განადგურა. XIX საუკუნის დასაწყისიდან თბილისის ისტორიაში სრულიად ახალი ხანა დაიწყო, დაიწყო მანამდე თბილისისათვის უცნობი რუსული ეთნოსის მიგრაცია. ამავე დროს რუსეთისათვის რადგან საყრდენ ძალას სომხები წარმოადგენდნენ, ამ ეთნიკური ერთობის გასაძლიერებლად ხელისუფლებამ თავისი გაბატონების დღიდანვე დაიწყო სომხური მოსახლეების მიგრაციისათვის ხელის შეწყობა. XIX საუკუნე თბილისში სომეხთა გამუდმებული მიგრაციის პერიოდი იყო.

1803 წელს, სამწუხაროდ, ქართველები თბილისის მოსახლეობის მხოლოდ 22,6%-ლა შეადგებდნენ (2,7 ათასი). მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ქართული სოფლებიდან გადმოსახლებას ზღუდავდა, მიგრაცია მაინც მიმდინარეობდა (თბილისის ქართული მოსახლეობით შევსებას ფეოდალური ურთიერთობებიც ზღუდავდა). 1825 წლისათვის მიგრაციის შედეგად ქართველთა რაოდენობა 3,5 ათასამდე გაიზარდა. ზრდა განპირობებული იყო სხვადასხვა სოფლებიდან მიგრაციით. მიგრანტები უფრო აღმოსავლეთ საქართველოდან იყვნენ, ვიდრე დასავლეთ საქართველოდან. 1825 წლისათვის ქალაქში მხოლოდ 236 იმერეთიდან გადმოსული ცხოვრობდა, თანაც მამაკაცები ბევრად ჭარბობდნენ ქალებს (შესაბამისად 205 და 31). ისინი ძირითადად თავიანთი მფლობელი თავად-აზნაურებისაგან იყვნენ გამოქცეული. 1804 წელს ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოდან თბილისში ცხოვრების უფლება მხოლოდ მათ მისცა, ვინც 1804 წლამდე იყო მიგრირებული. ასე რომ, ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები ამუხრუჭებდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციას თბილისში. შეზღუდვების მიუხედავად, ამ მიმართულებით მიგრაცია მაინც ძლიერდებოდა, განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში. 1862 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით თბილისში გადმოსულან საცხოვრებლად *შარვაშიძეები, გურაბანიძეები, ჩუბინიძეები, ლომიძეები, კილასონიები, დოლიძეები, გორგაძეები, გამგონაძეები, მაისურაძეები, მაჭავარიანეები, სტურუები, ცაბაძეები, ბარამიძეები* და სხვ. ხოლო *გაბუნძიეები* და *ჯინჭარაძეები* ოჯახებით მოსულან. 1876 წელს თბილისში მუდმივად მცხოვრები იმერეთიდან გადმოსული 1,1 კაცი იყო, ხოლო 1886 წელს მათმა რაოდენობამ თითქმის 3 ათასს მიაღწია. დასავ-

ლეთ საქართველოდან მიგრირებულთა უფრო დიდი ნაწილი აღნიშნული დროისათვის დროებით მაცხოვრებელი და სეზონურად მომუშავე იყო. 1899 წლისათვის ქართველების რაოდენობამ თბილისში 45 ათასს მიაღწია, რაც მთელი მოსახლეობის 26%-ს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სოფლების მოსახლეობა თბილისში ეფუძნებოდა, XIX საუკუნის განმავლობაში მაინც ისინი რაოდენობით მეორე ადგილზე იყვნენ. ამის მიზეზი კი გახლდათ საქართველოს კატასტროფიული დემოგრაფიული ვითარება (ფაქტობრივად ქართველებს დემოგრაფიული რესურსი აღარ გააჩნდათ, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს) და ინტენსიური გარე მიგრაციული პროცესები.

უცხო ეთნიკური ერთეულებიდან კი ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად სომხები გამოირჩეოდნენ. თბილისში სომხები ჩანან უკვე XII საუკუნეში, როდესაც სომხეთის დიდი ნაწილი საქართველოს ერთიანი მონარქიის შემადგენლობაში შევიდა. საქართველოს დედაქალაქში სომხური მოსახლეობის მექანიკურ ზრდას XIII-XIV საუკუნეებში ხელს უწყობდნენ მონღოლები, რომლებმაც არზრუმიდან მდიდარი სომეხი ვაჭრების ოჯახები ჩამოსახლეს თბილისში. XV საუკუნიდან მოკიდებული, მომთაბარეთა პერმანენტული შემოსევების შედეგად დარბეული და სომხეთიდან ლტოლვილი მიგრაციული ტალღები თბილისსაც მისწვდა. ეს საგრძნობი გახდა განსაკუთრებით XVII-XVIII საუკუნეებში, მაგრამ ლტოლვილთა რაოდენობას შუა საუკუნეებში იმ დონისათვის არასოდეს მიუღწევია, რომ მას გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა ქალაქის ეთნიკურ სტრუქტურაზე. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, მის დროს თბილისელი სომხები „ქცევა-ზნით“ ქართველები იყვნენ. რაც იმას ნიშნავს, რომ ეს მოსახლეობა დიდი ხნის განმავლობაში ჭარბი ქართველების გარემოცვაში ცხოვრობდა. სომხური მოსახლეობის მექანიკური ზრდა თბილისში გაძლიერდა საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების დროიდან (1801 წელი), რამდენადაც ეს მოსახლეობა, განსაკუთრებით მისი ეკონომიკურად შეძლებული ნაწილი, რუსეთის მთავრობამ თავისი პოლიტიკის მხარდამჭერად და საყრდენ სოციალურ ბაზად აირჩია. მთავრობას სომხური მოსახლეობა მოჰყავდა სომხეთიდან, თურქეთიდან, ირანიდან, კავკასიის სხვადასხვა მხრიდან. 1803 წელს ისინი 8,7 ათასის ფარგლებში იყვნენ (მოსახლეობის

74%), 1817 წელს – 11,2 ათასი (75,6%). მართალია XIX საუკუნის განმავლობაში სომხების ინტენსიური მიგრაცია მიმდინარეობდა თბილისში, მათი რაოდენობა მკვეთრად მატულობდა, მაგრამ პროცენტული კლება ჰქონდათ, რადგან გაძლიერებული იყო ქვეყნის გარედან სხვა ეთნიკური ჯგუფების ინტენსიური შემოსვლა. 1899 წელს თბილისში სომხების რაოდენობა 63 ათასი იყო (36,4%). საყურადღებო ფაქტია, რომ თბილისისაკენ XIX საუკუნეში მიგრაციული მისწრაფება ჰქონდათ როგორც თანამედროვე სომხეთში მკვიდრ, ისე ოსმალეთის იმპერიასა და სპარსეთში მცხოვრებ სომხებს. თბილისისაკენ მოსწრაფოდნენ თვით ერევნელი სომხებიც კი. მაგალითად, 1804 წელს გარეთუბანში დასახლებულა ერევნიდან მოსული 79 ოჯახი. 1805 წელს ავლაბარსა და ჩუღურეთში ოჯახებით მოსულან გეხარკუნელი სომხები. ბევრი იყო ეჩმიაძინიდან და აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. თბილისელ სომხებს შორის იყვნენ ნახჭევანიდან მიგრირებული ზოკებიც. ეს ფაქტი იმ გარემოებითაც უნდა აიხსნას, რომ იმდროისათვის თბილისი მთელი კავკასიის ცენტრს წარმოადგენდა და ამ ეთნოსს ცარიზმი გარკვეულწილად მფარველობდა კიდევაც. სომხების თბილისში მიგრაცია XIX-XX საუკუნეების მიჯნიდან უფრო ინტენსიური გახდა. სხვათა შორის, თბილისური გაზეთების ცნობით, 1880 წელს გამოჩენილა ბოშების ჯგუფი, რომლებიც საკუთარ თავს „სომეხ-გადმოსახლებულებს“ უწოდებდნენ. იმდროინდელ პრესაში აღნიშნულია, რომ ისინი „ინათლებოდნენ სომხურად, ლაპარაკობდნენ სომხურად და თათრულად“. მათი ძირითადი საქმიანობა კი მათხოვრობა იყო⁴⁴. ეს ჯგუფი იყო სომეხი ბოშებისა, რომელთა ჯგუფი დღეს ახალციხეში „პლანის“ უბანში ცხოვრობს. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში თბილისში სომხური მოსახლეობა თუ სისტემატიურად იზრდებოდა, 1922 წლიდან სომხური მოსახლეობის წილმა თანდათანობით იკლო. 1989 წლის აღწერით, სომხების რაოდენობამ თბილისში 150.138 კაცი, ანუ 12% შეადგინა.

თბილისში სხვა ეთნიკური ჯგუფებიც მკვიდრობდნენ, რომელთაგანაც შეიძლება დავასახელოთ: *თათრები, რუსები, სპარსელები, ბერძნები, პოლონელები, გერმანელები, ასირიელები, ებრაელები,*

⁴⁴ Хроника. – Кавказ, 1890, №113.

ოსები, ლეკები... 1803 წელს თათრების რაოდენობა თბილისში 200 კაცი იყო (1.9%). მათი რაოდენობის ზრდაც მიგრაციის ხარჯზე ხდებოდა (1864 წელს – 1,0 ათასი, 1876 წელს – 2,2 ათასი, 1901 წელს – 4,5 ათასი). „თათარი“ ძირითადად თურქულენოვან მუსლიმ მოსახლეობას აღნიშნავდა. ტერმინი მიესადაგებოდა არა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში აზერბაიჯანელებად ჩაწერილ მოსახლეობას, არამედ ყაზანელ თათრებსა და თურქებსაც. ისინი მოსული იყვნენ ბაქოს, ელისავეტოპოლის, ერევნის გუბერნიებიდან, ნუხადან, ნახიჭევანიდან, ორდუბადიდან, ერევნიდან. ქალაქებიდან გადმოსახლებული „თათრები“ თუ ოჯახებით მოდიოდნენ, სოფლის მოსახლეობა ძირითადად მარტოხელანი იყვნენ. უნდა ითქვას, რომ „თათრების“ მიგრაცია თბილისში ინტენსიური არ იყო, თუმცა ის მაინც მუდმივად მიმდინარეობდა.

ოსები ქალაქში პირველად XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდნენ (1876 წელს – 300 კაცი, 1899 წელს – 2.000). ისინი ძირითადად გორისა და ღუშეთის მაზრებიდან იყვნენ გადმოსახლებული.

თბილისის მაცხოვრებელნი იყვნენ სპარსელებიც. მართალია 1864 წლის ზაფხულში სპარსელები აქ 7,2 ათასი იყვნენ, მაგრამ ხაზი უნდა გაეყვას იმას, რომ ისინი ძირითადად დროებით მაცხოვრებლებს წარმოადგენდნენ. აღნიშნულ წელს მუდმივად მაცხოვრებელი ამ ეთნოსის წარმომადგენელი მხოლოდ 529 კაცი იყო, თანაც მამაკაცებსა და დედაკაცებს შორის შეფარდებაც არაპროპორციული იყო (508 და 21). მუდმივად მაცხოვრებელი სპარსელების რაოდენობა თანდათანობით იზრდებოდა (1876 წელს – 1,7 ათასი, 1899 წელს – 6 ათასი). სპარსელების დიდი ნაწილი თბილისში დროებით სამუშაოზე იყო ჩამოსული, რომლებიც თბილისს ძირითადად ზაფხულში ავსებდნენ.

XVIII საუკუნეში თბილისში ბეძეების მკვიდრობას ადასტურებს *ვანუშტი ბაგრატიონის* მიერ თბილისის გეგმაზე „ბერძნის საყდრის“ მითითება⁴⁵. XIX საუკუნის დასაწყისში ქალაქში ბერძნების რაოდენობა უმნიშვნელო იყო. 1830 წლის მონაცემებით ქალაქში იყვნენ ბერძენი-ქვისმთლელები. 1864 წელს 119 ბერძენი იყო

⁴⁵ თბილისის ისტორია, ტომი I, თბ., 1990, გვ. 459.

აღრიცხული. ამას გარდა თბილისში თურქეთიდან მუდმივად მოდიოდნენ სეზონური მუშები. 1876 წელს ამ ეთნოსის წარმომადგენელთა რაოდენობა 400 კაცით განისაზღვრებოდა, ხოლო 1899 წელს მათი რაოდენობა ათასს გაუტოლდა, 1901 წელს – 1,4 ათასს. სხვათა შორის, **1886 წლის საოჯახო სიებში დაფიქსირებული არიან ისეთი ბერძნებიც, რომელთა მშობლიური ენაც სომხური იყო.** დროის ამ მცირე მონაკვეთში ეთნიკური ბერძნების რაოდენობის მკვეთრი ზრდა თურქეთიდან კავკასიაში მათ მასობრივ გადმოსახლებასთან იყო დაკავშირებული.



ქართველ ებრაელთა ორკესტრი - XIX ს.

რუსების თბილისში გამოჩენა დაკავშირებულია ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის პოლიტიკური ურთიერთობების გააქტიურებასთან. 1801 წლიდან თბილისში რუსების რაოდენობა შეუჩერებლად იზრდებოდა და სულ მალე ქართველებთან და სომხებთან ერთად ქალაქის მოსახლეობის ძირითად ნაწილად იქცა. ჩვეულებრივ რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან მიგრირებულ მართლმადიდებელ რუსებს, 1840-იანი წლებიდან სექტანტებიც ჩამოჰყავდათ. თბილისის მოსახლეობის აღწერებში რუსებად წერდნენ უკრაინელებსაც. XIX საუკუნეში თბილისში ყველაზე მკვეთრად

რუსების რაოდენობა იზრდებოდა. 1830-იან წლებში აქ ცალკე მათი ორი დასახლება/უბანიც კი შეიქმნა – *რიეე* და *ნოვო ტროიცკოე*. 1817 წელს თბილისში ცხოვრობდა 400 რუსი (მთელი მოსახლეობის 2,1%). ეს მაჩვენებელი შემდეგ ასე იზრდებოდა: 1864 წელი – 12,3 ათასი (10,4%), 1876 წელი – 19,6 ათასი (21,3%), 1899 წელი – 35,5 ათასი (21,1%). ინტენსიური იყო რუსი სექტანტების შემოსვლაც. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მათ შექმნეს ახალი კუკიის დასახლება (თანამედროვე რკინიგზის სადგურთან). XX საუკუნის დასაწყისში აქ კიდევ არსებობდა მოლოკნების ქუჩა (ახლანდელი ფიროსმანის ქუჩა). მოლოკნები 1876 წელს ტფილისში 1,8 ათასი იყვნენ. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში თბილისში საცხოვრებლად ნახევარ მილიონზე მეტი რუსი ჩამოვიდა. საბჭოთა კავშირის ბოლო 1989 წლის აღწერით თბილისში 124.867 ეთნიკური რუსი ცხოვრობდა, რაც ქალაქის მოსახლეობის 10%-ს შეადგენდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში თბილისში რუსების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლო.

ებრაელები საქართველოს უძველეს მკვიდრ ეთნოსს წარმოადგენენ, მაგრამ ისინი თბილისში დიდი რაოდენობით ფაქტობრივად არასდროს ყოფილან. ქართველი ებრაელები უფრო მეტად *ახალციხეში*, *გორში*, *ქუთაისში* და სხვა საქალაქო ტიპის დასახლებებში ცხოვრობდნენ. 1825 წელს თბილისში მხოლოდ 58 ებრაელი იყო დაფიქსირებული. ესენი ქართველი ებრაელები იყვნენ. ევროპელი ებრაელების (აშკენაზების) შემოდინება კი ძირითადად XIX საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო. 1864 წელს აქ თუ ოთხასი ებრაელი ცხოვრობდა, მათი რაოდენობა 1876 წლისათვის 1,1 ათასამდე გაიზარდა. 1901 წელს ებრაელთა რაოდენობამ 3 ათასს გადააჭარბა. სხვათა შორის, თბილისში ცხოვრობდა „ქურდისტანის ებრაელთა“ მცირე ჯგუფიც, რომლებიც აქ სპარსეთიდან, ურმიის ტბის მიდამოებიდან იყვნენ გადმოსახლებული. ებრაელთა ამ ჯგუფის მშობლიური ენა ახალსირიული იყო (მათ ასირიულ ებრაელებსაც უწოდებდნენ. თბილისში საბჭოთა პერიოდის ბოლომდე მკვიდრობდნენ და ისინი ცნობილი იყვნენ *ლახლუხების* სახელით. მათი თვითსახელწოდებაა „სრელ“). 1979 წლის აღწერით ებრაელების რაოდენობა თბილისში 15 ათასი იყო. შემდგომ წლებში ისრაელში ემიგრაციასთან დაკავშირებით ებრაელების რაოდენობამ შესამჩნევად იკლო და 1989

წლით აღწერით ქალაქში უკვე 6828 აშკენაზი და 6645 ქართველი ებრაელი ცხოვრობდა. ისინი ქალაქის მოსახლეობის 1%-ზე ცოტა მეტს შეადგენდნენ. მომდევნო წლებში მათი რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა. XIX საუკუნეში თბილისში მოსულ ევროპელ ებრაელებსა და ქართველ ებრაელებს შორის ერთგვარად დაძაბული ურთიერთობა არსებობდა. აშკენაზებისათვის მიუღებელი იყო ქართველი ებრაელებთან ინტეგრაცია. ამ ორ ჯგუფს შორის ერთგვარი ბარიერი არსებობდა რელიგიური და კულტურული თვალსაზრისით.

XIX საუკუნის თბილისში უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდნენ ჩრდილოეთ კავკასიელები: ჩაჩნები, ინგუშები, ლეკები. XX საუკუნის დასაწყისისათვის თბილისში სულ 6 აფხაზი ცხოვრობდა. შედარებით მეტი იყვნენ ოსები. 1886 წელს მათი რაოდენობა ზუსტად 300 იყო. 1899 წელს ოსების რაოდენობა 2 ათასამდე გაიზარდა.

XIX საუკუნეში თბილისში ევროპელებიც ცხოვრობდნენ, მაგრამ შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით, რომელთაგან გერმანელები გამოირჩეოდნენ. გერმანელთა პირველი ჯგუფი თბილისში 1818 წელს მოვიდა. მათი პირველი ჯგუფი თბილისის გარეუბანში კუკიასა და ავჭალას შორის დაბინავდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტის ტერიტორიაზე შექმნეს კოლონია „ტფილისი“, სადაც 51 ოჯახი იყო მოსული (1864 წელს – 1,1 ათასი, 1901 წელს – 3,2 ათასი). რაოდენობით გამოირჩეოდნენ პოლონელებიც (1876 წელს – 1,6 ათასი, 1901 წელს – 5,1 ათასი)⁴⁶. რაც შეეხება ბერძნებს, 1864 წელს ისინი თბილისში 119 იყვნენ, 1876 წელს – 400, 1901 წელს – 1.400. ასურელები/აისორები და ქურდი-იეზიდები თბილისში ძირითადად პირველი მსოფლიო ომის დროს დასახლდნენ, თუმცა ამ უკანასკნელთა მიგრაცია სომხეთიდან საბჭოთა პერიოდშიც ხდებოდა.

თბილისის ეთნიკურ შემადგენლობას კარგად ახასიათებს 1846 წლის გაზეთი «Кавказ»-ი (№23): „აღმოსავლეთით უკვე ანთო ამომავალი მზის ოქროსფერი სხივებით. ხალხი მოძრაობს, ხმაურობს, ფუსფუსებს. ერთმანეთში ირევიან კოსტუმები, სახეები და

⁴⁶ თბილისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ დაწერილებით იხ.: Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, М., 1990, с. 28-41.

მორთულობანი. ქართველი, სპარსელი, ოსი, ლეკი. ჩოხები, ჩერქეზურები, ჩალბები, ნაბლები სწრაფად ელავენ თქვენს თვალწინ და ვერც კი ასწრებთ გამვლელთა დათვალიერებას. აი, ქალაქის გარეუბნიდან მოსული ქალები კარაქით, ერბოთი, ლორითა და რძით. აი, ქართველი ებრაელები, ფართლის, ქალთა ხელსაქმის, ტუალეტის, საწვრილმანოთა დამტარებელნი“. *პლატონ ზუბოვის* სიტყვებიც უნდა მოვიხმოთ: „ეროვნულ ტანისამოსში, მუხდირებსა და ფრაკებში გამოწყობილი ოსმალები, სპარსელები, ინდოელები, თათრები, გერმანელები, ინგლისელები, მთიელები, სომხები, ქართველები და სხვანი; ევროპული ეტლები, გერმანული ფორშპანები, ქართული ურმები, საპალნიანი კამეჩები, ხარები, აქლემები, სახედრები, ყოველივე ეს ყოველ წუთს განუწყვეტელ პანორამად იშლება თვალწინ და ორიგინალურ სურათს იძლევა“⁴⁷.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ თბილისის მოსახლეობის ეთნიკური აჭრელება მეტროპოლიის – ცარიზმის ინტერესებში შედიოდა. რუსეთმა თბილისის ეთნიკურ ვეგუფებს შორის რიცხოზომიერ თანაფარდობის იმპერიისათვის მისაღები ბალანსი შექმნა. ქართული მოსახლეობის როგორც რაოდენობრივი, ისე პროცენტული ზრდა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო. თბილისის ქართული მოსახლეობა კი იზრდებოდა როგორც ბუნებრივი, ისე მექანიკური მატების გზით, აგრეთვე, გარეუბნისა და მოსაზღვრე სოფლების ქალაქთან შერწყმის ხარჯზე. ქართველთა მატება ხდებოდა სხვა ეთნიკურ ერთეულთა საქართველოს დატოვების ხარჯზეც. პირველი მსოფლიო ომის დროს თბილისი 100 ათასზე მეტმა უცხოელმა დატოვა. 1922 წლისათვის მარტო რუსული მოსახლეობის რაოდენობა 10%-ით შემცირდა. როგორი იყო სხვადასხვა ეთნიკურ ერთობათა დინამიკა XIX-XX საუკუნეების თბილისში? 1803 წელს ქართველები თბილისის მოსახლეობის მხოლოდ 19,4%-ს შეადგენდნენ, სომხები – 66,4%-ს, რუსები – 12,1%-ს. 1864 წლის მონაცემები ასეთი იყო: ქართველი – 22,2%, სომეხი – 42,6%, რუსი – 28,6%, გერმანელი – 1,7%, თათარი – 1,4%, პოლონელი – 1,4%, სპარსელი – 0,8%, ებრაელი – 0,6%. 1876 წელს თბილისში ეთნიკურ ერთობათა შემდეგი შეფარდება დადასტურდა: ქართველი –

⁴⁷ ძველი ტფილისი, 1930, გვ. 87-88.

21,4%, სომეხი – 36,2%, რუსი – 29,6%, პოლონელი – 2,6%, თათარი – 2,4%, გერმანელი – 2,1%, სპარსელი – 1,6%, ებრაელი – 1,3%, ბერძენი – 0,4%. 1897 წლის აღწერით თბილისში ქართველების პროცენტულმა რაოდენობამ მოიმატა, მაგრამ ის კვლავ ჩამოუვარდებოდა სომხებისა და რუსების პროცენტულ რაოდენობას: ქართველი – 26,4%, სომეხი – 29,5%, რუსები – 28,2%, თათარი – 3,6%, პოლონელი – 2,7%, ებრაელი – 1,8%, გერმანელი – 1,8%, უკრაინელი – 1,7%, სპარსელი – 0,9%, ბერძენი – 0,8%, აისორი – 0,6%, ოსი – 0,5%.

1922 წელს თბილისში ქართველები პროცენტული რაოდენობით პირველად გავიდნენ პირველ ადგილზე: ქართველი – 35,3%, სომეხი – 34,9%, რუსი – 17,9%, აზერბაიჯანელი – 1,3%, ოსი – 0,6%, ებრაელი – 3,6%, გერმანელი – 1,0%, ბერძენი – 0,5%, სპარსელი – 1,6%, პოლონელი – 0,9%.

ოთხი წლის შემდეგ, 1926 წელს ქართველების პროცენტული რაოდენობა კვლავ გაიზარდა: ქართველი – 38,2%, სომეხი – 34,1%, რუსი – 15,6%, თურქი – 2,0%, ოსი – 1,0%, ებრაელი – 3,0%, გერმანელი – 1,0%, ბერძენი – 0,5%, სპარსელი – 0,3%, პოლონელი – 0,6%, ქურთი – 0,2%, იეზიდის – 0,7%, აისორი – 0,6%.

1930 წელს თბილისში ძირითადი ეთნოსების პროცენტული შეფარდება შემდეგი იყო: ქართველი – 42,9, სომეხი – 33,0%, რუსი – 13,9%.

1939 წელს ასეთი შეფარდება გვექონდა: ქართველი – 44,0%, სომეხი – 26,5%, რუსი – 18,0%, ებრაელი – 2,7%, ოსი – 1,8%...

1959 წელი: ქართველი – 48,4%, სომეხი – 21,5%, რუსი – 18,1%, ებრაელი – 2,5% (მათ შორის ქართველი ებრაელი – 1,2%), ოსი – 2,2%, ქურთი – 1,9%, აზერბაიჯანელი – 1,4%, ბერძენი – 1,0%.

1970 წელს ასეთი მდგომარეობა დაფიქსირდა: ქართველი – 57,5% (511.379), სომეხი – 16,9% (150.205), რუსი – 14,0% (124.316), ოსები – 2,5% (21.797), ებრაელი – 2,2% (19.579), ქურთი – 2,1% (18.409), აზერბაიჯანელი – 1,2% (10.810), ბერძენი – 1,2%. 1959 წლიდან 1970 წლამდე თბილისში ქართველების

ნამატი 52,0% იყო, სომხების – 0,6%, ოსების – 40,0%, ებრაელების – 13,0%, ქურთების – 42,3%, აზერბაიჯანელების – 13,1%, ბერძნების – 51,6%, აისორების – 8,9%. დაიკლო რუსების პროცენტულმა რაოდენობამ – -1,1%⁴⁸.

1979 წელს თბილისში ქართველების პროცენტული რაოდენობა 62,1-ს შეადგენდა (653.242), შესაბამისად სომხები იყვნენ 14,5% (152.767), რუსები – 12,3% (129.122), ოსები – 2,6% (27.864), ებრაელები – 1,4% (14.877), ქურთები – 2,2% (23.409), აზერბაიჯანელი – 1,2% (12.852).

1989 წელს თბილისის მოსახლეობა 1 მილიონ 243 ათასი იყო. მათ შორის ქართველები პროცენტულად 66,1 შეადგენდნენ (820.753), სომხები – 12,1-ს (150.127), რუსები – 10-ს (124.825), ოსები – 2,7-ს (33.138), ქურთები – 1,9-ს (30.299), ბერძნები – 1,7-ს, აზერბაიჯანელები – 1,4-ს (17.968), უკრაინელები – 1,4-ს, ებრაელები – 1,1-ს (13.539).

2002 წელს თბილისის მოსახლეობა მთლიანად 1 მილიონ 081 ათას 679-ს შეადგენდა. აქედან ქართველები იყვნენ: 910.712 (84,2%), სომხები – 82.586 (7,6%), რუსები – 32.580 (3,0%), ოსები – 10.266 (0,9%), ებრაელი – 1.582 (0,2%), ქურთი – 2.144 (0,2%), იეზიდი – 17.116 (1,6%), აზერბაიჯანელი – 10.942 (1,0%). 2002 წელს თბილისში ცხოვრობდა აგრეთვე 471 აფხაზი, 3.792 – ბერძენი, 3.328 – უკრაინელი და 73 – ქისტი⁴⁹.

2014 წელს თბილისის მოსახლეობამ 1 მილიონ 108.717 კაცი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2,5%-ით მეტია 2002 წლის აღწერასთან შედარებით, რაც განპირობებულია საგარეუბნო სოფლების თბილისთან შეერთებით, რომლებიც ადრე მცხეთისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტში შედიოდა. 2014 წელს თბილისში ქართველების რაოდენობა 997 ათასი კაცი იყო, რაც მთელი ქალაქის მოსახლეობის 90,0%-ს შეადგენს. დეადაქალაქში ქართველების ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი პირველად დაფიქსირდა. შემდეგ მოდიან

⁴⁸ მონაცემები აღებულია წიგნიდან: შ. კაკურია. ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ. თბ., 1979.

⁴⁹ საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები. თბ., 2004, გვ. 58.

სომხები – 53 ათასი (4,8%), აზერბაიჯანელები – 15 ათასი (1,4%), რუსები – 13 ათასი (1,2%), იეზიდები – 11 ათასი (1,0%), ოსები – 4 ათასი (0,4%), უკრაინელები – 3 ათასი (0,3%), ბერძნები – 2 ათასი (0,2%), ასირიელი – 1 ათასი (0,1%)⁵⁰.



მენაზშირეები

⁵⁰ გ. წულაძე, ა. სულაბერიძე. საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები, თბ., 2016, გვ. 37.

რელიგიურ-კონფესიური ჯგუფები თბილისში

დელაქალაქის თბილისში გადმოტანას არ მოჰყოლია მცხეთის საეკლესიო ცენტრის გაუქმება; ის კვლავ აქ რჩებოდა. ბუნებრივია, ქრისტიანმა ქართველებმა თბილისის დაარსებისთანავე დაიწყეს ეკლესია-მონასტრების აგება. მაგრამ თბილისს ზომ მაშინვე უამრავი მტერი გამოუჩნდა. პირველ რიგში ესენი იყვნენ სპარსელები, რომლებიც აქ თავის რელიგიას – მაზდეანობას/ცეცხლთაყვანისმცემლობას ავრცელებდნენ. მისი ნაშთი დღესაცაა თბილისში, ფეთხანში შემორჩენილი – „ათეშგა“ ანუ „ცეცხლის საგზებელი“. თბილისში მაზდეანობა საბოლოოდ VII საუკუნეში გადავარდა. სამაგიეროდ მისი ადგილი დაიჭირა უფრო მეტად აგრესიულმა ისლამმა. არაბთა ბატონობის პერიოდში თბილისში შეიქმნა ქვეყნის დანარჩენი ნაწილისაგან განსხვავებული პოლიეთნიკური გარემო და მისი შესაბამისი სარწმუნოებრივი სპექტრიც. მომრავლდა მუსლიმი მოსახლეობა, აშენდა მეჩეთები. ქალაქში თანაცხოვრების პირობებში აღმოცენდა სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართა შორის რელიგიური მიმტევებლობა.

XVII საუკუნეში როდესაც ტახტზე მუსლიმი მმართველები ისხდნენ, თბილისის სარწმუნოებრივ ცხოვრებაში უძძიძესი ხანა დადგა. მოსახლეობის ნაწილი მუსლიმობას იღებდა, ნაწილი სომხურ კონფესიაზე გადადიოდა და სომხდებოდა, რასაც ხელს უწყობდა ირანისა და ოსმალეთის მხარდაჭერა სომხური ეკლესიისადმი. XVIII საუკუნის დასასრულისათვის სომხებმა შეძლეს დაესაკუთრებინათ თბილისის ქართული ეკლესიების მნიშვნელოვანი ნაწილი და რამდენიმე ახალიც აეშენებინათ.

თბილისის მოსახლეობა ოთხ სხვადასხვა რელიგიურ-კონფესიურ თემს მიეკუთვნებოდა: *მართლმადიდებლები, მონოფიზიტები (სომეხ-გრიგორიანელები), კათოლიკეები და მუსლიმები*. იყვნენ ლუთერანებიც. მართლმადიდებლობის მიმდევარი იყო ქართული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი. XIX საუკუნეში მართლმადიდებლების რაოდენობა ძირითადად საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან გადმოსახლებულთა და რუსი მიგრანტების ხარჯზე იზრდებოდა. 1876 წელს თბილისის მოსახლეობის ნახევარზე მეტი მართლმადიდებელი იყო. ამ ჯგუფში შედიოდა აგრეთვე

ბერძნული და ოსური მოსახლეობა. ენობრივი ბარიერი ხელს უშლიდა მართლმადიდებლების საერთო ეკლესიაში ლოცვას. ამიტომ იყო რომ მოსული რუსები „თავის“ ეკლესიებს ხსნიდნენ. მაგალითად, 1825 წელს თბილისში 12 ქართულ ეკლესიასთან ერთად ოთხი რუსული და ორი ბერძნული ეკლესიაც არსებობდა. ყველაზე მნიშვნელოვანი მართლმადიდებლური ცენტრი იყო *სიონის ტაძარი*, რომელიც ალა-მაჰმად-ხანმა იავარჰყო, ხანძარმა გაანადგურა ფრესკების დიდი ნაწილი. მაგრამ ქართველებმა მისი განახლება მალევე შეძლეს. 1817 წელს ყირიმის სომხურ-კათოლიკური თემის მეთაური *მინას მელიჩი* მის შესახებ წერდა: „სიონის ტაძარი ფართოა და დიდებული, შიგნიდან მოხატულია ბიბლიური სიუჟეტებით“⁵¹. სიონის ლეთისმშობლის ტაძარი პირველად ვახტანგ გორგასლის დროს აშენდა, რომელიც უგუშბათო იყო. გუშბათიანი ტაძრის მშენებლობა კი VII საუკუნის 20-იან წლებში დამთავრებულია. ძველი ეკლესიებია აგრეთვე *ანჩისხატი* – მარიამ წმიდის ეკლესია, გოლგოთის ჯვრის ეკლესია, ბეთლემის ეკლესია (მოგვიანებით „ფეთხანი“). სხვათა შორის, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1798 წელს გიორგი XII-ის თაოსნობით თბილისში ჩატარებული საეკლესიო კრება, რომელმაც შუა საუკუნეების ორდალიის წესები – ჯადოქრების წყალში დახრჩობა, დაწვა, პატიმრების შანთით წამება, ცხელ წყალში ხელის ჩაყოფით სიმართლის დადგენა, ასევე ორთაბრძოლა, როგორც დავის გადაჭრის საშუალება – გააუქმა.

ქართველ მართლმადიდებელთათვის საქართველოს რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობის ერთ-ერთი დიდად უარყოფითი შედეგი ისიც იყო, რომ იმპერიამ 1811 წელს გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და კათალიკოსობა. თავდაპირველად მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით ეგზარქოსად დაინიშნა ქართველი – *ვარლამ ქსნის ერისთავი* (1811-1817 წლები). მისი მომდევნო ყველა ეგზარქოსი კი რუსი იყო. დაიწყო ქართული ეკლესიის ნამდვილი რბევა. მრავალრიცხოვანი საეპისკოპოსოები ოთხამდე დაიყვანეს, გაანადგურეს და დაიტაცეს ძვირფასი საეკლესიო ინვენტარი, შელებეს უძველესი მხატვრობა. იძარცვებოდა და ისპო-

⁵¹ Л. М. Меликсет-Бекоев. Старый Тифлис по описаниям А. Негри и М. Медичи. – Агс. Тифлис, 1918, №2-3, с. 109.

ბოდა საეკლესიო თუ საერო საბუთები, ხელნაწერები; რაც გადარჩა – ჰეტერბურგში წაიღეს. მაშინდელი შეფასებით, რუსეთის იმპერიამ საქართველოს თავისი მოხელეების ხელით 137.600.000 მანეთის ღირებულების სიმდიდრე წაართვა. უფრო დიდი ბოროტება კი ის იყო, რომ რუსეთის ეკლესიამ საქართველოში და თბილისში ეკლესიიდან ქართული ენა განდევნა.



ლუთერანული ეკლესია (კირხა) ახლანდელი მარჯანიშვილის მოედანზე. კირხა გერმანულ ტყვეებს დაანგრევინეს.

ბერძნებს ჯერ კიდევ *ვახუშტი ბაგრატიონის* დროს ჰქონდათ თბილისში საყდარი. ის მოცემულია თბილისის 1782 წლის, 1828 და 1843 წლების გეგმებზეც. 1858 წელს ბერძნებს ახალი *წმიდანისკოლოზის* ეკლესია აუგიათ. *პლატონ იოსელიანი* ავლაბარში ბერძნების მიერ აშენებულ *წმიდა მარინეს* ეკლესიაც უთითებს, რომელიც 1824 წელს მირქმის სახელზე განუახლებიათ.

XIX საუკუნეში თბილისის მართლმადიდებელი მრევლის ეთნიკური შემადგენლობა საკმაოდ რთული იყო. მასში შედიოდა ქართუ-

ლი მოსახლეობის დიდი ნაწილი, აგრეთვე რუსები და ბერძნები. აღნიშნული საუკუნის მთელ მანძილზე მართლმადიდებელთა მატება ხდებოდა ქვეყნის გარედან რუსების და საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან ქართველთა მიგრაციით. 1832 წელს ქალაქში თუ ცხოვრობდა სულ 3,6 ათასი მართლმადიდებელი, 1864 წელს მათი რაოდენობა 26,6 ათასამდე გაიზარდა. 1876 წლის აღწერამ უკვე დააფიქსირა მართლმადიდებელთა სიჭარბე სხვა კონფესიების წარმომადგენლებთან მიმართებაში. ამ დროს თბილისში 52,4 ათასი მართლმადიდებელი აღირიცხა, რაც ქალაქის მთელი მოსახლეობის 50,4%-ს შეადგენდა. აღნიშნულ რაოდენობაში ქართველები იყვნენ: 22,2 ათასი, რუსები – 19,6 ათასი, ბერძნები – 400 კაცი, ოსები – 300. ამავე დროს მართლმადიდებელი იყო 100 სომეხი და ასირიელი, 44 – გერმანელი, 26 – პოლონელი, 22 – ებრაელი, 9 – თათარი, 4 – სპარსელი, რომლებსაც ახალი მიღებული ჰქონდათ მართლმადიდებლური კონფესია. 1825 წელს თბილისში ფუნქციონირებდა 12 ქართული ეკლესია, 4 – რუსული და 2 – ბერძნული. თბილისში მართლმადიდებლების რაოდენობრივი მატება იწვევდა ეკლესიების რაოდენობის ზრდას. 1899 წელს მათი რაოდენობა 48 იყო.


ერთ-ერთ დიდ კონფესიურ თემს წარმოადგენდნენ *სომხურ-გრიგორიანული* სარწმუნოების მიმდევრები. დროთა განმავლობაში გრიგორიანობა სომეხთა ეთნიკურობის განმსაზღვრელიც კი გახდა და სხვა ეთნოსის წარმომადგენლები, რომლებიც მონოფიზიტობის აღმსარებელნი იყვნენ, სომეხებად მიიჩნეოდნენ. გრიგორიანელები კი აქტიური პროზელიტიზმით გამოირჩეოდნენ და თავიანთ მხარეზე გადაჰყავდათ სხვა კონფესიის მიმდევრები. ასე იყო თბილისშიც. ასე რომ, თბილისელი სომეხების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ეთნიკური ქართველი იყო და სომეხებად იყვნენ შერაცხილი. საერთოდ, XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის 80-იან წლებამდე თბილისელი სომეხების სასაუბრო და დოკუმენტების ენა მხოლოდ ქართული იყო. *მინას მედიჩი* 1817 წლისათვის თბილისში ათ სომხურ ეკლესიას მიუთითებს (ვახუშტის თბილისის გეგმაზე მხოლოდ ხუთი აქვს დატანილი). ეს ათი სომხური ეკლესია 1825 წლისათვის უკვე 25-მდე იყო გაზრდილი, ხოლო 1899 წელს 27-ია დაფიქსირებული. თბილისში სომეხთა მიგრაცია შუა საუკუნეებში თითქმის მუდ-

მივად მიმდინარეობდა. მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ თბილისელ სომხებში ცოტანი არ იყვნენ გაგრიგორიანებულ-გასომხებული ქართველები. ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია 1861 წელს *დიონიჯო კარლი და პაჩენცამ*. სწორედ გრიგორიანელი ქართველები იგულისხმებიან მის სიტყვებში: „მოსახლეობის მთავარ ნაწილს სომეხი მწვალებლები და სომხურ სარწმუნოებას მიკედლებულნი შეადგენენ“. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში ეთნიკურ კუთვნილებას სარწმუნოებრივი კუთვნილებით განსაზღვრავდნენ. სომხურ სარწმუნოებას კი ვაჭარ-ხელოსნობაში ჩაბმული ქართული მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ეკედლებოდა. საისტორიო საბუთებით დადასტურებული ფაქტია, რომ თბილისში მიგრირებული სომხები არა მხოლოდ ახალ ეკლესიებს აშენებდნენ, არამედ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებსაც იჭერდნენ. ასე დაუჭერიათ მათ კრწანისის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც ჯერ კიდევ თეიმურაზ II-ის დროს მართლმადიდებლური იყო. სომეხი გრიგორიანები თბილისიდან კათოლიკობის განსადევნადაც აქტიურად იბრძოდნენ. დღეს თბილისში ორი მომქმედი სომხური ეკესიაა, ჰყავთ საქართველოში სომხური ეკლესიის მმართველი.

თბილისში მუსლიმთა ორივე დიდი მიმართულების – *შიიტებისა* და *სუნიტების* – მიმდევრები ცხოვრობდნენ. თავდაპირველად თბილისელი მუსლიმები ჰანიფატური მაზჰანის სუნიტები იყვნენ. მიანჩნათ, რომ პირველი მაჰმადიანები თბილისში VII საუკუნეში გაჩნდნენ. მაჰმადიანური მოსახლეობა განსაკუთრებით მომრავლებულა VIII საუკუნის 40-იანი წლებიდან, თბილისის საამიროს დაარსებიდან. X საუკუნის არაბი გეოგრაფის იბნ-ჰაუქალის ცნობით, თბილისის მუსლიმებს შორის ქართველი მაჰმადიანებიც იყვნენ: „ძველებურად დაცულია ის ადგილები, სადაც მაჰმადიანები რელიგიურ წესებს ასრულებენ; ... მეჩეთებს იცავენ რაიმე წაბილწვისაგან... ეხლა ერთმანეთში აირივნენ მაჰმადიანები და ქურჯები, და ამ უკანასკნელთა შორის არიან მაჰმადიანები“⁵². შიიტები მხოლოდ XVI საუკუნიდან გამოჩნდნენ. ამიტომ ქალაქში არსებობდა როგორც შიიტური, ისე სუნიტური მეჩეთები. შიიტური მეჩეთი XVI საუკუნეში აუშენებიათ. დღევანდელი სუნიტური მეჩეთი მართალია XIX საუკუნეშია

⁵² მ. პოლიექტოვი, გ. ნათაძე. ძველი ტფილისი, 1930, გვ. 2.

აგებული, მაგრამ ის ძველი მეჩეთის ადგილზეა აშენებული. შიიტური მეჩეთი იდგა ახლანდელი მეტეხის ხიდის ყურეში და დაანგრევს ხიდის მშენებლობის დროს. მაჰმადიანებს თბილისში თავიანთი უბნები ჰქონდათ. გარდა სალოცავებისა აქ მათ სპეციალური ბაზრები და აბანოებიც ჰქონდათ, ისმაილის აბანოს სახელით ცნობილი, სადაც სხვა სარწმუნოების პირებს შესვლა არ შეეძლოთ. საქართველოში მაჰმადიანებთან წინააღმდეგ ბრძოლა არ ყოფილა. არაბი *ალ-ფარიკი* მოგვითხრობს, როცა *დავით აღმაშენებელმა* თბილისი გაათავისუფლა, ქალაქში მცხოვრებ მაჰმადიანებს პირობა დაუდო, რომ ანგარიში გაეწეოდა მათ წეს-ჩვეულებებს. სხვა არაბი ავტორი კი აღნიშნავდა, რომ *დემეტრე I-ის* დროს ისლამის წესები ისევე სრულდებოდა, როგორც წინათ. 1832 წელს თბილისში სულ 200 შიიტი იყო აღრიცხული. ამავე დროს აქ სუნიტებიც მკვიდრობდნენ. მაგრამ მათი უმეტესობა საშოვარზე მოსული იყო, რომლებიც თბილისში სეზონურ სამუშაოზე მოდიოდნენ. შემდეგ სუნიტების რაოდენობამ თანდათანობით იმატა. 1876 წლის აღწერით შიიტები თბილისის მოსახლეობის 3,7%-ს შეადგენდნენ, სუნიტები კი – მხოლოდ 0,7%-ს. ამიტომ 1864 წელს შიიტური მეჩეთის სიახლოვეს სუნიტური მეჩეთიც აშენდა. შიიტთა უმრავლესობას სპარსელები და აზერბაიჯანელები შეადგენდნენ. სუნიტები ძირითადად ყაზანელი თათრები იყვნენ, აგრეთვე თურქები და ლეკები. 1897 წელს მუსლიმთა საერთო რაოდენობამ 7,4%-ს მიაღწია. მუსლიმების რაოდენობის ზრდა XX საუკუნის დასაწყისში ძირითადად სუნიტების ხარჯზე ხდებოდა, რომლის ძირითად ნაწილს სეზონური მუშები წარმოადგენდნენ. დღეისათვის თბილისში ერთი მოქმედი მეჩეთია (ბოტანიკურ ქუჩაზე), სადაც შიიტები და სუნიტები ერთად ასრულებენ ისლამის წესებს. ეს კი მსოფლიოში ერთადერთი შემთხვევაა შიიტებისა და სუნიტების მშვიდობიანი თანაარსებობისა.



სომხური ეკლესია „ფაშ-ვანკი“ (1720-1788).

XIX საუკუნის თბილისში კათოლიკეებიც მკვიდრობდნენ. XIII საუკუნის 30-იან წლებში თბილისში ფრანცისკანელთა (მინორიტების) ორდენის მონაზვნები შემოვიდნენ, რასაც 40-იან წლებში დომინიკანელ მისიონერთა შემოსვლა მოჰყვა. 1240 წელს ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით თბილისში დაფუძნდა პირველი კათოლიკური მონასტერი. შემდეგ მისიონერთა შემოსვლამ, რომელთა მიზანი იყო „აღმოსავლეთის ჯვრით დალაშქერა“ და ვატიკანის შემოსავლის გაზრდა, სისტემატური ხასიათი მიიღო. მისიონერებს საღვთო საქმის გარდა პოლიტიკური მეთვალყურეობა და ინფორმატორობაც ევალებოდათ. ისინი დაუფლებული იყვნენ სააფთიაქო და სამკურნალო საქმეს, ფლობდნენ სამოქალაქო დისციპლინებს: ისტორიას, ქიმიას, ფიზიკას, მხატვრობას. იცნობდნენ ევროპულ მიღწევებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ქართულად თარგმნიდნენ სასწავლო წიგნებს, ეკლესიებთან ხსნიდნენ სკოლებს, ქართველ ახალგაზრდობაში შექჷნდათ ევროპული განათლება. XIV საუკუ-

ნის დასაწყისში საქართველოში და, კერძოდ, თბილისში იმდენად მომრავლდა კათოლიკური მრევლი, რომ შესაძლებელი გახდა თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსოს დაარსება (1329 წელი), რომელსაც მიეცა ქართულენოვანი ტიპიკონი. ასე რომ, კათოლიკური თემი თბილისში უკვე XIV სუკუნიდან არსებობდა. XV საუკუნის დამლევა და XVI საუკუნის დამდეგს, გართულებული პოლიტიკური მდგომარეობისა და ქართველი მრევლის შემცირების გამო, თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო გაუქმდა. XVII საუკუნეში ქართული კათოლიკური ეკლესიების მომძლავრება ვატიკანმა სომეხი „უნიტორი“ ბერების საშუალებით სცადა, რასაც შემდეგ სომხურენოვანი რიტის (კონდაკის) შემოღება მოჰყვა. გვიან შუა საუკუნეებში თბილისს არაერთი კათოლიკე მისიონერიც სწევდნენ. კათოლიკური ეკლესია თბილისში 1755 წელს გაუქმებიათ. 1804 წელს ქალქში რომაულ-კათოლიკური ტაძარი კვლავ ამოქმედდა. მინას მედინი 1817 წლისათვის თბილისში მხოლოდ კათოლიკეთა ორმოც ოჯახს მიუთითებს. 1841 წელს ქალაქში 780 კათოლიკე ყოფილა, 1864 წელს – 1.555. კათოლიკეთა ეთნიკური შემადგენლობა საკმაოდ ჭრელი იყო (1876 წელს: სომეხი – 900 კაცი, ქართველი – 200 კაცი, პოლონელი – 1.500 კაცი, ფრანგი – 200, ასირიელი – 100). 1897 წელს თბილისში კათოლიკეების რაოდენობამ 7.000 მიაღწია. სომეხ-კათოლიკეთა პირველი ჯგუფი თბილისში 1829 წელს გამოჩნდა. XX საუკუნის დასაწყისში თბილისში 9.300 სომეხი კათოლიკე იყო. 1883 წელს თბილისის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მრევლს შორის ქართველებიც იყვნენ: *თუმანიშვილები, ანდრონიკაშვილები, ბაქრაძეები, ისარლიშვილები, სააკაშვილები, ჯიმშერაშვილები, ზუბალაშვილები...* XIX საუკუნის ბოლოს თბილისში ყოფილან „ქალღვევლი-კათოლიკეები“ (600 სული), რომლებიც სპარსეთის ქვეშევრდომებს წარმოადგენდნენ. XVIII-XIX საუკუნეების სწავლული ქართველი მოძღვრები (*იოანე ზუცესი, იოანე მოძღვრიშვილი, პეტრე ზარისჭირაშვილი, იოანე ნებიერიძე, მიხეილ თამარაშვილი, ანტონ გოზალიშვილი* და სხვ.) ენერგიულად იბრძოდნენ ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში ქართულენოვანი კონდაკისათვის. XIX საუკუნის 30-40-იან წლებში, როცა ევროპელ პატრებს საქართველოში მღვდელთმსახურება აეკრძალათ, ბრძოლა კონდაკისათვის უფრო გაძლიერდა და ეროვნულ-გამნათავისუფლე-

ბელი ბრძოლის ნიშნით წარიმართა⁵³. თბილისში არსებული ფრანგ-თა/პატრების საყდრის/კათოლიკეთა უბანის არსებობა კათოლიკური აღმსარებლობის გავრცელების ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია. ფრანგთა უბანი მდებარეობდა შუა ბაზრის (ახლანდელი კოტე აფხაზის ქუჩა) მარჯვენა მხარეს. უბანმა სახელწოდება მიიღო ფრანგთა (პატრების, კათოლიკეთა) ეკლესიის გამო (ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია). ლათინო-კათოლიკეების წინააღმდეგ მუდმივ ბრძოლას აწარმოებდა, როგორც სომხურ-კათოლიკური (რომელთა პირველი წარმომადგენლები თბილისში რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის დამთავრების შემდეგ გამოჩნდნენ), ისე სომხურ-გრიგორიანული ეკლესიები. ისინი ამ ეკლესიაში, რომელიც მიძინების სახელს ატარებდა, ქართული ღვთისმსახურების ჩატარების წინააღმდეგ იყვნენ. 1883 წელს თბილისის რომაულ-კათოლიკური მიძინების ეკლესიის მრევლს 188 ოჯახი (732 სული) შეადგენდა. ეს მრევლი ეთნიკური თვალსაზრისით ჭრელი იყო: ქართველები, სომხები, პოლონელები, ფრანგები. 1876 წელს თბილისში სომხურ-კათოლიკური რწმუნის 900 მიმდევარი ცხოვრობდა. 1896 წელს მათმა რაოდენობამ 7 ათასს მიაღწია, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში – 9,3 ათასი შეადგინა. სომეხი-კათოლიკეები XIX საუკუნეში ცდილობდნენ თბილისის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ხელში ჩაგდებას. მიუხედავად სიძნელებისა, ლათინები მნიშვნელოვან კულტურულ საქმიანობას ეწეოდნენ – თარგმნიდნენ წიგნებს, მკურნალობდნენ მოსახლეობას, ნერგავდნენ სააფთიაქო საქმეს. მათ დატოვეს საქართველოს სხვადასხვა მხარის აღწერილობანი ჩანახატები, თურთ, შემოგვინახეს ისტორიულ პირთა სახეები, ასევე მატერიალური კულტურის ძეგლები, ყოფითი გარემო. ამჟამად თბილისში ორი კათოლიკური ეკლესია მოქმედებს.

ქართველ მართლმადიდებლებს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლამ სიკეთე არ მოუტანა. მართალია, თბილისში XIX საუკუნიდან მართლმადიდებლური ტაძრების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ უმეტესი მათგანი რუსული მართლმადი-

⁵³ შ. ლომსაძე. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1979; შ. ლომსაძე. მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984.

დებლური ტადრები იყო არაქართული სტილით ნაგები. თბილისის შესახებ სამართლიანადაა შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში: „ქართველებისაგან განსხვავებით, მათ (სომხებს – რ. თ.) დამპყრობელთაგან ერთმორწმუნეობის ტვირთი არ დასწოლიათ – მათთვის არც ავტოკეფალია გაუუქმებიათ და არც მეტროპოლიის ენაზე წირვა-ლოცვა დაუძალებიათ. იმპერიის ოფიციალური რელიგიისაგან კონფესიურმა განსხვავებულობამ სომხებს მეტი თავისუფლება მისცა საეკლესიო მშენებლობაშიც – შენობების არქიტექტორულ სახეს ისინი თავად ირჩევდნენ და, ბუნებრივია, ეს არჩევანი არც რუსული და არც ბიზანტიური სტილის სასარგებლოდ კეთდებოდა. როგორც შენიშნავს ვ. ბერიძე, XIX საუკუნეში სომხური ეკლესიები „ყველა ინარჩუნებს ტრადიციულ გარეგნულ სახეს, მაშინ როდესაც ქართული ეკლესიები გათქვეფილია რუსულთან მართლმადიდებელი ეკლესიის საერთო სახელით“⁵⁴. რუსული სტილით იყო ნაგები *კლოუბნის წმიდა ვიორგი, კუკიის წმიდა ალექსანდრე ნეველი, დიდუბის ღმრთისმშობელი, ავლაბრის წმიდა მიქელ მთავარანგელოზი, წმიდა იოანე ღმრთისმეტყველი ლურჯ მონასტერთან, წმიდა ალექსანდრე ნეველი* ალექსანდრეს ბაღში, *მთაწმიდის წმიდა მიხეილ ტვერელი, კუკიის წმიდა ნინო, წმიდა თეოდოსი ჩერნიგოველი* და სხვ. ბიზანტიური სტილისა იყო *წმიდა ალექსანდრე ნეველის* სამხედრო ტაძარი, *მთაწმიდის წმიდა ნინო, ნაძალადევის ივერიის ღმრთისმშობელი*. ქართული სტილის ეკლესიები ბევრად ნაკლები ააგეს: *ქაშუეთის წმიდა ვიორგი, საბურთალოს წმიდა ვიორგი, ჩუღურეთის წმიდა ნიკოლოზის* ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავები⁵⁵.

⁵⁴ დ. ხოშტარია, ნ. ნაცვლიშვილი. საეკლესიო არქიტექტურა და მშენებლობა ეროვნული და კონფესიური იდენტობის კონტექსტში. – არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918), დავით ხოშტარიას საერთო რედაქციით, თბ., 2016, გვ. 19.

⁵⁵ დ. ხოშტარია, ნ. ნაცვლიშვილი. საეკლესიო არქიტექტურა და მშენებლობა ეროვნული და კონფესიური იდენტობის კონტექსტში. გვ. 16-17.



ნარიყალა და მერეთი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი კათოლიკეები მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევარში იბრძოდნენ იმისათვის, რომ თავი დაეღწიათ სომხური კათოლიკური ეკლესიისათვის. რუსეთის ხელისუფლებაც უკრძალავდა ქართველ კათოლიკეებს ეროვნულ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებას – ის შეიძლებოდა მხოლოდ ლათინურად ან სომხურად შესრულებულიყო. სამშობლოში მარცხის შემდეგ ქართველმა პატრიოტმა კათოლიკეებმა *სტამბოლის ფერიქოის უბანში* ქართული ტიპიკონის მქონე მონასტერი დაარსეს, რომელსაც პაპ პიუს IX-ს საგანგებო დეკრეტით ლიტურგიაში ქართული ენის გამოყენების უფლება მიეცა. ეს ფაქტი იმიტომ მოვიყვანეთ,

რომ გვეჩვენებინა რა სავალალო მდგომარეობაში იყვნენ თბილისელი ქართველი კათოლიკეები, რომლებიც აღრეულნი იყვნენ სხვა ეთნიკურ ერთობებში. ქართველ კათოლიკეთა ქართული ეთნიკური ცნობიერების გამომხატველია მათ მიერ ფერიქიის კათოლიკური ტაძრის მარმარილოს პოსტამენტზე გაკეთებული ქართული წარწერა: „მარიამ ღვთის მშობელი იბერიის მოციქულო მეოხ მეყავნ ჩვენ ცოდვილთა ქართველთა“⁵⁶.

XIX საუკუნეში ინტენსიური მიგრაციული პროცესების შედეგად თბილისის კონფესიური შემადგენლობა უფრო ჭრელი ხდებოდა. 1840 წელს თბილისში რუსი სექტანტები – *მოლოკნები* მოვიდნენ. 1864 წელს თბილისში 700 *მოლოკანი* ცხოვრობდა, 1893 წელს აქ 1.200 *მოლოკანი* იყო აღრიცხული. იყვნენ *პრიგუნები* (1876 წელს – 54 კაცი), *სუბოტნიკები* (49 კაცი). გერმანელები ძირითადად *ლუთერანიზმის* მიმდევარნი იყვნენ (1876 წელს 2,2 ათასი. გერმანელთა შორის იყვნენ ბაპტისტებიც. ბაპტიზმის მიმდევართა შორის გაჩნდნენ რუსებიც), ასირიელები – ნესტორიანობისა (ეს უკანასკნელნი, მცირე ნაწილის გამოკლებით, 1898 წელს მართლმადიდებლობაზე გადავიდნენ). XIX-XX საუკუნეების თბილისში აღრიცხული იყვნენ იუდიზებული *სუბოტნიკებიც* (1896 წელს – 187 კაცი). ეს უკანასკნელნი მიმართავდნენ ახალშობილის წინდაცვეთას და არქმევდნენ ქრისტიანულ სახელებს.

თბილისში ცხოვრობდნენ ასირიელი *ნესტორიანებიც*. მათ ჰქონდათ თავისი ეკლესია და ჰყავდათ სასულიერო წინამძღოლი. უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ასირიელ-ნესტორიანელთა მართლმადიდებლობაზე გადასვლის საკმაოდ აქტიური პროცესი. მხოლოდ 1898 წელს კონფესია 722 ნესტორიანელს შეუცვლია.

განუხრელად იზრდებოდა *იუდაუზმის* მიმდევართა რიცხვი (1886 წელს თბილისში იუდაიზმის მიმდევარი იყო 1.600 კაცი, 1896 წელს – 3,4 ათასი). ებრაელთა თემი ეთნოკულტურული და ენობრივი თვალსაზრისით ერთგაროვანი არ იყო. ქართველ ებრაელთა მშობლიური ენა თუ ქართული იყო, „ვროპელი ებრაელებისა“ –

⁵⁶ დ. ხომტარია, ნ. ნაცვლიშვილი. საეკლესიო არქიტექტურა და მშენებლობა ეროვნული და კონფესიური იდენტობის კონტექსტში. გვ. 23.

ძირითადად რუსული. ქართველი ებრაელები თბილისში ძირითადად მოსული იყვნენ ქუთაისიდან, ონიდან და ახალციხიდან. XX საუკუნის დასაწყისში თბილისში ოთხი სინაგოგა მოქმედებდა. XIX საუკუნის დამდეგს თბილისში მოსახლე ებრაელები ე. წ. სეფარიდული ტრადიციების წარმომადგენლები იყვნენ. ამავე ტრადიციის მიმდევარი იყო ებრაელთა კიდევ ორი თემი, ე. წ. „ყუბელები“ (მთიელი ებრაელები) და „ლახლუხები“ (ახალასირიულ ენაზე მოლაპარაკე სპარსეთის ქურთისტანიდან მიგრირებული იუდეველები). ისინი თბილისში XVIII საუკუნიდან ჩნდებიან. XIX საუკუნის თბილისში გაჩნდა აშქენაზთა თემი – ევროპული ტრადიციების ებრაელები, რომლებიც ძირითადად რუსეთიდან შემოვიდნენ. ასე რომ, თბილისელი ებრაელები სამ თემად იყოფოდნენ და სამ სინაგოგაში იყვნენ გადანაწილებული. „ევროპელ“ და ქართველ ებრაელებს 1899 წლამდე ერთი რაბინი ჰყოლიათ. აღნიშნული წლიდან კი ქართველ ებრაელთა სურვილით, მათ საგანგებო რაბინი დაენიშნათ; ეს იყო *აკობ ნაფტალიშვილი*, რომელიც ადრე ახალციხის რაბინის თანამემწე იყო. ქართველ ებრაელთა დაჟინებული მოთხოვნა ქართველი რაბინის დანიშვნის შესახებ იმ გარემოებით იყო ნაკარნახევი, რომ რუსული ენა მათთვის გაუგებარი იყო. XX საუკუნის დასაწყისში თბილისში ოთხი სინაგოგა მოქმედებდა: თბილისელ ებრაელთა საზოგადოების კათოლიკეთა ქუჩაზე, თბილისში მცხოვრებ ახალციხელ ებრაელთა სინაგოგა (XIX საუკუნის ბოლოს ააშენეს ახალციხიდან გადმოსახლებულმა ქართველმა ებრაელებმა. უწოდებდნენ „დიდ სინაგოგასაც“. აგებულია აგურით. ფუნქციონირებს დღესაც), უცხოელ ებრაელთა სინაგოგა (ე. წ. სპარსული) და 1900 წელს დანგრეული სინაგოგის ადგილზე აშენებული სინაგოგა არსენალის ქუჩაზე. ეს უკანასკნელი 50 წელი მოქმედებდა და სალდატის სინაგოგადაც იწოდებოდა⁵⁷.

მიუხედავად მკაცრი, ორმხრივი სარწმუნოებრივი იზოლაციისა, კავკასიისა და, კერძოდ, ქართველ ებრაელთა სარწმუნოებასა და ყოფაში ადგილობრივი კულტურული მოვლენათა თვალსაჩინო მინა-

⁵⁷ თბილისის მოსახლეობის კონფესიური შემადგენლობის შესახებ დაწვრილებით იხ.: Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, М., 1990, с. 41-52.

რეგები იქნა შემჩნეული, მაგალითად, ადგილობრივი ხალხების წარმოდგენათაგან შეჭრილია რწმენა ჯადოქრობის, ავი სულების, გრძნეულებისა და სხვათა შესახებ, ჰქონდათ თავიანთი „ბერიკაობა“. იცოდნენ წინასაღღესასწაულო ჩამოვლა, ჭონა, თუმცა საკუთარ სარწმუნოებას თავდადებით იცავდნენ. ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იუდეველების რაოდენობამ თბილისში მნიშვნელოვნად იკლო, რაც მათი ისრაელსა და დასავლეთის ქვეყნებში მასობრივი გადასახლებითაა გამოწვეული.

2002 წლის აღწერით თბილისის მთელი მოსახლეობა შეადგენდა 1 მილიონ 081.679-ს. აქედან მართლმადიდებელი იყო 988.664, კათოლიკე – 2.715, სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოებისა – 51.687, იუდეველი – 2.320, მაჰმადიანი – 11.438. მხოლოდ 5.692 კაცი იყო, რომელიც არც ერთი რელიგიისა თუ კონფესიის მიმდევარი არ იყო.



თბილისელი ხელოსნები

ეთნიკური პროცესები XIX საუკუნის თბილისში

შუა საუკუნეებიდან დაწყებული თბილისში გარკვეული ეთნო-კულტურული პროცესები მიმდინარეობდა, რასაც, ბუნებრივია მისი მულტიეთნიკურობა განაპირობებდა. მრავალეთნიკურობა თბილისის ისტორიული ტრადიცია იყო. საქართველოს დედაქალაქის ეთნიკური აჭრელება განსაკუთრებით რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ მოხდა, რადგან ამ დროიდან აქ ისეთი ეთნიკური ერთობები გამოჩნდნენ, რომლებსაც ადრე არ უცხოვრიათ (რუსები, გერმანელები, პოლონელები, ევროპელი ებრაელები...). თბილისის ეთნიკურ და კონფესიურ სიჭრელეს ბევრად განსაზღვრავდა ის, რომ ის კავკასიის ცენტრიც იყო. მთელი XIX-XX საუკუნეების განმავლობაში აქ არ შეწყვეტილა მიგრაციული პროცესები. ქართველებს გარდა თბილისში ყველაზე დიდ ეთნიკურ ერთობებს წარმოადგენდნენ სომხები, რუსები, „თათრები“... აგრეთვე პოლონელები, გერმანელები, ფრანგები, სპარსელები, ებრაელები, აისორები, ოსები, ბერძნები და მრავალი სხვა. „მაგრამ ყველა ისინი ტიპური თბილისელები იყვნენ, მხოლოდ თბილისისათვის დამახასიათებელი თავისებური ჩვევებითა და სულისკვეთებით. თბილისმა თითქოს შეძლო წაეშალა ეროვნული განსხვავებულობის ნიშნები, მაღლიანი, სტუმართმოყვარე კალთა გულუხვად გადაუშალა, შეიხიზნა ისინი და თავის ღირსეულ მოქალაქეებად გახადა“⁵⁸.

ოვანეს თუმანიანი წერდა: „ძველი თბილისი, რაღაც განსაკუთრებული, თავისებური სამყარო იყო, სადაც კავკასიის ხალხები გაერთიანებული იყვნენ თავიანთი ყოფის დამახასიათებელი ყველა ნიშნითა და მანერით. აქ მათ შექმნეს სხვადასხვა ხალხთა უაღრესად კოლორიტული და საინტერესო ნარევი, რადგან ქართული სული იყო ამ ხალხთა ცხოვრების ტონის მიმცემი, ამიტომ ძველი თბილისი ერთმანეთისათვის უცხო ელემენტთა ეთნოგრაფიულ კრებულს კი არ წარმოადგენდა, არამედ იგი ჰგავდა მხიარულ საქორწილო

⁵⁸ ა. ბარნოვი. ძველი თბილისის მუსიკოსები, თბ., 1974, გვ. 7.

სუფრას, სადაც კავკასიის, ხალხები და ტომები ნადიმზე იყვნენ მო-
წვეულნი...“⁵⁹.

რთული სოციალური და ეთნოკულტურის ორგანიზმის მქონე ქალაქში მიმდინარეობდა სხვადასხვა ეთნიკურ ერთობათა და კულ-
ტურულ-ყოფითი ტრადიციების და ენების ურთიერთქმედება. თბი-
ლისში მიმდინარე ეთნიკურ პროცესებში ძირითადი იყო ქართული
ენა და ქართული ეთნიკური კულტურა. ქალაქში, რა თქმა უნდა,
ქართველებს შორის იყვნენ ძველი თბილისელები, მაგრამ ქართვე-
ლთა დასახლება სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან
მულმივად მიმდინარეობდა. შუა საუკუნეებში ეს გადმოსახლება თუ
ძირითადად ქართლისა და კახეთის სოფლებიდან მიმდინარეობდა,
XIX საუკუნიდან დაიწყო ინტენსიური გადმოსახლება დასავლეთ
საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდანაც. სხვათა
შორის, თბილისელი მუშების უმრავლესობა იმერეთიდან იყო მოსუ-
ლი. იმერლები იყვნენ მებალებიც. შენიშნულია, რომ ადრე მოსული
იმერლები დახმარებას უწევდნენ და გვერდში ედგნენ შედარებით
გვიან გადმოსახლებულებს, რომელთა შორის ბევრი იყო თანასოფ-
ლელი და ნათესავი.

ბუნებრივია თბილისელი ქართველების მშობლიურ ანუ რო-
გორც რუსული აღწერის დავთრებშია მითითებული „საოჯახო“
ენას ქართული წარმოადგენდა. 1886 წლის საოჯახო სიებით, ქარ-
თული მოსახლეობის პრივილეგირებული ნაწილი რუსულ ენასაც
ფლობდა, რომელთა შორის ფრანგული და გერმანული ენებიც იყო
გავრცელებული.

თბილისის მოსახლეობის მნიშვნელოვან ეთნიკურ ერთობას სო-
მხები წარმოადგენდნენ. მათი პირველი დასახლება ქალაქში დავით
ალმაშენებლის დროს მოსული ანისელი სომხები იყვნენ. სომხების
მიგრაცია საქართველოს დედაქალაქში მთელი შუა საუკუნეების
განმავლობაში მიმდინარეობდა, მაგრამ განსაკუთრებულად ინტენსიუ-
რი იყო მათი გადმოსახლება რუსეთის იმპერიის დროს. ბევრი სო-
მეხი თბილისელ მოქალაქეთა სოციალურ ფენაში შედიოდა. შუა სა-
უკუნეების თბილისში სომხების ფაქტობრივი სრული ენობრივი
ასიმილაცია ხდებოდა. ქართული ენა მათთვის იყო არა მხოლოდ

⁵⁹ შ. კაკური. ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ. გვ. 46.

საქმიანი ურთიერთობის ენა, არამედ „საოჯახო“ ენაც. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის დროისათვის თბილისელი სომხები ყველანაირ დოკუმენტს მხოლოდ ქართულ ენაზე ადგენდნენ. ასე გრძელდებოდა XIX საუკუნის 80-იან წლებამდე, მანამ, სანამ თბილისში სომეხთა ახალი მიგრაციული ნაკადები გამოჩნდებოდა. თბილისის მოსახლეობის 1876 წლის აღწერის ხელმძღვანელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კითხვას – „დედაენა“, რომელზედაც უნდა გაეცა პასუხი ყველა მოქალაქეს. ცნობილი იყო, რომ ქალაქში მცხოვრებ სომეხთა ძირითად სალაპარაკო ენას როგორც ოჯახში, ისე მის გარეთ ქართული ენა წარმოადგენდა, ხოლო სომხური ენა თვით სომხების უდიდეს ნაწილს არც კი სცოდნია⁶⁰. ეს შეიძლება ითქვას არა მხოლოდ მონოფიზიტ სომხებზე, არამედ კათოლიკე სომხებზეც. ერთ-ერთი საარქივო მასალით თბილისელი კათოლიკე სომხები გვარად გუკასოვები ერთ-ერთ დოკუმენტს, რომელიც ინგლისურ ენაზეა შედგენილი და რომელიც ერთ-ერთი ძმის ინდოეში დატოვებული ქონების მემკვიდრეობის მიღებას უკავშირდებოდა, ხელს მხოლოდ ქართულ ენაზე აწერენ⁶¹. XIX საუკუნის პირველ ნახევარში წინა აზიის სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული სომხები ასევე იწყებდნენ ლაპარაკს ქართულ ენაზე და ისინი იქცეოდნენ ქართულ-სომხურ ბილინგვებად.

თბილისელი სომხების ეთნიკური ასიმილაციის ერთადერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი მათი განსხვავებული კონფესიური მიკუთვნებულობა იყო. არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ თბილისელ სომხებს შორის ცოტა არ იყო ეთნიკური ქართველი, რომლებიც სომხებზე მიწერილი იყვნენ იმის გამო, რომ სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას აღიარებდნენ. შეიძლება ქართველი გრიგორიანელების ასეთი რამდენიმე გვარიც დავასახელოთ: *ჯარიაშნელოვი, კომეკლოვი, ბებუროვი...* იაკობ გოგებაშვილი 1897 წელს აღნიშნავდა, რომ თბილისში მცხოვრებ მდიდარ სოლოლაკელებს შორის

⁶⁰ შ. კაკური. ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ. გვ. 31.

⁶¹ Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, М., 1990, с. 245.

შეიძლება დავასახელოთ არა ერთი და ორი გვარი, რომელთა წინაპრებიც ქართველი მართლმადიდებლები იყვნენ⁶².

XIX საუკუნიდან თბილისელ სომხებში გავრცელებას იწყებს რუსული ენა. ამ დროს ზოგიერთი მათგანისათვის რუსული ენა ზოგიერთი სომხისათვის მშობლიური ენას წარმოადგენდა. ქართულ-სომხური ბილინგვას რუსულ-სომხური ბილინგვიზმი ენაცვლებოდა. სომხები ფაქტობრივად ქართული ყოფითი კულტურის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდნენ. მაგალითად შეიძლება მათი ტანსაცმელი დავასახელოთ, რომელიც ფაქტობრივად არაფრით არ განსხვავდებოდა აღმოსავლეთქართული კოსტიუმისაგან. იგივე შეიძლება ითქვას საკვების შესახებ, სოციონორმატიული კულტურის მთელ რიგ ელემენტებზე.

აუცილებელად უნდა აღინიშნოს, რომ თბილისმა დიდი როლი ითამაშა სომხების ნაციონალურ მოძრაობაში. თბილისელ სომხებს შორის ჩაისახა სომხების კულტურული და იდეოლოგიური მოძრაობა. თბილისში გამოდიოდა ისეთი სომხური გამოცემები, როგორიც იყო „მშაკ“-ი, „მეგუ აიასტანი“ და სხვ. თბილისში დაარსეს სომხებმა და აქ გამოდიოდა ჟურნალი „აზგაგრაკან ანდეს“ („ეთნოგრაფიული მიმოხილვა“), რომელშიც ქვეყნდებოდა მასალები სომეხთა ეთნიკური კულტურის შესახებ. ასე რომ, თბილისი სომხური მოსახლეობის მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრსაც წარმოადგენდა. შეუძლებელია იმის უთქმელობაც, რომ მსოფლიოში გაფანტული სომხური ბურჟუაზია თბილისში იყრიდა თავს.

თბილისელი მუსლიმების თემი ეთნიკურად ერთგვაროვანი არ იყო. მასში შედიოდნენ სპარსელები, თურქულენოვანი მოსახლეობა (ე. წ. თათრები), დაღესტნელი მიგრანტები ყაზანელი თათრები და თურქები. ყველაზე დიდი ხნის გადმოსახლებულები სპარსელები იყვნენ. მოსახლეობის ეს ნაწილი მტკიცედ ინარჩუნებდა ტრადიციულ ყოფით სტანდარტებს როგორც საოჯახო ყოფაში, ისე საზოგადოებრივ სფეროში. მოსახლეობის ეს ფენა ტოტალური ევროპეიზაციის პირობებშიც კი ინახავდა მისთვის დამახასიათებელ ბევრ დეტალს. თბილისელ მუსლიმებს შორის არა მარტო ეთნიკური თვალსაზრისით არ წარმოადგენდნენ ერთ ერთობას, არამედ რელიგიურა-

⁶² Я. Гогобашвили. Правда о Тифлисе, 1897, с. 24-26.

დაც. საყოველთაოდ ცნობილია შიიტებისა და სუნიტების დაპირისპირება – თბილისელ მუსლიმებს ჰქონდათ სხვადასხვა მეჩეთი, იმარხებოდნენ სასაფლაოს სხვადასხვა ნაწილში და სხვ.

რუსების საქართველოს დედაქალაქში დასახლება დაიწყო ქვეყნის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ. პირველ რიგში ესნი იყვნენ რუსი ჩინოვნიკები, რომლებიც უმაღლეს და საშუალო ადმინისტრაციის ორგანოებში მსახურობდნენ. დაახლოებით 1820 წლიდან დაიწყო თბილისში უფრო დაბალი სოციალური ფენის რუსების მიგრაცია – აქ სახლდებოდნენ რუსი ხელოსნები, ფაბრიკა-ქარხნების მუშები. ამ ფენას ავსებდნენ აგრეთვე „ასტავნოი“ ჯარისკაცები, რომლების მუდმივ საცხოვრებელ ადგილად თბილისს ირჩევდნენ. განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენდნენ რუსი მოლოკანები. რუსული მოსახლეობა მხოლოდ რუსულ ენაზე მეტყველებდა. მხოლოდ იშვიათად რუსული მოსახლეობის მცირე ნაწილი ფლობდა ქართულ, სომხურ და „თათრულ“ ენებს.

XIX საუკუნეში თბილისში თანდათან ფეხს იკიდებდნენ ოსები. 1886 წლის საოჯახო სიებში თბილისში ოსების მცირე ჯგუფი იყო დაფიქსირებული. მათი უმეტესობა დროებითმაცხოვრებლად იყო ჩაწერილი. დუშეთისა და გორის მაზრებიდან გადმოსახლებული გლეხები ძირითადად შავი სამუშაოთი იყვნენ დაკავებული, ძირითადად მზარეულები, შინამოსამსახურეები და ა. შ. ზოგიერთი მათგანი თბილისში უკვე დიდი ხნის წინ იყო გადმოსახლებული. აღნიშნულ აღწერის თანახმად ოსების ნაწილს „საოჯახო“ ენად ქართული აქვს დაფიქსირებული, ნაწილს – ოსური. ზოგიერთმა მათგანმა იცოდა ქართული წერა-კითხვაც, ზოგიერთმა რუსული ენაც იცოდა. 1886 წლის საოჯახო სიებში აღრიცხული არიან საქართველოში დიდი ხნის წინ გადმოსახლებული ბერძნები. უმეტეს მათგანს „საშინაო“ ენად მითითებული აქვს ქართული ან რუსული, ერთეულებს კი – სომხური. თბილისელი გერმანელების მშობლიური ენა გერმანული იყო. იყვნენ რუსული ენის მცოდნეებიც. თბილისელ პოლონელთა თითქმის აბსოლიტური უმრავლესობა ლაპარაკობდა რუსულ ენაზე. ვისაც „საოჯახო“ ენად პოლონური აქვს მითითებული, ყველა მათგანი მეორე ენასაც – რუსულს – ფლობდა.

ეთნიკური პროცესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა ეროვნებათმორისი ქორწინებები. 1886 წელს დაფიქსირებულია შე-

რეული ქორწინებების 20 შემთხვევა: ქართულ-სომხური, სომხურ-ქართული, სომხურ-რუსული, სომხურ-ევროპული, რუსულ-ქართული, რუსულ-სომხური, პოლონურ-ქართული, ქართულ-ბერძნული, ბერძნულ-რუსული, თათრულ-რუსული, თათრულ-სპარსული. დაფიქსირებულია კონფესიის შეცვლის შემთხვევები, განსაკუთრებით შერეული ქორწინებების შემთხვევებში. მაგალითად, 1864 წელს მართლმადიდებლობაზე გადასულა ორი ლუთერანელი, ორი – კათოლიკე, სამი – გრიგორიანელი, ხუთი – მუსლიმი⁶³. 1899 წელს მუსლიმების მართლმადიდებლობაზე გადასვლის 12 შემთხვევა იყო აღრიცხული. მართლმადიდებლობაზე ხშირად გადადიოდნენ „რასკოლნიკები“. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თბილისის მოსახლეობა გამორჩეულად რვეულშემწყნარებლობითა და სხვა ხალხების სარწმუნოების წესებისა და ნორმების პატივისცემით.

საბჭოთა პერიოდში თბილისში ბევრად მოიმატეს ეთნიკურმა რუსებმა, თანდათან რუსულმა ენამ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა – სახელმწიფო სტრუქტურებში საქმის წარმოება მხოლოდ რუსულ ენაზე ხდებოდა და კონსტიტუციაში მხოლოდ ფორმალურად იყო დაფიქსირებული ის რომ „საქართველს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“ „1939 წელს თბილისში ცხოვრობდა 228.384 ქართველი. ამავე პერიოდისათვის ქართული ენა დედაენად მიიღო 259.092 კაცმა. აქედან ცხადია, რომ 30.698 თბილისელმა მოქალაქემ, რომელნიც სხვა ეროვნებას ეკუთვნოდნენ, დედაენად აღიარა ქართული ენა. ასევე შეიძლება ითქვას რუსული ენის მიმართაც, მაგრამ ეს არ ითქმის სომხურ ენაზე. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 1939 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მიხედვით თბილისში ცხოვრობდა – 137.331 სომეხი, აქედან სომხური ენა დედა-ენად მიიღო – 95.486 მოქალაქემ, ხოლო დანარჩენმა (41.845 კაცმა) მშობლიურ ენად აღიარა უმთავარესად ქართული ენა“⁶⁴.

⁶³ Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, М., 1990, с. 252.

⁶⁴ შ. ბერაძე, გ. მაზიაშვილი. თბილისის მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის ზოგიერთი საკითხი (1922-1940 წწ). – თბილისი 1500. საიუბილეო კრებული, თბ., 1958, გვ. 255

1970 წლის აღწერით თბილისის მოსახლეობის 34,7% თავისუფლად ფლობდა რუსულ ენას, მათ შორის, ქართველთა 42,6%, სომხების – 39,%, ოსების – 24,9%, ებრაელთა – 32,7%, აზერბაიჯანელების – 31,7%, ბერძნების – 35,8%, აისეორების/ასირიელების – 32,3%⁶⁵.



ყარაჩოხელების ქეიფი

⁶⁵ შ. კაკურია. ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ. გვ. 178.

თბილისელთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა. ხელოსნობა და ხელოსნები თბილისში

ძველ თბილისელთა ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა ხელოსნობა იყო. ფეოდალიზმის პერიოდში საქართველოს დედაქალაქი ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ერთიანი ფეოდალური მონარქიის ხანაში ხელოსნობამ განვითარების მანამდე არნახულ დონეს მიაღწია. XII-XIII საუკუნეების თბილისში არსებობდა შუა საუკუნეებში ცნობილი ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი, მიმდინარეობდა ხელოსნობის ცალკეული დარგების შემდგომი სპეციალიზაცია. ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული დარგი კერამიკული წარმოება იყო. აქაური ხელოსნები დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ როგორც მოჭიქულ და მოუჭიქავ ჭურჭელს, ისე სამშენებლო მასალას – აგურს, კრამიტს, შორენკეცებს (შენობათა დეკორატიული დეტალები). თბილისური კერამიკული ნაწარმი მაღალი ტექნოლოგიითა და მხატვრული ღირსებით გამოირჩეოდა და დიდი მოწონებით სარგებლობდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე. ფართოდ იყო განვითარებული საფეიქრო წარმოება. ადგილობრივი მოხმარების გარდა თბილისელი ფეიქრები აწარმოებდნენ საქსპორტო დანიშნულების მატყლის, აბრეშუმის და სელის ქსოვილებს. სპეციალიზაციის შედეგად მჭედლობა სხვადასხვა დარგებად იყო დაყოფილი: რკინის, სპილენძისა და ფოლადის სამეურნეო და საომარ იარაღებს აკეთებდნენ „მჭედელი რკინისანი და რვალისანი“; ოქრომჭედლებთან სამუშაო მასალა ძვირფასი ლითონები და „პატიოსანი თვლები“ იყო. ცალკეულ დარგებად დაიყო სამშენებლო ხელობაც („ხითხურო“ – ღურგალი, „კირითხურო“ – კალატოზი და სხვ). ხელოსნობის ვიწრო, სპეციალიზებული დარგების წარმომადგენლები იყვნენ ავეჯის მკეთებლები, მღებავები, მკერავები, მეხამლეები (ხარაზები), მეპატრაკეები (ტყავის დამამუშავებლები), მეაბჯრეები, მზარეულები, მენელსაცხებლები, ეტრატის დამამზადებლები, გადამწერები, მკაზმველები, ფერწერის ოსტატები, ზარაფხანის ოსტატები და სხვ.

XIX საუკუნის 20-იან წლებში თბილისში ხელოსნობის ოცამდე სახეობა იყო, 1835 წლისათვის ხელოსნური სპეციალიზაცია 32 სახეობამდე გაიზარდა, ხოლო 1865 წლისათვის მან 40-ს მიაღწია,

ე, ი. ორჯერ გადიდა. ადგილობრივი აზიური ფეხსაცმლის მკეთებელი ხელოსნების გვერდით ჩნდებიან რუსული და ევროპული ფეხსაცმლის მკეთებელი ხელოსნებიც. შემოდის და ფეხს იკიდებს ევროპული კოსტიუმების დამზადებაც⁶⁶.

უცხოელთა მრავალსაუკუნოვანმა ბატონობამ მკვეთრად დასცა თბილისის ხელოსნური წარმოების დონე. მისი ხელახალი აღორძინება დაიწყო XVII საუკუნის დასაწყისიდან. XVIII საუკუნეში, სამეფო ხელისუფლების ინიციატივითა და ხელშეწყობით, თბილისში დაარსდა მთელი რიგი მსხვილი საწარმოები, რომლებიც საისტორიო წყაროებში „ფაბრიკებად“ და „ქარხნებად“ იწოდება (ზარბაზნებისა და მორტირების ჩამოსასხმელი, თოფისწამლის, ზეთსახდელი, თიხის ჭურჭლის, აგურის ქარხნები). თბილისში მრეწველობის ყველაზე განვითარებული დარგი იყო საფეიქრო წარმოება. მას უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა ადგილობრივი ნედლეული და იგი დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ მეზობელი სახანოებიდან. თბილსელმა ვაჭრებს მხოლოდ მოზდოკის კარანტინის გავლით XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში დაახლოებით 800 ათასი არშინი სხვადასხვა ქსოვილი და ბამბის ნართი შეიტანეს.

ასე რომ, XIX საუკუნის თბილისი ახალ დროს განვითარებული ხელოსნური წარმოებით შეხვდა. ამ დროიდან ხელოსნობის განვითარებას უფრო დიდი მასშტაბები მიეცა. მაგალითად, 1808 წელს ქალაქში 48 დარგის 980 ხელოსანი იყო აღრიცხული, 1824 წელს – 67 დარგის 2020 ხელოსანი. აღნიშნულ პერიოდი მნიშვნელოვანი თვისებრივი სიახლეებითაც აღინიშნება – ხელოსნობაში მასობრივად შეიჭრა სასაქონლო წარმოება, ხელოსანთა მნიშვნელოვანი ნაწილი წვრილ მწარმოებლებად იქცა. პარალელურად მიმდინარეობდა სახელოსნოების გამსხვილების პროცესი. ხელოსნური წარმოება საქართველოს სოფლებშიც იყო განვითარებული, მაგრამ აქ ის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებისადმი იყო დაქვემდებარებული, თბილისში (და, საერთოდ, საქართველოს სხვა ქალაქებში) დამოუკიდებელ დარგს წამოადგენდა. ქალაქისა და სოფლის ხელოსნობის დაპირისპირების დროს განსხვავება ხელოსნური წარმოების

⁶⁶ გ. ბაქრაძე. მრეწველობის განვითარება თბილისში XIX საუკუნეში. – თბილისი 1500. საიუბილეო კრებული, თბ., 1958, 262-263.

მასშტაბებშიც ვლინდებოდა. ამიტომაც თბილისში არსებობდა სათანადო ხელოსნური ორგანიზაცია – ამქარი. ამქარი ეს იყო ერთი ან მონათესავე ხელობის ოსტატთა გაერთიანება, რომელსაც ვარკვეული წესდება ჰქონდა. თბილისში ამქარმა, როგორც პროფესიულმა ორგანიზაციამ შედარებით დასრულებული სახე XVII საუკუნეში მიიღო. ამქრის პროფესიულ ორგანიზაციად ჩამოყალიბებას წინ უძღვოდა ხელოსანთა და ვაჭართა სხვადასხვა ტიპის გაერთიანება. ამქრის გაჩენას ხელი შეუწყო ფეოდალური ეპოქის საზოგადოებრივი სტრუქტურისათვის დამახასიათებელმა სოციალ-რელიგიური ჯგუფების კორპორაციულობამ. სიტყვა „ამქარი“ საქართველოში XIX საუკუნიდან გავრცელდა. მანამდე თბილისში ხელოსანთა გაერთიანებების გამოსახატავად ხმარობდნენ *ჯამათს*, *ურთაღს*, *ოფიქალს*, *თაბუნს*, *ასნაფს*. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ერქვა არა მართო ხელოსანთა, არამედ ვაჭართა გაერთიანებასაც. ამქარი ტერიტორიული გაერთიანებაც იყო. XVII-XVIII საუკუნეებში მას ეჭირა ქალაქის განსაზღვრული ნაწილი (უბანი, ქუჩა, მცირე ბაზარი, დიდი ბაზრის რიგი და სხვ.). ასეთი იყო, მაგალითად, ზარაფხანა, სირაჯხანა, ფეიქართა ქუჩა, ოქრომჭედელთა ქუჩა და სხვ.

ამქარში შესვლა შეეძლო ყველა ხელოსანს ეთნიკურობისა და სარწმუნოების მიუხედავად. თბილისელ ხელოსნებს ამქრები შექმნილი ჰქონდათ ხელობის მიხედვით, მაგრამ ხშირად ერთ ამქარში მომიჯნავე დარგების ხელოსნებიც იყვნენ გაერთიანებული. თუმცა თბილისში ამქრები ეთნიკური ნიშნითაც არსებობდა. ცნობილია, რომ *მკლავები* მხოლოდ ლეკები იყვნენ. ცალკე ამქარი ჰქონდათ სპარსელ მერქემებსა და თათარ კალატოზებს. ამქრის სტრუქტურა მოიცავდა *ოსტატს*, *ქარგალს* და *შეგირდს*. ქარგალი ხელოსნის დაოსტატების შუა და აუცილებელი საფეხური იყო. მაგრამ ამავე დროს, ის დაქირავებულ ხელოსანსაც ნიშნავდა. ქარგლამდე კი შეგირდის კურსის გავლა იყო აუცილებელი. სხვათა შორის, შეგირდის აყვანისას ხელოსნებს ერთი კარგი წესი გააჩნდათ; ისინი მას პატიოსნებაში ცდიდნენ: ღუქანში განზრახ ფულს დაადებდნენ და ჩუმად თვალყურს ადევნებდნენ: შეგირდი ღუქნის დაგვის დროს ამ ფულს თავისთვის აიღებდა, თუ ოსტატს მიუბრუნებდა⁶⁷.

⁶⁷ ი. გრიშაშვილი. თხზულებანი, ტომი III, 2012, გვ. 239.

სამართლიანადაა შენიშნული, რომ თბილისურ ამქარზე დიდი გავლენა ჰქონდა აღმოსავლეთს. მაგრამ საქართველოს ამქრებს არ ახასიათებდათ რელიგიური ფანატიზმი, რაც ასე დამახასიათებელი იყო აღმოსავლური ხელოსნური ორგანიზაციისათვის. ერთადერთი, რაც თბილისური ამქრის რელიგიურობას ამჟღავნებდა, ეს იყო წელიწადში ერთხელ *საძღვთოს* ანუ *ამქრობის* გამართვა. ამ დროს ხდებოდა შეგირდის ოსტატად ხელდასხმა. დანიშნულ დროს ამქარი დროშით ქალაქარეთ გადიოდა. ბუნებრივია, ამქარს თან მიყვებოდა ხელდასასხმელი პირიც, რომელსაც აბრეშუმის განიერი სარტყელი ერტყა; სარტყელში მისი ხელობის დამახასიათებელი იარაღები ჰქონდა გარჭობილი. ამქრის უსტაბაში ხელდასასხმელ ქარგალს ჯერ დალოცავდა, შემდეგ ცალი ხელით ორივე ხელის ცერს დაუჭერდა და ორივე ლოყაზე სამ-სამჯერ შემოკრავდა სილას. სილის შემოკვრა ხელდასასხმელის მომწიფების სიმბოლურ ნიშნად მიიჩნეოდა, ხოლო ცერების შეკვრა – ამქრის წესების შეკრულობისა⁶⁸. ამავე დროსვე ხდებოდა ცხვრის მსხვერპლად შეწირვა. ამით ხდებოდა საამქრო გაერთიანებაში ახალი წევრის ინკორპორაცია. მიუთითებენ, რომ ქართულ ამქარს არც ევროპული კლასიციზმი ახასიათებდა. თბილისელ (და, სართოდ, სხვა ქართულ ქალაქთა) ამქარი თვითმყოფადობით გამოირჩეოდა. ამქრებს ჰქონდათ ქართულწარწერიანი დროშები. დროშა იყო ხელოსანთა პროფესიული გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი. თითოეულ ამქარს ჰყავდა მფარველი წმინდანი, რომელიც შესაბამის სიმბოლოს წარმოადგენდა და დროშაზე ემბლემის – ფირის სახით იყო გამოხატული. ყველა დროშას ქართული დროშებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული თემა – ურჩხულთან მებრძოლი წმიდა გიორგი ამშვენებდა. ამქრის დროშა წმინდა საგნად ითვლებოდა. ამქარს ჰყავდა მედროშე მებაირაღე. ამქრის დროშას საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ – მის მდიდრულ გაფორმება-შემკობას ცდილობდნენ. დროშის აღმები ძირითადად დამზადებული იყო წითელი ან ლურჯი აბრეშუმის ქსოვილისაგან. ოთხკუთხა ქსოვილის ალაში ერთი გვერდით დროშის ტარს ემაგრებოდა, მოპირდაპირე გვერდი კი სამად იყო დაკბილული და ოქრომკედლის ფუნჯითა და ფოჩით დამშვენებული.

⁶⁸ გ. ჩიტაია. შრომები სუთ ტომად, ტომი II, 2000, გვ. 241.

ქართული ხელოსნების შრომის ორგანიზაცია კი საუკუნეების მიღმა იყო ჩამოყალიბებული. XI-XII საუკუნეებში დასტურდება ქართული მონასტრის ხელოსნური წარმოება. მოხსენიებული არიან ხელობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები *ქვითხუროები/კალატოზები, მეხამლეები/ხარაზები, ოქრომჭედლები, ნავისმოქმედნი...* შუა საუკუნეების ქართული მონასტერი ხელოსნური წარმოების, ვაჭრობისა და მწიგნობრობის ერთ-ერთი ცენტრი იყო. გვიანი შუა საუკუნეების ამქრული ხელოსნური წარმოება მრავლდარგიანი იყო, ახასიათებდა შრომის ვიწრო სპეციალიზაცია, დაქირავებული შრომის გამოყენება. თბილისში მოღვაწეობდნენ ხელოსნობის მრავალი დარგის წარმომადგელები; ესენი იყვნენ: *დაბალები* (ტყავის დამამუშავებელნი), *მექალამნეები* (ძირითადად ქართულ ქალამანს ასხამდნენ), *ხარაზები* (კერავდნენ სხვადასხვა სახის ფეხსაცმელს: წულეები, ჩექმები, საცვეთები, ჩუსტები...), *მეჭონეები* (კერავდნენ ქართულ ბეწვის ქუდებსა და ტყავის ქურქებს. ჭონხანა მეიდანში ყოფილა)... თბილისში მოღვაწეობდნენ აგრეთვე *დერციკები* ანუ *თერძები*. დერციკი აზიურ ტანსაცმელს კერავდა: ჩოხა-ახალუხს, ხონჯრიან შარვალს, ქულაჯას, ნაბადს, ყაბალახს, ფაფანაკს და სხვ. თბილისში დიდი რაოდენობით იყვნენ *მჭედლები*, რომელთა ამქარში გაერთიანებული იყვნენ საკუთრივ *მჭედლები, ნალბანდები, ოქრომჭედლები, მეთუნეები, მექაბეები* და სხვ. *მეთუნეუქები* აკეთებდნენ ლუმლებს, სახურავებს, სანათებს, ჩაიდნებს, ჭრაქებს, სათლებს... *დურგალთა/ხუროთა* ამქარში ხეზე მომუშავე ხელოსნები იყვნენ გაერთიანებული. ცალკე ამქარი ჰქონიათ თბილისში *მეპურეებს*. აქ მეპურეები ძირითადად რაჭველები ყოფილან. დღეობებისა და სამღვთოს დროს ცხვებოდა „ჯვარის მამის ლავაშები“, რომლებსაც თოკზე გადაფენდნენ და ისე ყიდდნენ. ცალკე ყოფილან *მკუპრავები*, რომლებიც ხარის ტყავისაგან რუმბებს და აგრეთვე თხისა და ციკნის ტყავისაგან ტიკებსა და ტიკჭორებს აკეთებდნენ.

ოსტატობით გამოირჩეოდნენ საჭურველის მკეთებელი თბილისელი ხელოსნები. მათ სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი რუსეთსა და სხვა ქვეყნებში. განსაკუთრებით ცნობილი იყო ძმები ელიზარაშვილების ოსტატობა ცივი იარაღის/ხმლების დასამზადებელი ფოლადის წარმოების საქმეში. ბოლოს, რუსეთის მეფის ბრძანებით ელიზარაშვილები აიძულეს, რომ ეს საიდუმლოება გაეცათ.



თბილისელი მუშები

მართალია ყანწს ცხოველთა რქისაგან საქართველოს სხვადასხვა მხარეში აკეთებდნენ, მაგრამ, როგორც ირკვევა, რქის მოხელეები თბილისშიც მრავლად იყვნენ, რომლებსაც აქ თავიანთი პატარა სახელოსნოები ჰქონდათ. გარდა ყანწისა რქისაგან მზადდებოდა აგრეთვე ხანჯლის ტარი, საპირისწამლე, ღილი, მათრახის ტარი, სა-

ვარცხელი და სხვ. ყანწებს თბილისელი ოსტატები ხშირად ამკობდნენ ოქროთი და ვერცხლით. დამუშავებამდე რქას ჯერ ხარშავდნენ, შემდეგ კი თბილი რქის გათლას იწყებდნენ. სთლიდნენ დანით, შემდეგ ჭოპოსანს გამოიყენებდნენ, ამას წმინდა ქლიბი მოსდევდა. შემდეგი ეტაპი იყო გაქლიბული ყანწის შუშით გაფხეკა. ბოლოს ნახშირიანი ჩვარით წმინდავდნენ და დაფერავდნენ. ზედა ნაწილის შემდეგ გულს ამუშავებდნენ, ამოხვეწდნენ. გულის ამოხვეწის შემდეგ ყანწში გამდნარ სანთელს ჩაასხამდნენ და გამოავლებდნენ. ამით რქის სუნი მოშორდებოდა და ღვინის „გემო არ გაეკარებოდა“⁶⁹.

თბილისური სახელოსნოებში პირდაპირ მოქალაქეების, გამკლელ-გამოვლელთა თვალწინ ხდებოდა ნაწარმის გაკეთება. აი, რას წერდა *ფრედერიკა ფონ-ფრეინგაგი*: „ლია დუქნებში თოქმარები წითელი სპილენძის ფურცლებიდან ქვაბებს აკეთებენ. ერთფეროვანი დარტყმებისაგან საშინელი ხმაურია. მჭედლები უროზე ჩაქურების ცემით ჰქმნიან ასევე საშინელ მუსიკალურ ორატორიას. თიხის მეჭურჭლენი ძერწავენ წყლისა და ღვინისთვის კოკებს. ოქრომჭედლებისა და ვერცხლიმჭედელთა მწკრივებში ხელოსნები ქუჩაში აღნობენ და სჭედენ ოქროსა და ვერცხს. სხვებს გამოჰყავთ ბეჭდები, საყურეები და სხვა სამკაულები. მეწაღეები, დერციკები და ჭონები სჭრიან და ჰკერავენ, აბრახუნებენ და ჰყვირიან, დამჯდარნი იღებენ შეკვეთებს, სამოსს აზომებენ მუმტრებს, აბარებენ დამზადებულ შეკვეთებს“⁷⁰.

თბილისი იყო არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის, როგორც ხელოსნობის, ისე ვაჭრობის დიდი ცენტრი. ხელოსნური ნაწარმი იყიდებოდა უამრავ დუქანსა თუ ბაზარში. ეთნოგრაფიული მონაცემებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ე. წ. „შუა ბაზარი“ (კოტე აფხაზის ქუჩაზე). ეს იყო ვიწრო ქუჩა, რომლის ორივე მხარეს ჩამწკრივებული იყო სხვადასხვა ხელობის ხელოსანთა დუქნები და სავაჭროები. აქლემების სადგომი ყოფილა ბალნეოლოგიური კურორტის წინ მდებარე ტერიტორიაზე. აქლემე-

⁶⁹ ჯ. სონლულაშვილი. მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 97.

⁷⁰ ი. ბალახაშვილი. ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 18-19.

ბით შემოჰქონდათ უამრავი ნესვი და საზამთრო და სპარსეთიდან ქიშმიში, ბრინჯი, ზეთი.

თბილისის ამქრებს სათავეში უსტაბაში ედგა. ეთნოგრაფიული მასალებით, ხელოსნები ყარაჩოლელები იყვნენ, გამოირჩეოდნენ პატიოსნებითა და ვაჟკაცობით. „ყარაჩოხელი“ თურქულად „შავჩოხიანს“ ნიშნავს. გამოირჩეოდნენ რაინდული ბუნებით, იყვნენ უსამართლობისა და ძალმომრეობის მოძულეები, სუსტების, დაჩაგრულებისა და ქვრივ-ობლების ქომაგები. ამქრის წევრის სიკვდილის შემთხვევაში, აქტიურად მონაწილეობდნენ დასაფლავებაში, ოჯახს ჩაფით უგზავნიდნენ ღვინოს. გათხოვილი ქალიშვილისათვის ყიდულობდნენ მზითევს, ქვრივს კი ყოველდღე სანოვაგეს უგზავნიდნენ, ღარიბებს უგრეობდნენ ფულს... *სერგეი მესხი* ერთ-ერთი *ყარაჩოხელის* შესახებ წერდა: „უდარდელია, ქეიფის მოყვარული, დარდიმანდი და ჩიტივით უზრუნველი. პური და ღვინო თუ გააჩნია – ბედნიერია, და თუ ცოტა მარილი და კიტრიც აქვს, მაშინ ხომ ცა ქუდად და დედაშიწა ქლამნადაც არ მიაჩნია! ორთაჭალის ბაღი მისი ასპარეზია! ოღონდ დღეს ჰქონდეს ლუკმა-პური და ხვალ – ღმერთი მოწყალეა! ტოლ-ამხანაგისათვის, ძმა-ბიჭისათვის თავის მოკვლა გროშათაც არ უღირს. უსამართლობა ნახა სადმე – იყვირებს, ქველი საქმისათვის, ვინც უნდა იყო, გადაგეხვევა და გაკოცებს; ახირებულად ნუ მოეჩვენები, თორემ ისეთნაირად დაგცინებს, რომ გულის მოგიკლავს. შეურაცხყოფა მიაყენე რამე, ცხრა ლიტრიანი მუშტი მზათა აქვს“. ყარაჩოხელების სადღეგრძელოები იყო კაცთმოყვარული.

ყარაჩოხელებს ჩოხის შიგნით ახალუხი ეცვათ, ახალუხის შიგნით კი – წითელი აბრეშუმის პერანგი. ყარაჩოხელებს შარვალი განიერი ეცვათ, რომლის თავში ფოჩებიანი ხონჯარი ჰქონდათ გაყრილი. ფეხზე საშინაოდ ქოშებს იცვამდნენ, საგარეოდ – წაღებს. აუცილებელი ატრიბუტი იყო ვერცხლის ქობაკებიანი ქამარი, ქამარში მწვანე ბაღდადი ჰქონდათ ჩატანებული. თავდაპირველად „წიწაკა“ ქულები ეხურათ.

ასე რომ, *ყარაჩოხელი* ძველი თბილისის კოლორიტი, პატიოსანი, მშრომელი პიროვნება იყო. ისინი ძირითადად ხელოსნებსა და წვრილ ვაჭრებს წარმოადგენდნენ. მაგრამ მას ანტიპოდიც ჰყავდა – *კინტო*. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად კინტოსა და ყარაჩოხელს ერთმანეთში ურევენ. ძველი თბილისის შესანიშნავ მცოდნეს იოსებ

გრიშაშვილს უნდა დავესესხოთ: „კინტო და ყარაჩოხელი სხვადასხვა ჯურის ხალხია. კინტო უკანასკნელი დროის მცხოვრებია, – გაქსუებული, დაღლარა, თახსირი; ერთი სიტყვით, კინტო ყარაჩოხელების გადაგვარებული მოღვმაა. ყარაჩოხელი დარბაისელია, ჩასპანდი, გულმართალი, რაინდი. კინტო თვალმანკიერია და გულხენეში; კინტო ჩიკორა კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს, რომელშიაც ვაჟკაცური ელემენტი ძალიან ნაკლებადაა. ყარაჩოხელი და კინტო თვით ჩაცმულობითაც განსხვავდებიან“. „ყარაჩოხელი ხშირად თვით იგონებს ათასგვარ გასართობს, რომელიც მერე ადათებში გადადის. კინტო კი სპობს ამ ადათებს. მისი გასართობია: ყომარი, ბილწსიტყვაობა, სოდომგომორის ცოდვა და ხელმრუშობა...⁷¹. კინტოები თბილისის სავაჭრო ფენის წარმომადგენლები იყვნენ. თავიანთი ჩაცმულობითაც გამოირჩეულნი (ჩექმაში ჩატანებული განიერი შარვალი, ეცვათ შავი ახალუხი, მაღალსაყელოიანი, საკინძებშეხსნილი, დაწინწკლული ჩითის პერანგი, უბეგანიერი ნაოჭებიანი შარვალი აბრეშუმის ან ჩითის ხელსახოცით, შემორტყმული ჰქონდათ ვერცხლის სარტყელი) მუდმივად გამოჩნდებოდნენ ხოლმე თბილისის ბაზრებზე, ქუჩებზე, დუქნებში, ქალაქის ბაღებში. კინტოებს შორის იყვნენ მედუქნეები, სასურსათო დახლების მფლობელები, მაგრამ მათი მთავარი საქმიანობა მაინც საკვები პროდუქტებით ვაჭრობა იყო. თავზე შემოდებული დიდი ხის თაბახებით/გობებით გასაყიდად დაჰქონდათ ხილი, ბოსტნეული, მწვანილი, კვერცხი, თევზი და სხვ. თავზე შემოხვეული ჰქონდათ სპეციალური ზეწარი – *კინტი*, რომლის საშუალებითაც თავზე შემოდებული თაბახის წონასწორობას ინარჩუნებდნენ, ისე რომ ხშირად მოძრაობისას ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდათ. ზოგჯერ კინტოებს თავისი საქონელი დაჰქონდათ დიდ საზიდებით/„ტაჩკებით“, რომლებშიც ვირები ჰყავდათ შებმული. ზომა-წონაში მოტყუება და მყიდველზე ზეწოლა იყო კინტოს მოქმედების ძირითადი იარაღი⁷². ჩარჩობა და ფულის შოვნა იყო კინტოს მიზანი. ბაზარში მიმავალ სოფლის მოსახლეობას ისინი დილაუთე-

⁷¹ ი. გრიშაშვილი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, ბათუმი, 1986, გვ. 13, 16.

⁷² В. Дановский. Тифлиссские городские типы. Кинто. – Кавказ. 1902, №333.

ნია ქალაქართ სვდებოდნენ და იაფად ნაყიდ საქონელს უკვე მაღალ ფასად ყიდდნენ. ყოფითი თვალსაზრისით კინტო წარმოადგენდა საკმაოდ გამოკვეთილ სოციალურ ჯგუფს. ისინი ჩამოყალიბდნენ ქალაქის უმდაბლესი და დეკლასირებული ელემენტებისაგან, ლუმპენებისაგან და იყვნენ ქალაქური ცხოვრების ტიპური პროდუქტი⁷³.

კინტოები თბილისში ირანიდან გავრცელდნენ, სადაც ისინი ასევე მოატყუარები იყვნენ. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ირანშიც კინტოები ეთნიკური სომხები იყვნენ. გადმოსახლებული იყვნენ როსტომ მეფის დროს. დავით ორბელიანის სიტყვით, „რაც თურქებმა ვერ ქნეს, იმას კინტოები გვიშვრებიან, ქალაქელებს რყვნას ასწავლიან“. იაკობ გოგებაშვილი კი აღნიშნავდა: „ტფილისში დღეს იმდენი სასირცხვი ხალხი ცხოვრობს, სათვალავი რო აერევა კაცსა. ქალაქში კინტო-მატრაბაზები ყველას ყვლეფდნენ და შავზე თეთრს იმტკიცებინან“.

რეფორმამდელ პერიოდში თბილისში სულ უფრო იზრდებოდა ხელოსნური მრეწველობა. 1804 წელს ხელოსნების რაოდენობა თბილისში შეადგენდა ქალაქის მოსახლეობის 5,1%-ს (სულ 1.032 ხელოსანი), 1835 წელს – კვლავ 5,1%-ს (1266 ხელოსანი), 1845 წელს – 6,1%-ს (2.065 ხელოსანი), 1854 წელს – 13,8%-ს (4.846 ხელოსანი), 1865 წელს – 7,9%-ს (5.668 ხელოსანი). ეს ციფრები იმის შესახებ მიუთითებს, რომ თბილისში რეფორმამდელ პერიოდში სწრაფად იზრდებოდა ხელოსნების რიცხვი, მისი ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევია 1845-1854 წლებში. პროცენტულად ხელოსნების რიცხვის ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებდა წინ ქალაქის მოსახლეობის ზრდას. 61 წლის განმავლობაში (1804-დან 1865 წლამდე) ხელოსნების რიცხვი 5,5-ჯერ გადიდა, მაშინ, როდესაც მცხოვრებთა რიცხვი 3,5-ჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდში თბილისში ადგილობრივ ხელოსნებთან ერთად ჩნდებიან ჩამოსული ხელოსნებიც⁷⁴. რეფორმისშემდგომ პერიოდში თანდათან ხდება წვრილი ხელოსნური წარმოებების შემცირება და გაბატონებას იწყებს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა. აქ კონცენტრირებული იყო საპნის, ასანთის, ტყავის, ფეხსაცმლის, ლუდის, კონიაკ-ლიქიორის და არ-

⁷³ ნ. აბესაძე. ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა... 1986.

⁷⁴ გ. ბაქრაძე. მრეწველობის განვითარება თბილისში... გვ. 64.

ყის, თამბაქოს, სახერხი, თუჯისჩამომსხმელი, მექანიკური და სხვა სარეწები. თბილისის სამრეწველო სარეწოთა შორის ზოგი იმდენად დიდი იყო, რომ მისი პროდუქცია ადგილობრივი მნიშვნელობის ფარგლებს სცილდებოდა. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ფირფიცრის სარეწი, რომელიც თბილისში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში არსებობდა. ამ საწარმოდან პროდუქცია გაჰქონდათ ოდესაში, ვარშავაში, მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში. საყოველთაოდ იყო ცნობილი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიასა და რუსეთში თბილისის კონიაკ-ლიქიორის ქარხნის პროდუქცია, რომელიც ეკუთვნოდა ქართველ კაპიტალისტს *დავით სარაჯიშვილს*. პირველი ქართული კონიაკი დავით ზაქარაის ძე სარაჯიშვილმა დიღმური მასალით დაამზადა, სადაც მათ დიდი ვენახი ჰქონდათ. შეიძლება კიდევ დავასახელოთ *ადელხანოვის* ტყავის ქარხანა (თბილისში აშუშავდა 1875 წელს), რომელშიც 1890-იან წლებში დაიწყო ელექტროენერჯის გამოყენება და სხვ.



15756. Тифлисъ, Ворота сада Муштава. 403.

მუშტაიდის ბაღის შესასვლელი

ვაჭრობა და ბაზრები თბილისში

ძველი თბილისის მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად ფენას ვაჭრები წარმოადგენდნენ. ერთიანი ფეოდალური მონარქიის ხანაში უაღრესად გაფართოვდა თბილისელი ვაჭრების მოქმედების ასპარეზი და საქმიანობის სფერო. მათ მუდმივი და მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ბიზანტიის, არაბეთის, სპარსეთის, ეგვიპტის, შუა აზიის, ჩინეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, რუსეთის და ბალტიისპირეთის ცნობილ სავაჭრო ცენტრებთან. თბილისელი ვაჭრების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ექსპორტსაც. ექსპორტი ფართოდ იყო წარმოდგენილი როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ისე სამრეწველო ნაწარმით – პირუტყვი, თაფლი, ცვილი, ხილი, საღებავი მცენარეები (განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ენდრო), საფეიქრო ნაწარმი, ნოხები, ნაბდები, თხელი შალი, დამუშავებული ტყავი, ბეწვეული, უნაგირები... ფრანგი *ტურნეფორის* ცნობით, რომელიც 1701 წელს იმყოფებოდა საქართველოში, თბილისელ ვაჭრებს საექსპორტოდ გაჰქონდათ ბეწვეული, აბრეშუმი, ენდრო (წელიწადში არზრუმში შედიოდა ენდროთი დატვირთული 2 ათას ქარავანზე მეტი). თბილისელი ვაჭრების საქმიანობაში ჯერ კიდევ დიდი ადგილი ეკავა სხვადასხვა ქვეყანას შორის საშუაშალო ვაჭრობასა და რეექსპორტს. დიდვაჭრებს საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დავალებების შესრულებაც უხდებოდათ. გვიანდელ საუკუნეებში არა მარტო დიდი რაოდენობით ასაღებდნენ ადგილობრივ სამრეწველო საქონელს საგარეო ბაზარზე, არამედ უშუალოდაც ებმებოდნენ წარმოებაში.

„ტფილისელი ვაჭარნი“ არა ერთხელ და ორჯერ არიან მოხსენიებული XV-XVII საუკუნეების დოკუმენტებში. ამ საბუთებში ხშირია ხაზგასმა იმის შესახებ, რომ ისინი თავისუფალნი არიან „ყოვლისა სამეფოსა ხარჯისაგან“.

XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან დარიალის გზის გახსნის შემდეგ თბილისელი ვაჭრები უკავშირდებოდნენ კასპიისპირეთის სავაჭრო ცენტრებს, აგრეთვე ნიჟნი-ნოვგოროდსა და მოსკოვს. რუსეთთან ვაჭრობამ თვალსაჩინო მასშტაბები მიიღო XIX საუკუნის დასაწყისში.

XIX საუკუნიდან სწრაფი ტემპით გაიზარდა თბილისელი ვაჭრების ფულადი კაპიტალი. 1828 წელს საქართველოდან ჩასულმა ვაჭრებმა ლაიფცივის ბაზრობაზე 10 მილიონი მანეთის პროდუქცია შეიძინეს. გაძლიერდა სავაჭრო კაპიტალის მრეწველობაში შეჭრის პროცესი. მდიდარმა ვაჭრებმა *სარაჯიშვილებმა*, *ზუბალაშვილებმა*, *ტერ-გუკასოვმა*, *თამაშშევმა*, *ტარიელ ლორის-მელიქოვმა* და სხვებმა დაარსეს რიგი ფაბრიკა-ქარხნები (ტყავის, შაქრის, საპნის, სანთლის, ბამბის, არყის სახდელი და სხვ.).



ნესვითა და ყურძნით მოვაჭრენი

თბილისის ცხოვრებაში ძალიან დიდ როლს თამაშობდა ბაზარი. 1800 წლისათვის თბილისში სამი ძირითადი ბაზარი არსებობდა; იყო აგრეთვე წვრილი და ისეთი ბაზრები, რომლებიც დასპეციალებული იყვნენ რაიმე საგნისა და რომელიმე სოფლის მეურნეობის პროდუქტის გაყიდვით. 1887 წელს წყაროებში ოთხი ბაზარია

მითითებული: *ავლაბრის, სალდათის, თათრის მეიდანის და ვერის ბაზრები*. თბილისის სავაჭრო ცენტრი კი იყო *თათრის მეიდანის*. ცენტრალურ ბაზრად ეს უკანასკნელი ითვლებოდა. ისევე როგორც სხვა ბაზრებს, მეიდანსაც „ფიცრის ყავრულები ჰქონდა დახურული, სიცხის მოსაჩრდილებლად და ავდრისთვისაც, რომ მშრალად გაეართ ხალხსა“⁷⁵. აქვე დილაუთენია თავს იყრიდნენ მშენებლობაზე, მიწაზე, ბალ-ბოსტნებში სეზონური მომუშავენი. 1880-იანი წლებისათვის მეიდანში დაახლოებით 20 ათასი კაცი იყრიდა თავს. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოცემულია თბილისის ბაზრის ცოცხალი სურათი. სახელოსნო, დუქანი და ბაზარი განუყოფელ მთელს წარმოადგენდა, ხელოსნობის ერთი და იგივე ან მსგავსი დარგები ცალკეულ „რიგებს“ ქმნიდნენ. რიგად ჩამწკრივებულ სავაჭრო და სახელოსნო დუქნებში მყიდველებს თავიანთ ნაწარმს სთავაზობდნენ *ხარაჭები* (ფეხსაცმელს), *სარაჯები* (ცხენის აკაზმულობას), *ბაზაჭები* (ფარჩას, მაუდს, ჩითს, მოვსა და ლაინს), *მეჭოშები* (ქოშსა და მაშიას), *ყაზაჭები* (ძაფს, ბაფთას, ზონარს), *დაბალები* (ტყავს), *ჩილინდრები* (გასალებს). აქვე ვხვდებით *ოქრომჭედლებს*, *კალატოზებს*, *ხუროებს*, *დურგლებს*, *ხარატებს*, *მეჩანხმახეებს*, *მეთოფეებს*, *მეხანჯლეებს*, *ფეიქრებს*, *ქვის მთლელებს*, *ალაფებს* (*მეპურეებს*), *დალაქებს* და სხვ. ჩასაცმელის რიგში ადამიანს შეეძლო ეყიდა ნებისმიერი გემოვნების კაბა, ქუდების რიგში – თავსაბურავი. სპეციალურ დუქნებში ვაჭრობდნენ სხვადასხვაგვარი ჭურჭლით – *საილენძის*, *მინის*, *ქაშანურის*, *ფაიფურის*; იყო *ხალიჩების*, *ფარდაგების*, *მაფრაშების* (ხალიჩის ნაჭრისაგან შეკერილი დიდი ჩანთა, რომელსაც იყენებდნენ სამოსისა და სხვა საყოფაცხოვრებო საგნების შესანახად და გადასატანად)... მეიდანზე ხმაური მხოლოდ საღამოს 10 საათისათვის მიუყრდებოდა ხოლმე. XIX საუკუნის 80-იან წლებში მეიდანს დღეში დაახლოებით 20 ათასი ადამიანი სტუმრობდა. უნდა აღინიშნოს, რომ აქ ხალხი დაიარებოდა არა მხოლოდ საყიდლებისათვის, ის თავისებური საზოგადოებრივი ცენტრიც იყო. 1774 და 1781 წლების თბილისის აღწერებში კიდევ დასახელებულია შემდეგი პროფესიები: *მჭედელი*, *ფეიქარი*, *მეურმე*, *ჩარჩი*, *დალაქი*, *ბაყალბაში*, *მკერვალი*, *მეწულე*, *ქვისმჭრელი*, *მეაბანოე*,

⁷⁵ ი. ბალახაშვილი. ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 103-104.

*მკლავი, მესანთლე, მეფურნე, მჩითავი, ნალბანდი, მექებაბე, ვაჭარი, მეთევზე, მეპალე, მეწისქვილე, ბაყალი, მეჭურჭლე, მეჩახმახე, მეჯორე, მგალობელი, მზარეული, მეფიჩხე, ჯილავდარი, მეკურტნე, მელავაშე, ჭონი, მელეინე, მელორე, მეჩანგლე, ყასაბი, მებურნიოთე, ყალთახჩი, მხერხავი...*⁷⁶

საღდათის ბაზარში სამუშაო დღეებში მხოლოდ პროდუქტებით, მათ შორის, ხილით ვაჭრობდნენ. კვირაობით კი ის იყო თავისებური იარმარკა (ამიტომაც მეორე ნაირად ამ ბაზარს „იარმუკასაც“ უწოდებდნენ) ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცთა სხვადასხვა ნაკეთობებისა – ავეჯის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, თეთრეულის, სხვადასხვა წვრილმანი საყოფაცხოვრებო ნივთებისა. კვირაობით დაბალი სამხედრო ჩინის წარმომადგენლებს შემოჰქონდათ პროდუქტები. ახალი წლის წინ ყიდდნენ ნაძვისხეებსა და ფიჭვის ძირებს. ბაზარი არა მხოლოდ სავაჭრო ადგილი, არამედ თავისებური საზოგადოებრივი ცენტრი და სხვადასხვა სოციალური ფენის, ეთნიკური ჯგუფის საურთიერთობო და ტრადიციული კულტურების შეხვედრის ადგილი იყო.

ყოველდღიური ბაზრების გარდა თბილისში არსებობდა საკვირაო ბაზარი – იარმარკა, რომელსაც მოსახლეობა „იარმუკას“ უწოდებდა. პირველი იარმარკა თბილისში 1828 წლის შემოდგომაზე გახსნილა; ის ერთ თვეს გაგრძელებულა. ეს იარმარკა, რომელსაც „პოკროვსკის იარმარქტა“ ეწოდა, ყოველწლიურად უნდა გამეორებულიყო. შემდეგ წლებში ყოველ კვირა დღეს საკვირაო ბაზრობა იმართებოდა დღევანდელი თავისუფლების მოედანზე. სავაჭრო მწკრივები გაჭიმული იყო ქალაქის გამგეობის შენობიდან სემინარიამდე. ზოგი ძველ ტანსაცმელს, ზოგი ძველ ავეჯს, ზოგი ძველ ჭურჭელს და სხვა საოჯახო ნივთს ყიდდა. თბილისის ახლ ადგილებიდან ხილი და ბოსტნეული იყიდებოდა. იარმარკობა დღეს აქვე ეწყობოდა აკრობატთა გამოსვლები; გაბმულ თოკზე ასრულებდნენ სხვადასხვანაირ ნომრებს. დაბლა კი სასაცილო ტანსაცმელში გამოწყობილი ტაკიმასხარები ამ ნომრებს მიწაზე „იმეორებდნენ“. ვინმე

76 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 145-156.

დურგალი აბელა კი მაღალ ორჩოფეხებზე შემდგარი საყოველთაო გაკვირვებას იწვევდა თავისი სწრაფი და მოხერხებული სიარულით.

საბჭოთა პერიოდში თბილისის ყველაზე დიდი ბაზარი იყო „დეზერტირების ბაზარი“, რომელსაც ხალხი დღესაც ამ სახელწოდებით მოიხსენიებს. ეს სახელწოდება 1920-იან წლებში დამკვიდრდა, რადგან აქ დეზერტირი ჯარისკაცები საკუთარ აღკაზმულობას, იარაღს ყიდდნენ.

XVIII საუკუნის დასაწყისში თუ ქალაქში 200 ლუქანი იყო, XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის მათმა რაოდენობამ ხუთასს მიაღწია. ამ ლუქნებს ანუ სავაჭრო-სახელოსნო ობიექტებს ფლობდნენ სამეფო სახლის წევრები: მეფე, დედოფალი, ბატონიშვილები (დავით ბატონიშვილს 18 ლუქანი და ქარვასლა ჰქონდა ნაბოძები ერეკლესაგან. მარტო „თათრის მოედანზე“ 12 ლუქანი ჰქონია, რომელიც წლიურად 400 მანეთზე მეტ შემოსავალს აძლევდა). ქალაქის სავაჭრო-ნაგებობების ერთ-ერთი მსხვილი მესაკუთრე გახლდათ ეკლესია (თბილისში არსებულ ყველა ეკლესიას თავისი კუთვნილი სავაჭროები ჰქონდა. მაგალითად, თბილელის მფლობელობაში იყო ქალაქის სხვადასხვა უბნებში მდებარე ლუქნები. თბილისში მცხოვრები იტალიელი კათოლიკეებიც კი ფლობდნენ ლუქნებს). XVIII საუკუნის თბილისში ფეოდალური არისტოკრატის ბევრ წარმომადგენელს გააჩნდა ლუქანი. ამავე საუკუნიდან წვრილ ვაჭარ-ხელოსანთა წრიდან ბევრი შეძლებული ლუქანთმფლობელი იყო. ამ მეღუქნეთა ძირითადი ნაწილი მნა-მეღუქნეები იყვნენ: ვაჭარ-ხელოსანთა დიდ ნაწილს მეფისა და ფეოდალური არისტოკრატის ყმები შეადგენდნენ⁷⁷. თბილისის ლუქნები დამშვენებული იყო ნიკო ფიროსმანიშვილის ნახატებით. გიორგი ლეონიძეს მისი ნახატები აღმოუჩენია „ბეგოს ლუქანში“, „პატარქალიშვილის ლუქანში“, „შავრობაშვილის ლუქანში“, „ოზმანაშვილის ლუქანში“, „მარკოზაშვილის ლუქანში“, „მესხიშვილის ლუქანში“...

მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მეიდანში ხალხი მხოლოდ სავაჭროდ როდი დადიოდა. ბაზრები საზოგადოებრივი თავშე-

⁷⁷ რ. კაშია, მ. სანაძე. ვაჭრობა და ვაჭართა ფენა XVIII საუკუნის თბილისში (ქალაქის ლუქნები). – მაცნე, ისტორიის... სერია, №2, 1989, გვ. 71-85.

ყრის ადგილებიც იყო; აქ შეიძლებოდა ახალი ამბების გაგება. სალ-
ლათის ბაზარიც მტკვრის მარჯვენა მხარეს იყო (საბჭოთა პერი-
ოდის კოლმეურნეობის მოედანზე იქ, სადაც ახლა „კარფურის“ სა-
ვაჭრო ცენტრია). სალლათის ბაზარში ძირითადად *მანგლისში*, *ბე-
ლი კლიურში*, *კაშენი რეჩკაში* მცხოვრები დაბალი ჩინის რუსი სამ-
ხედროები ვაჭრობდნენ. თანამედროვე თავისუფლების მოედანზე ძი-
რითადად შეშითა და თივით ვაჭრობდნენ. რიყეში, სადაც ძირითა-
დად მოლოკნები ცხოვრობდნენ, ვაჭრობდნენ ცხენებით, თევზით.



ლუქანი „ნე უეზუაი გალუბრიკ მოი“ ვერეს პარკის მიდამოებში.

მუშტრის სიმრავლით გამოირჩეოდა თათრის მოედანი. თათრის
მოედანზე ძირითადად სურსათ-სანოვაგით ვაჭრობდნენ. როგორც
იოსებ გრიშაშვილი წერდა, „თათრის მოედნის შუაგულში გამართუ-
ლი იყო *ყაფანი* – დიდი სასწორი, საიდანაც საქონელი მცხოვრებ-
ლებსა და ვაჭრებს ურიგდებოდა. სოფლიდან მოსული საქონელი
ჯერ ქალაქის მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ და შემდეგ – ქორვაჭ-
რებს. როცა ყაფანზე ბაირადი იყო აღმართული, მაშინ მცხო-
ვრებლებს უნდა ეყიდათ და შემდეგ ქორვაჭრებს. სრულ 12 საათზე

ბაირალს დაუშვებდნენ და ეს იმას ნიშნავდა, რომ ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ვაჭართა და სოფელელთა აღებმცემობა“. მესასწორეს კი ყაფანდარი ერქვა. ყაფნები ჩვეულებრივ ბაზრების წინ იდგა. ყაფანდარი ქირას იღებდა ბაზარში შესულ ისეთ საქონელზეც, რომლის აწონვა არ ხდებოდა. მაგალითად, ბაზარში გასაყიდად მოყვანილ ცხენსა და ჯორზე ყაფანდარი ერთ აბაზს იღებდა, აქლემზე – 14 შაურს. ძროხაზე – ერთ შაურს. სხვათა შორის, სალდათის/იარმუკის ბაზარს დიღმელები „ყაფნი ბაზარს“ უწოდებდნენ.

შუა საუკუნეების თბილისში არსებობდა სავაჭრო ცენტრები – *ქარვასლები*. სახელწოდება მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან „ქარავანსარა“, „ქარავანსარაი“, რაც გზისპირა სასტუმროს ნიშნავს. ის იყო ქარავნის, ღამის გასათევი, ვაჭრების გასჩერებელი ადგილი; დიდ გზაზე გამართული სასტუმრო მგზავრების დასასვენებლად. შუა საუკუნეების საქართველოში „სასტუმრო სახლის“ აღსანიშნავად უფრო მეტად ტერმინი „ფუნდუკი“ იხმარებოდა. XVII-XVIII საუკუნეებიდან კი გაბატონდა ტერმინი „ქარვასლა“. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში 4 ქარვასლიდან 3 კალის უბანში, კედლებით შემოვლებულ ქალაქის ტერიტორიაზე იყო განლაგებული. სიონის გვერდით, სამხრეთით, მტკვრის სანაპიროზე იდგა ჯერ კიდევ როსტომ მეფის მიერ აგებული ქარვასლა, რომელიც XVIII საუკუნის დამდეგს გადაეცა თბილელ ეპისკოპოს დომენტი III-ს, რის შემდეგაც მას თბილელის ქარვასლა ეწოდა. მის ნანგრევებზე XIX საუკუნეში აშენდა არწრუნის ქარვასლა. თბილელის ქარვასლას სამხრეთ-დასავლეთიდან ქალაქის მედიქის ქარვასლა ებჯინებოდა, სიონის მოპირდაპირე მხარეს კი მეფის ქარვასლა იდგა. მეოთხე ქარვასლა, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი იხსენიებს ბეჟანის ქარვასლად, კალის კედლებს გარეთ, სოლოლაკის უბანში, ახლანდელი ქალაქის საკრებულოს ადგილზე იდგა. ქარვასლები თბილისში უმთავრესად ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლებს – მეფეს, ეკლესიას, თავად-აზნაურობას და მსხვილ ვაჭარ-მოქალაქეებს ჰქონდათ. ქარვასლების რაოდენობამ თბილისში XVIII საუკუნის ბოლოს იმატა. ამ დროს ქარვასლები ჩვეულებრივ მომრგვალებული, ორ-სამ-ოთხ სართულიანი ნაგებობები იყო, დიდი შადრევან-აუზით დამშვენებული ეზოთი, სარდაფებით, საწყობებით, დუქნებითა

და სახელოსნოებით, სასტუმრო ოთახებითა და დარბაზებით, სადაც ზოგჯერ საპატიო სტუმრების მიღებაც ეწყობოდა. 1843 წელს *აკობ ზუბალაშვილმა* თბილისში დიდი ქარვასლა ააშენა, რომელშიც 10 სავაჭრო მაღაზია, საწყობები, ღვინის სარდაფები და 71 სასტუმრო ოთახი ყოფილა. ზოგჯერ ღია ეზოს მაგივრად შენობის ცენტრში მოქცეული იყო დიდი ზომის დარბაზი – თავისებური ვესტიბული, რომლის პერიმეტრზე იარუსებად განლაგებული სათავსები იყო. ვესტიბული ზემოდან ნათდებოდა⁷⁸. თბილისის ქარვასლებში ინახებოდა და მერე მთელ სამხრეთ კავკასიაში ნაწილდებოდა უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი; აქვე ხდებოდა სხვადასხვა სავაჭრო გარიგება. ქარვასლები ამასთანავე ყოველგვარი ინფორმაციის ერთ-ერთი უმთავარესი წყაროც იყო, სადაც თბილისელები იგებდნენ არა მხოლოდ თავისი ქალაქის და სამხრეთ კავკასიის, არამედ შორეული უცხოეთის ახალ ამბებსაც⁷⁹.

ყველაზე დიდი ქარვასლები ახლანდელ სიონის ქუჩაზე მდგარა. ისინი 1795 წლის ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დაანგრიეს. XIX საუკუნეში ახალი ქარვასლები აშენდა. 1850 წელს თბილისში ცამეტი ქარვასლა მდგარა.

თბილისში ცალკე იყო ღვინის გასაყიდი სახლები; მას „სირაჩხანას“ უწოდებდნენ. ორი სირაჩხანა ყოფილა: დიდი და პატარა. პატარა სირაჩხანა დიდზე ძველია, მდებარეობდა ძველ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან, ახლანდელი სიონის, ჟან შარდენის (ძვ. ბნელი რივის) და კოტე აფხაზის ქუჩათა შესაყარზე, პატარა აღმარზე; აქედან – სახელწოდება. როდესაც იოანე ბატონიშვილი და მისი თანმხლები იქ მივიდნენ, ნახეს: „დიდრონი რუმბებით და ტიკებით ღვინოები და არაყი. იკითხა: ამდენი კოლოტი რათ უნდათო? უთხრეს: ესე სულ ღვინოებით არის სავსე... ჰგავს, რომ ღვინო ვისაც არ მოსდის, მისთვის მოუგროვებიათ ესე ღვინოები“ („კალმასობა“). XIX-XX საუკუნეებში თბილისში განთქმული დიდი სირაჯხანა მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მეტეხის უბანში, ახლანდელი ღვინის აღმართი იწყება მეტეხის ხიდიდან და

⁷⁸ თ. კვიციანი. ძველი თბილისი, თბ., 1984, გვ. 16.

⁷⁹ შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე. თბილისის ისტორია, თბ., 1958.

მთავრდება ნ. ბარათაშვილის აღმართთან (მოედანთან ახლოს). სირაჯხანის ღვინის სარდაფები და ღუქნები მარაგდებოდა კახეთიდან შემოტანილი ღვინითა და არყით. ძველ თბილისში გაიგონებდით ასეთ გამოთქმას: შენ რომ მოდიოდი, მე სირაჯხანაში უკვე ტიკზე ვიჯექიო. აქ იოსებ გრიშაშვილის ლექსიც შეიძლება გავიხსენოთ: „თუ ჩაგივლია სირაჯხანისკენ, // დაჰკვირვებისხარ ამ ქუჩებს კარგად, // გაგაოცებდა რუმბების სისქე // და ჭიანურზე დაკრული ჩარგა“.

ქარვასლების გვერდით თბილისში ევროპული ტიპის მაღაზიებიც ჩნდებოდა. ერთ-ერთი პირველი და სახელგანთქმული მაღაზია *ლაბიელისა* იყო. ქალბატონ ლაბიელის მაღაზია ძირითადად ფრანგული მოდური ნაწარმით ვაჭრობდა. მას საკანდიტეროც ჰქონდა. ლაბიელის მაღაზია შეცვალა *ბლოტისამ*. *ბლოტის მაღაზია* იყო პირველი უნივერსალური მაღაზია თბილისში⁸⁰.



„თეთრი ღუქანი“ სოფელ დიღმის ასახვევში. დიღმისა და ვაშლაჯვრის შემაერთებელ ხილამდე. აქ გადიოდა საქართველოს სამხედრო გზა.

⁸⁰ ი. ბალახაშვილი. ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 184.

სტუმრები და სასტუმროები თბილისში

თბილისის ორ საგარეუბნო სოფელს – დილოშსა და ნაქულბაქევს – კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნდა; ეს იყო „სტუმრისა“ და „მდგურის“ დაყენება. ეთნოლოგმა *ჯუანშერ სონდოლაშვილმა* გაარკვია „დასტურლამალში“ მოხსენიებული ამ ტერმინების მნიშვნელობა. სამართლის ძეგლში ერთ-ერთ თავს ეწოდება „დიდმის საბატონო გამოსალებისათვის“, რომელშიც სხვა საბატონო ვალდებულებებთან ერთად აღნიშნულია „ბატონის წიგნით სტუმრისა და მდგურის დაყენება...“ გაირკვა, რომ საქართველოს სამეფო კარი „სტუმრის“ მიღებას და „მდგურის“ დაყენებას ავალდებულებდა საგარეუბნო სოფლების მცხოვრებთ, კერძოდ, ქალაქში შემოსული სტუმრების ერთი ნაწილის მასპინძლობა დიდმელებსა და ნაქულბაქელებს ევალებოდათ. ეს ტრადიცია ეთნოგრაფიულმა ყოფამ XIX საუკუნის დამლევამდე შეინარჩუნა. ისინი თავშესაფარს არა მხოლოდ უცხო ქვეყნებიდან მოსულებს აძლევდნენ, არამედ საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან ამ თუ იმ საქმეზე მოსულთაც. სტუმრის მიღება და დაბინავება დიდმის მამასახლისის ერთ-ერთი ფუნქცია იყო. მამასახლისი სტუმრებს მეკომურებზე ანაწილებდა და სახლში ჩაუყენებდა. დილოშში უფრო საბატონო ფონდის ხალხი დგებოდა, ნაქულბაქევში – საეკლესიო ფონდისანი. სტუმრის უარით გაშვება არ შეიძლებოდა. ნაქულბაქევისათვის კი როგორც გზისპირა სოფლისათვის ეს ერთგვარად ძალიან მძიმე გამოდგა და ისინი *მაძკოღაში* გადასახლდნენ. ამის გამო ქართველები გზებზე თავშესაფარს აგებდნენ. ამიტომაც აშენდა თბილისის მისადგომებთან, დიდმის ტერიტორიაზე ორი თავშესაფარი – „წითელი დუქანი“ და „თეთრი დუქანი“, სადაც მგზავრს საშუალება ეძლეოდა ღამე გაეთია და ბოსლებში საქონელი დაებინავებინა. მგზავრის გაჩერება დუქნებში მოკლე ხნით ხდებოდა. დიდი ხნით გაჩერების შემთხვევაში, მგზავრი ისევ ძველ ტრადიციას იხსენებდა და თავს სოფელ დილოშს აფარებდა. რაც შეეხება „მდგურებს“ ისინი საქართველოს სხვადასხვა მხრიდან მეფისა და ბატონის კარზე მოსული ხიზნები იყვნენ, რომლებისთვისაც თავშეფრის მიცემის ვალდებულება ასევე დიდმელებს ჰქონდათ. მოსული კაცი სანამ წელს მოიმაგრებდა, „მდგურად“ იღვა მისი ბატონის ყმის სახლში. ასეთი

„მდგმურების“ შთაბრძანებით დილომში დღეს ცოტანი არ არიან. მათი დიდი ნაწილი დასავლეთ საქართველოდან და სამცხე-ჯავახეთიდან არიან მოსული⁸¹.



მეთუნეობის ნაწარმით მოვაჭრენი

აღნიშნული ტრადიციის ერთგვარ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ მთავარმართებელ ციციანოვის მიერ გამოცემული ბრძანება, რომლის მიღვეითაც თბილისელებს რუსული ჯარი და ჩინოვნიკები თბილისელთა კერძო ბინებში უნდა ჩაესახლებინათ.

XIX საუკუნის თბილისისათვის დამახასიათებელი იყო ვაჭრებისათვის განკუთვნილი სასტუმრო ტიპის სახლები, რომელსაც ქარვასლას უწოდებდნენ. ქარვასლაში, მოსასვენებელი ოთახების გარდა, მის პირველ სართულზე სავაჭრო დუქნები და სახელოსნოები

⁸¹ ვ. სონღულაშვილი. მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 216-223.

იყო განლაგებული. ქარვასლებიდან შეიძლება რამდენიმე მათგანი დავასახელოთ: 1. „ბატონიშვილების“ ქარვასლა – სიონის ეკლესიის მახლობლად აშენებული იყო XVIII საუკუნეში. ქარვასლას ჰქონდა 62 სასტუმრო ოთახი, 30 სავაჭრო დუქანი, საქონლის შესანახი საწყობები და ღვინის სარდაფი. აქვე მოთავსებული იყო სხვადასხვა სახის 15 სახელოსნო. ქარვასლას ჰქონდა დიდი ეზო მოსული ქარავენებისათვის; 2. არწრუნის ქარვასლა – 1818 წელს აგებული „ბატონიშვილების ქარვასლის“ პირდაპირ 33 სასტუმრო ოთახით, 25 დუქნით, საწყობებითა და სარდაფებით; 3. მელიქიშვილის ქარვასლა – 1828 წელს აგებული. ამ ქარვასლაში 1832 წელს უნდა გაემართათ ნადიმი და ამოუელიტათ თბილისში მყოფი რუსული მმართველობის წარმომადგენლები; 4. სარაჯიშვილის ქარვასლა – აშენებული 1823 წელს. მას ჰქონდა 18 სასტუმრო ოთახი, 9 საწყობი, 5 მაღაზია; 5, სარქისოვის ქარვასლა – აგებული 1820 წელს. ვაჭრობდა ძირითადად აზიური საქონელით. ჰქონდა 30 სასტუმრო ოთახი, 73 დუქანი, საწყობი და სარდაფი...

სასტუმროები არც შუა საუკუნეების თბილისითვის იყო უცხო. მგზავრებისათვის განკუთვნილ ასეთ შენობებს „ხანვას“ უწოდებდნენ. ძველ თბილისში „ქართველ მეფეთა სასახლის სამხრეთით, მდინარე მტკვრის პირად, მოთავსებული იყო შენობები მოსულთათვის. ეს შენობები იმხანად სასტუმროების მაგივრობას სწევდნენ“⁸². ეს სადგომები *აღა-მაჰმად-ხანს* დაუწერვია. პირველი ევროპული ტიპის სასტუმრო თბილისში XIX საუკუნის 20-იან წლებში გერმანელმა კოლონისტმა *ჯალკმანმა* დაარსა. ის რიყეზე, ავლაბრის ხიდის მახლობლად, სირაჯხანის ქვემოთ მდებარეობდა. იქვე, ახლოს იდგა რუსი ოფიცრებისათვის განკუთვნილი სასტუმრო. 1835 წელს ი. ზუბალაშვილმა ააშენა ევროპული ტიპის სასტუმრო. მაღლევე, 1838 წელს შენობა შეისყიდა ქალაქის საეკლესიო მმართველობამ, რომელშიც სასულიერო სემინარია განათავსეს (დღევანდელი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი). XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში დაიწყო იმ დროისათვის ფემენებლური პირველი და მეორე კლასის სასტუმროების მშენებლობა. 1858 წელს გაიხსნა სასტუმრო „კაკაზი“. ცნობილი იყო აგრეთვე „ორიანტი“

⁸² ი. ბალახაშვილი. ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 48.

(არქიტექტორი იყო თბილისელი გერმანელი ალბერტ ზალცმანი, საბჭოთა პერიოდის „მხატვრის სახლი“, რომელიც თბილისის ომის დროს დაიწვა), „ლონდონი“, „გრანდოტელი“ (გახსნა 1881 წელს ფრანგმა დელა ვალდმა. სასტუმრო დაიხურა 1921 წელს და მისი დიდი ნაწილი საცხოვრებლად წითელარმიელებს გადასცეს), „როსსია“, „ვეტცელის სასტუმრო“, „პალას-ოტელი“ (ახლანდელი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი), „მაჟესტიკი“ (ახლანდელი სასტუმრო „თბილისი“).



სასტუმრო „ორიანტის“ აივნები ეზოს მხრიდან

მას შემდეგ, რაც თბილისში ევროპელ სტუმართა რიცხვმა იმატა, გაჩნდა მოთხოვნილება მაღალი სტანდარტის სასტუმროებისა. 1875 წელს ზუბალაშვილებმა გახსნეს ოტო სიმენსენის პროექტით აგებული სასტუმრო „ლონდონი“, რომელსაც ევროპელები „ოტელ დე ლონდონად“ მოიხსენიებდნენ. ზუბალაშვილებმა ეს სასტუმრო მმართველობაში გადასცეს *ჰანს და კატერინა რიხტერებს*. კატერინა რიხტერმა სასტუმროში დანერგა მომსახურების ევროპული მაღალი

სტანდარტი. ეს იყო სასტუმრო, სადაც ერთ-ერთმა პირველებმა გამოიყენეს ავტოსადგომი, კარგი ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი და სასტუმროსთან კონტაქტი ხდებოდა ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ამიტომაც ამ სასტუმროს სტუმრობდნენ მსოფლიოში ცნობილი ადამიანები: პოლიტიკოსები, მუსიკოსები, მწერლები. მაგალითად რუსი კომპოზიტორი *პეტრე ჩაიკოვსკი* და ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურიატი *კნუტ ჰამსუნი*. სასტუმრომ თავისი არსებობა შეწყვიტა პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროს. XX საუკუნის 20-იან წლებამდე თბილისში კიდევ დაახლოებით 25 სასტუმრო არსებობდა, რომლებშიც შემდეგ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებად და საცხოვრებელ სახლებად გადაკეთდა.

სხვათა შორის, 1898 წელს ამერიკელი *ჯულიან რაფი* აუგად მოიხსენიებდა რუსეთის იმპერიაში არსებულ სასტუმროებს, „შეუძლებელიც არის ვარგოდეს იქ, სადაც მოსახლეობის ყველა ფენა უწესრიგოა და დისციპლინა აკლიათ ან უთანაბროდ აქვთ“. იგივე პიროვნება აქებდა თბილისის სასტუმროებს, კერძოდ, „ორიანტს“, სადაც მას ღამეები გაუთენებია: „ორიანტს“ ინახავდა შვეიცარიელი ცოლ-ქმარი, რომლებმაც იცოდნენ, რომ მსახურების შერჩევასა უნდა მორიდებოდნენ რუსებსა და სომხებს. ამიტომ აქ ყველა მათგანი ქართველია“.

ღირშესანიშნვი ნაგებობები თბილისში. სალოცავი სახლები


თბილისის მშენება იყო სასულიერო ნაგებობები: ეკლესიები, ტაძრები, მონასტრები, მეჩეთები, რომლებიც ყველაზე ძველი ნაგებობები იყო ქალაქში. მართლმადიდებლური ტაძრებიდან შეიძლება *სიონის, ანჩისხატის, ქაშუეთის, მამდავითის, მეტეხის, კალოუბნის...* დასახელება. ცალკე იყო სომხური ეკლესიები (ვახუშტის ხუთი „სომხის საყდარი“ აქვს მითითებული). შიიტური მეჩეთი ქალაქის ცენტრში 1606 წელს იყო აშენებული შაჰ-აბას I-ის ბრძანებით. კათოლიკური ტაძარი (ვახუშტის 1735 წლის ქართლის რუკის გეგმის განმარტებაში მითითებულია „ლათინთ საყდარი“) კი XVIII საუკუნეში იყო აშენებული. კიდევ შეიძლება დავასახელოთ ლუთერანთა ორი კირხა, ორი სინაგოგა და ორი მეჩეთი (შიიტური და სუნიტური). 1735 წელს ვახუშტის მიერ შედგენილი რუკის განმარტებაში მითითებულია „ბერძნის საყდარი“.

ანჩისხატი აგებულია *ვახტანგ გორგასლის* მემკვიდრის – *დაჩი უჯარმელის* მიერ გადაუკეთებიათ. სახელწოდება „ანჩისხატი“ კი XVII საუკუნეში მიიღო კლარჯეთის სოფელ *ანჩის* საკათედრო ტაძრიდან გადმოსვენებული მაცხოვრის ხატის საპატივცემულოდ. რაც შეეხება სიონის ტაძარს, მას საფუძველი VI საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის გამგებლის *გუარამის* დროს ჩაყრია, ხოლო მშენებლობა VII საუკუნის მეორე ნახევარში *ადარნასეს* გამგებლობის დროს დასრულებულა.

მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია თბილისის ისნის უბანში XIII საუკუნის შუა ხანებშია აგებული (ტაძარში 1974 წლიდან ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლამდე ახალგაზრდული ექსპერიმენტული თეატრი იყო განთავსებული). ისანში (შემდეგდროინდელ ავლაბარში) კიდევ რამდენიმე ქართული ეკლესია იყო. XVII საუკუნის 70-იან წლებში კარის ეკლესია აუშენებია ერეკლე II-ის მეუღლეს დარეჯან დედოფალს. ეს ეკლესია იონა მიტროპოლიტს 1824 წელს მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრად უკურთხებია. იქვე მახლობლად იდგა *წმიდა მარინეს* ქართული ეკლესიაც.

ქართული ტაძრებიდან შეიძლება კიდევ დავასახელოთ *ჯვარის-მამა* (აშენებულია XVI საუკუნეში V საუკუნეში აგებული და მონ-

ლოლების მიერ დანგრეული აღრინდელი ეკლესიის ადგილზე), კლოდისუბნის წმიდა გიორგის ეკლესია, სასახლისეული წმიდა გიორგის ეკლესია...



სატივე თბილისში

კალოუბნის ეკლესია ახლანდელი კინოთეატრ „რუსთაველის“ ადგილზე მდგარა. კალოუბანი პირველად 1560 წლის საბუთშია მოხსენიებული: „ტფილის ქალაქს: ერთი სასახლე კალოუბანს...“ ხოლო 1715 წლის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „გარეთუბანს კალოუბანი წმინდის გიორგის საყდრის თავისის მამულით ზუმბულიძეთ სამკვიდრო არის“. ტადარი უგუმბათო ყოფილა. როგორც დავით კარიჭაშვილი აღნიშნავდა, „აქა სწავლობენ მრავალნი ყმანი კითხუასა წიგნთასა და წერასა“⁸³.

ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესია პირველად 1440 წელს შედგენილ სიგელში გვხვდება. ლეგენდა მის აშენებას 13 სირიელ მამას მიაწერს. XIX საუკუნეში მოღწეული ტადარი გივი ამილახვრის მიერ იყო აგებული 1754 წელს. დღევანდელი კვლავ ამილახვრების თაოსნობით აშენდა 1907-1910 წლებში, რომელიც 1947

⁸³ თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977, გვ. 55.

წელს ლადო გუდიაშვილმა მოხატა. XIII საუკუნეშია აშენებული *გერეს წმიდა ანდრეას* ეკლესია (ლურჯი მონასტერი).

გარეთუბანში სამების ეკლესიაც იდგა. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის უკან არსებული „სამების“ ეს ტაძარი 1790 წელს *პეტრე აღნაშვილს* აუშენებია, ხოლო სამრევლო მისთვის 1853 წელს მიუშენებიათ⁸⁴.

ვერის პარკის ტერიტორიაზეა *ანდრია პირველწოდებულის ეკლესია*, რომელიც ლურჯი მონასტრის სახელითაა ცნობილი. ეკლესია XII-XIII საუკუნეების მიჯნაზეა აგებული. სახელწოდება „ლურჯი“ მიიღო ლურჯი ფერის შორენაეცხვის გამო, რითაც დაფარული იყო საყდრის გუმბათი. XIX საუკუნეში 20-იან წლებში ლურჯ მონასტერს სახურავი ჩამოექცა, მღვდელთმსახურებაც შეწყვეტილა. ერთხანს აქ რუსეთის ხელისუფლებას თოფისწამლის საწყობი მოუწყვია. 1871 წელს მთავრობამ ეკლესიიდან თოფისწამალი გამოიტანა, ტაძარს რეკონსტრუქცია ჩაუტარეს და ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციებს დააშორეს. მღვდელთმსახურება 1873 წელს აღადგინეს. საბჭოთა პერიოდში განთავსებული იყო ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი.

ჩუღურეთში ორი ქართული ეკლესია მდგარა: *კვირაცხოვლის, წმიდა ნიკოლოზის* და ერთიც სომხური ღვთისმშობლის სახელობისა (XIX საუკუნის პირველი მეოთხედი). დღევანდელი წმიდა ნიკოლოზის ეკლესია ადრინდელი ეკლესიის ადგილზე 1856 წელს აუგია დეკანოზ *იოანე იბნაძეს* ეკლესიის შემოსავლითა და მრევლისაგან შემოწირული თანხით. ამ ეკლესიასთან XIX საუკუნის 80-90-იან წლებში მოძღვარ *სოლომონ შოშიაშვილის* თაოსნობით ქართული სამრევლო სასწავლებელი დაუარსებიათ. ორი ეკლესია იყო კუკიაზე. *ალესანდრე ნეველის ეკლესია* 1856 ააგეს მამინდელი კირჩნისა და ნიკოლოზის ქუჩების კუთხეში. შედარებით გვიანაა აშენებული მეორე მართლმადიდებლური ეკლესია კუკიის სასაფლაოზე. კუკიაზევე 1870-იან წლებში *ზუბალაშვილმა* ააშენა ქართველ კათოლიკეთა *პეტრე და პავლე მოციქულთა* ეკლესია. მარჯანიშვილისა და დავით აღმაშენებლის პროსპექტის გადაკვეთაზე იდგა გერმანელ ლუთერანთა ეკლესია (პირველი კირხა გერმანელებს აქ XIX

⁸⁴ თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977, გვ. 56.

საუკუნის 20-იან წლებში აუგიათ. შემდეგ კი უფრო დიდი XIX საუკუნის ბოლოს ააშენეს, რომელიც აკურთხეს 1897 წელს. მორე მსოფლიო ომის დროს გერმანელთა კირხა გამოყენებული იყო თბილისის მოსახლეობისაგან ჩამორთმეული რადიომიმღებების საწყობად. ლუთერანული ეკლესია დაანგრიეს 1946-1947 წლებში, მარჯანიშვილის მოედნის რეკონსტრუქციის დროს. კირხას გამო ქუჩას ეწოდა „კირინაია“). დიდუბეში დგას *ღვთისმშობლის ეკლესია*, რომლის მშენებლობა 1882 წელს დამთავრდა. მისი აღმშენებელი ყოფილა დეკანოზი *ზედგენიძე*. ეს ეკლესია ადრე არსებულ ნაეკლესიარის ადგილზე აშენდა, რომელიც XII საუკუნეში იყო აგებული.

თბილისელთათვის საკმაოდ ცნობილია *წმიდა ბარბარეს* სახელობის ეკლესია, რომელიც XIX საუკუნის მორე ნახევარშია აგებული. სადაც წმიდა ბარბარეს ეკლესია მდებარებს, ამ ადგილს ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დირსიჭალა ერქვა (დირსიჭალა, ღომელაურთან ერთად, ავლაბრისა და ნავთლულის გამყოფი იყო).


თბილისში მახათას მთაზე 2012 წელს *ივერიის ღვთისმშობლის ხატის* სახელობის ტაძარს ჩაეყარა საფუძველი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია გარკვეული, მახათას მთაზე ძველადაც ყოფილა ეკლესია, რომელიც *წმიდა ელის/ილის* სახელობისა ყოფილა. ეს ეკლესია როსტომ მეფის მიერ 1654 წელს გაცემულ წყალობის წიგნშია მოხსენიებული⁸⁵.

სომხურ ეკლესიებს რაც შეეხებათ, მათი დიდი ნაწილი ყოფილი ქართული ტაძრებია, რომლებიც გვიან სომხებს შეუძენიათ, მაგალითად *ფეთხანი*, რომელსაც თავის დროზე *ბეთლემი* ერქვა (ეს ეკლესია 1740 წელს თავად გივი ამილახვარს განუახლებია. სომხებმა ის მას შემდეგ შეიძინეს. ამ ეკლესიას სომხებს გიორგი XII-ის დროს ბერძნებიც ედავებოდნენ), სურფ-გეგორქი, რომელსაც ქართველთა ხელში „ცინის დიდი საყდარი“ ერქვა და წმიდა გიორგის სახელობისა იყო. ყველაზე მეტი სომხური ეკლესია ავლაბარში იყო: *ხოჯავანქის ღვთისმშობელი*, *წმიდა კარაპეტის*, *გრიგოლ განმანათლებლის*, *„ერმიაწინი სურბ-გეგორქ“*... ეს უკანასკნელი XVIII საუკუნის ბოლოს ააგეს სომხეთის სოფელ ერმიაძინიდან ჩამოსახლებულმა სომხებმა. ყველაზე ადრეული კი „ხოჯა ვანქის ასტავა-

⁸⁵ თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, გვ. 189-190.

წანი“ XVII საუკუნეშია აგებული. გარეთუბანში არსებული სომხური ეკლესიებიდან შეიძლება დავასახელოთ *კანქის ეკლესია* (XVI საუკუნე), *ქაძოანთ ეკლესია* (იდეა მეტროს სადგურ თავისუფლების მოედნის“ პირდაპირ) და „ზირკინაანთ წმიდა გიორგის ეკლესია“ (XVIII საუკუნე. საბჭოთა პერიოდის „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის უკან, ზუბალაშვილების ქუჩის მხარეზე).

როდესაც თბილისის საკულტო ნაგებობებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ აღინიშნოს *კლდის უბანში* მდებარე „ათეშენგა“, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავის ნანგრევებია⁸⁶.



თბილისელი მუშა

⁸⁶ თ. კვიციანი. ძველი თბილისი, თბ., 1984, გვ. 13-14.

თბილისის გარეგანი იერსახე და თბილისური სახლები

თბილისის აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარეობა მის იერსახეს განაპირობებდა. 1771 წელს თბილისში ნამყოფი გერმანელი *გიულდესტედტი* წერდა: „თბილისი არის სპარსული და ევროპული სახის დედაქალაქი და რეზიდენცია ქართველთა მეფისა“. იგივე ავტორი გვაუწყებს, რომ „თანამედროვე ქალაქი შეადგენს თითქმის ბლაგვ სამკუთხედს და, გარდა ერთი ადგილისა მტკვართან, შემორტყმულია აგურის კედლით; ამასთან აღმოსავლეთის კუთხეში არის პატარა ციხე ნარიყალა და დასავლეთისაში – სიმაგრე შარდახტი. ქალაქის კედელი მათ შორის არის 600 საყენის სიგრძისა და მთელი ქალაქის გარშემო შეადგენს დაახლოებით 3 რუსულ ვერსს ან 1500 საყენს. ამ, არც ისე დიდ, ფართობზე ცხოვრობს დაახლოებით 20000 მცხოვრები, ამიტომ ქუჩები არის დაახლოებით 1 საყენი სიგრძისა, შესახვევები კიდე უფრო ვიწრო“⁸⁷. იგივე ავტორი ქალაქში მხოლოდ ერთი ხიდის არსებობაზე მიუთითებს, რომლითაც „შევდივართ მეტეხის პატარა ციხეში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე“.

თბილისის გარეგნული იერსახე საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა, იცვლებოდა ქალაქის ზღუდის კართა რაოდენობა და მათი სახელები. თბილისს შესასვლელი კარები ჰქონდა. ქალაქის კარებს რამდენიმე დანიშნულება ჰქონდა; ესენი იყო ეკონომიკური, დაცვა მოულოდნელი თავდასხმისაგან, ქალქისა და მისი გარშემო მიდამოების ურთიერთდაკავშირება. ქალაქის კომპებსა და კარებებს საგანგებოდ მიჩენილი მცველები ჰყავდა. „ქალაქის მცველნი“ ქალაქის კომენდატს, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ციხისთავს“ ემორჩილებოდნენ. მცველები კარებს ღამით კეტავდნენ და დილით ადრე ცისკრისას აღებდნენ. ქალაქის კარები ქალაქის საბაჟო პუნქტებს წარმოადგენდნენ. ქალაქის მცველებს დავალებული ჰქონდათ არა მარტო თვალყური ედევნებინათ შემოსული და გასული საქონლისათვის, არამედ ამ საქონელზე სათანადო ბაჟიც აეღო.

⁸⁷ გიულდესტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი პირველი, გაა გეოგრაფიკის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 87.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სამხრეთით თბილისში შესასვლელი კარები იყო: *აბანოს კარი*, *განჯის კარი*; დასავლეთიდან – *კოჯრის კარი*, *დიღმის კარი*, ჩრდილოეთიდან – *მოედნის კარი*, *ქვემო წყლის კარი*. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში *ქვემო წყლის კარის* გაუქმების შემდეგ (ქვემო წყლის კარის კართან მდებარე მუხრანბატონის კარმიდამოს გაფართოება-გაზრდის გამო) მოედნის კარს შეეცვალა სახელი და *ზემო წყლის კარი* დაერქვა.



მეიდანის

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, თბილისის გალავანში, ორი კარი იყო დატანებული: *ავლაბრის კარი* (ეს იყო მთავარი კარი, სადაც თავს იყრიდა ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან წამოსული ქალაქში შემოსასვლელი ყველა გზა) და *პატარა კარი*, საიდანაც იწყებოდა ავჭალის დიდი გზა. თბილისის ყველა კარს თავისი დამცველი ბურჯი ან კოშკი ჰქონდა, სადაც იდგა საგანგებო მოხელე – *მეკარე*. ასევე ზოგიერთ კართან იდგა *მეზაფე*, რომელიც ზედამხედველობას უწევდა ქალაქში შემოტანილ საქონელს. მეკარე მევის მოხელე იყო. ის ქალაქის ზღუდეში დატანებულ კართან იდგა. მე-

კარის მოვალეობას შეადგენდა ქალაქის კარში შემსვლელ-გამსვლელის, ქალაქში შეტანილ და იქიდან გამოტანილ საქონელზე მეთვალყურეობა, რაშიც მეფისაგან ჯამაგირს იღებდა. სალამოს ჟამს ქალაქში შესასვლელი ყველა კარი იკეტებოდა. დაგვიანებულ მგზავრს თუ ქარავანს ღამის გათენება ქალაქის გალავანს მიღმა უხდებოდა. ქალაქს ჰქონდა *ნაღარახანიც*. მამისა ბერძნიშვილი წერს: „უპოლია ორბელიანის ცნობითაც, ბატონის მოედნის სამხრეთ ნაწილში მდგარა „მაღალი და განიერი ტრიუმფარის კარები ქვიტკირისა, რომელსაცა უწოდებდნენ ნახარახანად, რაზედაცა დაუკრამდნენ დილას, სალამოსა დაფდაფებსა და ქოსნაღარასა“⁸⁸.

თბილისის იერსახეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მდინარეებსა და ვერეზე მრავალი წისქვილის არსებობა, რის შესახებაც ძველთაგანვე წერდნენ თბილისში ჩამოსული უცხოელი მოგზაურები. მტკვარზე ე. წ. „მოცურავე/მოტივტივე წისქვილები“ იყო განლაგებული. ასეთი **წისქვილები ნავისმაგვარ ტივტივებზე იდგა, ნაპირზე კი მსხვილი ჯაჭვებით იყო დამაგრებული**. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გადაღებულ და ჩვენამდე მოღწეულ ფოტოზე კარგად ჩანს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ჩამწკრივებული ერთ ათეულზე მეტი წისქვილი. 1828 წლის გეგმაზე 17 „მოტივტივე წისქვილია“ ნაჩვენები. იყო ისინი ჩუღურეთსა და კუკიაზეც. ასეთმა წისქვილებმა XX საუკუნის 20-იან წლებამდე მოაღწია. „მოცურავე/მოტივტივე წისქვილები“ ძალიან დიდი ხნის იყო. ყოველ შემთხვევაში პირველად ის X საუკუნის არაბულ წყაროშია (*იბნ ჰუკალი*) დადასტურებული. თბილისში „ტივტივზე გამართული წისქვილების“ შესახებ მიუთითებდა აგრეთვე XIII საუკუნეში სპარსულ ენაზე „სამყაროს საკვირველებანის“ უცნობი ავტორი⁸⁹.

თბილისის იერსახეს ქმნიდა აგრეთვე *გოგირდოვანი აბანოები, ბაზრები და სავაჭრო რიგები*, მრავალრიცხოვანი სალოცავი სახლები, სახელოსნოები... თბილისის ტრადიციულ იერსახეს უარყოფითი დადი დასვა 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევამ, რომელსაც

⁸⁸ მ. ბერძნიშვილი. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965, გვ. 14.

⁸⁹ თბილისი. ენციკლოპედია. თბ., 2002, გვ. 61.

ვერ გადაურჩა ქალაქში მდგარი ვერც ერთი საერო თუ საეკლესიო ნაგებობა.

თანამედროვე თბილისის მეფეთა სასახლეები აღარ შემორჩა – ისინი ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს განადგურდა. შემორჩენილია ე. წ. საჩინო – დარეჯანის სასახლე. ის 1776 წელს ააშენეს ერეკლე II-ის მეუღლის, დედოფალ დარეჯანისათვის. სასახლის კომპლექსში შედიოდა აპარტამენტები, სხვადასხვა დამხმარე სათავსო და სამეფო კარის ეკლესია. აგებულია ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევებზე, რომლის კოშკები, ბურჯები და კედლები ამოყვანილია რიყის ქვისა და კვადრატული (ე. წ. ქართული) აგურის შერეული წყობით. გეგმით მრგვალი ხის აივანი მოხდენილად აკვირგვინებს მძლავრად წინ გამოსულ ასევე მრგვალ ბურჯს. საჩინოში 1822 წელს მონასტერი იყო, ხოლო 1862 წელს – სამაზრო-სამრევლო სასწავლებელი და სემინარია სამღვდელოების ბავშვებისათვის.

ძველ თბილისში მტკვრის კალაპოტი მეტეხთან ყველაზე ვიწროა; აქ მდინარის მარცხენა შეუული ნაპირი – მტკვრის თავზე გადმოკიდებული აივნიანი სახლები – განუმეორებელ იერს აძლევს ქალაქს. მეტეხის კლდის გასწვრივ განაშენიანებას, მრავალი გადაკეთების მიუხედავად, თავისი პირვანდელი და თვითმყოფადი იერი შერჩა. ესაა მეტწილად ორ-სამსართულიანი სახლებისაგან შემდგარი რიგი – განაშენიანება, რომელიც აკვირგვინებს შეუულ კლდეს მტკვრის კალაპოტის მარცხენა ნაპირსა და ვიწრო, მოხდენილ რუისის ქუჩას შორის, თავისი მრავალრიცხოვანი აივნით, ლოჯიით, ტერასით, საყრდენი კედლით, დაკიდული ბალით – თბილისის ყველაზე საინტერესო და რომანტიკული ანსამბლია. დღეს აქ მეტწილად სასტუმროებია განთავსებული. ამ ვიწრო კალაპოტზე გადებული ხიდი ახლანდელი მეტეხის ძირში აკავშირებდა თბილისის მარჯვენა ნაპირს მარცხენასთან. შუა საუკუნეების თბილისის განაშენიანება ქალსური იყ. ქუჩები – ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული და აღმა-დაღმა მიმართული.

თბილისის იერსაზე ერთგვარად შეიცვალა XIX საუკუნიდან – დაიწყო ქალაქის ევროპეიზაციის პროცესი. ამ ახალ იერს ბევრად განაპირობებდა მაღაზიების, ღუქების, ქარვასლების სიმრავლე. ძველი თბილისური ყოფა ადგილს უთმობდა ახალს, თანდათან ხდებოდა აზიური ელემენტის შემცირება და შევიწროვება. XIX საუკუნის

20-იან წლებში თბილისში საფრანგეთის კონსულად მყოფი *ჟ. ფ. გაბა* აღნიშნავდა, რომ ოცი წლის წინათ თბილისში აზიური წესჩვეულებანი იყო გაბატონებული... დღეისათვის ქალაქში რამდენიმე სასტუმროა... ერთს რესტორანი აქვს გახსნილი, ორ ფრანგს კი საფუნთოზე“. 1837 წელს თბილისში ჩამოსული *რიჩარდ უილბრაჰი* ქალაქის იერსახის კონტრასტულობას აღნიშნავდა: „თბილისის ეს ნაწილი (ძველი უბნები) არქიტექტურითა და ხალხის ჩაცმულობით მთლად აზიურია, ბაზრის გრძელი რიგები ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ქართველებით და სომხებით არის სავსე. მოპირდაპირე მალლობზე აგებული სახლები უკეთესია და ქუჩებიც უფრო ფართოა. ევროპული იერსახის იყო ახლად გაშენებული გარეთუბანი. XIX საუკუნის 90-იან წლებში თბილისში ნამყოფი ფრანგი მოგზაური *ემილ ლევიე* წერდა: „მალიდან ქალაქი საღამოს ჟამს მშვენიერი სანახავია. ასე მგონია, ეიფელის კოშკიდან გადავცქერი გაჩირადდნებულს პარიზს-მეთქი... ევროპული მოძრაობა და სიცოცხლე ტფილისს არ აკლია. ქუჩაში ათასნაირი ხალხი ირევა, რომელთა შორის გაარჩევთ რუსის ოფიცრებს, გლეხებს, ქალებს პარიჟის უკანასკნელ მოდაზე მორთულთ და სხვ... ყველაზე უფრო ხშირად ქართველებს ვხვდებით, ჩერქეზული ტანისამოსით მორთულებს, წელზე რომ ხანჯალი არ ეკიდოთ, ბერები გეგონებათ“. 1830-1840-იან წლებში თბილისში ხუთჯერ ნამყოფი გერმანელი *კარლ კოხი* აღნიშნავდა: „მე არ ვიცი სხვა ადგილი, რომელსაც ჩემზე ასეთი სასიამოვნო შთაბეჭდილება მოეხდინოს იმიტომ, რომ აქ, თბილისში, აღმოსავლური ხასიათი ევროპულის გვერდით საკმაოდ წმინდად არის შემონახული... ყველაზე ლამაზად მაინც მტკვრის ნაპირას მდებარე, ჩამწყვივებული სახლები გამოიყურება, განსაკუთრებით საღამო ჟამს, როდესაც მდინარეში ათასფერადი ნათურების სინათლე ირეკლება ხოლმე...“

XIX საუკუნის კიდევ ერთი ავტორის სიტყვები უნდა მოვიხსენოთ. ესაა ყაჯართა დინასტიის წარმომადგენელი *მაჯდ-ალ-სალტანე*: „ქალაქის შუაში რამდენიმე ბულვარია, სადაც სახელმწიფო დაწესებულებათა უმრავლესობაა, სამხედრო და ქალაქის მუზეუმები, სასტუმროები („ლონდონი“, „კავკასია“, „ვერსალი“, „გრანდოტელი“, „ორიანტი“, „მაჟესტიკი“), ეკლესიები, თეატრები, ცირკი, საზოგადოებრივი კლუბები, ბულვარზე ლამპიონებია. ავტორი იხსენი-

ებს ტელეფონს, ტრამვაის (ყველა ცნობილ ქუჩაზე ტრამვაის ხაზია), ეტლებს (3000 გასაქირქვებელი ეტლია), ველოსიპედებს, ეტლებსა და კარეტების დამამზადებელ ფაბრიკებს, რომელთა ნაწარმი ირანშიც გააქვთ, ჯარის სადგომებს, ჯარს, მათ ტანსაცმელს, სათესი მანქანების დამამზადებელ ქარხნებს, სამკურნალო დაწესებულებებს, აბანოებს (ორბელიანის აბანო), აფთიაქებს, ზუსტი ხელსაწყოების მაღაზიებს...“⁹⁰

ქალაქის ძველ ნაწილში თუ კვლავ აგრძელებდა ცხოვრებას შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა პროფესიის მიმდევარი, ახალ ნაწილში კი – ძირითადად არისტოკრატია, ინტელიგენცია, მსხვილი მეწარმეები და დიდვაჭრები ცხოვრობდნენ.

XIX საუკუნეში აიგო ისეთი შესანიშნავი შენობები როგორებიცაა ოპერის თეატრი (ოპერის პირველი თეატრი დღევანდელი თავისუფლების მოედანზე, საკრებულოს მიმდებარე ტერიტორიაზე 1851 წელს გაიხსნა. დღევანდელი შენობა კი 1874 წელს აიგო იტალიელი არქიტექტორის *ჯოვანი სკუდირის* ხელმძღვანელობით); რუსთაველის თეატრი („საარტისტო საზოგადოება“, დაარსდა 1887 წელს. მის სარდაფში მოწყობილი იყო რესტორანი „ქიმიონი“ – მწერალთა და მხატვართა თავშეყრის ადგილი), კონსერვატორია (აშენდა 1904 წელს), მწერალთა სახლი (დავით სარაჯიშვილის სახლი აშენებულია 1905 წელს), საკრებულოს შენობა (XIX საუკუნის დასაწყისი), უზენაესი სასამართლო (1894 წელი), მარჯანიშვილის თეატრი („სახალხო თეატრი“ დაარსდა 1902 წელს), საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი (ზუბალაშვილების სახლი. 1837 ამ სახლში თბილისში ჩამოსული რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ის საპატივცემულოდ მეჯლისი გაიმართა).

XIX საუკუნის გაევროპულიებული თბილისის სურათებს აღწერს რუსი მწერალი *დუნკელ-ველინგი*, რომელიც თბილისში 1860 წელს იმყოფებოდა. მას მოყვანილი აქვს 1864 წლის სტატისტიკური მონაცემები ქალაქის მოედნების, ქუჩების, მიწისქვეშა არხების, ბაღების შესახებ. იმ დროისათვის თბილისში ყოფილა 212 ქუჩა და 10 მოედანი, აქედან მოკირწყლული იყო 56 ქუჩა და 5 მოედანი. სხვა ცნობით თბილისის ქუჩების მოკირწყვლა 1867 წელს დამთავ-

⁹⁰ თბილისი. ენციკლოპედია. თბ., 2002, გვ. 61.

რებულა. 1860-იანი წლებიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა წყალ-სადენი მიწებისა და კანალიზაციის გაყვანა. *დუნკელ-ველინგი* გაზის ფარნების შემოღების შესახებაც წერს: „თბილისის ხიდები, ქუჩები და მოედნები ნათდება ამჟამად 302 ფარნით, რომელსაც აქვს კაშკაშა სინათლე... გაზს ღებულობენ სითხის (ნავთობის) წვის შედეგად...“⁹¹

შუა საუკუნეებში თბილისში საცხოვრებელი სახლები ძირითადად ორგვარი იყო: *დარბაზი* და *მიწური* (*ბანიანი*) სახლი. ვახუშტი ქალაქური სახლების შესახებ ამბობს, რომ „სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი ვაჯით, ზოგთა სპარსთა რივისა, ზოგთა ქართული“. გიულდენშტედტიც ფაქტობრივად იგივეს ადასტურებს: „სახლები ნაგებია აგურისა და ფილაქნებისაგან, თიხნარევი კირით, ერთსართულიანი, დაახლოებით 15 ფუტი სიმაღლისა, სახურავები სწორი – თიხით დაფენილი; ოთახებს აქვთ ბუხარი...“. ეს ბანიანი სახლები მთის კალთებზე იყო განლაგებული ისე, რომ ქვემო სახლის ბანი ზემოთ მდებარე სახლისათვის ეზოს წარმოადგენდა. თბილისის გალავნის შიგნით ექვსასი ბანიანი სახლის არსებობის შესახებ მიუთითებს თურქი *ევლია ჩელები* (XVII საუკუნე). როგორც *მამისა ბერძნიშვილი* მიუთითებს, ვახუშტის „სპარსული რიგით“ ნაშენი სახლი თბილისურ დოკუმენტებში მოხსენიებული „შირვანული სახლი“ უნდა იყოს, ხოლო „ქართული რიგის“ სახლი – დარბაზი⁹². შემდეგ კი ტიპური იყო აივნიანი სახლი. სწორედ ამ აივნიანი საცხოვრებელი სახლებით იყო გამორჩეული საქართველოს დედაქალაქი. გვიანობამდე ყოფილა შემორჩენილი დარბაზული სახლიც, რომელსაც გვირგვინიანი გადახურვა ჰქონდა (მაგალითად ცნობილია *ფორაქიშვილების* დარბაზი). *ფორაქიშვილების* დარბაზი მეტეხის უბანში მდებარეობდა. გერმანელი მხატვრის *კარლ ცაარის* ნახატიდან (1903 წელი) ჩანს, რომ ფორაქიშვილების დარბაზს ჰქონდა 12-წახნაგოვანი გვირგვინი, ორი მაღალი, წვრილი დედაბოძი, კედლის განჯინები და თახჩები. გლეხური დარბაზისაგან განსხვავებით, აქ კერა არ არის. ინტერიერის არქიტექტურა მხატვრულად დასრულებულ ხასითს ატარებს და ქართული ხუროთმოძღ-

⁹¹ III. К. Чхетия. Тбилиси в XIX столетии, Тб., 1942.

⁹² თბილისის ისტორია, ტომი I, თბ., 1990, გვ. 328.

ვრების ჩამოყალიბებულ ნიმუშს წარმოადგენს. დამახასიათებელია აგრეთვე *ფორაქიშვილების დარბაზის* განლაგება რელიეფზე – საფეხურისებური, ისე, რომ ქვემო სახლის ბანი ზემოსათვის „ეზოდ“ იყო გამოყენებული. თბილისური დარბაზების არსებობა XIX საუკუნეში შეწყდა. დარბაზისათვის ყურადღება *ალექსანდრე გრიბოედოვს* მიუქცევია. 1828 წელს თავის ჩანაწერებში ხაზს უსვამს ადგილობრივ კლიმატურ პირობებში დარბაზის უპირატესობას ახალ ნაგებობებთან შედარებით⁹³. თბილისურ საცხოვრებელ სახლებს ზოგიერთი მეცნიერი ქალაქურ სახლებს უწოდებს.⁹⁴ ისიც შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საცხოვრებელ ნაგებობებს შორის ქალაქურ/თბილისურ სახლს გამორჩეული ადგილი ეკავა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი ეთნიკურად მრავალფეროვანი იყო, ქალაქური სახლი სრულიად სამართლიანად ერთიანი ეროვნული შემოქმედების შედეგადაა მიჩნეული. ის ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების გზით ჩამოყალიბდა. შუა საუკუნეების მოგზაურთა ცნობების თანახმად, თბილისში სახლების განლაგება ტერასული იყო, რომლებსაც ბანიანი სახურავები ჰქონდათ, რომლებზედაც მამაკაცები და დედაკაცები დასეირნობდნენ და ზაფხულის ცხელ დღეებში ეძინათ კიდეც. აქვე საღამოობით სიმღერისა და მუსიკის ზმა ისმოდა, იმართებოდა *ტაშფანდური*. XVIII საუკუნეში თბილისში უკვე დადასტურებულია ორსართულიანი სახლები, რომლის პირველ სართულზე ხშირად ღუქანი იყო მოთავსებული, მეორეზე – საცხოვრებელი. შარდენის მიერ შესრულებულ გრაფიურაზე სახლები ორი ტიპისაა: ორფერდა გადახურვითა და კვადრატული ფორმის ერთსართულიანი ნაგებობა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა თბილისის ხუროთმოძღვრული სახის ცვლა. ამიერიდან მთავარი გახდა საქალაქო არქიტექტურა: ადმინისტრაციული შენობები, ყაზარმები, სასწავლებლები, საავადმყოფოები... შუა საუკუნეებში შვიდი-რვა თვის განმავლობაში თბილისელები დროის დიდ ნაწილს თუ სახლის ბანებზე ატარებდნენ, ახლა უკვე ბანი აივნებმა შეცვალა. თუმცა ხაზგასმით უნდა

⁹³ Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, М., 1990, с. 111.

⁹⁴ ლ. ბოჭორიშვილი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურა, I. სამშენებლო ხელოვნება, თბ., 2015, გვ. 24.

აღინიშნოს, რომ არც XVIII საუკუნის თბილისისათვის ყოფილა აივანი მთლად უცხო, მაგალითად, საბუთებში მოხსენიებულია სახლის „ეივანი“, „აფიცრული გარდმონაკიდი“, „წამოკიდებული ყავრული“. ასეთი სახლები ჰქონიათ XVIII საუკუნის თბილისში ზაზა თარხნიშვილსა და სოლომონ ლეონიძეს⁹⁵. ისიც ბუნებრივია, რომ „ეივანი“ და „აფიცრული გარდმონაკიდი“ ძველთბილისურ ერთსართულიან სახლებს ვერ ექნებოდა. აქედან დასკვნა, რომ ორსართულიანი სახლები თბილისში უკვე XVIII საუკუნეშიც არსებობდა. უბრალოდ, ამ სახლებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის გამო. ასეთი აივნიანი და „აფიცრული გარდმონაკიდი“ სახლები დიდკაცებს გააჩნდათ. აივნიანი სახლები ნაკარნახევი იყო როგორც საყოფაცხოვრებო მოთხოვნებით, ისე ეთნიკური ტრადიციებით. აივანი იმდენად დიდ როლს თამაშობდა თბილისელთა ცხოვრებაში, რომ მისი ფართობი არცთუ ისე იშვიათად ოთახების ფართობს აჭარბებდა. „აფიცრული გარდმონაკიდს“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნდა: ოთახებს იცავდა მცხუნვარე მზისაგან, ის რამდენადმე ამსუბუქებდა ზაფხულის ცხოვრებას. სახლებს აივნები ჰქონდა ქუჩის მხარესაც და შიგნით, ეზოსკენაც. სახლს ქუჩის მხარეს აივანი თუ დაკიდებული ჰქონდა, შიდა მხარეზე ამას ვერ ვიტყვით. აქ აივნები დიდი, ზოგჯერ შემინული (შუშაბანდი) იყო ღია კიბეებით. შუშაბანდებს და კიბეებს ჰქონდა რიკულები, სვეტები, თალები, მოხარატებული და რთულსახეებიანი მოაჯირები. აივნები საღამოობით ოჯახის, პირველ რიგში ქალების, დასასვენებელი ადგილიც იყო; აქედან თვალყურს ადევნებდნენ ქუჩის ცხოვრებას. XIX საუკუნის 70-იან წლებისათვის ეს „თბილისური სახლები“ გაბატონებული იყო. აივნიან თბილისურ სახლებს ჰქონდა სარდაფები. იშვიათად იყო, რომ სახლს სამხარეულოც ჰქონოდა. მხოლოდ 1864 წელს ქალაქში აშენებულა 113 აივნიანი კერძო სახლი, რაც ცხრაჯერ აღემატებოდა წინა წლის მონაცემებს. 1864 წელს თბილისში დაახლოებით ცხრა ათასი ასეთი სახლი იდგა (მათ შორის მხოლოდ 72 ყოფილა ხისა). ეს სახლები დღესაც თბილისის მხატვრულ მომხიბვლელობას ქმნის. მისი ნიმუშები შემორჩენილია კა-

⁹⁵ მ. ბერძნიშვილი. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965, გვ. 63.

ლაში, სოლოლაკში, მთაწმინდაზე, მეტეხის მიმდებარედ, დავით აღ-
მაშენებლის პროსპექტზე და პროსპექტის პარალელურ ქუჩებზე. ამ
სახლების არქიტექტურა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების უკა-
ნასკნელ ფურცლადაა მიჩნეული. თბილისური სახლების ხის დახვე-
წილი აივნების მშენებლები ქართველი ხელოსნები იყვნენ.

X საუკუნის სომეხი მემკვიდრე როდესაც საუბრობს *ბუღა-თუ-
რქის* მიერ თბილისის აღებისა და გადაწვის შესახებ (853 წელი),
აღნიშნავს, რომ იმ დროის თბილისის ზღუდეები და კედლები, სა-
სახლეები და ქალაქის მცხოვრებთა სახლები ერთიანად ხისა იყო
და ამიტომაც თბილისს წინათ „ფაიტაკარანს“ ეძახდნენ (რაც სომ-
ხურად ხისაგან ნაგებს ნიშნავს). ჩვენამდე არ მოუღწევია XVIII
საუკუნის თბილისში არსებულ სასახლეებს – ისინი 1795 წლის
აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს განადგურდა. ჩვენამდე მოაღწია
მხოლოდ 1748 წელს ხელახლად აშენებულმა დარეჯან დედოფლის
სახლმა „საჩინომ“, რომელიც მტკვრის მარცხენა ნაპირზე ჩიტის
ბუდესავითაა დაკიდებული, რიყის უბნის ზემოთ, ციცაბო კლდეზე
აღმართულ გალავნის ბურჯზე.



გმირთა მოედანი 1930-იან წლებში



ხილი ვერეზე. აქ ახლა გმირთა მოედანია



ჯგარი თანამედროვე გმირთა მოედანის ტერიტორიაზე



გმირთა მოედანი საბჭოთა პერიოდში



გმირთა მოედანი დღეს

თბილისური ეზოები

ძველ თბილისელთა ყოფაში ეზოსა და უბანს განსაკუთრებული ადგილი ეკავა, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში – ეზოში საუბრობდნენ, ნარდს თამაშობდნენ, პატარები ხალხური თამაშებით იყვნენ დაკავებული. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ეზოში ყვიღ-ხივილი გაისმოდა. ეზოებში ხეხილიც ედგათ, განსაკუთრებით კი – თუთა. ამასთანავე ეზო მრავალეთნიკური იყო. ეზოებში ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ სომხები, ასირიელები, ბერძნები, ქურთები, რუსები, თათრები, ებრაელები. მრავალფეროვანი იყო თბილისური ეზო სოციალური თვალსაზრისითაც – აქ თავი ჰქონდა მოყრილი სხვადასხვა სოციალური ფენისა და პროფესიის ადამიანებს.

ეზო ერთი დიდი ოჯახი იყო თავისი საერთო სარდაფით, ეზოში მდგარი საპირფარეშოთი (*აბხანით*) და ონკანით. ამ საერთო ონკანზე ირეცხებოდა ხილი, მწვანილი, სხვადასხვა სანოვაგე და ხორავი. ასე რომ, ყველამ იცოდა, ვის ოჯახში რა სადილი მზადდებოდა. ეზოში ირეცხებოდა და იქვე გაბზულ თოკზე იფინებოდა სარეცხი. ზაფხულობით ამზერებდნენ და თოკებსა და აივნის მოაჯირებზე კიდებდნენ საბნებსა და ლეიბებს, აივნებზე პენტავდნენ მატყლს, კერავდნენ და ალიანდაგებდნენ საბნებს, ქალები ფარდაგების, ნოხებისა და ხალიჩების რეცხვაში ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ეზოში, ხის გრძელ სკამებზე ჩამომჯდარი ქალები, თითისტარით მატყლის ძაფს ართავდნენ. ამ ძაფისაგან კი ზამთრობით წინდებსა და სამოსს ქსოვდნენ.

თბილისელთა ეზოებისათვის ძველად არც ჭები ყოფილა უცხო. ჭაც ბუნებრივია საერთო იყო. ის მთელი ეზოსათვის მაცივრის როლს ასრულებდა – ზაფხულში მასში თოკობებული ვედროთი იცოდნენ გასაცივებლად საზამთროს, ნესვის, კვარტიანი ბოთლებით კახური ღვინის ჩაშვება. თბილისელები მეზობელს უწოდებდნენ არა მხოლოდ ერთ ეზოში მცხოვრებთ, არამედ მეზობელ სახლებსა და ყველა ქუჩის მაცხოვრებელს. ერთ ქუჩასა და მეზობელ ქუჩებზე მცხოვრებნი არა მხოლოდ ერთმანეთს ცნობდნენ, არამედ ერთმანეთის ჭირისა და ლხინის მოზიარებებიც იყვნენ. ყველა ეზოს თავისი ტრადიცია ჰქონდა და თუ ახალი მოსახლე შეემატებოდა, მასაც ამ ტრადიციით უნდა ეცხოვრა, უნდა გაეზიარებინა ცხოვრების ის ყაი-

და, რაც ეზოში იყო დამკვიდრებული. მეზობლობის ტრადიციას თუ ვერ გაიზიარებდა, მას სხვაგან მოუწევდა გადასვლა.

ერთ ეზოში მცხოვრებთ ფაქტობრივად ნათესავებად ჰქონდათ თავი გააზრებული. ისინი ერთმანეთს ქომავობდნენ, სხვას მეზობელ გოგოს დაჩაგვრის საშუალებას არ მისცემდნენ. ეზოებისათვის (აგრეთვე ქუჩისთვისაც) „ყოჩი“ და „ყოჩები“ იყო დამახასიათებელი, რომელთა იმედით თამამად დადიოდნენ უბანში. თბილისის ეზოს გარკვეული დაუწერელი კანონებიც ჰქონდა შემუშავებული – იქ, სადაც უფროსები იდგნენ და საუბრობდნენ, უმცროსები ვერ მივიდოდნენ მათი ნებართვის გარეშე, მით უმეტეს, ახალგაზრდა უფროსების საუბარში ვერ ჩაერეოდა. უზრდელობად მიიჩნეოდა მოსაუბრეთა შუაში გავლა.



თბილისური სახლი ეზოს მხრიდან

საერთო ქართული სტუმართმოყვარეობა თბილისელებისთვისაც დამახასიათებელი იყო. ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-60-იან წლებში თბილისის ძველ უბანში ზაფხულის ცხელ დღეებში გამკვლევი ეზოში რომ შესულიყო წყლის დასალევად, ონკანიდან წყალს არ

დააღვინებდნენ, – „მასპინძელი“ „სტუმარს“ ონკანიდან გამოძინარე ცივ წყალს ლამბაქიანი ფინჯნით მიართმევდა. სალამოობით ეზოებისათვის არც იმპროვიზირებული პურმარლი („თათარიახნი“) იყო უცხო. ყველას თავისი პროდუქტი გამოჰქონდა. გამვლელ-გამოვლელსაც მიიპატიჟებდნენ და ჭიქა სასმელს შესთავაზებდნენ. გამვლელი კი უმეტეს შემთხვევაში „პურის მჭამლებს“ აღლევრძელებდა. ეზოსა და ქუჩაში თამაშობდნენ წელახტს, გრძელ ვირს, მრგვალ ვირს, კოჭობანას... ეზო ეზოს ეჯიბრებოდა, ქუჩა – ქუჩას, უბანი – უბანს.

ძველ თბილისში ეზოების ეს ტრადიცია მართალია XIX საუკუნის დასწყისში აივნინი და ორ-სამსართულიანი სახლების აშენების შემდეგ დამკვიდრდა, მაგრამ ბევრი რამ თბილისელებმა, განსაკუთრებით მეზობლური ურთიერთობები, უფრო ადრინდელი თბილისელებისაგან მიიღეს, როდესაც ისინი დარბაზებსა და ბანიან მიწურ სახლებში ცხოვრობდნენ. ორ-სამსართულიან სახლებს ეზოს მხრიდან გარშემორტყმული ჰქონდა ღია, ხის რიკულებიანი საერთო აივანი, რომელიც მეზობელთა ერთგვარ საკრებულოს წარმოადგენდა; ის იყო ოჯახის წევრთა, სტუმრებისა და მეგობრების ძირითადი დასასვენებელი და თავმესაყრელი ადგილი. ქვედა, პირველ სართულზე მცხოვრებნი კი ეზოში იკრიბებოდნენ. ხშირი იყო სჯა-ბაასი, ნარდის, ღომინოს, ჭადრაკის თამაში. ეზოს მხრიდან სართულები კი ხვეული კიბეებით იყო ერთმანეთთან დაკავშირებული⁹⁶.

თბილისურ ეზოებში მის მცხოვრებთ საერთო თონეები ჰქონდათ. თავდაპირველად ქალაქში პური არ ცხვებოდა, ყველა თავისთვის აცხობდა, გარედან პურის შეტანა სირცხვილი ყოფილა. ყველა ეზოში ხეხილიც საკმარისი რაოდენობით იყო, განსაკუთრებით ლეღვი, უნაბი და თუთა.

⁹⁶ თ. ბერიძე. ეზო-აივნები ძველ თბილისში. – თბილისი. ენციკლოპედია, თბ., 2002.

თბილისელთა სამოსი

თბილისელთა სამოსი ერთგვაროვანი არ ყოფილა. მის მრავალგვარობას ქალაქის ჭრელი ეთნიკური ვითარება განაპირობებდა. თბილისის ქართული მოსახლეობის სამოსი თითქმის ისეთივე იყო როგორც ქართლელების, რომლებიც საერთო ქართული სამოსის ქართული ვარიანტით იმოსებოდნენ. ქალაქის ქართველი მოსახლეობის ბირთვს XIX საუკუნემდე ხომ ქართლელები წარმოადგენდნენ. ქართლიდან უფრო ხშირი იყო მოსახლეობის მიგრაცია, ვიდრე საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან. ამიტომაც XIX საუკუნის 30-იან წლებამდე თბილისელებისა და ქართლის სოფლების მკვიდრთა ტანსაცმელი პრაქტიკულად იდენტური იყო.

თბილისელი ქალის სამოსის ძირითადი ელემენტები იყო: პერანგი (მკერდმოქარგული), კაბა, ზედა ტანსაცმელი, თავსაბურავი... საცვლებს წარმოადენდა გრძელსახელოიანი გრძელი პერანგი, რომელიც კოჭებამდე სწვდებოდათ. კოჭებამდე ატარებდნენ შარვალსაც, რომელსაც შეიდიშს უწოდებდნენ. პერანგი და შეიდიში ძირითადად იკერებოდა ტილოს, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილისაგან. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი ქალები თბილისში ატარებდნენ აგრეთვე ახალუხს – მოკლე ჩახსნილ სამოსს. ზედაფენის წარმომადგენელი ქალები ახალუხს შემოტანილი ძვირფასი ქსოვილებისაგან იკერავდნენ. „ქართული კაბა“ იყო გრძელი. კაბაზე წამოცმული გულისპირი ოქრონაქარგი ჰქონდათ. აუცილებელი ელემენტი იყო სარტყელიც (აბრეშუმის, ატლასის, ხავერდის), რომელიც თითქმის ბოლომდე იყო ჩამოშვებული. სარტყლის ბოლოები ქვევით ფართოვდებოდა, წინ იკერებოდა და ფეხებამდე აღწევდა. დიდებული ქალები ატარებდნენ ოქროქსოვილისაგან, გამჭვირვალე თეთრი ან წითელი შალის ქსოვილის სარტყელს. კაბას ჰქონდა ოდნავ ჩახსნილი სახელოები, რომლის ქვეშ მოჩანდა ყურთმაჯები. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ახალუხი შეცვალა *კოფთამ* (ზედატანი) და *ჩიხორამ* (ქვედატანი). ქართული კაბის სახელოები მთლიანი იყო, თუმცა ზოგიერთი ადრინდელი მონაცემით, ის ჩაჭრილი ყოფილა და მხოლოდ ზედა ნაწილში ყოფილა ჩაკერილი. ასეთი ჩაჭრილი სახელოს შიგნით აუცილებელი იყო შიდა სახელოს (ყურთმაჯების)

ჩაცმა. წარჩინებული თბილისელი ქალბატონები ატარებდნენ *ქათიბსაც*. ის იყო ძვირფასი ბეწვით გაწყობილი და ატლასითა და ხავერდით შეკერილი; არაერთხელ არის დასახელებული მზითვის წიგნებში. წინიდან იკვრებოდა ოქროსი ან ვერცხლის კაკვებით.

კაბის ზემოდან ქალები იცვამდნენ *ქათიბს*, რომელიც ზედატანისა და ქვედატანისაგან შედგებოდა. ქათიბის გარდა კაბაზე წამოსაცმელად იხმარებოდა *ტოლომა* – თალხი ფერის გრძელი წამოსაცმელი, რომელსაც ხანდაზმული ადამიანები ატარებდნენ ზამთარში. ტოლომის მსგავსი წამოსასხამი იყო *დოლბანდი*. საზაფხულო დოლბანდს ჰქონდა განიერი, იდაყვამდე სახელოები, სივრძე კი მუხლემამდე აღწევდა.

თბილისელი ქალი წარმოუდგენელი იყო თავსაბურავის გარეშე, რომელსაც *ჩიხტიკოპს* უწოდებდნენ. *ჩიხტიკოპი* იყო გათხოვილი ქალის თავზე დასადგამი თავსაბურავი. *ჩიხტა* იკვრებოდა ერთმანეთზე მიწებებული სქელი ქაღალდებისა ან ხის პწკალისაგან. მას რკალისებური მოყვანილობა ჰქონდა და გარშემო ნაჭერი შემოსდევდა. ჩიხტას ზემოდან *ლეჩაქი* ეფინებოდა, რომელიც თავსაბურავის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი იყო. *ლეჩაქი* ჩიხტაში ჩადებულ *კოპზე* ქინძისთავით იყო მიმაგრებული. განსხვავებული იყო ზედაფენისა და დაბალი ფენის ქალების ჩიხტა. პირველთა ჩიხტა უფრო მაღალი იყო. *ლეჩაქი/თავსაკრავი* მაქმანით იყო მორთული. მოხუცებულთა და ქვრივთა *ლეჩაქი* უმაქმანო იყო. თავსაკრავის ერთი ბოლო მკერდზე ჩამოშვებული, მეორე კი კისერზე ჰქონდათ შემოხვეული. სახლიდან გასვლის წინ თავსაბურავზე წამოისხამდნენ ბაღდადს. ბაღდადი აბრეშუმის იყო, როგორც სადა, ისე ყვავილებით მოჩითული. ბაღდადს არავითარ შემთხვევაში ჩიხტაზე დამაგრებული თავსაკრავი არ უნდა დაეფარა.

თბილისელი ქალების ფენსამოსიც სხვადასხვაგვარი იყო. შეიძლება დავასახელოთ *ქოშები*, *ფლოსტები*, *ქალაძნები*. ქოში ქუსლიანი და ნახევრადლია ნალით დაჭედილი ფენსაცმელი იყო. ფლოსტი წასაყოფი იყო, რომელიც ნახევრად ფარავდა ფენის წინა მხარეს. იცოდნენ როგორც ქსოვილის, ისე ტყავის საპირიანი ფლოსტები. ყველანაირ ფენსამოსს ნაქსოვ წინდებზე იცვამდნენ.

თბილისელი ქალბატონები ფართოდ იყენებდნენ კოსმეტიკას, ისვამდნენ ფერუმატილს, შავად იღებავდნენ წარბებსა და თმებს.



თბილისელები ეროვნული სამოსით

XIX საუკუნის დასაწყისში თბილისელი მამაკაცის კოსტიუმი შედგებოდა *პერანგის*, *შარვლის*, *ახალუხისა* და *ჩოხისაგან*. ახალუხი საკმაოდ მოკლე შიდა სამოსელი იყო. ახალუხს საყელო დამდგარი და გულდახურული ჰქონდა. გულისპირზე ჰქონდა ჯიბე, ზამთარში დასარჩულებულსა და დალიანდაგებულს იცვამდნენ. გავრცელებული იყო ქალაქური, ანუ *დოშლუღიანი ახალუხი*, რომლითაც ვაჭრები, ხელოსნები იმოსებოდნენ. ახალუხი წინ იკვრებოდა ღილ-

კილოებით ან დუგმებით. ახალუხის ზემოდან შალის ქსოვილის ჩონა ეცვათ. ჩონას სხვადასხვა დროს სხვადასხვა სიგრძისას იცვამდნენ, უმეტეს შემთხვევაში კი მისი სიგრძე მუხლს ქვემოთ ჩამოდიოდა. ჩონას გული ამოჭრილი ჰქონდა, რომ ახალუხი გამოჩენილიყო, ზურგი კი ჩაჭრილი, წელსქვემოთ ჩახსნილი, ნაკეცებიანი. სახელოები – გახსნილი, იკვრებოდა მაჯასთან ანდა მხარზე უკან იყო გადადებული. ჩონა იყო მამაკაცის კაბა, რომელიც წინიდან ჩახსნილი იყო. მკერდის არეში სამასრეები ჰქონდა მიკერებული. დროთა განმავლობაში სამასრეები მამაკაცის სამოსის დეკორატიულ ელემენტად იქცა. წელზე შემორტყმული ჰქონდათ ვერცხლის ქამარი, რომელზედაც ხანჯალს კიდებდნენ. წინა გვერდზე მოცემულია XIX საუკუნის თბილისელთა კლასიკური სამოსი. მამაკაცის სამოსს სამასრეები ახლავს. მაგრამ იმავე პერიოდში ჩონა გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის. მე4 გვერდზე იმავე დროის წყვილის სურათია ეროვნულ სამოსში. თუ დავაკვირდებით ჩონა სახეცვლილია: მას სამასრეები აღარ ახლავს, დამოკლებულია სახელოებიც, ქსოვილიც ფაბრიკულია.

მამაკაცის ზედა ტანსაცმელს წარმოადგენდა *ქულაჯა*, რომელიც გარდა თბილისისა, ის ფართოდ იყო გავრცელებული ქართლსა და იმერეთში. *ქულაჯა* ძირითადად თბილისელი თავადაზნაურობის ტანსაცმელი იყო, იკრავდნენ ღილ-კილოებით. იკვრებოდა წელში გამოჭრილი და ნაოჭასხმული. მამაკაცებში პოპულარული იყო ქართული *ჭვინტიანი ფეხსაცმელი*. კერავდნენ რბილი ტყავისაგან. ფეხზე ეცვათ აგრეთვე *ქოშები*, *მესტები*, *წალები* (რბილი ტყავისაგან შეკერილი ჩექმა). საყოველთაო ფეხსაცმელი იყო *ქალამანი*. წვივზე შემოსილნი იყვნენ *პაჭიჭებით/პაიჭებით*. თბილისელი მამაკაცებისთვის ტრადიციული იყო წვერ-ულვამის ტარება.

თბილისელები XIX საუკუნის პირველ ნახევარში უპირატესობას ანიჭებდნენ გამოკვეთილი ფერის სამოსს: წითელს, ყოლოსფერს, მწვანეს, ყვითელს, იისფერსა და ცისფერს. მწუნარების დროს კი შავით იმოსებოდნენ. ინგლისელი მოგზაური *რიჩარდ უილბრაჰამი*, რომელიც 1837 წელს ჩამოვიდა თბილისში წერს: „იმპერატორის ყოფნისას სასახლეში რჩეული ქართველი თავადები მორიგეობდნენ. თავიანთ შესანიშნავ და მოხდენილ ტანსაცმელში გამოწყობილებმა სავსებით დაამტკიცეს, რომ მსოფლიოში ნამდვილად

ულამაზესი ერია. მდიდრული აბრეშუმის ან ფარჩის მჭიდროდ მორგებული ტუნიკის ზემოთ ეცვათ მოკლესახელოებიანი კაბა, ფართო, აღმოსავლური აბრეშუმის შარვალი; აწკაპილი შავი ჩექმა მუხლამდე სწვდებოდათ. არტყიათ მდიდრულად მოვარაყებული ხანჯლები და ქამარში გაყრილი დამბაჩები. თავზე ცხვრის ტყავის დაბალ ქუდს ატარებენ“⁹⁷.

ძველი თბილისელი სომხების სამოსი თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ქართველთა ტანსაცმლისაგან, განსაკუთრებით ეს ითქმის ქალის ტანსაცმელზე. ამ თვალსაზრისით ისინი ქართული კულტურის დიდ გავლენას განიცდიდნენ, განსაკუთრებით ითქმის ეს ქალის სამოსზე (იმოსებოდნენ ქართული კაბით, თავს იბურავდნენ *ჩიხტი-კოპით*, თავს იმშვენებდნენ ძვირფასი ქვებითა და ოქროთი, ისვამდნენ ფერუმატილს). XIX საუკუნეში მოსულ სომხებს კი ბუნებრივია თავისი სამოსი მოჰქონდათ თან, თუმცა ისიც მოკლე ხანში გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიდა. სომხური მაღალი საზოგადოება უპირატესობას ანიჭებდა საზეიმო ქართულ კოსტიუმს: *ქულაჯასა* და ქართულ *ჭვინტიან ფეხსაცმელს*. სომეხი მამაკაცები ატარებდნენ ფართო შალის შარვალს, კოჭებამდე ჩაშვებულ *არხა-ლუკს* (ახალუხი). თავზე ეხურათ მაღალი, ცხვრისებრწვიანი ქუდი.

თავისი ორიგინალური სამოსი ჰქონდათ კინტოებს. ისინი თბილისის სავაჭრო ფენის წარმომადგენლები და საკმაოდ უარყოფითი პიროვნებანი იყვნენ. ემოსათ შავი ახალუხი, ჩექმაში ჩატანებული განიერი შარვალი, წელზე შემორტყმული ჰქონდათ ვერცხლის სარტყელი. საზგასმით უნდა ითქვას, რომ **კინტოს ჩოხა არ ეცვა**. კინტოს თავსაბურავმა XIX საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. აღნიშნული საუკუნის დასაწყისში ატარებდნენ ცხვრის შავი ტყავისაგან შეკერილ მაღალ კონუსისებურ ფაფაქს. თან მის წვერზე მიმაგრებული ჰქონდათ წითელი ფერის აბრეშუმის ნაჭერი, რომელიც წითელ წიწაკას მოგაგონებდათ. შემდეგ ეს თავსაბურავი შეიცვალა კარტუზის ტიპის ქუდით. თავზე შემოხვეული ჰქონდათ სპეციალური ზეწარი – *კინტი*, რომლის საშუალებითაც თავზე შემოდებული თაბახის წონასწორობას ინარჩუნებდნენ, ისე რომ ხშირად მოძრაობისას ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდათ.

⁹⁷ რიჩარდ უილბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1990.

თბილისელი ხელოსნის – *ყარაჩოხელის* კოსტიუმი შედგებოდა ჩოხის, ახალუხის, შარვლისა და ფაფახისაგან. ჩოხა კი აუცილებლად შავი ფერის უნდა ყოფილიყო, საიდანაც მივიღეთ სახელწოდება „ყარაჩოხელი“, ანუ შავჩოხოსანი.

ეროვნულ სამოსს ატარებდა თბილისის თურქულენოვანი მოსახლეობა. იგივე შეიძლება იქვას ბერძნებზე. ბერძნები იცვამდნენ მოკლე ქურთუკს, ლურჯს შარვალს, რომელზედაც შემორტყმული ჰქონდათ ფართო სარტყელი; ბერძენთა თავსაბურავი იყო ჭრელი ჩაღმა ან წითელი ფესი. საერთოდ, ძველი თბილისი, განსაკუთრებით XIX საუკუნეში, სამოსის გარკვეული მუზეუმი იყო, რადგან აქ გარდა მუდმივი მოსახლეობისა, ბევრი სეზონური მუშაც მოდიოდა სხვადასხვა მეზობელი ქვეყნიდან, რომლებიც თავიანთი ეთნოსოციალური ნიშნების მატარებელნი იყვნენ. თბილისელი სპარსელები ატარებდნენ შარვალს, თავზე ნაბდის (ქეჩის) დაბალ ქუდს ან წვეტიან მოკლებეწვიან ცხვრის ფაფახს. შეძლებულებს ერთმანეთზე რამდენიმე ახალუხი ეცვათ, ზემოდან კი – აბა – აქლემის მატყლისაგან ნაქსოვი ფართო და გრძელი წამოსასხამი. ახალუხზე ერტყათ ქიშმირის შალის სარტყელი, ფეხზე – ქოშები (ხშირ შემთხვევაში მწვანე) და ნაქსოვი წინდები. სპარსელებს თბილისში გარდა სამოსისა, იცნობდნენ აგრეთვე ერთი შესამჩნევი დეტალითაც: მათ წვერულვაში და ფრჩხილები შეღებილი ჰქონდათ მოწითალო ფერით.

ქურთი ქალების ჩაცმულობა გამოირჩეოდა თავისი ფერადოვნებით. ეცვათ სხვადასხვა ფერის ქსოვილისაგან შეკერილი რამდენიმე ქვედატანი.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო თბილისელთა ტრადიციული ტანსაცმლის თანდათანობითი ტრანსფორმაცია, რაც საქალაქო ყოფითი კულტურის ევროპეიზაციით იყო გამოწვეული. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამოსის ევროპეიზაცია თბილისის ზედა ფენაში უფრო ადრე – XVIII საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. ჩაცმის ახალი ყაიდა ცვლიდა ქართულს. ეს განსაკუთრებით ევროპული ფენსაცმლის შესახებ უნდა ითქვას. „ტანისამოსის ცივილიზაცია ქალთა ფენსამოსიდან დაიწყო. ქოშები ბათინკებმა შესცვალეს. ძველები აღშფოთებულნი იყვნენ ამ სახეცვლილებით. *გრიგოლ ორბელიანი* ივონებს: „ერთხელ ივანე მალხაზიჩის (ანდრონიკოვის) დედასთან, მარიამთან, შევედი და ბატონიშვილი დიდად

და დიდად გაჯავრებული დამხვდა. – რაო, ბატონიშვილო, რამ გაჯავრა ასე, ვინ რა გაწყენინა? – როგორ რამ გამაჯავრა; უი სირცხვილო! შვილო, გაგონილა? ოთარის ცოლს ქოშები გაუხდია და ბაშმაკები ჩაუცვამს“⁹⁸. XIX საუკუნის 80-იან წლებში ევროპული სამოსი თითქმის საყოველთაო გახდა, თუმცა ეროვნულ სამოსთან ერთად, მას კარგა ხნის განმავლობაში კვლავ მოიხმარებდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში მცირე რაოდენობით არ იყო ევროპული სამოსის მაღაზიები. გაზეთებში ყოველდღიურად ქვეყნდებოდა განცხადებები, რომლებიც ტანსაცმლის ცნობილი მაღაზიების რეკლამას ახდენდნენ. ამ მაღაზიებს საქონელი პარიზიდან შემოჰქონდათ. მუშაობდა ბევრი *თერძი/მკერავიც*. საყოველთაოდ იყო ცნობილი და პოპულარობით სარგებლობდა ქალის სამოსის თერძი *პავლე გამყრელიძე*, რომლის სამკერვალო მაღაზია 1875 წელს გახსნილა. ბევრი კლიენტი ჰყოლია მეიდანში არსებულ „აზიური“ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სახელოსნოებს.

XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში ქსოვილის ბევრი საწარმოო არსებობდა. მიუხედავად ამისა ქსოვილები მაინც შემოჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნიდან. სპარსეთიდან ხდებოდა იმპორტირება აბრეშუმის, ატლასის, სტაერის (ფარჩა), კოლენკორის, ბარხატის; რუსეთიდან – ჩითის, ჩესუჩის, ბარხატის; აბრეშუმი შემოდებოდა ევროპიდანაც და ინდიეთიდანაც. პოპულარული იყო ლეკური მაუდი, რომლითაც ძირითადად მამაკაცის ზედა სამოსი იკერებოდა. დაღესტნიდან შემოჰქონდათ აგრეთვე ნაბადი, ფაფახი, ფეხსაცმელი... თბილისში იყო რამდენიმე ათეული საამქრო გაერთიანება, რომლებიც ტრადიციული კოსტიუმის კერვაზე იყო ორიენტირებული.

⁹⁸ ი. ბალახაშვილი. ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 30.

თბილისელთა კვების რაციონი

თბილისელები ისევე იკვებებოდნენ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა. მაგრამ საქართველოს დედაქალაქის მკვიდრთ ამ მხრივ გარკვეული თავისებურებაც ახასიათებდათ. ამ თავისებურებას კი ქალაქის მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური სიჭრელე და გზავკარედინზე მდებარეობა განაპირობებდა. ზემოთ ითქვა, რომ თბილისელთა დიდ ნაწილს ბალები, ვენახები და ბოსტნები გააჩნდა; მისი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილსაც გლეხობა შეადგენდა. ამდენად ბევრი მათგანი საჭირო მიწათმოქმედების პროდუქტებს თავადვე მოიწევდა. ამასთანავე ქალაქის მკვიდრთა დიდ ნაწილს ეს საშუალება არ ჰქონდა. ესენი იყვნენ მოქალაქეები, ხელოსნები, ვაჭრები. ისინი კი კვების პროდუქტებს ბაზრებსა და სავაჭრო დუქნებში იძენდნენ.

ისევე როგორც ყველა ქართველისათვის, თბილისელთათვისაც ძირითადი იყო მარცვლეული პროდუქტები, განსაკუთრებით პური. პურეულიდან უპირატესობას ანიჭებდნენ შოთსა და ლავაშს. თორნეში გამოძცხვარი ლავაშში თბილისელებისათვის პურიც იყო, საჭმლის გასახვევიც, ხელსახოციც და თეფშიც. ბევრი თბილისელი პურს სახლში აცხობდა, ბევრიც – ყიდულობდა. პური კი იყიდებოდა როგორც ქუჩაში ხელზე გამყიდველისაგან, ისე ბაზარში (პურს და ლავაშს თაბახსა და ხონჩაზე დადებულს დაატარებდნენ ბაზრებში, მოედნებსა და ქუჩებში), ასევე პურის საცხობებში. თორნეში ტრადიციული ქართული პური ცხვებოდა, ფურნეში – „ევროპული“. ქალაქში ფეტვის ფქვილისაგან აცხობდნენ ფუნთუშას, რომელიც ძალიან პოპულარული იყო როგორც ქართველ, ისე სომეხ ქალებში. თბილისელებში პოპულარული იყო *ნაზუქი* და *ქადა*. XIX საუკუნის თბილისში ფრანგულ „ბულკებსაც“ აცხობდნენ. მარცვლეულისაგან აკეთებდნენ ფაფებს, ხავიწს. ფაფას თბილისელები ცხიმით ჭამდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისელთა შორის საკმაოდ გავრცელებდა ისეთი სიახლე, როგორიცაა მაკარონი.

ძველაგანვე საქართველოს ზოგიერთ მხარეში ბრინჯი მოჰყავდათ. ეს მარცვლეული აღმოსავლეთის ქვეყნებიდანაც შემოდიოდა. თბილისელები ბრინჯისაგან ძირითადად ფლავს აკეთებდნენ. ფლავი პოპულარული იყო როგორც ქრისტიან, ისე მუსლიმ მოსახლეობა-

ში. მიცვალებულის ტრაპეზზე კი აუცილებელი იყო *შილაფლაკი*, რომელიც ცხვრის ხორცითა და ხაზვით კეთდებოდა. თბილისელები ბრინჯის ტკბილ ფლავსაც მიირთმევდნენ; სომხები „კათნოვ-ფლავს“, ქართველები – „რძის-ფლავს“ უწოდებდნენ – ის რძითა და შაქრით მზადდებოდა.

თბილისელთა კვების ერთ-ერთ ძირითად რაციონს ხორცი და ხორცისაგან გაკეთებული კერძები შეადგენდა. თბილისის ბაზრებზე იყიდებოდა ძროხის ხორცი, ცხვრის ხორცი, ხბოს ხორცი, თხის ხორცი, კამეჩის ხორცი, ღორის ხორცი. 1860-იან წლებში ყოველწლიურად თბილისელები 150 ათას ფუთ ძროხისა და ცხვრის ხორცს მოიხმარდნენ. თბილისის ბაზარზე ყოველთვის იყო გასაყიდად ფრინველის ხორციც (ქათმის, ინდაურის, ბატის, იხვის). ხორცს ჭამდნენ როგორც მოხარშულს, ისე შემწვარს. მწვადი თბილისის მოსახლეობის ყველა ფენაში პოპულარული იყო. თბილისელები მიირთმევდნენ აგრეთვე ხორცის სხვა კერძებს: *ხაშს*, *ჩიხორთმას*, *ბოზბაშს*, *ყაურმას*, *ტოლმას*⁹⁹. თბილისში *ძეხვი* XIX საუკუნის 20-იან წლებში გერმანელმა კოლონისტებმა შემოიტანეს.

რძის პროდუქტებიდან თბილისელთა შორის ყველაზე პოპულარული იყო *ყველი*. ყველი თბილისელთა ტრაპეზის აუცილებელი ელემენტი იყო. განსაკუთრებული მოთხოვნილება იყო *თუშურ ყველზე*. ქალაქში ყველი შემოჰქონდა თურქულენოვან მოსახლეობას (ბორჩალოელებს), ოსებს. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან პრივილეგირებულ თბილისის მოსახლეობაში გავრცელდა ევროპული ყველიც – ის „შვეიცარიულ მაღაზიაში“ იყიდებოდა. თითქმის ყოველდღიურად მიირთმევდნენ *მწონს*, რომელიც ახლო-მახლო სოფლების მკვიდრთ შემოჰქონდათ თიხის ქილებით. საჭმელს ძირითადად ერბოსაგან ამზადებდნენ. თუმცა მცენარეულ ზეთებსაც გამოიყენებდნენ (მზესუმხირის, ქუნჯუთის). დროთა განმავლობაში უფრო პოპულარული ეს უკანასკნელი გახდა. მაგალითად, 1860-იან წლებში თბილისში 50 ათასი ფუთი მცენარეული ზეთი შემოსულა, ერბო კი – 40 ათასი ფუთი.

⁹⁹ Документы по истории Грузии. Т. 1. Грузия в период буржуазных реформ (1862-1872). Ч. 2. Тб. 1960, С. 64.

პარკოსანი კულტურებიდან თბილისში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ლობიოსაგან გაკეთებული საჭმელები.

თბილისელთა კვებაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა თევზს. ამ თვალსაზრისით დღესაც ეს ტრადიცია არ შეწყვეტილა – სუფრას ხშირად ამშვენებს „ცოცხალი“ ხრაპული. XIX საუკუნეში დიდი რაოდენობით შემოდინდა კასპიის ზღვის თევზი. ცხელ დღეებში თევზის რიგები ქალაქის სანიტარული ინსპექციის მეთვალყურეობის ქვეშ იყო. ცოცხალი თევზის გარდა, თბილისელები მიირთმევდნენ: დამარილებულ, გამოყვანილ/გამხმარ, კვამლში გამოყვანილ თევზს. შემოჰქონდათ ხიზილადაც.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მიირთმევდნენ თბილისელები ხილს, ბოსტნეულსა და მწვანეებს. მწვანეების გარეშე თბილისელთა ყველა ფენის სუფრა წარმოუდგენელი იყო. XIX საუკუნის პირველ ნახევარში კარტოფილს ბევრი მომხმარებელი არ ჰყოლია. თავდაპირველად ამ პროდუქტს გერმანელები და მოლოკნები მიირთმევდნენ. საზამთროსა და ნესეს არცთუ იშვიათად ქალაქელები პურითა და ყველით შეექცეოდნენ. თბილისის ახლომდებარე სოფლები ქალაქის ბაზრებს საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებამდე ამარაგებდნენ. XX საუკუნის 80-იან წლებამდე მარტო სოფელ დიღმიდან დილაუთენია მწვანეების გოდრებით, კალათებით და ყუთებით დატვირთული ათამდე სატვირთო მანქანა გადიოდა. უფრო ადრე კი ის ჯერ ურმებითა და შემდეგ „ტაჭკებით“ გაჰქონდათ. ძველ თბილისში ახალგაზრდები ქალაქის გარეუბნებში ჯგუფურად გადიოდნენ ლანძილის შესაგროვებლად. ამ მცენარეს ამწნილებდნენ; ამწნილებდნენ კიტრსა და კომბოსტოსაც.

თბილისელები დიდი რაოდენობით გამოიყენებდნენ კაკალს, თხილსა და ნუშს, რომლებსაც არა მხოლოდ ჩვეულებრივ მიირთმევდნენ, არამედ მთელი რიგი საჭმელების ინგრედიენტებიც იყო. *ვოზინაყს* არა მხოლოდ ნიგვზისაგან, არამედ ნუშისაგანაც ამზადებდნენ. თბილისის ბაზრებში ყოველთვის იშოვებოდა ქიშმიში. შეუძლებელია არაფერი ვთქვათ *წანდილზე*, რომელიც კანგაცლილი ხორბლისაგან იხარშება და რომელშიც ახავებდნენ თაფლს, წვრილად დაჭრილ ნიგოზს, ნუშსა და ქიშმიშს. აუცილებელი იყო წანდილის

გაკეთება მიცვალებულის ტრაპეზისათვის და მიცვალებულის ხსენების დღეებში.

სასმელებიდან თბილისელები მიირთმევდნენ რძეს, ჩაის. XIX საუკუნეში თბილისში არსებული საყავეები ადგილობრივებსა და სტუმრებს სთავაზობდნენ ყავას. მეტეხის ციხის მახლობლად *ყავანჩებს* რამდენიმე *ყავახანა* ჰქონდათ. ყავის, ხმელი ხილისა და ნამცხვრის გარდა, აქ შეძლებოდა სხვადასხვა გვარის აღმოსავლური კერძით დანაყრებაც. ყავახანა აშულთა შესაკრებიც იყო, სადაც ყოველ საღამოთი იმართებოდა კამათი, დაკვრა და „ლექსებით ძებნა გამოცანებისა“, პაექრობაში გარეშენიც მონაწილეობდნენ. ოცდაათიან წლებში ამ ყავახანებში დადიოდნენ 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი და სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდნენ (მათ შორის, „თავადების ურთიერთშორის შულლსა და დავაზე“). ქალაქის პრივილეგირებული ფენა ყავას სახლშიც აყენებდა. XIX საუკუნის დასაწყისის მზითვის წიგნებში მზითევში გატანებულ სხვადასხვა ნივთებთან ერთად ხშირად ვხვდებით ყავის ვერცხლისა და სპილენძის ხელსაწყოებს. ალკოჰოლური სასმელებიდან პოპულარული იყო ღვინო და არაყი, გასნაკუთრებით დიდი რაოდენობით სვამდნენა ღვინოს. ღვინო დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ კახეთიდან. ყურძენს ქალაქშიც წურავდნენ. თბილისელები არაყს მხოლოდ დილით, უზმოზე მადის მოსაგვრელად მიირთმევდნენ. 1860-იანი წლების პროფესიების ჩამონათვალში მეღვინეებიც არიან მოხსენიებული.

XIX საუკუნის დასაწყისიდან შემოსულა თბილისში ჩაის სმაც. სამეფო კარზე კი ცოტა ადრე შესდგომიან მის სმას. თავდაპირველად „ყანდის“ შაქარს ხმარობდნენ, რომელიც ირანიდან და „მისირიდან“ შემოდოდა. უფრო ძვირ ევროპულ შაქარს კი ახალციხის გზით ღებულობდნენ. თბილისს, რუსეთთან შეერთების შემდეგ, მოედო „ჩაის ღვინის“ ტრადიცია. თუ წინათ მეგობრები ერთმანეთს სახლში „ღვინოზე“ პატიჟებდნენ, ახლა „ჭიქა ჩაის“ დასალევად იწვევდნენ. ჩაის სმას აბანოშიც აწყობდნენ. „აბანოს ტანგასახლელ დერეფანში უშველებელი სამოვარი იდგა, რომელიც „კბილ-ჩაცვინულ ბებერსავით“ ჩიფჩიფებდა. სამოვრის ირგვლივ ჩაის ჭიქები ლამბაქებითურთ ჯვარისკაცებივით იყვნენ გამწკრივებულნი და გვერდებზე თოფების მაგიერ კოვზები ჰქონდათ შემოწყობილნი. თვით

სამოვარზე კი ამხედრებული ჩაიდანი მთავარსარდალივით იბღვირებოდა და მრისხანების ნიშნად თავს ახტუნებდა და არაკუნებდა¹⁰⁰. ისე მალე გავრცელდა ჩაი XIX საუკუნის დასაწყისის თბილისში, რომ სულ მალე „დილის პურობა“ „ჩაის დაღვეით“ შეიცვალა.


ძველ თბილისში საზოგადოებრივი კვების ობიექტებიც ბევრი იყო, განსაკუთრებით ეს ითქმის დუქნებზე. ოფიციალური მონაცემებით, 1887 წელს თბილისში 151 დუქანი ფუნქციონირებდა. თითქმის ყველა დუქანს ჰქონდა ღრმა სარდაფი (ან მარანი), სადაც რუმბებსა და კასრებში ღვინის გარკვეული მარაგი ჰქონდათ შენახული. XIX საუკუნის თბილისის დუქნებში მხოლოდ ეროვნული საჭმელები არ ჰქონდათ. ფართოდ იკიდებდა ფეხს ევროპული სამზარეულოც (მაგალითად, კოტლეტი, ბოტვინია...). სრულიად ევროპეიზირებული ასორტიმენტი გააჩნდათ რესტორნებში, რომლებიც თბილისში XIX საუკუნის შუა ხანებში გამოჩნდა. ყველაზე ძვირფას და ფეშენებელურ რესტორნებში აუცილებლად უკრავდა ორკესტრი. მაგალითად, რესტორან „იოჟანე“-ში მომსვლელს „რუმინული ორკესტრი“ ართობდა. არანაკლებ პოპულარულ რესტორან „ანონა“-ში რუმინულ ორკესტრთან ერთად ბოშური რომანსების შემსრულებლები გამოდიოდნენ. ზოგიერთ რესტორანში (მაგალითად, „სან-სუსი“, „სოკოლნიკი“ მუშტაიდის ბაღში) მუდმივად ჰქონდათ ბლინები. თბილისში ბევრი იყო ჩაიხანაც, სადაც ძირითადად მოლოკნები იყვნენ დასაქმებული. მეჩაიეები ჩაის თბილისის ქუჩებშიც სთავაზობდნენ მომხმარებელს – ისინი ძირითადად ეთნიკური სპარსელები იყვნენ. ისინი ჩაით ვაჭრობდნენ ქალაქის განაპირა მხარებში, სადაც ღარიბი თბილისელები ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნის ბოლომდე თბილისში ისევ ძველებურ ჭურჭელს გამოიყენებდნენ; ფაიფურისა და მინის ჭურჭელს არ იცნობდნენ. ფაიფურის ჭურჭელი პირველად მეფე ერეკლეს გამოუწერია. მალე შუშეულის დუქნებიც გაჩენილა. შენიშნავენ, რომ შუშეულით გატაცება ზოგიერთს ავადმყოფობად გადაქცევია. ერთი ამათავანი ყოფილა *ყაფლან ორბელიანი*, რომელსაც თურმე, ცოლი – *ნინო ქობულაშვილი* სულ საყვედურობდა: „რა არის, კნიაზო ყაფლან, ამ-

100 ი. გრიშაშვილი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, ტფ., 1928, გვ. 67.

დენი მინეულის ყიდვა“. შუშის ჭურჭლისადმი დიდი დაინტერესების შედეგი იყო, რომ 1830 წელს ბორჯომში და 1840-იან წლებში სოფელ ღვარებში მინის წარმოება დაიწყო.

ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი იყო *რივისპური*. რივისპურს თბილისის მოქალაქენი უქმე დღეებში აწყობდნენ. ის ოცი-ოცდაათი სულისაგან შემდგარი ნადიმი იყო, რომელიც მორიგეობით ეწყობოდა. მაგიდასთან დაჯდომისთანავე სვამდნენ იმის სადღეგრძელოს, ვისთანაც შემდეგი რივისპური უნდა გამართულიყო. „ამ ტრადიციული პურის ჭამის მთელი ეფექტურობა იმაში მდგომარეობდა, რომ „მოქიშპე“ დაეჩრდილა მასპინძელს კერძების რაოდენობით, გემოვნებით და ღვინის ხარისხით. ასეთ მოქიშპედ ითვლებოდა „წინა რივისპურის მომწყობი“¹⁰¹. ზაფხულობით რივისპურს მართავდნენ ორთაჭალასა და კრწანისის ბაღებში. ღია ცის ქვეშ, მწვანეზე ფენდნენ სუფრას. ხაში – ეს პირველი კერძი ზამთრისა, დროის მიხედვით გამაგრილებელი კერძით იცვლებოდა. ცეკვავდნენ *დავლურს* (ქართულს). 1830-იან წლებში „რივისპური“ 1832 წლის შეთქმულების წევრებმა კონსპირაციული შეკრებისათვის გამოიყენეს.



ციციანოვის აღმართი

¹⁰¹ ი. ბალახაშვილი. ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 151.


სატრანსპორტო საშუალებანი

თბილისის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ძირითადად საგარეუბნო ზონაში არსებული სოფლის მოსახლეობა ამარაგებდა. ეს სოფლები იყო *კრწანისი, ორთაჭალა, კუკია, ჩულურეთი, დიდოძი, გლდანი, ნავთლული, ავჭალა, დიდუბე, ბაგები*, რომლებიც სხვადასხვა დროს თბილისის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ. მოგვიანებით ამ სფეროში ჩაერთო გერმანელთა კოლონია „ტიფლისი“ და თბილისთან ახლო მდებარე სოფელი *ოლგინსკოე*. საგარეუბნო სოფლების მკვიდრნი სხვა მხრივაც იყვნენ თბილისის ცხოვრებაში ჩართული. ქალაქის ახალ უბნებში ევროპული სახლების მშენებლობას თან ახლდა ამ სოფლებიდან მუშახელის მონაწილეობა. ისინი იყვნენ ურმებით სამშენებლო მასალების ძირითადი გადამტანნი. ეს ტრადიცია საბჭოთა პერიოდშიც გრძელდებოდა, მანამ, სანამ სატვირთო მანქანები დაიკავებდა ურმების ადგილს, რომლებშიც ძირითადად ხარკამეჩი იყო შებმული. *XX საუკუნის 30-იან წლებამდე სოფელ დიდიდან ორმოცზე მეტი ურმისაგან შემდგარი ასეთი „ქარავანი“ გადიოდა, რომელიც უკან სოფელში შებინდებისას ბრუნდებოდა*. იგივე შეიძლება ითქვას თბილისის გარეუბნის სხვა სოფლებზეც.

ურემი ძველ თბილისში გადაადგილების ერთ-ერთი საშუალებას წარმოადგენდა, რომლითაც ახლო-მახლო სოფლებიდან შემოქონდათ სხვადასხვა პროდუქტები: ბრინჯი, ფქვილი, ყველი, ხილი, ბოსტნეული, ქვამარილი, ღვინით სავსე რუმბები. ურმებით საქონელი შემოქონდათ არა მხოლოდ ახლო, არამედ შორეული ადგილებიდანაც. დადასტურებულია 1830 წელს დაღესტნიდან ვლადიკავკაზის გავლით ურმებით თბილისში ნაბდების და მაუდის შემოტანა, მოზლოკიდან – ბარდანებით/ფუთებით – ბამბისა. ასეთი ქარავნები ხშირად ორმოცდაათი ურმისაგან შედგებოდა¹⁰². ურმებით მიემართებოდნენ ძველი თბილისელები დღეობებზე სალოცავად. ასეთ შემთხვევაში ურმები გადახურული იყო ხალიჩებითა და ქეჩებით, რასაც *ჩარღახიან ურემს* უწოდებდნენ. ურმის ძირზე ჩვეულებრივ თივა

¹⁰² Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, М., 1990, с. 158.

ჰქონდათ დაფენილი, თივაზე კი — ხალიჩები, საბნები, ბალიშები და მუთაქები. სალოცავად მიმავალ ჩარდახიან ურემზე საშუალოდ შვიდი-რვა ადამიანი ეტეოდა. ასეთ ურემს *საბარო ურემი* ეწოდებოდა, თუმცა თბილისისათვის უცხო არც *საძნე ურემი* და *ლასტიანი ურემი* იყო.



№ 3377. Тифлисъ. Моментальный снимокъ, движущийся по Михайловскому мосту. 28.

კონკა მიხაილოვის ხილზე

თბილისში ტვირთის გადასატანად პირველ ყოვლისა საჭაპანო ცხოველებს იყენებდნენ: *სახედრებს*, *ჯორებს*, *ჯორცხენებს*, *ცხენებს*, *ხარებს*, *კამერებს*, *აქლეძებს*. მათგან ყველაზე პოპულარული კი სახედარი იყო — ის წარმოადგენდა ქალაქის შიგნით ტვირთის ძირითად გადაამტანს. ზაფხულსა და ზამთარში სახედრებზე აქეთ-იქიდან გადაკიდებული გოდრებით გადაჰქონდათ მწვანილი, ხილი, ყვაკილები, ნახშირი, შეშა. ზამთარში ყოველდღიურად ასეულობით სახედარს ქალაქში 1000 საპალნე ნახშირი შემოჰქონდა. სახედარს ხალისით იყენებდნენ თულუხჩებიც, რძისა და მაწვნის, ფქვილისა და მწვანილის გამყიდველები. გადაჰქონდათ ფიჩხი, რაც თორნეების

გასახურებლად სჭირდებოდათ. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ფიჩხის დიდი კონების (აგრეთვე თივის) გადატანისას ვირს მხოლოდ თავი და გრძელი ყურები უჩანდა. გარდა გოდრებისა, ტვირთის გადასატანად სახედრებს ხშირად *ხურჯინები* და *ტიკებიც* ჰქონდათ გადაკიდებული. ანალოგიური მიზნით თბილისში იყენებდნენ აგრეთვე ჯორებსა და ჯორცხენებს.

ძველი თბილისელებისათვის არც აქლემები იყო უცხო. შორეული ადგილებიდან თბილისში ტვირთი ძირითადად აქლემებით, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, აქლემების ქარავნებით შემოჰქონდათ. მე-აქლემეობას ძირითადად სამხრეთ კავკასიის თურქულენოვანი მოსახლეობა მისდევდა. ქარავნის მესრებიც – *ჩარვადარებიც* – ისინი იყვნენ. თბილისის მეიდანს ბაქოდან და ირანიდან შემოსული აქლემების ქარავნები XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე, რკინიგზის ხაზის გაყვანამდე სტუმრობდნენ.

აქლემების გარდა, შორს მანძილზე ტვირთი ცხენებითაც გადაჰქონდათ. მაგალითად, სპარსეთიდან. თვითმხილველთა აღნიშვნით, ასეთი ქარავნები ულამაზეს სანახავს წარმოადგენდა: ყველა ცხენი მორთული იყო ფიჩხებით, ეყვნებით, ზანზალაკებით. ცხენითა და ჯორით ტვირთი ქალაქის შიგნითაც გადაჰქონდათ. მაგალითად, ცხენსა და ჯორს იყენებდნენ *თულუხჩები*, რომლებსაც წყლით სავსე ტყავის დიდი *თულუხები* ამ ცხოველებზე ჰქონდათ გადაკიდებული.

თბილისში ტვირთის გადატანის სხვა საშუალებაც არსებობდა, ეს იყო მუშის მიერ სიმძიმეების გადატანა. მუშას ტვირთი *ფალანით/კურტანით* გადაჰქონდა; მას *კურტნიან მუშასაც* უწოდებდნენ. კურტანი ზურგზე მოსაკიდებელი იყო, რომელიც ტვირთის საყრდენ ფართობს ზრდიდა და ამით სიმძიმის ტარებას აადვილებდა. კურტანს სამკუთხედის ფორმა ჰქონდა, რომლის სიგრძე იყო 60-70 სანტიმეტრი, ძირი (სისქე) – 20-25 სანტიმეტრი, სიმაღლე – 40-50 სანტიმეტრი. მისი ზედა ნაწილი თხელი იყო, ბოლო კი საკმაოდ ამძვლებული. მზადდებოდა მაგარი, უხეში ქსოვილისაგან. კურტნის ზედაპირი ლამაზი, ჭრელი ფარდავისა იყო, ზურგის მხარე კი – შედარებით რბილი ქსოვილის. ზურგის მხრიდან, ხელის გასაყრელად, მიკერებული ჰქონდა დაგრეხილი ქსოვილის მხსვილი სამკაულები. კურტნის აუცილებელი ატრიბუტი იყო ფართო და სქელი

ტყავისაგან დაშზადებული ღვედი ან მსხვილი თოკი, რომლითაც მაგრდებოდა კურტნიანი მუშის ზურგზე გადასატანად დადებული დიდი ზომის ტვირთი. თბილისში კურტნიან მუშებს თავისი ადგილი, „ბირჟა“ ჰქონდათ. იყვნენ ბაზრის, მალაზიის (ღუქების) და ქარვასლების კურტნიანი მუშები, რომლებსაც ეკრძალებოდათ სხვის სამუშაო ადგილას საქმიანობა. გარდა ამისა, მუშები დასპეციალებული იყვნენ გადასატანი ტვირთის მიხედვით (მაგალითად, ავეჯის გადამტანი მუშები, სურსათ-სანოვავის გადამტანი მუშები და სხვ.). **XIX საუკუნის 80-იან წლებამდე თბილისში მუშები ძირითადად რაჭიდან ჩამოსული გლეხები იყვნენ.** გერმანელი მწერალი *ნ. დუნკელ-ველინგო*, რომელიც თბილისში XIX საუკუნის 50-იან წლებში იყო, გაზ. „კავკაზში“ წერდა: „თათრის მოედანზე შეხვდებით აუარებელ მუშას (ტვირთის მზიდავს), რომლებიც მზად არიან უმნიშვნელო სასყიდლით წაიღონ ტვირთი ქალაქის შორეული უბნისაკენ. მათ თავიანთი ამქარი აქვთ და ჰყავთ უსტაბაში, რომელიც მკაცრად ადევნებს თვალყურს, რომ სამუშაოზე ერთმანეთს არ შეეცილონ. ვერც ერთი ტფილისელი ვერ უსაყვედურებს მათ და ვერ იტყვის, რომ მუშას დანიშნულ ადგილას არ მიეტანოს ის, რის წაღებაც მისთვის დაევალებინათ. ეს ... უპატიოსნესი ხალხია“. თბილისელი მუშის პატიოსნებაზე წერს XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისში ჩამოსული რუსი მწერალი *ვევენი მარკოვი*: „თბილისის კურტნიანი მუშები ატარებენ უპატიოსნეს ადამიანთა სახელს. ჩამოსულები სრულიად უშიშრად ანდობენ მათ თავიანთ ბარგს, ფულს და ძვირფას ნივთებსაც“. თბილისში წვიმების შემდეგ ქალაქის ქუჩებში სიარული ჭირდა. *დიმიტრი ყიფიანი* მოგვითხრობს: „ავდარში ... არა ერთხელ მინახავს, როგორ მოიყვანდნენ ხოლმე მანდილოსნებს... ქოლგის ქვეშ შეფარებულს, ზორბა მუშის კისერზე დამჯდარს“. XIX საუკუნის 80-იან წლებამდე თბილისში 2000-მდე კურტნიანი მუშა იყო, ძირითადად ქართველები. შემდეგ მათი ადგილი თანდათან დაიკავეს თურქეთიდან შემოსულმა ქურთ-იეზიდებმა. კურტნიანი მუშის შესახებ ლექსი *ილია ჭავჭავაძეს* დაუწერია: „და, თუ დაღამდა, თავთ დაიდებ ერთგულ კურტანსა // და საღმე ქვებზედ მიეგდები იმ ფიქრით, რომ ხვალ // ისევ ამგვარად განაგრძელებ უღმრთო შრომას“. XX საუკუნის 50-იან წლებში თბილისში დაიწყო ე. წ. „კურტანთმებრძოლობა“, ვინაიდან მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს აღარ

შეეფერებოდა კურტნიანი მუშა. 1957-1958 წლებში ყოფილი ვორონცოვის მოედანზე ჩატარებული რეიდის დროს კურტნებს პირდაპირ მტკვარში ყრიდნენ¹⁰³.



ბორანი მტკვარზე

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში გამოჩნდნენ წიგნებით მოვაჭრეები. ასეთები იყვნენ ქართველი ყარაჩოხელები, რომლებიც წიგნებით დატვირთული დიდი კალათებით ქუჩებსა და ეზოებში დადიოდნენ.

ძველი თბილისისათვის არც *ტახტრევანები* ყოფილა უცხო, რომლითაც მხოლოდ პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელი ქალბატონები გაგაადგილდებოდნენ. მას ყოველი მხრიდან გადაკრული ჰქონდა აბრეშუმის ქსოვილი. ტახტრევანი პარალელურად მიმავალ ორ ჯორცხენასა ან ცხენზე ჩამოკიდებული საკაცე იყო. ტახტრევანდი საკმაოდ ვიწრო იყო და მასზე დაჯდომა მხოლოდ ფეხმორთხმით შეიძლებოდა.

¹⁰³ მ. პოლიექტოვი, გ. ნათაძე. ძველი ტფილისი, ტფ., 1930.

თბილისის ტრანსპორტის სფეროში მნიშვნელოვანი სიახლეები დაინერგა XIX საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც ქალაქში გამოჩნდა „ევროპული“ ეკიპაჟები – გერმანული *ფორშანები*, მეეტლეთა მსუბუქი ოთხთვალა *ეტლები*. ამავე პერიოდს მიეკუთვნება თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზაციის პირველი ცდები¹⁰⁴. ძველი ტრანსპორტის შეცვლის ფაზი კი უფრო ადრე მაშინ დაიწყო, როდესაც 1790 წელს პეტერბურგიდან საქართველოში ოჯახით დაბრუნებულმა *ვარსევან ჭავჭავაძემ* ჩამოტანა პირველი „კარეტა“ თბილისში. 1824 წელს ფხიანი მოქალაქეების ჯგუფმა დაიწყო დაქირავებული ეკიპაჟების გამოყენება – ეს იყო *ორცხენა ეტლები*. თავდაპირველად ქალაქში მხოლოდ ასეთი ორცხენა ეტლი დადიოდა. ტრანსპორტის ახალმა სახეობამ მოქალაქეებში მაშინვე ძალიან დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამან კი თავის მხრივ ხელი შეუწყო თბილისში სათანადო სარეწის შექმნას. უკვე ათი წლის შემდეგ ქალაქის ქუჩებში მრავალი ეკიპაჟი დადიოდა, რომელთა მეეტლები განსაკუთრებული ფორმით იყვნენ შემოსილი და კეფაზე ბილეთებიც ეკიდათ. ამასთანავე ქალაქში სტიქიურად წარმოიქმნა გაჩერებები და სადგომები, სადაც შეიძლებოდა ეტლების დაქირავება. თბილისის პირობებში ეტლები მაინცდამაინც უსაფრთხო არ იყო. მკვეთრ მოსახვევებში იყო შემთხვევები მგზავრის ქვაფენილზე გადავარდნისა. ეს ხშირად იმითაც იყო გამოწვეული, რომ ეტლით საკმარისად მეტი ადამიანი მგზავრობდა; ხშირად ეჯდნენ ისინი ერთმანეთს მუხლებზეც. განსაკუთრებით ეს ითქმის აბანოში მიმავალ ქალებზე. ეტლებს თბილისში „ლინეიკა“ ეწოდებოდა; ის იყო მრავალადგილიანი, გრძელი, ფართო, რესორებიანი ეტლი. ლინეიკამ შეცვალა (ისევე როგორც ფაეტონმა) უფრო პატარა და ურესორო „დროშკა“. ლინეიკას გამოიყენებდნენ არა მხოლოდ მგზავრების გადასაყვანად, არამედ ბარგის გადასაზიდდაც. თბილისში *ლინეიკა* XX საუკუნის შუა ხანებამდე იყო შემორჩენილი.

თბილისის სატრანსპორტო საშუალებებზე საუბარი იმით უნდა დავასრულოთ, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოჩნდა ევროპული *ფაეტონები*, რომელშიც წყვილი ცხენი იყო შებმული. მეფაეტონები ძირითადად თბილისელი მოლოკნები იყვნენ. ფასი

¹⁰⁴ Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, с. 159.

არცთუ ისე დიდი იყო. კვირაობით მთელი დღით მისი დაქირავება 8 მანეთი ღირდა. დღესასწაულის დღეებში დასაქირავებელი ფასი მატულობდა. 1887 წლის ოფიციალური მონაცემებით თბილისში 520 მეფაიტონე და ოთხთვალა ეტლის მფლობელი იყო აღრიცხული¹⁰⁵.

1879 წელს თბილისის ძირითად საქალაქო ტრანსპორტად ითვლებოდა: 439 (ორცხენიანი) ეტლი; 117 (ერთცხენიანი) „დროშკა“ და ტვირთის გადასატანად – 672 ე. წ. „პოვოზკა“ და „დროვი“¹⁰⁶.

1830-იან წლებში ქალაქში ციგებიც გამოჩენილა. თავდაპირველად თბილისელებმა ის მიიღეს როგორც „რუსული საოცრება/საკვირველება“. ციგით სრიალი ძვირი სიამოვნებაც იყო. მალე ციგა ზამთარში დათოვლილი თბილისის ქუჩების აუცილებელ ელემენტად იქცა.

XIX საუკუნის ბოლოს თბილისში რკინიგზის ხაზებიც გამოჩნდა, რომელთა ვაგონებში ცხენები იყვნენ შებმული. ამ დროს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში შვიდი ასეთი რკინიგზის ხაზი ყოფილა. ცხენშებმული ტრამვაის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა – კონკა თბილისში 1881 წლის მარტში აშუშავდა. ეს იყო ოთხივე მხრივ ღია ვაგონი, რომელსაც რკინის ბოძებზე დაყრდნობილი სახურავი ჰქონდა, შიგ იდგა მოძრავსაზურგიანი სკამების რიგი. კონკაში 20 კაცი ეტეოდა, კონდუქტორი იდგა კონკის ღია ბაქნის ერთსაფეხურიან კიბეზე. კონკა თავდაპირველად აკავშირებდა ვაგზლის და ვორონცოვის მოედნებს. მოგვიანებით კონკის სავალი გზა გაიზარდა და ვორონცოვის მოედნიდან, ვორონცოვისა და ნიკოლოზის ხიდების გავლით, პუშკინის აღმართით მიაღწია ახლანდელი თავისუფლების მოედანს. 90-იან წლებში კონკამ სასახლის ქუჩით, გოლოვინის პროსპექტით, ვერის დაღმართით (ვერის ხილით გავლით), კირიჩნის (ახლანდელი კ. მარჯანიშვილის) ქუჩით მიაღწია კირკამდე. აქედან მიხეილის (ახლანდელი დავით აღმაშენებლის) ქუჩით – ვაგზლის მოედნამდე. XIX საუკუნის მიწურულს კონკის გზის სიგრძე 23 კმ იყო. 1904 წელს კონკა ელექტროდენის ტრამვამ შეცვალა. გარკვეული ხნის განმავლობაში „კონკა“ თბილისში მოსახლეობის მასო-

¹⁰⁵ Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, с. 160.

¹⁰⁶ შ. კაკური. ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ. გვ. 38.

ბრივი გადაყვანის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენდა — ის თბილისის მოსახლეობას 24 წლის მანძილზე ემსახურებოდა, ხოლო 1905 წლის 15 მარტს ქალაქში „კონკის“ მაგივრად ამუშავდა ელექტროტრამვაი, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა არა ცხენს, არამედ ელექტროენერგიას. კონკა 1910 წლამდე შემორჩა მხოლოდ ავჭალის (ახლანდელი გ. ჩიტაიას) ქუჩაზე. 1911 წლისათვის ტრამვაის ხაზის სიგრძე შეადგენდა 48 კილომეტრს. 1916 წელს თბილისის ტრამვაის გადაუყვანია 53 მილ. მგზავრი. პირველი ავტობუსი თბილისში XX საუკუნის 30-იან წლებში გამოჩნდა — ეს იყო 1934 წელს. ხოლო 1961-1965 წლებში მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურებაში წამყვანი ადგილი დაიკავა ელექტრო ტრანსპორტმა (ტრამვაი, ტროლეიბუსი).

ალბათ საინტერესო იქნება იმის აღნიშვნაც, რომ თბილისში ფუნქციონირებდა 1904 წელს გაიხსნა; ესაა სამთო-საბაგირო რკინიგზა მთაწმინდაზე, ზედა და ქვედა სადგურებით. ფუნქციონირების მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნიკო ნიკოლაძემ, რომლის ინიციატივითაც მოკლე დროში შესრულდა რკინაბეტონის სამუშაოები ესტაკადისათვის. მისი გზის სიგრძე 501 მეტრია, ლიანდაგის დახრის კუთხე — 28-33°. ამავე პერიოდში გამოჩნდა პირველი ავტომობილიც.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში ხიდებიც მომრავლდა. 1880-იან წლებში მტკვარზე უკვე ათი ხიდი ყოფილა; ზოგიერთი მათგანი რკინისა იყო. მათ შორის, ყველაზე ადრინდელი მუხრანისა, ვერისა და ვორონცოვის ხიდები.

კიდევ ერთი — თბილისი მდინარე მტკვრით ორ ნაწილად იყო და არის გაყოფილი. თბილისელები მტკვრის ერთი სანაპიროდან მეორეზე ბორნებითაც გადადიოდნენ; ის პირველად 1848 წელს გაუკეთებიათ და მას „მფრინავ ბორანს“ უწოდებდნენ. ბორანი ხისაგან იყო შეკრული. XIX საუკუნის ბოლოს თბილისში ორი ბორანი ყოფილა — ვერისა და დიდუბისა¹⁰⁷. ეს უკანასკნელი დიდუბეს დიდო-მთან აკავშირებდა და იქ ის 1953 წლამდე მოძრაობდა, სადაც ახლა თბილისის აღნიშნული ორი უბნის შემარეთებელი ხილია. ამ სტრიქონების ავტორს (რ. თ.) ეს ბორანი ახსოვს, როდესაც 1950-

¹⁰⁷ Документы по истории Грузии. Т. 1, Ч. 2, Тб., с. 54, 93, 98.

იანი წლების დასაწყისში მასზე მჯდარა. 1911 წლამდე ბორანი იყო მუხრანის ხიდის ადგილას – ის რიყეს ავლაბართან აკავშირებდა. ამ ბორანს დღეში ორი ათასი ადამიანი გადაჰყავდა¹⁰⁸. მეტეხის ხიდისა და ბორნების გარდა, ძველ თბილისში მოქალაქეები და საგარეუბნო სოფლების მცხოვრებნი ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე ნავებითაც გადადიოდნენ. კონკრეტულად ნავს უმუშავია ორთაჭალაში. ორთაჭალის ნავს მენავე ემსახურებოდა¹⁰⁹. „ორთაჭალის მენავე“ 1781 წელს შედგენილ ერთ-ერთ საბუთში გვხვდება. ხოლო ერთი წლის შემდეგ საბუთში, რომელიც ორთაჭალას ეხება ვკითხულობთ: „...საცა მენავე მუშაობს“. ორთაჭალაში მენავის პირდაპირი მოვალეობა ყოფილა მებაღეების, ბალის მეპატრონეების და სხვათა გადაყვანა. აღნიშნულ სამუშაოებში მენავე მისთვის განკუთვნილ გასამრჯელოს იღებდა¹¹⁰. ნავები ბაგირზედაც ჰქონდათ გამობმული. ბაგირიანი ნავები 1840-იან წლებამდე თბილისელთა მტკვრის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლის ძირითადი საშუალება იყო.

თბილისელთა გარკვეული სატრანსპორტო საშუალება იყო ტივიც, რომლებიც ძირითადად ბორჯომის ხეობიდან შემოდის. მართლ 1864 წელს თბილისში 3 ათასი ტივიც შემოსულა. ტივს ზოგჯერ მტკვრის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე სხვადასხვა პროდუქტების გადასატანადაც იყენებდნენ. თბილისში რამდენიმე სატივე არსებობდა. სატივე თბილისში ეწოდებოდა ისეთ პუნქტს, სადაც ტივები იშლებოდა და იყიდებოდა. მაგალითად, სატივე ყოფილა, იქ, სადაც მდინარე ვერე მტკვრს ერთვოდა და სადაც იყო პატარა კუნძული. აქ მოსული ტივები მარჯვენა ტოტზე ჩერდებოდნენ. მათ შლიდნენ და იმართებოდა ბაზრობა. ტივების სადგომი ყოფილა აგრეთვე *მდათოვის კუნძულთან*, მის მარჯვენა ტოტთან¹¹¹. თბილისელებმა იცოდნენ მტკვარზე ქორწილის გადახდაც. როგორც იოსებ გრიშაშვილი წერს: „არ ვიცი რომელი სანახაობა ავლობდა ამ სურათს, როცა ექვს ტივს ერთმანეთზე გადააბამდნენ და მტკვარზე

¹⁰⁸ ალ. სარალიძე. თბილისის ხიდები, 2012, გვ. 18.

¹⁰⁹ თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, გვ. 42.

¹¹⁰ თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, გვ. 107.

¹¹¹ დ. მეგრელიაძე. მასალები ქართული ყოფის ისტორიიდან: ტივიც და მეტივეობა საქართველოში (წერილობითი წყაროების მიხედვით). – მასალები საქართველოს ეთნოლოგიისათვის, თბ., XXIV, 2001, გვ. 44.

ქორწილს იხდიდნენ. აქეთ მეფე-დედოფალი იყო მღვდლით, ევჯიბით და მღაღებით, იქით ნაკვეთიერი ბიჭები ოშთაყვირს ატრიალებდნენ მტკვრის ტალღებში. ერთ მხარეს ქეიფი და ცეკვა იყო ღულუკზე, მეორე მხარეს ცეცხლი ჩახჩახებდა, რომელზედაც წყლით სავსე კოჭობი იდგა ცოცხალი თევზისათვის“¹¹².

თბილისი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერია იყო იმ თვალსაზრისით, რომ ის გადასატვირთავი პუნქტი იყო – მასზე გადიოდა არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიიდან და რუსეთიდან, არამედ ევროპიდან სპარსეთსა და თურქეთში მიმავალი სავაჭრო მაგისტრალები. თბილისის მნიშვნელობა ამ თვალსაზრისით უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ჯვრის უღელტეხილის გავლით საქართველოს სამხედრო გზა გაიხსნა. თბილისზე გადიოდა დასავლეთისკენ მიმავალი გზა შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ, აღმოსავლეთით კი – აზერბაიჯანში, სამხრეთ-აღმოსავლეთით – სომხეთსა და სპარსეთში.



ციციანოვის აღმართი

¹¹² ი. გრიშაშვილი. საიათნოვა, ტფ., 1918, გვ. 33.

წყალი თბილისელთა ცხოვრებაში

სამკურნალო-გოგირდოვანი წყლებით მდიდარი თბილისი სასმელი წყლით ღარიბი იყო. ჭების სიმლაშისა და წყაროების სიმცირის გამო, ძველი თბილისელები სასმელად უმთავარესად მტკვრის წყალს ხმარობდნენ. 1800 წლის გეგმაზე ნაჩვენებია გვირაბი, რომელიც ციხიდან მტკვრისაკენ გადიოდა. ეს გვირაბი, გეგმის შედგენისას უკვე დანგრეული, ციხეში მტკვრიდან წყლის მოსატანად ყოფილა განკუთვნილი. მეორე ასეთი გვირაბი ციხიდან წავკისის წყლისაკენაც მიდიოდა. საერთოდ წყაროები ქალაქის ცენტრიდან შორს იყო, სოლოლაკის ქედსა და მთაწმინდის კალთებზე. მაგრამ მიუხედავად სიშორისა, ქალაქში, როგორც ჩანს, მანაც ხერხდებოდა მათი შემოყვანა თიხის მილების საშუალებით. არქეოლოგთა მიერ ასეთი მილები რამდენიმე ადგილას არის ნაპოვნი. *პლატონ იოსელიანის* ცნობით, მეფის სასახლის ეზოში აუზი იყო გაკეთებული, რომელშიაც სჩქეფდა წავკისიდან გამოყვანილი წყალი. ე. წ. ბაღის წყალი ჩანს სიონთან მდებარე ბაღშიც. ამ ადგილებში წყალი სპეციალური მილებით შემოჰყავდათ. საბუთებით ირკვევა, რომ წყარო ოქროყანიდანაც იყო გამოყვანილი, რომელიც აგრეთვე მილებით მოდიოდა. წყალსაცავი აუზების არსებობა საბუთებში მრავლად დასტურდება ქალაქის გარეუბნის ტერიტორიაზე. ავლაბრის ბაღების აუზებში წყალი მანათას მთის წყაროებიდან იყო მილებით გამოყვანილი.

ნარიყალაზე წყალი ხუთი კილომეტრით დაშორებული ადგილიდან – ოქროყანის მიდამოებიდან – ჰქონდათ შემოყვანილი თიხის მილებით. ამ წყალსადენით თბილისის მოსახლეობის ნაწილიც მარაგდებოდა. წყალსადენი მის გამყვანებს ოსტატურად ჰქონდათ შენიღბული. ნარიყალას ციხე-სიმაგრეში აუზებიც ჰქონიათ და შიგთვეზი ჰყოლიათ მოშენებული. ეს წყალსადენი ციხიდან ქალაქშიც ჩამოდიოდა და მის წყალს ლამაზად გაფორმებული შადრევანისათვის იყენებდნენ. შადრევნიდან ამონახეთ წყალს აუზებში აგროვებდნენ და ბაღების მოსარწყავად ხმარობდნენ¹¹³.

¹¹³ გ. მინდაძე. ძველი თბილისის წყლით მომარაგება. – თბილისი 1500, საიუბილეო კრებული, თბ., 1958, გვ. 286-287.

ძველი თბილისის გარეუბნებში ღირსიჭალის, ორთაჭალის, კრწანისის, დიდუბის, სეიდაბადის, სოლოლაკის, ვერისა და საბურთალოს მიდამოებში შესანიშნავი ბალები იყო გაშენებული. ყველა ეს ბაღი ირწყვებოდა; სხვანაირად თბილისში მებაღეობის განვითარება წარმოუდგენელი იყო. ვერაზე წყნეთამდე გრძელდებოდა საუკეთესო ბალები, რომლებიც მდინარე ვერიდან გამოყვანილი არხით ირწყვებდა. ამავე არხით ირწყვებოდა საბურთალოს ველიც: „გარნა ვერე წყნეთამდე წალკოტითა შემკული და მრავალნი. მისი სამხრით არს ველი საბურთალოსა. ამის შინა ყოფილა რუ, ვერედამ მოტანილი და აწ უამისოდ უნაყოფო არს“.



მეთულუხჩეები ზურგზე კოკებით და კოკოზებით

აღსანიშნავია, რომ ნარგავ-ნათესების მოსარწყავად ძველ თბილისში გოგირდოვან ცხელ წყლებსაც იყენებდნენ, ოღონდ გაცივებულს. გოგირდოვანი წყლის დიდი აუზი ყოფილა მოწყობილი ისანში, თანამედროვე „არამიანცის“ სავადმყოფოს ეზოს განაპირას, წინანდლის ქუჩის აღმოსავლეთით. აუზამდე სამი მეტრი სიღრმის გვირაბის საშუალებით გამოყვანილი იყო მინერალური ცხელი წყალი. ამ აუზიდან იქ დაგროვილი წყალი მილების საშუალებით შეჰყავდათ ბაღებში სამხრეთის მიმართულებით 300 მეტრ მანძილზე, სადაც ორი ოთხკუთხა აუზი იყო მოწყობილი. აუზებში დაგროვილი ცხელი წყალი გრილდებოდა და შემდეგ იმით ირწყვებოდა ბოსტნები და ბაღჩები. შენიშნულია, რომ მინერალური წყლით მორწყვა უარყოფითად მოქმედებდა მხოლოდ კიტრის კულტურაზე¹¹⁴. სხვათა შორის, გაგრილებულ გოგირდოვან წყალს სულ ცოტა ხნის წინ იყენებდნენ პოშიდვრის მოსარწყავად ლისის ტბასთან ახლოს მდებარე სათბურებში.

თბილისის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ წყლის მიმწოდებლებს, დამტარებლებს – *მეთულუხჩეებს*. წყლის დეფიციტი თბილისის მცხოვრებთათვის ნამდვილი უბედურება იყო. ამ პრობლემას გარკვეულწილად *თულუხჩეები* წვევებდნენ, რომლებიც მოქალაქეებისათვის წყალს მტკვრიდან ეზიდებოდნენ. დაყენებული მტკვრის წყალი გემრიელი და სასიამოვნო ყოფილა დასალევად. ყველაზე სუფთა კი შემოდგომასა და ზამთარში იყო. ქალაქის ხელებისუფლებას მტკვარზე თორმეტი ადგილი ჰქონდა გამოყოფილი, საიდანაც შეიძლებოდა წყლის აღება. მეთულუხჩეები წყალს ტყავის დიდ ტიკებში – *თულუხებში* ასხამდნენ. სავსე თულუხებს ისინი ცხენებსა და სახედრებს აჰკიდებდნენ, რის შემდეგაც კლიენტებისაკენ მიემართებოდნენ. ცხენზე ან ჯორზე ორმაგი თულუხი ეკიდა, რომელიც კეხზე იყო შეერთებული. თულუხს ზემოდან ფართო ნახვრეტი ჰქონდა, რომელშიც პირდაპირ მდინარიდან ასხამდნენ წყალს. ქვევიდან, წვრილი ნახვრეტიდან, წყალს კასრებში ასხამდნენ. წონასწორობისათვის თულუხნი ხან ერთი მხრიდან ჩამოასხამდა წყალს, ხან მეორე მხრიდან. წყლის მოტანისათვის შაურს იღებდა. ნაღდად კი არა: მზარეული გამოიტანდა ჯოხს, რომელზედაც თუ-

¹¹⁴ გ. მინდაძე. ძველი თბილისის წყლით მომარაგება. გვ. 290.

ლუხჩი გააკეთებდა ნაჭდევს. როცა 20 ნაჭდევი შეგროვდებოდა, მიიღებდა მანეთს¹¹⁵. ზოგიერთ წყლის დამტარებელს წყალი კოკებითა და კასრებითაც დაჰქონდა. 1880-იან წლებამდე წყლის ფასი ძირითადად განისაზღვრებოდა მტკვრიდან არსებული მანძილით. შეიძლება თანამედროვეთათვის წარმოუდგენელი იყო მდინარის წყლის დაღვევა. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ საქართველოში მდინარის წყალს სხვაგანაც სვამდნენ. მაშინდელი ქართველები მდინარეებს უფრთხილდებოდნენ, არ აბინძურებდნენ. მიუხედავად ამისა, თბილისელები მტკვრის წყალს მაინც აწმინდავებდნენ. საამისოდ კი გამოიყენებდნენ ცხვავატელთა (ქსნის ხეობა) მიერ დამზადებულ სპეციალურ დიდ ქილებს. ასეთ ქილებში დაყენებულ მტკვრის წყალს ცოტაოდენ შაბს ურევდნენ. იგი ჭუჭყის შემცველ ან ამღვრეულ წყალს აუვნებლებდა. 1887 წელს თბილისში წყალგაყვანილობის გამართვის შემდეგ თულუხჩებმა ფაქტობრივად ფუნქცია დაკარგეს. მიუხედავად ამისა 1890 წელს ქალაქში 126 თულუხჩი კიდევ იყო დაფიქსირებული. საინტერესოა, რომ მეხანძრეთა რაზმების ჩამოყალიბებამდე, თულუხჩები მეხანძრეების მაგივრობასაც სწევდნენ.

„თბილისის მტკნარწყლიან წყაროებიდან ყველაზე დიდი თათრების სასაფლაოს დასავლეთით მომდინარე წყარო იყო, რომლის ნაწილი თიხის მილებით მეჩეთში ჩადიოდა. ამ წყაროს თავისუფლად შეეძლო დაეკმაყოფილებინა მეიდნის მცხოვრებთა უმეტესობა, მაგრამ ხალხი მას „მურდაშირს“, ე. ი. მკვდრების გასაბან წყალს ეძახდა და სასმელად არ ხმარობდა. XIX საუკუნის ორმოციან წლებში, „მურდაშირი“ გამოყენებული იქნა მეიდანზე საზოგადო წყაროდ“¹¹⁶.

¹¹⁵ საქართველოს გაზეთი, 1819, №5.

¹¹⁶ ი. ბალახაშვილი. ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 131.

ყინული თბილისელთა ცხოვრებაში

თანამედროვე ცხოვრება წარმოუდგენელია მაცვივის გარეშე, მაგრამ ძველად არც ელექტროენერგია იყო და არც მაცივარი. ადამიანებს ხომ სჭირდებოდათ გარკვეული პროდუქტების მცირე დროით მინც შენახვა ან ცხელ ზაფხულში წყლისა და ღვინის გაცივება? თითქმის XX საუკუნის 70-იან წლებამდე თბილისის ქუჩებში ნაყინის გამყიდველებს სანაყინე ყუთში ყინული ეყარათ, მაღაზიები და სასადილოებიც დიდი ყინულის ლოდებით მარაგდებოდა. ეს ყინული დიდ მაცივრებში იყო გაკეთებული. შუა საუკუნეების თბილისელებიც იყენებდნენ ყინულსა და თოვლს. XIX საუკუნის ავტორები მიუთითებდნენ თბილისური სიცხისა და მტკვრის შესახებ. მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ თბილისში ყოფნა იმ დროს არც თუ ისე საშიში იყო, რადგან მცხოვრებთ ეხმარებოდა გრილი სარდაფები და ზამთარში მომარაგებული ყინული. როგორც *მაძისა ბერძნიშვილმა* გაარკვია ძველად თბილისურ სახლებს *საყინულელებიც* ჰქონია — ეს იყო ღრმად ამოთხრილი სარდაფები. საყინულეები ჰქონია ქვეშ ფართო ღუქებს. სიონ-ანჩისსხატის რიგზე მდგარა ამილახვრიანთ სამსართულიანი სასახლე, რომელსაც ასევე მიწაში საყინულე გააჩნდა¹¹⁷. მაგრამ როგორ ხდებოდა ეს? როგორ ინახვდნენ ყინულს? ცნობილია, რომ კახეთის მეფემ *ლევანმა* დღევანდელ საინგილოში — *ფიფინეთში* პირველად დაასახლა ლეკები, რომ საძეგო კარისათვის კავკასიის მთებიდან ყინული ეზიდათ.

თბილისელებს კი ამ მხრივ დედაქალაქის სანახების მოსახლეობა ამარაგებდა — ისინი მისდევდნენ ყინულისა და თოვლის შენახვას, რასაც საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია გააჩნდა. თბილისის სანახებიდან შემოტანილი თოვლ-ყინულით მარაგდებოდა თბილისის ღუქნები, რითაც აციებდნენ ღვინოს, ხორცეულს, თევზეულს, და სხვადასხვა საჭმელ-სანოვაგეს. თოვლ-ყინულის შენახვის რამდენიმე საშუალება არსებობდა. ესენი იყო *ორმო-თხრილები*, „*კლდე-ნაკვეთები*“, *საყინულე სარდაფები*, „*ჩავარდნილი ადგილები*“... საოჯახო მოთხოვნილებებისათვის თუ შედარებით პატარა ორმო-თხრილებს

¹¹⁷ მ. ბერძნიშვილი. თბილისის გარეგანი იერსახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965, 61, 65, 67.

თხრიდნენ (20 კვ. მ.), საბაზროდ დანიშნული ყინულისათვის ისეთი თხრილები და მიწისქვეშა ნაგებობები კეთდებოდა, რომლებიც 200-300 ურემ ყინულს იტევდა. „კლდე-ნაკვეთები“ უმთავრესად მდინარეებისა და ტბების მახლობლად კეთდებოდა. საამისოდ ჩრდილოეთ მხარეს საკმაო მოცულობის ფლატეს გამოანგრევდნენ და წინა მხარეს კედელს ამოუშენებდნენ. ნაგებობას ერთ მხარეზე „სათვალურს“ უტოვებდნენ, საიდანაც ყინულის ჩაწყობა ხდებოდა. საყინულე სარდაფები კი მთლიანად მიწაში იყო გაკეთებული. ნაგებობა ქვითკირით იყო აშენებული. მისი თალიანი კედლები მიწის პირამდე ამოდიოდა. მეოთხე მეთოდის არსი კი შემდეგში მდგომარეობდა: ჩავარდნილ და მყუდრო ჩრდილო ადგილებში ნახუქის დადების შემთხვევაში, ხალხი ზემოდან ბზეს და ჩალას დააყრიდა, სიმინდის ფუჩეჩსაც. შემდეგ კი ნახევარი მეტრიდან ერთ მეტრ სიმაღლემდე მიწას აყრიდნენ. ასე თოვლი და ყინული ზაფხულამდე ინახებოდა. ორმო-თხრილებში ყინულს ფენებადაც აწყობდნენ. ძირზე ჯერ ნახერხსა და ბზეს გაშლიდნენ, შემდეგ ყინულს აწყობდნენ ორი-სამი არშინის სიმაღლეზე. აქ თავსდებოდა ხუთი-რვა ურემი ყინული. შემდეგ კიდევ ბზესა და ჩალას აყრიდნენ, ისევ ყინულს და ა.შ. ზემოდან კი მიწით ბლომად ფარავდნენ. ყინულს მოჭრა კოლექტიურად ხდებოდა. ყინულის მოსაჭრელად ათიდან ოცი ურმით მიდიოდნენ. ყინულს ტბებზე და მდინარეებზე ჭრიდნენ, მოსაჭრელად ბლაგვ ცულს ხმარობდნენ. ყინულს სჭრიდნენ ოთხკუთხედად, რომლის სიგრძე ნახევარი არშინი იყო. ყინულის მოსატანად დიდი ურმებით მიდიოდნენ, მაგრამ თბილისში გასაყიდად „ექვსჯალა“ პატარა ურმებით მოჰქონდათ (ამ ურემზე დიდ ურემზე მოთავსებული ყინულის მესამედი ეტეოდა). თბილისის სანახებში ყინულის მოსაჭრელი ადგილები იყო: *ლისის ტბა, დიდვარცლის ტბა, მლაშე ტბა, დიდვორწინა ტბა, შიოს ტბები, მუხადვერდის ტბა, ჭაჭაურები, ძეგვის ტბა, ჩახერვილის ტბა* და აგრეთვე სხვადასხვა მდინარეები. დიდმელებსა და ლისელებს გარდა, აღნიშნულ საქმიანობას მისდევდნენ კოვრელები, წყნეთელები და შინდელები. ყინულის შენახვის ტრადიცია და შემდეგ თბილისში გასაყიდად გატანა საქალაქო ცხოვრების მაღალი დონის მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ, სანახებში მდებარე სოფლების მკვიდრთა ნაწილისათვის კი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

გატობის საშუალებანი

ქალაქის მოსახლეობა შეშით თბილისის სანახებიდან მარაგდებოდა. ამ საქმიანობით განსაკუთრებით ვერეს ხეობის მკვიდრნი იყვნენ დაკავებული. თბილისის ნახშირით ამარაგებდნენ გომბორიდანაც, სადაც ამ პროფესიით ძირითადად დასაქმებული იყვნენ XX საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანიდან მოსული ლაიჯები და ირანიდან მიგრირებული თათები. *შეშის მეიდანის მუხრანის* ხილთან იყო. მეშეშებს გასაჩერებელი ადგილი ჰქონიათ საბურთალოსეც. ძირითადად ამავე ხეობიდან და აგრეთვე სხვა მიმდებარე სოფლებიდან მარაგდებოდა თბილისი ნახშირით. ნახშირის დამზადებაც შეამხანაგების შედეგად ხდებოდა. მენახშირეობით დაკავებული ყოფილან დასავლეთ საქართველოდან გადმოსულებიც, რომლებიც იჯარით იღებდნენ არა მარტო მამულებს, არამედ ტყეებსაც. ნახშირს „ჭინჭის მეშოკებში“ აწყობდნენ, რომელშიც 16 კილოგრამი ჩადიოდა. ნახშირსაც იმდროინდელი ტრანსპორტით – ურმებით ეზიდებოდნენ. ზამთარში ყოველდღიურად 1000 საპალნე ნახშირი შემოჰქონდათ ქალაქში. გადაკიდებული ორი ტომარა ნახშირი, რომელიც ერთ ფუთამდე იყო, 25 კაპიკიდან 40 კაპიკამდე ღირდა ვერცხლით.

მენახშირეების მთავარი შესაკრები ადგილი მენახშირეების მოედანი (შუა ბაზრის მახლობლად) იყო. სადამოთი მენახშირეები სურსათ-საყიდლებით დატვირთულნი, ზოგჯერ შეზარხოშებულნი, ბრუნდებოდნენ თავიანთ „სახლებში“ – ქალაქის გარეუბანში. მენახშირეთა შორის ბევრი იყო დასავლეთ საქართველოდან გამოქცეული ყმები. მათ ჰქონდათ შექმნილი პატარა ამხანაგობები. ტყის მეპატრონეს ერთი ორმო ნახშირიდან ერთი ტომარა ეძლეოდა.

სახელებით ნახშირისა და შეშის შემოტანა ზაფხულშიც ხდებოდა. მენახშირეობამ საერთოდ დიდი ზიანი მიყენა თბილისის გარეუბნებს – კატასტროფიულად გაიკაფა ტყეები, მის ადგილზე სახნავები და საძოვრები გაჩნდა. როგორც ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, ვერეს ხეობაში XIX საუკუნეში მიგრირებული მთიელები მენახშირეობას იმ მიზნით მისდევდნენ, რომ სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთები მოეპოვებინათ. მენახშირე მიგრანტები მხოლოდ პანტის ხეებს სტოვებდნენ, რადგან ისინი პანტას თავიანთ დოვლათად მიიჩნევდნენ – მისგან ჩირს აკეთებდნენ (პანტის ჩირი ფურნეში გამო-

ყავდათ. მას ხანდახან ხარშავდნენ და მის წვეს სვამდნენ; ის ფა-
ლართის მოსარჩენი უებარი წამალი ყოფილა. პანტის ჩირისაგან
იღებდნენ კარგი გემოვნების ბურახსაც¹¹⁸. თქმულის შემდეგ, ვფიქ-
რობთ, არავითარი ანალიზი არ სჭირდება იმის მიზეზების გარკვე-
ვას თუ რამ გამოიწვია თბილისში – ვერეს ხეობაში ორი დიდი კა-
ტასტროფა – ეს იყო XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ
სამ ათეულ წელს ხე-ტყის განუსაზღვრელი ჭრა¹¹⁹.

თბილისელთა სახლების გათბობის საშუალებანი სხვადასხვაგ-
ვარი იყო. დარბაზი და მიწური სახლი ფეოდალიზმის პერიოდში
კერაში ანთებული ცეცხლით თბებოდა. გვიან კერას ბუხარი ჩაენაც-
ვლა. ბუხარს თბილისელები აგურით აგებდნენ, რომლის ზედა ნა-
წილი თადის მოყვანილობის იყო. ბუხარი უმეტესად მოთავსებული
იყო ნაგებობის უკანა ნაწილში გვერდით კედელთან. კერისა და ბუ-
ხრის გარდა ფართოდ იყო გავრცელებული გადასატანი გამათბო-
ბელი საშუალება *მაყალი*. შეძლებულთა ოჯახებში მაყალი ჰქონდათ
სპილენძის, დარიბებს კი თიხის მაყალი ჰქონდათ, რომელშიც გა-
ხურებულ ნახშირს ყრიდნენ. ცივ პერიოდებში მაყალის ირგვლივ
გასათბობად თავს იყრიდა მთელი ოჯახი. მაყალი იყო აგრეთვე ნე-
ბისმიერი სახელოსნოს, სავაჭროსა და ღუქნის აუცილებელი გასათ-
ბობი, სადაც მაყალზე არა მხოლოდ თბებოდნენ, არამედ მასზე წვა-
ვდნენ მწვადს, ხარშავდნენ ნაირნაირ კერძებს.

მაყალს გარდა, ნებისმიერი თბილისელის ოჯახში ჰქონდათ *ქი-
ურსი/ქურსი* – სპეციალური გასათბობი ნაგებობა. მას მართავდნენ
დიდი ხის ყუთის მსგავსს, რომელშიც დგამდნენ გაცხელებულ მა-
ყალს. მთელ ნაგებობას აფარებდნენ საბნებსა და ფარდაგებს. ზამთა-
რში ქიურსს ტახტზე დგამდნენ, რომლის გარშემოც მთელი ოჯახი
ჯდებოდა. თბილისელი ქალები ქურსის გარშემო შემოკრებილნი
ხშირად რთავდნენ და ქსოვდნენ. თბილისის ყოველ ოჯახში, ყოველ
ღუქანსა, სახელოსნოსა, ტრაქტირსა, ყავახანაში, ყველგან იდგა ქუ-
რსი. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი თბილისელი სომ-

¹¹⁸ ვ. სონღულაშვილი. მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტუ-
რის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 163-165.

¹¹⁹ მენახშირეობის შესახებ იხ.: ალ. ბოშიშვილი. მენახშირეობა თბილისში
– ისტორიანი. <http://forestry.ge/?id=11152>

ნის ჩანაწერებით, ქურსი თავფდაპირველად იყო შუა ოთახში ამოთხრილი პატარა თონე, რომელშიც „გაღუებულ ნახშირს ჩასდგამდნენ“. ამ ორმოში ფეხებს კიდებდნენ და ზევიდნ საბნებს იფარებდნენ. ასეთი ქურსები ყარსის მხარეში (ისტორიულ სომხეთში) ბევრი ჰქონიათ.




ნახშირის გამყიდველი

XX საუკუნის დასაწყისში თბილისელთა ოჯახებში *ნავთქურები* გამოჩნდა. თუმცა ბევრ ოჯახში კვლავ იყენებდნენ მყაღს. 1880-იანი წლებიდან ზოგიერთ ოჯახში დაიწყო რკინის ლუმლების გამოყენება. ათობდნენ ნახშირით, შეშით და რეფორმის შემდეგდროინდელ პერიოდში – ნავთობითაც. განსაკუთრებით ბევრ შემასა და ნახშირს მოიხმარდნენ თბილისელები. მარტო 1864 წელს გამოუყენებიათ 140 ათასი საპალნე ნახშირი და 40 ათასი საყენი შეშა¹²⁰.

¹²⁰ Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, с. 125.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისელები საცხოვრებელს ანათებდნენ სელის ზეთით, ქონის, იშვიათად სტეარინის *სანთლებით*, რომლებსაც შანდალში ათავსებდნენ. გამოიყენებდნენ აგრეთვე *ჭრახს*, რომელშიც ცეცხლი ეკიდა ქონს, გვიან კი ნავთს. რეფორმისშემდგომ პერიოდში ძირითად გასანათებელ საშუალებად იქცა ფოტოგენი (ფოტონაფტილი) – განსაკუთრებული სითხე, რომელსაც ნავთობისაგან იღებდნენ. თუმცა სანთლებს კვლავ დიდი გამოყენება ჰქონდა. მარტო 1865 წელს თბილისელებმა გასანათებლად გამოიყენეს 10 ათასი ფუთი სტეარინის, 25 ათასი ფუთი ქონის სანთელი და 10 ათასი ფუთი ფოტონაფტილი. თანდათანობით ყოფაში შემოდიოდა ნავთი, რომელსაც გამოიყენებდნენ ნავთის ლამპასა და საჭმლის მოსამზადებლად ნავთქურაში. 1880-იანი წლებში იყო პირველი ცდები გასანათებლად გაზის გამოყენებისა. თუმცა ამ დროს მას ფართოდ არ გამოიყენებდნენ და მით მხოლოდ ოფიციალურ საქალაქო დაწესებულებებს ანათებდნენ. გაზის განათებით ზღებოდა მაგალითად თბილისის სათათბიროს განათება. ამავე წლებში ქალაქში გამოჩნდა ელექტრონული განათებაც, რომლის ქსელიც მოიცავდა მხოლოდ შეძლებულ ოჯახებსა და უბნებს.



მეთულუნჩები

თბილისური პარკები და ბაღები

ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი იყო ბევრი ბაღი; ეს ბაღები არა მხოლოდ ნაყოფის მომცემი ხეხილით იყო გაშენებული, არამედ დეკორატიული მცენარებით, სადაც ადამიანები ისვენებდნენ. *ჟან შარდენი* წერდა: „თბილისის გარეუბნებს მრავალი სალალბო და საუცხოო ბაღი ამშვენებს. ყველაზე უფრო დიდია მეფის ბაღი. ხეხილი აქ ნაკლებად არის, მაგრამ სამაგიეროდ უმშვენიერესი, ჩრდილისა და სივრცის მფენი ხეები აურაცხელია“. თანამედროვე ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე შუა საუკუნეებიდან არსებობდა ბაღები, რომელსაც „ციხის ბაღს“ ეძახდნენ. მას 1845 წელს ეწოდა „ბოტანიკური ბაღი“. ბოტანიკური ბაღი მდიდარია ფლორის კოლექციებით – აქაა უნიკალური და წითელ წიგნში შეტანილი მცენარეები, 1870-იან წლებში სოლოლაკის ქედის ქვეშ ბოტანიკური ბაღისაკენ დაიწყო გვირაბის მშენებლობა ახლანდელი ასათიანის ქუჩიდან, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დასრულდა. ბაღშია 1914 წელს აშენებული თაღოვანი ხიდი ჩანჩქერის თავზე.

პოეტი *ფეშანგი ფაშვიბერტყიძე*, რომელმაც პოემა უძღვნა *შაჰ-ნავაზს* (ვახტანგ V), გადმოგვცემს არა მხოლოდ მეფის მიერ აშენებული სასახლის დიდებულებას, არამედ სასახლის ირგვლივ არსებულ მშვენიერ ბაღს: „იგ ბაღსა შუა საღზინოდ // მორთვით დგას აინხანები. // მისსა მნახველსა სარჩლა აქვს, // გულო, ნუ ხელობ, ხან ები! // მათ მოსძულდების სამყოფი, // რა შევლენ, ნახვენ ხანები. // წყალი დის, ავზი სავსეა, // მებაღე ვარდსა რწყვიდისა, რა გაზაფხული მოვიდის, // სადენლად არ დასწყვიტისა, ვარდის წყლით სავსე ყველაი, // მინებსა ვერ დასთვლიდისა, // რა დაჭკნის ვარდი, ბულბულმან // იმედი გარდასწყვიტისა. // სრას ავლია ტურფა ბაღი, // სულ სურნელობს დღე და ღამე, // ვარდი ყვავის მისებურად, // დავადარო სხვა რაღა მე? // ბულბული სცავს, მისი ხელი, // თქვა: „წავიდე სადაღამე“, // ვპოვო ჩემად სასიცოცხლოდ, // ამად ვიქენ სადაღამე. // სხვა ყვავილთა ფეროვნება // არ ითქმების კაცთა ენით: // ზამბახი და იასამან, // თვით ყაყაჩო ვით ვაქენით? // ნარგიზისა ფერი მოწმობს, // სხვა რა უქო

სულთა დენით? // ყარდი მეფობს ყვავილზედან, // ილაღვიან ცუ-
დად რბენით“.

ძველ თბილისში არსებობდა „ბაჰბუდას ბაღი“. ის გარეთავლა-
ბრის ჩრდილო-აღმოსავლეთით იყო. ვახუშტი მას მიუთითებს რო-
გორც კედლით შემოზღუდულ ბაღს. ბაღი XVII საუკუნეში გაუშე-
ნებია მდიდარ თბილისელ ვაჭარს *ბეჰბუდას*, რომელმაც საფუძველი
ჩაუყარა თავად ბებუთაშვილების გვარს.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილ გეგმაზე
დღევანდელი სოლოლაკის უბნის ტერიტორიაზე ბაღები ყოფილა;
ეს ბაღები იყო მეფის, დედოფლის, მამასახლისისა და თბილელის
ბაღები¹²¹. მაგრამ ამ ბაღებში არა პარკები, არამედ ხეხილის ბაღები
იგულისხმება, სადაც მათ მფლობელთ ნებივრობისა და დასვენების
საშუალებაც ჰქონდათ.

თბილისში, წავკისისწყლის ხეობაში მდებარეობს ბოტანიკური
ბაღი, რომლის ფართობი 160 ჰა აღწევს, ის ერთ-ერთი უძველესი
ბაღია კავკასიაში. მისი გაშენება XVII საუკუნის 20-იან წლებში
დაუწყიათ. ბოტანიკურ ბაღში 5 ათასამდე მცენარეული სახეობა და
სახესხვაობაა წარმოდგენილი. ძველ დროს ბოტანიკური ბაღი სამე-
ფო სასახლის ნაწილი იყო.

თბილისელთა გართობა-დასვენების ადგილი ქალაქის ძველ
უბანში ორთაჭალაშიც იყო. მას ორთაჭალის ბაღებს უწოდებდნენ.
მდებარეობდა განტოტილი მტკვრის შუაში ბუნებრივად შექმნილ
კუნძულზე. XIX საუკუნემდე ორთაჭალის ბაღები ფეოდალური
არისტოკრატის წარმომადგენელთა და ზოგიერთი მსხვილი ვაჭრის
საკუთრება იყო. XIX საუკუნიდან თბილისელთა, განსაკუთრებით
მისი შეძლებული ფენების გართობა-დასვენების ადგილად იქცა –
გაიხსნა რესტორნები (ყველაზე პოპულარული იყო „ელდორადო“
და „ფანტაზია“), სხვა საეჭვო ხასიათის სეფა-სახლები. ქალაქის
ხელისუფლება აქ ხშირად აწყობდა სახელობით საღამო-ვახშმებს
(1829 წლის 27 ივნისს ასეთი ვახშამი მოუწყვეს ა. პუშკინს). ორ-
თაჭალის ბაღები აისახა *გრიგოლ ორბელიანის*, *ნიკო ფიროსმანი-
შვილის*, *ვ. ხოჯაბეგოვის* და სხვათა შემოქმედებაში. ზოგჯერ ორ-

¹²¹ მ. ბერძინიშვილი. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ.,
1965, გვ.54.

თაჭალის ბალებს ეძახდნენ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე განლაგებულ ბალებსაც. ორთაჭალის შემდეგ მეორე სასიერნო ბაღი „სატიო“ იყო – ვერის უბნის ულამაზესი ნაწილი. სატიო *ნიკოლოზ ბარათაშვილის* საყვარელი ადგილი ყოფილა. აქ დაუწერია მას თავისი ერთ-ერთი შედეგური „ფიქრნი მტკვრის პირას“.

XIX საუკუნის თბილისში პოპულარული იყო მუშტაიდის ბაღი, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს. მისი დამაარსებელია ირანელი *აყა მირ ფათაჰ მუშტაიდი*. მუშტაიდი დამახინჯებული ფორმასპარსული სიტყვისა „მოჯთაჰედი“, რაც შიიტთა უმაღლეს სასულიერო პირს აღნიშნავს. მუშტაიდი თავრიზელი დიდებული გავლდათ, რომელიც 1828 წლიდან საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. თბილისში დასახლებულ მუშტაიდს ახალ კუკიაზე რუსეთის ხელისუფლებამ მიწის დიდი ნაკვეთი უბოძა. მან კი ამ ტერიტორიაზე ალვის, ჭადრის და თეთრი აკაციის ხეები დარგო და ლამაზი ბაღი გააშენა. მან იქვე აღმოსავლური გემოვნებით მოწყობილი სახლი აიშენა. ბაღის მოსარწყავად მტკვრიდან არხიც გამოიყვანა. მეზობლად მცხოვრები გერმანელი კოლონისტები კი მას არხით სარგებლობისათვის გადასახადს უხდიდნენ. 1853 წელს მუშტაიდის ბაღი ქალაქის საკუთრებაში გადავიდა. დროთა განმავლობაში ბაღმა გარკვეული ცვლილებები განიცადა. ის თბილისელთა და სტუმრების თავშეყრის ადგილი იყო. აქ ხდებოდა მაღალი რანგის სტუმრების მიღება, იმართებოდა მეჯლისები, კონცერტები¹²². პირველად აქ უნახავს ნიკო ფიროსმანს ფრანგი მომღერალი *მარგარიტა*. 1887 წელს ბაღის ტერიტორიაზე ბუნებისმეტყველის *ნიკოლოზ შავროვის* ინიციატივით მუშტაიდის ბაღში დაარსდა კავკასიის სააბრეშუმო სადგური. საბჭოთა პერიოდში, კი 1935 წელს აქ პირველად აშენდა მსოფლიოში პირველი საბავშო რკინიგზა. გერმანელი მწერალი *არტურ ლაისტი* მუშტაიდის ბაღის შესახებ წერდა: „მუშტაიდი და მისი ახლომახლო მდებარე ბაღები ნამდვილი კერაა აქაური საზოგადოებრივი ცხოვრებისა. აქ ყოველ საღამოს, ხუთი საათიდან შუალამემდე, გაცხარებული დროსტარებაა, ჭეშმარიტად მხიარული და ხმაურიანი, რადგან ქეიფის დროს ქართველებს უყვართ ბაასი.

¹²² ბ. ოპერიძე. ირანელი ემოგრანტები საქართველოში (სამავისტრო ნაშრომი), 2017.

მუშტაიდი ჰქვია მტკვრის პირას მდებარე ვრცელ და მშენიერ ბაღს, დასერილს ხეივნებით, სადაც სეირნობენ ეტლებით და ფეხით. ამ ხეივნებს ორსავე მხარეს ჩარიგებული აქვს ველურ ვარდთა და სხვა მცენარეთა ბუჩქები, ხოლო ზედ ხეებზე ყურძნის მტევნებით დახუნძილი ვაზი ადის. ამ ამწვანებულ, დაჩრდილულ ბაღში ყოველ საღამოს იკრიბება თბილისის საუკეთესო საზოგადოება“.

თბილისის პარკებსა და ბაღებზე როდესაც ვსაუბრობთ, შეუძლებელია 9 აპრილის ბაღი არ ვახსენოთ. ის თბილისის ცენტრში მდებარეობს – ქაშუეთის ეკლესიისა და სამხატვრო გალერიის (ყოფილი სამხედრო-ისტორიული მუზეუმი „დიდების ტაძარი“) უკან. დამრეცი რელიეფის გამო, 9 აპრილის ბაღი, რომელსაც ადრე ალექსანდრეს ბაღი ერქვა, რევაზ თაბუკაშვილის ქუჩით ორ ნაწილად იყოფა. ბაღს სახელი მიაკუთვნეს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის საპატივცემულოდ. მისი მშენებლობა 1859-1865 წლებში მიმდინარეობდა. შუა საუკუნეებში ალექსანდრეს (9 აპრილის) ბაღის ტერიტორიაზე საასპარეზო იყო – აქ ყაბაზში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. „ყაბაზი“ აქ დატანილია ტურნეფორისა (1701 წელი) და ვახუშტი ბაგრატიონის (1735 წელი) გეგმებზე.

ვერეს ბაღის ტერიტორია თავდაპირველად დიდ ტერიტორიას მოიცავდა – ლურჯი მონასტრიდან მდინარე ვერეს მტკვართან შეერთების ადგილამდე გრძელდებოდა. ამ ტერიტორიის ნაწილზე სასაფლაოც არსებობდა, რომელიც 1898 წელს გააუქმეს და თანამედროვე ბაღი მოეწყო. აქაა კალათბურთის სპორტული კომპლექსი, საჩოგბურთო მოედანი და ჭადრაკის სასახლე. პარკში გაშენებულია 61 სახეობის მერქნიანი მცენარე. ვერეს ბაღში განისვენებენ ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლები *ალიოშა*, *ალექსანდრა* და *სიმონ ჯაფარიძეები*.

XIX საუკუნეში თბილისელები გუნდ-გუნდად დასეირნობდნენ ქალაქში და მიისწრაფოდნენ ბაღებისაკენ. ხმაური, ხარხარი და გამვლელ-გამოვლელთდამი გახუმრება თან ახლდა მათ გასეირნებას. „ყველაზე მეტ მოსეირნეს იზიდავდა კათოლიკეთა ახალი სასაფლაო, განთქმული შირაზის ვარდებით. *გაძა* შენიშნავდა: „კათოლიკეთა ახალი სასაფლაო გადაიქცა სასეირნო ადგილად, სადაც დადიან იმისათვის, რომ დასტკბნენ შირაზის მშენიერი ვარდებით. ეს

ვარდები გამოგზავნა *მონსინმა*, ინგლისელმა სამხედრო ინჟინერმა, რომელსაც დიდხანს უცხოვრია ინდოეთში“¹²³.

თბილისის მშენებაა მთაწმინდა. XIX საუკუნის სურათებს თუ დავაკვირდებით, ამ ადგილზე მოშიშველებილი კლდე იყო. გადმოცემით, აქ IX საუკუნეში აგებული ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია მდგარა. მის ადგილზე 1542 წელს აზნაურმა *გაბაშვილებმა წმიდა დავითის მონასტერი* ააშენეს. ახლანდელი ეკლესია კი 1817 წელსაა აშენებული, გამწვანებას კი საფუძველი საბჭოთა პერიოდში ჩაეყარა. მთაწმინდაზეა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი. ქალაქის ყველაზე დიდი – ვაკის პარკი კი 1946 წელს აშენდა.



ლაგაშითა და პურით მოვაჭრე ირანელები


¹²³ ი. ბალახაშვილი. ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 20-21.

თბილისური აბანოები

თბილისის თავისებურ ეთნოგრაფიულ იერს აძლევდა გოგირდოვანი ცხელი წყლის (სამკურნალო თერმული წყლების ტემპერატურა 24-დან 47 გრადუსამდე მერყეობდა) აბანოები, რომლებიც თაბორის მთებიდან იღებენ სათავეს; ისინი ქალაქის მოსახლეობის თავშეყრის ადგილებსაც წარმოადგენდა. თბილისის აბანოები, ისევე როგორც ქალაქის სხვა ნაწილები, არაერთხელ დაუზღვევიათ, აღუდგენიათ, გადაუკეთებიათ. ჩვენამდე მოღწეული აბანოების უმეტესობა XVII საუკუნით თარიღდება¹²⁴. ყველა აბანო აშენებულია ქვისაგან, ჭერი კამაროვანია (გუმბათოვანი), საიდანაც სინათლე შედის. ზოგიერთ მათგანში მარმარილოს იატაკიც კი ყოფილა. თავდაპირველად თბილისის აბანოებში აუზები არ ყოფილა, მათ ნაცვლად კლდე იყო ამოღრმავებული. აბანო კი მაშხლებით ყოფილა განათებული. თბილისური აბანოები დღედაღამ ღია იყო, არც ბანაობის დრო იყო განსაზღვრული – ხალხს გათენებამდე შეეძლო შიგ ყოფნა. აბანო ხშირად თბილისში ჩამოსული გლეხისათვის სასტუმროსაც წარმოადგენდა. ერთი დღე თუ ქალებისა იყო, მეორე დღე – მამაკაცებისა. ქალები აბანოში მარტო საბანაოდ არ დადიოდნენ; აბანოში წასულებს თან სარეცხიც მიჰქონდათ. ძველ თბილისში აბანო, საყდართან ერთად, გასართობი ადგილიც იყო. მზრუნველი ქმარი თავის ცოლს აბანოში სადილსაც უზაავნიდა. აბანოში ჩვეულებრივი ამბავი იყო ჩაის სმაც, რის გამოც სამოვარი მთელი დღე თუნთუნებდა. აბანოში ტრადიციულ კერძებად მიღებული იყო: თუთუმომოყრილი [თუთუბო – სანაელებელი, სამკურნალო და საღებავი მცენარე. საქართველოში თუთუბოს გამოიყენებდნენ თვალის სამკურნალოდ და დასაფეხმძიმებლად – რ. თ.], ლულა-ქაბაბი, ფლავი, ფითი, მწვადი, ლავაში და ქართული შოთი პურები. გემრიელ საჭმელად იყო მიჩნეული გოგირდის წყალში დამბალი ქართული

¹²⁴ თ. კვიციანი. ძველი თბილისი, თბ., 1984, გვ. 9-10.

ნმელი „გამხმარი ქართო პური და შნლოს ყველი“. ასეთ სუფრაზე მამაკცები ღვინოსაც შეექცეოდნენ“¹²⁵.



თბილისის აბანო

ბევრი ქალიშვილის ბედიც აბანოში წყდებოდა: „ბევრი სანდომიანი „ქალი და რძალი“ გაბედნიერებულა და ბევრი ფიზიკური ნაკლიც აღმოსჩენია გატიტვლებულ ქალს“¹²⁶. თბილისში საპარაკმახეროების გახსნამდე, აბანო კოსმეტიკური პუნქტის მაგივრობასაც სწევდა; ქალები აქ ფრჩხილებსა და თმას იღებავდნენ. აბანოების უბანში ცხოვრობდნენ დახელოენებული თმის მღებავები; ისინი უმ-

¹²⁵ ნ. გვათუა. ძველი თბილისის გოგირდის აბანოების ისტორიიდან. – თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, თბ., გვ. 98.

¹²⁶ ი. გრიშაშვილი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, ბათუმი, 1986. გვ. 61.

თავარეხად თათრის ქალები ყოფილან. მიაჩნდათ, რომ თმის შესაღებ ინა-ბახმას სამკურნალო თვისებებიც ჰქონდა (ამაგრებდა თმის ძირებს, შველოდა თავის ტკივილს, სასარგებლო იყო მხედველობისათვის). ქალები თავის დასაბანად ხმარობდნენ სარეცხის ან ე. წ. კვერცხის საპონს. თავს იბანდნენ ერთგვარი მიწითაც. თავის დასაბანი მიწა იყიდებოდა აბანოების უბნის ღუჭებში; დაჰქონებიათ კარდაკარ გასაყიდადაც. თმის დასაბანად იყენებდნენ კვერცხის გულსაც. იცოდნენ დაბანილ თავზე ძმრიანი წყლის გადავლებაც. შენიშნულია, რომ „აბანოში ქალების აშკარად – მამაკაცების დასანახავად, წასვლა სირცხვილად ითვლებოდა და ამიტომ ისინი აბანოში დილით ადრე მიდიოდნენ. სახლში კი საღამოთი ბრუნდებოდნენ“¹²⁷. თბილისის აბანოებში ქალებს თავიანთი აშულიც კი ჰყოლიათ – უსინათლო მათა, რომელიც სიმღერით ართობდა გასაანულ ქალებს.

ტრადიციით ყოველი ყარაჩოხელი ქეიფის შემდეგ გამოსაფხიზლებლად აბანოში მიდიოდა. თბილისის ყველა სტუმარი თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნევდა თბილისის აბანოები მონახულებინა და მისი მაღლიანი წყლით განბანილიყო. რაც მთავარია, აბანოში *მექისის* პროფესიით ყველა სტუმარი აღფრთოვანებული იყო. აი, რას წერდა გერმანელი ა. ჰაქსტაუზენი: „ვინახულე ცხელი აბანოები, სადაც აბანოს მსახურები (მექისეები – გ. გ.) საუცხოოდ ბანენ და მასაჟს უკეთებენ. ამას ისე რბილად და მიზანსწრაფულად ასრულებენ, რომ იქიდან გაახალგაზრდავებული გამოდინარ“¹²⁸. დიდი აბანო თბილისში რამდენიმე იყო, რომლებსაც მათი მფლობელების სახელების მიხედვით მოიხსენიებდნენ: *სუმბათაშვილების*, *ბეჭუთაშვილების*, *ზუბალაშვილების* (*შემდეგდროინდელი მირზოევის*), *მარიამ ბატონიშვილის* (*ყოფილი საეკლესიო აბანო*), *ორბელიანების* (*ჭრელი*), *ერეკლეს*, *მეითრის*, *ენალას...* ზოგიერთი აბანოს სახელი კი რაიმე ნიშან-თვისებიდან გამომდინარეობდა: „გრილი აბანო“, „ჭრელი აბანო“, „პატრუქის აბანო“... თბილისური აბანოების შესახებ კიდევ ბევრი შეიძლება ითქვას, მაგრამ ეთნოლოგიური თვალსაზრი-

¹²⁷ ნ. ვკათუა. ძველი თბილისის გოგირდის აბანოების ისტორიიდან, გვ. 98.

¹²⁸ აუგუსტ ჰაქსტაუზენი საქართველოს შესახებ. თარგმანი ვია გელაშვილისა, თბ., 2011, გვ. 122.

სით აუცილებელია აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა „აღმოსავლურ“ (ძირითადად ირანულ) სტილში იყო აგებული; აბანოს დარბაზები მიწის ღონის ქვევით არის განლაგებული და გადახურულია კამარებით. დარბაზები გუმბათოვანი კამარების თავზე მოწყობილი სასინათლო ფარნებით ნათდება. ისინი მარმარილოთა მოპირკეთებული. დარბაზებში ზოგან შუაგულში და ზოგან კედლებთან აუხეზია მოწყობილი. იქვეა ქვის ტახტები, რომელზედაც წამოწოლილ ადამიანს მექისეები აბანავებენ და მასაჟს უკეთებენ¹²⁹.

1829 წელს თბილისის აბანოების სტუმარი ყოფილა რუსი პოეტი *ალექსანდრე პუშკინი*, რომელიც წერდა: „აბანოს შესასვლელთან იჯდა აბანოს პატრონი. მან აბანოში შემეყვანა: ცხელი გოგირდის წყალი ჩქეფდა კლდეში გამოკვეთილ ღრმა აბაზანაში. ჩემს დღეში არ მინახავს არც რუსეთში, არც ოსმალეთში ტფილისის აბანოებზე უმშვენიერესი, აღვწერ მათ უფრო ვრცლად. აბანოს პატრონმა ჩემი თავი მექისე თათარს გადასცა – მას უნდა ეზრუნა ჩემთვის. ჰასანმა (ასე ეძახდნენ ამ თათარს) დაიწყო იმით, რომ ქვის თლილ იატაკზე გამაწვინა, რის შემდეგაც შეუდგა ჩემი სხეულის ასოების მტრვრევას, სახსრების დაჭიმვას, მუშტით ძლიერად ცემას, მე არა ვგრძნობდი მცირეოდენ ტკივილსაც კი, პირიქით, საოცარ შეებას განვიცდიდი. აზიელი მექისეები ზოგჯერ აღტაცებაში მოდიან, გახტებიან მხრებზე, დასრიალებენ ფეხებით თეძოებზე და ბუქნავენ ზურგზე ... ამის შემდეგ დიდხანს მხეხა მატყლის ქისით, გადამავლო თბილი წყალი და დამიწყო ბანა ტილოს აქაფებული ბუშტით, აუწერელი განცდაა: ცხელი საპონი ჰაერივით გეფრქვევა. მატყლის ქისის და ტილოს ბუშტის შემოღება აუცილებელია რუსულ აბანოებში: საქმის მცოდნე ხალხი მაღლიერი იქნება ამისათვის. საპნის ბუშტის შემდეგ ჰასანმა ჩამიშვა აბაზანაში და ამით გათავდა ცერემონია“¹³⁰.

ქრისტიანები და მუსლიმები განცალკევებით, სხვადასხვა აუხეზში ბანაობდნენ; მიუღებელი იყო აბანოს შენობაში სრულიად შიშვლად ყოფნა. ამოტომ მომსვლელეები სასირცხვილო ადგილს პირსახოცით იფარავდნენ. აბანოს შესასვლელში მსურველებს წვერის შა-

¹²⁹ თბილისის ისტორია, ტომი I, თბ., 1990, გვ. 328.

¹³⁰ მ. პოლიექტოვი, გ. ნათაძე. ძველი ტფილისი, ტფ., 1930, გვ. 84.

ვად შეღებვაც შეეძლოთ. აბანოში საერთო დარბაზთან ერთად ცალკეული ნომრებიც არსებობდა.


XIII საუკუნის ერთ-ერთ სპარსულ თხზულებაში საუბარია იმის შესახებ, რომ თბილისში 65 აბანოა. ფრანგი *ჟან შარდენი* კი აბანოების სამკურნალო თვისებაზე საუბრობდა. *ფრედერიკა ფონ ფრეიგანგი* კი წერდა: „თბილისური აბანოები საუცხოვა, ცხელი წყალი გადმოსჩქებს კლდიდან აუზებში. წყალი შეიცავს დიდი რაოდენობით გოგირდს და ძალზე სამკურნალოა რევმატიზმის, ნეკრესის ქარის, სირსველის და ჭრილობის მოსარჩენად¹³¹. ბანაობის დროს მამაკაცების ნაწილი ხმარობდა რუხი ფერის ფხვნილს – ნურას. ნურას წყალში ხსნიდნენ და მომწვანო ფერის ტალახისებრ მასას ბალნიან ადგილებში ისვამდნენ მშრალ ტანზე. რამდენიმე ხნის შემდეგ ბალანი სხეულს სცილდებოდა. შემდეგ კი ტანის დაბანვის პროცესს იწყებდნენ¹³². ნურის შესახებ დავით გურამიშვილსაც კი აქვს ნათქვამი: „ერთმან იხუმრა: ვიბანებ ტიფლისს აბანოს ნურითა“. აბანოში აუცილებლად ხმარობდნენ „ფეხის ქვასაც“.

თბილისურ აბანოებზე როდესაც ვსაუბრობთ შეუძლებელია 1634 წელს იერუსალიმში მიმავალი რუსი ვაჭრის – *ვასილ ვაკარას* სიტყვები არ მოვიყვანოთ: „ღვთის განგებით, ეს ცხელი ჭები (წყაროები) 60-ზე მეტი იქნება. ამ წყაროებზე ძალიან ლამაზი პალატებია აგებული. აქ ამ პალატებში, ცხელ ჭებში, აბანოს მაგივრად ბანაობენ ქრისტიანები და მაჰმადიანები, ხოლო ტანს იხეხენ ქისებით და არა ცოცხებით, ცოცხებით არც იციან“¹³³. ფრანგი *ჟაკ ფრანსუა გამბა* – საფრანგეთის კონსული თბილისში – კი შემდეგს წერდა: „გოგირდოვანი აბანოები, ჩვეულებრივ, თბილისში კარგად არის მოწყობილი და ძალიან ბევრია; ისინი კერძო პირებს ეკუთვნით... აქ ხშირად დადის როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე უცხოელები. უფრო ხშირად კი აბანოებში ქალები დადიან. ზოგ-ზოგნი აქ ნახევარ დღეს ატარებენ და საჭმელსაც აქვე მიირთმევენ...“ 1887 წელს საქართველოში იმოგზაურა ინგლისელმა *ჯონ*

¹³¹ ნ. გვათუა. ძველი თბილისის გოგირდის აბანოების ისტორიიდან. გვ. 91-92.

¹³² ნ. გვათუა. ძველი თბილისის გოგირდის აბანოების ისტორიიდან, გვ. 101.

¹³³ დ. ბერძენიშვილი. უცხოელები საქართველოსა და ქართველების შესახებ, თბ., 2008, გვ. 17.




ორბელიანების/ჭრელი აბანო

უორდროპმა, რომელმაც 1888 წელს ლონდონში დაბეჭდა წიგნი სათაურით „საქართველოს სამეფო, მოგზაურობა ბანოვანთა, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში“. ამ წიგნში თბილისური აბანოების შესახებ ვკითხულობთ: „დამოკიდებულება, რომელსაც სტუმარი კონსტანტინეპოლის თურქულ აბანოში ხვდება, არ შეიძლება შევადაროთ იმას, რასაც თბილისში სპარსელი მექისე ასრულებს. ეს უკანასკნელი შენტან ერთად ატარებს გიმნასტიკის მთელ კურსს, რომლის დროსაც დახტის შენს გულ-მკერდზე, წელზე, გგრიხავს და ისე გატრი-ალებს თითქოს შესაწვავი ქათამი იყო“.

თბილისური აბანოები პოეტებისათვის მუზაც გამხდარა. XVIII საუკუნის ყარაბაღის სახანოს პირველი ვეზირი ვაკიფი ლექსში „თბილისი“ ამბობს: „შვიდი აბანო, მერე როგორი? // თვით ჰურიების სამყოფელია! // ყოველი კუთხე, როგორც სამოთხის // რვა საფეხური, სხივთა მფენია. // სდის ცხელი წყალი, სასწაულებრივ // აღმოხეთქილი მიწის გულიდან...“ აბანოების შესახებ ხალხური ლექსიცაა: „ქალაქში აბანოები // ბადალი ხმელეთისაო, // ძირიდან აშენებული // აუზებია ქვისაო. // მალლიდგან ამოჭედილი // წითელ იაგუნდისაო. // გვერდიდამ ფანჯარაები // სანათურია მზისაო. // ვინც შევა, აგრე განდების, // როგორც თოვლია მთისაო. // ქალი და რძალი გამოდის, // ვით რო ყვავილი ხისაო“¹³⁴. შედარებით გვიან თბილისის მინერალური წყლების სპეციალური შესწავლა დაიწყო 1860 წელს. თუმცა აქ ბანეოლოგიური კურორტმა ფუნქციონირება მხოლოდ XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო.

¹³⁴ პ. უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება, ნაწილი I, თბ., 1937, გვ. 108.



ყენობა თბილისში. ვანო ზოჯაბეგოვის ნახატი



ტივი მტკვარზე. ვანო ზოჯაბეგოვის ნახატი



აჭველი კურტნიანი მუშები. ვანო ზოჯაბეგოვის ნახატი



მზითვის ჩვენება. ვანო ზოჯაბეგოვის ნახატი

ადამიანთა ურთიერთობები თბილისში. გასართობები

განსაკუთრებული იყო ძველი თბილისელების ურთიერთობები. როდესაც ამ ურთიერთობებზე ვსაუბრობთ შეუძლებელია არ გავიხსენოთ „სალაყბო“. *სალაყბოს* თავისი ფესვები წარსულში აქვს – XIX საუკუნის თბილისმა ის XVIII საუკუნისაგან მიიღო. აქ თბილისელები არა მხოლოდ ისვენებდნენ და ერთობოდნენ, არამედ ეს ადგილი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრი. თავის დროზე *სალაყბო* ქართველ მეფეთა რეზიდენციის სიახლოვეს არსებობდა, XIX საუკუნეში მან მეფისნაცვლის სასახლესთან გადაინაცვლა და მთლიანად შეინარჩუნა თავისი ფუნქცია. *სალაყბო* მოედანზე ყოველდღიურად ასობით ადამიანი ხვდებოდა ერთმანეთს, რომლებიც თავს იქცევდნენ საუბრით, ერთმანეთს უცვლიდნენ ახალ ამბებს. აქვე ელოდნენ ცნობებს სამეფო სასახლიდან. პირველივე შეხვედრისთანავე *სალაყბო*ზე მისულების შეკითხვა იყო: „რა ამბავია?“ „ქვეყნის ამბების“ გასაგებ და გამაზრცელებელ *სალაყბოს* „ზეპირ გაზეთსაც“ კი ადარებდნენ. ამასთანავე *სალაყბო* მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში. არცთუ ისე ცოტა კომერციული გარიგება მომხდარა აქ. *სალაყბო* გარს იკრებდა სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის ადამიანებს, მათ შორის, საქართველოს თავადაზნაურობის წარმომადგენლებს¹³⁵.

1862 წლის ჟურნალ „ცისკრის“ მეფელებთან ასე ახასიათებდა *სალაყბოს*: „ძველ დროს არ იყო – არც ახლა გახლავს გაზეთები, მაგრამ ქართველებს არა დროს არ მოკლებიათ ახალი ამბები: უძებნიათ და უპოვიათ. დაბეჭდილი გაზეთების მაგიერ იყო სიტყვიერი გაზეთები. თბილისი, საქართველოს დედაქალაქი გადასცემდა ყოველ მხარეს ახალ ამბებს. თვით თბილისში გაისმოდა ამბები *სალაყბო* მეიდანამ. აქ შეიყრებოდნენ, აქ შეიტყობდნენ ერთმანეთისაგან ქვეყნის ოთხ კუთხეს ვინ როგორი იყო, სად რა მოხდა: თითქოს მეფის დარბაზის საპოლიტიკო საიდუმლოებასაც კი, ნამდვილებს, თუ გადაკეთებულებს, გამოიტანდნენ, გამოიკვლევდნენ, მოიწონებდნენ ანუ დაიწუნებდნენ“.

¹³⁵ Н. Берзенов. О быте грузин старого времени. – Кавказ, 1858, №86.

თავდაპირველად სალაყბო მოთავსებული ყოფილა მეფე ერეკლეს სასახლის წინ, ყოფილ ეგზარხოსის მოედანზე. სალაყბოზე სკამების ნაცვლად ტივის მორები ეწყო, სადაც „სალაყბოდ“ ჯდებოდნენ, როგორც ადგილობრივნი, ისე ჩამოსულნი. სალაყბოზე სიმღერებიც გაისმოდა, მაგალითად, თბილისიდან დომინიკანელი პატრების გაძევების გამო, ასეთი ორსტრიქონიანი სიმღერა გაისმოდა: „ქალაქში მოსულა თეთრი ბატები, // იანვარში გარეკეს ფრანგის პატრები“. საქართველოს ეგზარქოს ისიდორეზე, რომელსაც მეტად თხელი წვერი ჰქონია, სალაყბოზე მღეროდნენ: „ქალაქში მოსულა ახალი ქერი, // ქართლის არქიერსა არა აქ წვერი“. თბილისის სომხის ეპარქიის უფროსს, ცალთვალა ეპისკოპოსს სალაყბოს პოეტებმა შემდეგი სიმღერა უძღვენეს: „ქალაქში მოსულა წითელი ბალი, // სომხის არქიერსა არა აქვს თვალი“¹³⁶.

XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში სალაყბო ეგზარქოსის მოედნიდან დღევანდელ თავისუფლების მოედანზე გადმოვიდა. ა. ზისერმანი სალაყბოს შესახებ შემდეგ წერდა: „ყოველი ორი ქართველის შეხვედრისას პირველი კითხვაა: რა ამბავია? ორი სომხის: *ინჩ ხაბარე* (რა არის ახალი), ორი თურქის: *ნე ხაბარ* (რა იცი ახალი). უამისოდ აქ საუბარი არ იწყება“. თავისი სალაყბო ჰქონიათ წარჩინებულ თბილისელ მანდილოსნებსაც.

მოსახლეობას ჰქონდა სხვა შესაკრები ადგილებიც: „საფაროვის მაღაზია“, „ბერუა ნაღბანდის ღუქანი“, „ორბელიანთა მამული“... თბილისელები ხშირად დროის გასატარებლად ხშირად სტუმრობდნენ ქალაქის საგარეუბნო ბაღებს. ასეთები იყო ორთაჭალის, კრწანისისა და სოლოლაკის ბაღები. ეს უკანასკნელი 1840-იან წლებში *მ. ვორონცოვის* სამშენებლო საქმიანობამ შეიწირა. ზაფხულში თბილისურ სიცხესა და ბულს მისი მკვიდრნი თავს აღწევდნენ ჯგუფური გასვლებით სუფთა ჰაერზე. ასეთი ტრადიცია ჰქონდათ ამქრებს, რომლებიც კვირაობით ქალაქგარეთ უსტაბაშის მეთაურობით გადიოდნენ. ხშირი იყო ოჯახური გასვლებიც. დილაუთენია გასვლები ქალაქში გვიან ღამით ბრუნდებოდნენ. თბილისელი ვაჭრები კი ქალაქგარეთ ე. წ. „რიგის-პურს“ აწყობდნენ. გასართობად გასუ-

¹³⁶ ი. ბალახაშვილი. ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 37-38.

ლებს თან მიჰქონდათ ხალიჩები და მუთაქები, მოლხენას თან ახლდა ქეფი, ცეკვა და სიმღერა.

საოჯახო საქმეებისაგან თავისუფალ დროს თბილისელი ქალების დიდი ნაწილი თავს იყრიდა სახლების ბანებზე, აივნისანი სახლების გავრცელების შემდეგ – აივნებზე. ბანებზე ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ „ტაშფანდურების“ გამართვა.

მამაკაცები მოცალების ჟამის დიდ ნაწილს ღუქნებში ატარებდნენ. ღუქანი ქალაქის ქვედა ფენის მოსალხენ დაწესებულებას წარმოადგენდა. ღუქნები ჩვეულებრივ არასდროს იყო ცარიელი. აქ მუდმივ კლიენტებს განცალკევებულ ნაგებობაში უმასპინძლებოდნენ. მეღუქნებს მომსვლელთა თავშესაქცევად ღუქნის წინ რომელიმე გარეული ცხოველის გალია ჰქონდათ გამართული. ღუქნებისათვის უცხო არც მომსვლელთა შეხლა-შემოხლა იყო უცხო. ხელისუფლება ცდილობდა ასეთი შეხლა-შემოხლა აეცილებინა თავიდან. საამისოდ კი ღამის 11 საათზე ღუქანი უნდა დაკეტილიყო. თუმცა მეღუქნეები სშირად ეშმაკობდნენ და აღნიშნული დროისათვის ღუქნის შესასვლელში ანთებულ ფარნებს აქრობდნენ, დარაბებსა და კარებს მჭიდროდ ხურავდნენ. ამ დროს კი შიგნით არაფერი იცვლებოდა. თავთავიანთი, ამოჩემებული ღუქნები ჰქონდათ მხატვრებს, პოეტებს, მუსიკოსებს... მაგალითად, ღუქან „აბრაგუნეში“ იკვებებოდა თბილისის მთელი ლიტერატურული ბოჰემა.

თბილისის ქუჩების ყოფითი ყოველდღიურობის შტრიხს დროდადრო წარმოადგენდა პატარა გასართობებიც. ქუჩებში დადიოდნენ *მესტვირეები*, *მეარღნეები*, *მოხეტიალე მუსიკოსები*, *მელექსე-იმპროვიზატორები*, რომლებიც ძირითადად ქართლის სოფლებიდან იყვნენ და რომლებიც შესაბამის გასამრჯელოს იღებდნენ, ზოგჯერ კი მისი მიღების მოლოდინში ახდენდნენ თავიანთი ხელოვნების დემონსტრირებას. მესტვირეები ყველა თბილისური ქორწილის მონაწილენიც იყვნენ. „ქალაქის რელიგიურ დღესასწაულებზეც ქართველი მესტვირეები სჭარბობდნენ, რომლებიც იმპროვიზაციით მსმენელს მოუთხრობდნენ არა „თათრულ ზღაპრებს“ ..., არამედ სრულიად რეალურსა და ხალხის ხსოვნაში ლეგენდად ქცეული გმირის არსენა ოძე-

ლაშვილის შესახებ¹³⁷. ისინი ახლოს იდგნენ ქართველი მსმენელის სულიერ მოთხოვნილებასთან, რომლებსაც უფრო ხიბლავდათ თამარ მეფისა და ერეკლე მეორის, ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანების შექება. დაიარებოდნენ რა მოსეირნეთა და მოქეფეთა შორის, მესტვირეს შეეძლო ამა თუ იმ ასეთ ჯგუფსა თუ ადამინათან დაუპატიჟებლად მისვლა იცოდნენ რა, რომ ჯილდოს გარეშე მას არავინ დატოვებდა. მესტვირე იმპროვიზატორები ხშირად შეკვეთებსაც იღებდნენ და, ბუნებრივია, ითვალისწინებდნენ შემკვეთთა ინტერესებს.

თბილისში სახალხო მუსიკოს-მოქმელების კიდევ ერთი ნაირსახეობა *აშულებიც* იყვნენ. აშულებმა მუსიკალურ-პოეტური შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშები დატოვეს. ხშირად აშულები დაბადებით უსინათლოები იყვნენ, რაც მათი თავის რჩენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. დღესასწაულების დროს აშულები ხალხის შეკრების რომელიმე ადგილზე იყრიდნენ თავს და იწყებდნენ სიმღერას. მესტვირეებისაგან განსხვავებით, აშულების რეპერტუარი უფრო ტრადიციული იყო – სპარსული საგმირო ეპოსის „ქორ-ოღლის“ სიუჟეტების გადმოცემას წარმოადგენდა. საბოლოოდ მაინც ლოგიკური იყო მესტვირეთა მიერ აშულების თანდათანობითი შევიწროვება, რადგან ქართველი მსმენელისათვის უფრო საინტერესო მესტვირის რეპერტუარი იყო¹³⁸. შენიშნავენ, რომ XIX საუკუნის 50-იან წლებში სახალხო მომღერლები უპირატესობას ანიჭებდნენ ქართულ ენას, მხოლოდ და მხოლოდ იშვიათად – სომხურსა და თათრულ ენებს. ბევრი მათგანი ქართველი პოეტების *გრიგოლ ორბელიანის*, *ალექსანდრე ჭავჭავაძის*, *ვიორვი ერისთავის* და სხვათა პოეზიაზე ქმნიდა სიმღერებს. ა. *ქიშნიშვიცი* აღნიშნავდა, რომ „ქუჩის პოეზიის“ ბევრი არაქართველი წარმომადგენელი ქართულ ენაზე წერდა. ერთი სიტყვით, რომ ვთქვათ, XIX საუკუნეში უცხო ეთნიკური ელემენტის მომატების მიუხედავად, თბილისის ეროვნულ-კულტურული ფიზიონომია ამკარა იყო. აღმოსავლურ კულტურაზე ეროვნულის პრიორიტეტს ევროპეიზაციაც უწყობდა ხელს. ცხოვ-

¹³⁷ გ. შაყულაშვილი. ძველი თბილისის პოეზიის ისტორიიდან, თბ., 1987, გვ. 28.

¹³⁸ გ. შაყულაშვილი. ძველი თბილისის პოეზიის ისტორიიდან, გვ. 28.

რების ევროპული სტილი სულ უფრო და უფრო იკაფავდა გზას. ამას ადასტურებს XIX საუკუნის პრესაზე თვალის ერთი გადავლება: რეკლამებითა და განცხადებებით ირკვევა, რომ მაღაზიებსა და ბაზრებში მრავლად იყო ევროპული საყოფაცხოვრებო საგნები, ტანსაცმელი, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები... XIX საუკუნის თბილისისათვის არც ევროპელი მუსიკოსების სტუმრობა, იტალიური ხელოვნების ნიმუშების გამოფენების მოწყობა იყო უცხო. და, მაინც, „მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის თბილის ქალაქის კულტურული ფიზიონომია ფაქტიურად სამი კულტურის – ადგილობრივ ეროვნულის, ევროპულისა და აღმოსავლურ-მუსლიმურის – ნაჯვარს წარმოადგენს“¹³⁹.

ქართული სცენისა და თეატრის ისტორია XVIII საუკუნის უკანასკნელი წლებიდან თბილისში იწყება. მართავდნენ წარმოდგენებს, დგამდნენ პიესებს. წარმოდგენები თბილისში *მესხიშვილის, ორბელიანის და მელიქიშვილების* სახლებში იმართებოდა. ერეკლეს დროს სასცენო ხელოვნების ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო რუსეთიდან თბილისში დაბრუნებული *გაბრიელ მაიორი*, რომელიც სცენაზე ძველი აღთქმის სიუჟეტებს წარმოადგენდა. ერეკლეს კარზე მსახიობთა დასის მთავარი მიზანი სამშობლოს სიყვარულის ქადაგება იყო. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს მემორებს გვერდში ამოუდგნენ ერეკლეს „თეატრის“ მსახიობები *მაჩაბლის* მეთაურობით. პოპულარული იყო *ორჩოფეხებზე* სიარული, რასაც *ჯამბაზები* ასრულებდნენ, რომელთა დიდ ნაწილს სპარსელები წარმოადგენდნენ. 1850-იანი წლების თბილისში ცნობილი იყო ორჩოფეხებზე სხვადასხვა ტრიუკების შემსრულებელი *აბელ რევაზოვი*; მას ორჩოფეხებზე ცეკვაც კი შეეძლო¹⁴⁰. ცნობილი იყვნენ *მასხარებიც*. ეს უკანასკნელნი ხშირად ჯამბაზების დამხმარენი იყვნენ. ჯამბაზი თუ ხშირად ბაგირზე ასრულებდა თავის ტრიუკებს, მასხარა მიწას არასდროს სცილდებოდა. ჯამბაზი თუ სერიოზული იყო, მასხარა ხშირად იმანჭებოდა, პუბლიკაში შეერეოდა; პირველი მათგანი თუ ხანდახან სიკვდილს ეთამაშებოდა, მეორე მის მოძრაობებს მიწაზე იმეორებდა.

¹³⁹ გ. შაყულაშვილი. ძველი თბილისის პოეზიის ისტორიიდან, თბ., გვ. 30.

¹⁴⁰ Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, М., 1990, 214.

მტკვარში ბანაობაც თბილისელთა საზაფხულო თავშესაქცევი გახლდათ. ქალაქის ბალებიც ბევრ თბილისელს იზიდავდა, განსაკუთრებით 1830-იან წლებში გაშენებული *მუშტაიდის ბაღი*. თბილისელთა გასართობი და თავშეყრის ადგილი იყო დუქანიც. ბევრი ასეთი დუქანი ერთგვარი თავშესაფარი იყო თავისუფალი მხატვრების, პოეტებისა და მუსიკოსებისათვის, მაგალითად, ცნობილი *აპრაკუნეს დუქანში* იკრიბებოდა თბილისის ლიტერატურული ბოჰემა. აქ ტარდებოდა იმპროვიზირებული პოეტური პაექრობები, მღეროდნენ ცნობილი აშულებები... დუქნების წმირი სტუმრები იყვნენ *ნიკო ფიროსმაანი* და *იეთიმ-გურჯი*. პირველი მათგანი თუ დუქნის კედლებსა და აბრებს/ფირნიშებს ხატავდა, მეორე თავის ლექსებს ქმნიდა.

თბილისში საპარადო ილუმინაციისათვის იყენებდნენ *ფისიან კასრებს*, რომლებსაც ტრადიციულად დგამდნენ მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიასთან ახლოს. ამას გარდა, მთების თხემებზე დგამდნენ ანთებულ ჭრატებს, რაც შორიდან განსაკუთრებულ კანკამა შთაბეჭდილებას ქმნიდა.

თბილისელები გაზაფხულის დადგომას საყოველთაო-სახალხლო დღესასწაულით აღნიშნავდნენ. ძველ თბილისელებს ჩვევად ჰქონდათ აპრილის თვეში ქალაქგარეთ მინდვრად გასვლა, რომელიმე ბაღში და ხის ჩრდილში გაშლილ ლურჯ სუფრასთან მოლხენა. სიმღერები სხვადასხვა ინსტრუმენტების (დუდუკი, საზანდარი, დაირა, არლანი) თანხლებით სრულდებოდა. მოქეფებს წიწაკა-ქულები აყვავებული ნუშის რტოებით ჰქონდათ მორთული. ამით ისინი ბუნების, სიცოცხლის განახლებას, გაზაფხულის დადგომას ზეიმობდნენ. აყვავებული ნუშის რტოებით ჰქონდათ მორთული მიწაზე გაფენილი ნოხები და ფარდაგები. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გაზაფხულის დღესასწაულში სიახლეები გაჩნდა; ესაა რუსების მიერ ევროპიდან გადმოღებული დღესასწაული, რომელსაც „გვირილების დღე“ ერქვა. ამ დროს, აპრილის თვეში ყვავილების ზეიმის დღეს თბილისის ქუჩებში ყველას – ახალგაზრდასა და ხნირ ადამიანს, ქალსა და კაცს მკერდზე ყვავილი ჰქონდა მიბნეული. ქალაქში ყველგან იყიდებოდა გვირილები. პატარ გოგონები გვირილებს ქურჩა-ქურჩა და ატარებდნენ და ყიდდნენ. შეგროვილი ფულით კი ფილტვებით და ავალებულ უპატრონო ავადმყოფებს ეხმარებოდნენ. ყვავილების ზეიმი/დღესასწაული იმართებოდა საბჭოთა პერიოდის თბილისშიც.

სხვასახვა მეყვავილეები თბილისში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყვავილების ძვირფას კოლექციებს გამოყოფდნენ. ასეთი დღესასწაული ეწყობოდა დიდუბეში, გამოფენის ტერიტორიაზე, „ქარიშხალას“ სტადიონზე. დღესასწაულში არა მხოლოდ თბილისელი მეყვავილეები მონაწილეობდნენ, არამედ საქართველოს სხვადასხვა მხარეების მკვიდრნიც, მაგალითად, ცნობილი მცხეთელი მეყვავილე მამულაშვილი. კიდევ: საჯარო ბიბლიოთეკა დღესასწაულის ადგილას გამოფენდა ზოლმე ყვავილების შესახებ არსებულ როგორც ძველ, ისე ახალ ლიტერატურას.

XIX საუკუნის თბილისის ევროპეიზაცია სხვა მხრივაც დაეტყო; ეს იყო საროსკიპოები. ეს დაწესებულებები ფქვილის მოედნიდან აბანობამდე ყოფილა. ქუჩის ორივე მხარეს მრავალი საროსკიპო სახლი ყოფილა, აქ დასაქმებული ქალების უმეტესობას მაჰმადიანები წარმოადგენდნენ. ყოველ საღამოს „საღებავებით გაღესილი“ ქალები ქუჩის ორივე მხარეს ყოფილან ჩამწკრივებული და გამძვლელ კაცებს სახლში ეპატიჟებოდნენ. ეს საროსკიპოები კონკრეტული ადამიანების ბინები იყო. მათ საკუთარი კლიენტთა წრე ჰყოლიათ; ისინი ძირითადად თბილისში ჩამოსული ვაჭრები იყვნენ.

ძველი თბილისელის *კარაპეტ ვრიგორიანცის* სიტყვით, „ხშირად კაცებს ქუდებს ტაცებდნენ და სახლში გარბოდნენ. თბილისის „ყოველგვარი საზიზღარი ხალხი“ „ემშაკის ბაზარში“ იყრიდა თავს. ესენი იყვნენ: ჯიბგირები, ქურდები, იშკილბაზებო, კარტოფნიკები, პორტმანის დამედებლები, კარტოფნიკები, კაცის მკვლელები, ყალბი ფულის გამსაღებლები. მხოლოდ „ემშაკის ბაზარში“ ყოფილა ამ კატეგორიის ხალხი.

ქეიფი თბილისში

ბევლ თბილისში არა ერთი და ორი საქეიფო ადგილი იყო: ორთაჭალისა და კრწანისის ბალები, ორთაჭალის ჩარდახები, თბილისური სარდაფები და ღუქნები. იმართებოდა „რივის პური“, რომლის მონაწილენი რიგრიგობით ცდილობდნენ თავი გამოეჩინათ კერძების მრავალფეროვნებით და კარგი ღვინით. ზაფხულის ცხელ დღეებში თბილისელები ზოგი ფაეტონით, ზოგი ეტლით, ზოგი ფეხით ორთაჭალის ბალებს მიაშურებდა. აქ, „მწვანე სამეფოში“ დარბაისლური ქალაქური პურ-მარილი იმართებოდა; ისმოდა არა მხოლოდ სადღეგრძელოები, არამედ მოსწრებული სიტყვა-პასუხიც. მეზობელი სუფრის წარმომადგენლები ერთმანეთს თავაზიანად იწვევდნენ – „ღარიბის ლუკმა გემრიელიაო, ხო მოგესხენებათ; ერთი ჭიქა ღვინო შეირგეთ“. ორთაჭალის ბალებში მისვლა მტკვრის მარჯვენა ტოტზე გადებული, კოფოებზე შემდგარი ხის ხიდით შეიძლებოდა, ნავითაც გადადიოდნენ. ორთაჭალაში იყო ყარაჩოხელისა და მოკრივის *ნიკალა ცაცაშვილის* რესტორანი „ელდორადო“. ორთაჭალის ხშირი სტუმარი ყოფილა პოეტი *ვრიგოლ ორბელიანი*, რომელმაც თავის ცნობილ „მუხამბაზში“ მოკრივე მოქეიფის – მეთევზე ლობიანას ასე ათქმევინა: „ორთაჭალის ბაღში მნახე ვინა ვარ, // დარდიმანდის ღვინში მნახე, ვინა ვარ! // ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ?...“

ორთაჭალის ბალებში ღუღუკის ტკბილ ჰანგზე ისმოდა ქალაქელ აშულთა – *საიათნოვას, ბეჩარას, ჰაზირას, შამში მელქოს, იეთიმ გურჯის* ლექსები.

ქალაქელმა კაცმა შრომაც და ღვინიც დარბაისლური იცოდა, მოქეიფეთაგან შორს იყო ჩხუბი და აყალმაყალი. მათ სადღეგრძელოებში ჩაქსოვილი იყო კაცთმოყვარეობა, ცხოვრებისეული ფიქრი, სინარული და ტკივილი: „ქვეყანა ზღვაა, მიდის კაცი, ზოგს ატივტივებს, ზოგს დასძირავს. რისგან არის? ადამიანის სიბოროტის, შურის და ავგულობისაგან“. ყოველ სადღეგრძელოს მოჰყვებოდა ღუღუკის ტკბილი ჰანგი...

თბილისის ბალებისა და ღუქნების გარდა, ქალაქელები მტკვარზე – ნავსა და ტივზეც ქეიფობდნენ. ტივზე აჰქონდათ მაყალი, იქვე კლავდნენ ბატკანს. ღამით ტივზე ქეიფი თეატრალიზებულ, რაღაც

„მისტერიულ“ სახეს ატარებდა – მთვარის შუქზე, მტკვრის ტალღებზე ირეკლებოდა მოქეიფეთა გრძელი, მოლაცლატე ჩრდილები. დილის საარზე ღამენათევი შეინახევი ქეიფს თბილისის აბანოებში აგრძელებდნენ.



დუქანში საქეიფოდ მიპატიჟება

თბილისში განთქმული იყო „ქოსების დუქანი“, „ჭინკების დუქანი“, „ბაბაჯუას დუქანი“ და სხვ. დუქნის პატრონი მუშტრის მისაზიდად თავის დუქანს ეგზოტიკურ სახელს არქმევდა და მხატვრულად გაფორმებულ აბრას უკეთებდა: „ნე უეზუაი, კოლუბჩიკ მოი“, „სანდრო, ნალეი პივა, თორემ თავი მტკივა“, „ზოლოტე ვოსტი“, „ზოლოტე ვრემია“, „სამ პრიშოლ“, „ედემი“, „თუმნით ვქეიფობ“, „პიენაია აზია, გვერდს მიზის ლამაზია“ და სხვ.

ქალაქის პირველი კლასის რესტორნები თავიანთ კლიენტებს პრესაში გამოქვეყნებული რეკლამის საშუალებით სთხოვდნენ მობრძანებას. ამ რესტორნებში სტუმართა გასართობად პროფესიონალ მომღერლებს, მოცეკვავეებს, ორკესტრებს იწვევდნენ, სუფრაც ევ-

როპეზირებული იყო, მაგრამ ძველი ქალაქური შნო და პეწი აქაც ტრიალებდა¹⁴¹.



თბილისელი მუსიკოსები

¹⁴¹ თ. ბერიძე, ქეიფი თბილისში. – თბილისი. ენციკლოპედია, თბ., 2002.

თბილისური ფოლკლორი

თბილისური ფოლკლორი ჩამოყალიბდა ძველი თბილისის მოქალაქეების, წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნების წრეში. *იოსებ გრიშაშვილის* აზრით, „სხვადასხვა მოდემისა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ძველი მოქალაქენი... უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, სწავლობდნენ ერთმანეთის ენას და ამ მუდმივი ზეგავლენით ტფილისის ქართული ენაც განსაკუთრებულ ინდივიდუალურ და კოლორიტულ ელფერს იღებდა“. ქალაქური ფოლკლორი ტრადიციული „სოფლური“ ფოლკლორისაგან ამ „განსაკუთრებული ინდივიდუალური და კოლორიტული ელფერითაც“ განსხვავდება.

ქალაქური ფოლკლორი ჟანრობრივად მრავალფეროვანი არ არის. იგი ძირითადად შემოიფარგლება დალოცვა-სადღეგრძელობით, გამოცანებით, ანეკდოტებით და ლირიკული ლექსებით. მთქმელ-შემსრულებელთა ეთნიკური სიჭრელე ქართული ფოლკლორის არა მხოლოდ ენაზე ახდენდა გავლენას, არამედ მხატვრულ ფორმაზეც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა თბილისური ხალხური ლექსები, რომლებიც უხვად არის ნასაზრდოები აშუღური პოეზიის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით. თბილისურ ხალხურ ლექსებს ემჩნევა აღმოსავლური პოეტური კულტურის ერთგვარი გავლენა, რამაც, ორგანულად შეთვისებულ ქართული ხალხური პოეზიის ტრადიციებთან ერთად, მათ სრულიად თავისებური სახე მისცა. ქალაქურ ხალხურ პოეზიაში წამყვანი ადგილი ეთმობა სატრფიალო თემატიკას („ქალსა კაბა შეუკერავს...“), „არგაკოცო, არ იქნება...“, „პატარა ბიჭი დამეკარგა...“, „ეს ქუჩა რა ბნელია...“, გვხვდება პატრიოტული და საყოფაცხოვრებო მოტივებიც. ქალაქური ხალხური პოეზიის იდეურ-შინაარსობრივი და მხატვრული ფორმის ჩამოყალიბებაში თვალსაჩინო როლი ითამაშეს *საიათნოვამ* და *ბესიკმა*, შემდეგ *ალექსანდრე ჭავჭავაძემ*, *ვრიგოლ ორბელიანმა* და *აკაკი წერეთელმა*. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქალაქური ხალხური პოეზიის პოპულარობას დაბალ ფენებში ხელი შეუწყო თბილისის ხელოსანთა წრიდან გამოსულმა სხვა სახალხო მთქმელ-შემსრულებლებმა. მათი ლექსები ქალაქური სიმღერების სახით ფართოდ ვრცელდებოდა თბილისის მოსახლეობაში.

ძველი თბილისის პოეზია სრულიად ორიგინალური ხასიათის ლიტერატურული მოვლენაა. იგი გამოიკვეთა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო არსებობა შეწყვიტა XX საუკუნის პირველ მეოთხედში. XIX საუკუნის თბილისის კულტურული სახე ფაქტობრივად სამი კულტურის – ადგილობრივ-ეროვნულის, ევროპულისა და აღმოსავლურ-მუსლიმურის სინთეზს წარმოადგენდა, რაც აირეკლა პოეზიაშიც.

ძველი თბილისის პოეზიისათვის დამახასიათებელია ქართული და აღმოსავლური მხატვრულ-იდეოლოგიური პრინციპების სინთეზი, ეკლექტიზმი, საზოგადოებრივი იდეალების უგულვებლყოფა, უკიდურესი ჰედონიზმი, წუთისოფლის ამაოების განცდა, მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრება და ტკობა, მატერიალური კეთილდღეობის მიმართ ამრეზილი დამოკიდებულება, ამქართა ეთიკურ-მორალური ნორმების აპოლოგია... ამ პოეზიის წარმომადგენლები არიან *დ. ვივიშვილი, გ. სკანდარნოვი, ი. ანდრონიკაშვილი, ა. განჯისკარელი, ბეჩარა, იეთიმ გურჯი, დ. ლაზარევი, პ. ლიფონოვა, ს. ზუსკივაძე, მ. წითლაგაშვილი, ს. მეთევზიშვილი, ი. ივანოვი, გ. ჩარხიშვილი, გ. შინატეხელი, შ. ნავთლულელი, დ. მაისურაძე*, არაქართულენოვანი *შაში მელქო, ქემშიშ-ოდლანი, ქინიქ-ნოვა, ბუდალ-ოდლანი* და სხვა. მხატვრული თვალსაზრისით ძველი თბილისის პოეზია ნაკლებმნიშვნელოვანია. XIX საუკუნის ქართული პროგრესული საზოგადოება ამ ლიტერატურას უარყოფდა, როგორც არაეროვნულსა და არაეპოქალური პრინციპების მქონეს¹⁴².

ერთ-ერთი ხალხური ლექსი თბილისის საგარეუბნო სოფლების ქალაქთან ორგანულად კავშირს გვიდასტურებს: „ავჭალა დაქვრივებულია, კუკია შვერთოთ ცოლათა, მცხეთა მაყრათ გავატანოთ, დილომი – ხეჩახპერათა“ („ხეჩახპერი“ – სომხ. მეკვარე).

¹⁴² ქალაქური ფოლკლორი – თბილისი. ენციკლოპედია, თბ., 2002.

სპორტული სანახაობანი თბილისში

თბილისში შეჯიბრების, ხალხური სპორტის სხვადასხვა სახეობა იყო გავრცელებული. შუა საუკუნეების ქართველი პოეტის – ჩახრუხადის ცნობით, თამარის სასახლესთან მდებარეობდა იბოღრომი. ერეკლე II-ის ვაჟი, ვახტანგ ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ მეფის სასახლესთან იყო მოედანი, რომლის თავსა და ბოლოში იდგა ბურთის გასატანი კარი – „მაყა“. *პლატონ იოსელიანის* ცნობით, მეფე იესეს სასახლის პირდაპირ მოწყობილი იყო სამხედრო ვარჯიშისათვის განკუთვნილი საკმაოდ მოზრდილი მოედანი, საბურთალოს ტერიტორიაზე კი იმართებოდა მხედრული ხასიათის ბურთაობა, რომელშიც მეფენიც კი მონაწილეობდნენ. ნათლისღების საეკლესიო დღესასწაულზე იანვარში თბილისში, ჯერ რიყზე, შემდეგ კი (XIX საუკუნეში), ე. წ. ვორონცოვის ხიდის ზემოთ, გამოწერთობილი მოცურავეები მტკვრის მორევიში გადაეშვებოდნენ ხოლმე მღვდელმთავრის მიერ გადასროლილი ჯვრის ამოსაღებად. ამ სანახაობას ათიათასობით თბილისელი ესწრებოდა. სხვა წყაროებით დასტურდება, რომ თბილისში გავრცელებული იყო ცურვა – *სალალობო*, ახლანდელი მხატვრული ცურვის მსგავსი. რუს მეცნიერებს *ი. გრაჩოვსა* და *ე. კოვანს* ეკუთვნით სიტყვები: „...მეტად მაღალ დონეზე ყოფილა დაყენებული ფიზიკური კულტურა ფეოდალურ საქართველოში. ცნობილია, რომ XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე იქ უკვე არსებობდა ფიზიკური აღზრდის მთლიანი სისტემა, რომელსაც საქართველოს ფეოდალები სამხედრო მიზნებისათვის იყენებდნენ. სხვადასხვა ვარჯიშობათა კომპლექსი ჭიდაობაში, შუბისა და ლახტის ტყორცნაში, რბენასა და ხტომებში და სხვ., გამოაჩენდნენ მას, როგორც საშუალო საუკუნეების ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ სრულყოფილ სისტემას“.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისში თანდათან მკვიდრდებოდა სპორტის კლასიკური სახეობები, თუმცა ხალხში ეროვნული სპორტი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა პირველობას.

ძველ თბილისელებს შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო *ცხენოსნობა*; ის ხალხური საცხენოსნო სპორტის ერთ-ერთი ძველი სახეობა იყო. სპორტის ამ სახეობას სხვადასხვა სახელითაც მოიხსენიებდნენ: *ჩოვანი*, *გადრი*, *რადი* და *რადრაბაჯანი*. თბილი-

სური სპორტის ეს სახეობანი XIX საუკუნის ეთნოგრაფიულ ყოფას აღარ შემორჩა; ის მხოლოდ მეფე-პოეტების არჩილისა და თეიმურაზის ლიტერატურული ნაწარმოებებით არის ცნობილი. დაწვრილებით ცხენბურთის აღწერას არ შევუდგებით და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ცხენზე ამხედრებული მოთამაშეები აუცილებლად ჩოგნებით უნდა ყოფილიყვნენ აღჭურვილი. აი, რას წერს თეიმურაზ მეფე:



თბილისელი მოჭიდავეები

*„ერთი არის სხვა ბურთობა რადრაბაგანს ეძახიან,
გადრის ბურთის უფრო ესე ზნეობაში ჩააგზიან,
ბევრს კი არა, სამს-ოთხს კაცსა მებურთალსა შეადრიან
და ოთხისთვის სათამაშოდ ბურთი მიწას გააგდიან.*

*ის არის, რომე ცხენ-ბაღვთ ბურთი აიღოს ჩოგნითა,
უნდა შეაგდოს მან მალლა ცხენისა თამაშობითა,
როს ჩამოვიდეს, ხელ-ფიცხად მიუხდეს კაის ცოდნითა,
და ბურთი შეხტეს, შემოჰკრას, ხელ-რადად მალლა ტყორცნითა“.*

XVII საუკუნეში თბილისში ნამყოფი **ღლინჯი კარლი** წერდა: „ამ თამაშობაზე რადრაბაგანისათვის ჩოგნები ჩამოარიგეს. ეს ჩოგნები ჩვენებური რაკეტების მსგავსადაა გაკეთებული, მაგრამ ამათი ჩოგნის ტარი უფრო გრძელია და მას უსათუოდ ცხენზე მსხდომნი თამაშობენ. ამ ხალხის ამგვარ ვარჯიშობაში ნახვას არაფერი სჯობს. პირდაპირ განმაცვიფრებელია მათ მიერ ცხენის ოსტატური, ერთმანეთზე დაუჯახებლად მართვა, მიწიდან ბურთის აღება (ჩვენს ბურთზე უფრო დიდია)... სპარსელები, რომელნიც ყოველთვის ესწრებიან ქართველთა ამ და სხვა ვაჟკაცურ გართობა-თამაშობებს, ისეთნაირად აღწერენ მათ, რომ ზოგჯერ დაუჯერებელიც არის. ამით ისინი პატივით მოსავენ ქართველთა მეომრულ ღირსებას“. ცხენბურთის თითოეული გუნდი 12-12 მოთამაშე ცხენოსნისაგან შედგებოდა.

ერეკლე მეორის დროინდელი ცხენბურთი შესანიშნავად აქვს აღწერილი *ალექსანდრე ორბელიანს*: „მეფის ნადიმის შემდეგ, „უცხოს დარახტულს და საუცხოვოს ცხენებით“ რამდენიმე ასეული კაცი უკან გაჰყვა... „ამათ თვითოეულად მარჯვენა ხელში თითო ჩოგანი ეჭირათ, ზოგი მოვარაყებული და ზოგი სხვადასხვა ფერად დაჭრელებული. ერთიანი ეს რაზმი... ორ რაზმად გაიყო... ერთი ერთ მხარეს დადგა და მეორე მეორე მხარეს. ერთი ცხენის გასაჭენებელი მინდორი შუაში დააგდეს და თითო ბაირახი თავთავის რაზმის მიწაში დაურჭეს... ამასთან მეფემ ირაკლიმ ოქროს ფერი მოვარაყებულის ჩოგნით წითელი სამოგვის ბურთი აიღო და ჩოგანში თამაშობით ცხენი გაიგდო, დიახ სწრაფ გამქცევი ორს რაზმებთა შორის, ვიზედაც თვალი ეჭირათ ყველას, რომელს რაზმი გადაუგდებო ბურთსა, ჯერ კარგა ხანი ასე ათამაშა, სხვადასხვა ნავარდობით, მასუკან პირველ რაზმს შეუგდო ბურთი და შორიდან შესტყორცნა... მეფე ირაკლიმ რომ ბურთი შესტყორცნა, იმ პირველმა რაზმმა წამოიღო ბურთი, ერთი ერთმანეთზე გათამაშებით, უნდოდით მეორე მხარის ბაირახთან გაეტანათ და ამით დარჩენოდით სახელი, მაგრამ მეორე რაზმი წამოეგება პირველ რაზმსა და დაერიგნენ ერ-

თმანეთში... იბრძოლეს და იბრძოლეს, მაგრამ არა ეშველათ და ვერა რომელმაც ვერ გაიტანა და მზეც დაეწვერა ჩასასვლელად. იტყოდნენ – ამ დღეს ასე გაფრთხილებული იყვნენ მებურთალ-მეზოგნენი, რომ არც ბურთი მიწაზე დაცემულა, ხელის შეშველება ხომ დიდი სირცხვილი იყო, ისე ჩოგნით უნდა ეტრიალებინათ და კიდევ ატრიალებდნენო. არც დასასვენებლად დამდგარან მზის ჩასვლამდისინაო. ცხენების შეჯახება ხომ დიდი სირცხვილი იყო... მეფემ უბრძანა გაშველება. ამასთან... წამოვიდნენ ერთობ მადრიელი მეფის საჩუქრითაო...“¹⁴³



ცხენბურთი

უწინ თბილისელები ერთმანეთს ეასპარეზებოდნენ სპორტის სხვა სახეობებშიც; ესენი იყო: *ღოღი*, *ყაბახი*, *ისინდი*... ეს თამაშობები არა შიგ ქალაქში, არამედ თბილისის სიახლოვეს იმართებოდა. ყაბახი მოედნის შუა ადგილი იყო, სადაც მაღალ ანძაზე ოქროს ან ვერცხლის თასს დადგამდნენ და დღესასწაულზე და ყველიერში ცხენოსანნი ისრის სროლით გაუვლიდნენ. ვინც თასს ჩამოაგებდა, თასიც მისი იყო. თეიმურაზ II-ის სიტყვით კი, ანძაზე ოქროს ვაშლი იდო, ვინც ჩამოაგებდა ვაშლს, მეფეს მიართმევდა, მეფე კი გამარჯვებულს აჯილდოვებდა. ყაბახი იმართებოდა დღევანდელი 9 აპრილის ბაღის ტერიტორიაზე, ამიტომაც იყო, რომ თბილისელები

¹⁴³ დ. კვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია, 1952, გვ. 236.

ძველად ამ ადგილს „ყაბახს“ უწოდებდნენ¹⁴⁴. „ყაბახს მართავდნენ ქორწილის დროს. *ვახუშტი ბაგრატიონის* ცნობით, ყაბახი აღდგომა დღესაც იმართებოდა. XVII საუკუნის 90-იან წლებში ყაბახს პირადად დასწრებია ერთ-ერთი უცხოელი მოგზაური, რომელიც წერდა: „თბილისში მეფის ნათესავის ქორწილი გადაიხადეს. ქორწილზე თავადები მოიპატიჟეს. განკარგულება იქნა გაცემული, ქალაქგარეთ დიდ მინდორზე ყაბახი გაემართათ, მინდვრის ცენტრში მაღალი ბოძი აღმართეს, მის წვერზე ვერცხლის თასი მოათავსეს. თამაშის მონაწილენი ცხენებზე ამხედრდნენ. ისინი ყაბახის მოშორებით გაჩერდნენ და მოქმედებისათვის მოემზადნენ. ხელში მოიმარჯვეს მშველდისრები. აი, მხედარმა ცხენს დეზი ჰკრა და ყაბახისაკენ გაემშურა. იგი თვალს არ ამორებდა ყაბახზე დამაგრებულ თასს, მიუახლოვდა ყაბახს და ისარი ტყორცნა, ისარმა ახლო გაიარა თასთან, ასე იმეორებდნენ სხვანიც. ბოლოს ერთმა თასი ძირს ჩამოავლო, რამაც საზოგადო აღტაცება გამოიწვია“¹⁴⁵. ყაბახის სროლას ბავშვობიდანვე აჩვევდნენ. ყაბახი სასეირნო ადგილიც იყო ძველ თბილისში. ყაბახის მოედანმა თანდათან დაჰკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება და იგი მხოლოდ სასეირნო და დასასვენებელ ადგილად იქცა. მთავარმართებელ *ა. ბარიატინსკის* განკარგულებით მოედნის დარჩენილი ადგილი ალექსანდრეს ბაღად გადააკეთეს. ბაღში მოაწყვეს შადრევანი და აუზი, რომელიც 24.000 ვედრო წყალს იტევდა. ეს შადრევანი მარავდებოდა მტკვრის წყლით.

თბილისში მისდევდნენ *ისინდსაც*. ისინდი წარმოადგენდა ცხენოსნობის ერთ-ერთ სახეს, გართულებულს ლახვრის ტყორცნით. ამრიგად, ყაბახსა და ისინდს განასხვავებდა იარაღის სახე, რომელსაც ისროდნენ. ყაბახი თუ ცხენის ჭენების დროს სამიზნეზე მშვილდის სროლას გულისხმობდა, ისინდის დროს იმავე ვითარებაში შუბს ისროდნენ¹⁴⁶.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართული ეთნოგრაფიული რეალიები თბილისმა უფრო ადრე დაკარგა, ვიდრე სოფელმა, ეს ბუნე-

¹⁴⁴ თბილისის ისტორია, ტომი I, თბ., 1990, გვ. 448.

¹⁴⁵ დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია, თბ., 1952, გვ. 235.

¹⁴⁶ მ. გიორგაძე. ნარკვევები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიიდან, თ., 1946, გვ. 24.

ბრივიცაა, რადგან ნოვაციები პირველ რიგში ქალაქად იკაფაეს გზას. ფაქტობრივად XIX საუკუნეში უკვე გამქრალი იყო, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცხენბურთი, დოლი, ისინდი, ყაბახი.

ძველ თბილისში, თითქმის XX საუკუნის 50-იან წლებამდე გავრცელებული თამაში იყო *ართრუმა* (*ოთურმა*, *თავხტომია*). ძირითადად თამაშობდნენ 10-15 წლის ბიჭები. მოთამაშეთაგან ერთ-ერთი, მოლაპარაკების ან კენჭისყრის შემდეგ, წელში მოხრილი და თავდახრილი დგებოდა, ხოლო ხელებით მუხლებს ებჯინებოდა. სხვები რიგრიგობით ხელების დაბჯენით გადაახტებოდნენ მას. არსებობდა „დიდი“ და „მცირე“ ართრუმა. მცირე უფრო ინდივიდუალური თამაში იყო, დიდი კი – გაცილებით რთული და მისი რამდენიმე ვარიანტი არსებობდა. ამ თამაშს უფრო მოზრდილები თამაშობდნენ: მოედანზე გაავლებდნენ სწორ ხაზს, მისგან სამი ნაბიჯის დაშორებით დგებოდა მოხრილი მოთამაშე, დანარჩენები კი ბჯენით გადაახტებოდნენ. ამის შემდეგ მოხრილი მოთამაშე კიდევ სამი ნაბიჯით გადაინაცვლებდა. ის მანამდე იდგა, ვიდრე ვინმე არ „ჩაიჭრებოდა“ (ე. ი. ვერ გადაახტებოდა) და მის ადგილს არ დაიკავებდა. ართრუმას ყველაზე რთული ვარიანტია წელში მოხრილ მოთამაშეზე ბჯენის გარეშე გადავლებით გადახტომა.

თბილისელებში XIX საუკუნის 70-იან წლებამდე ფრიად პოპულარული ყოფილა *კრივი*. სიონის ტაძარი ორი მოკრივე ნაწილის საზღვრად მიიჩნეოდა. ზოგჯერ მოკრივეთა „თაბუნს“ მტკვარიც ყოფდა. კრივი კვირაობით, ყველიერის ბოლო დღეებში, აგრეთვე ნათლილების მეორე დღეს იმართებოდა. ყველაზე დიდი კრივი – „ავლაბრის კრივი“ *კვირაცხოვლობა* დღეს იმართებოდა. ასპარეზობას პატარა ვაჟები იწყებდნენ. შემდეგ 18-20 წლის ჭაბუკები ერკინებოდნენ ერთმანეთს; მათ 25-30 წლის ვაჟაკები ენაცვლებოდნენ. ბოლოს კი დარბაისელ და გამოცდილ მოკრივეებს ეთმობოდათ ასპარეზი. კრივში ძირითადად, ხელოსნები, აგრეთვე ვაჭრები და მოქალაქეებიც მონაწილეობდნენ. მოკრივენი ფეხშიშველნი, მკერდგაღელილნი და ჩოხის კალთებაკეცილნი ებრძოდნენ ერთმანეთს. არსებობდა მუშტი-კრივის ნაირსახეობები – კრივი ცალი ხელით, ხის ხმლებით, შურდულებით. როგორც აღვნიშნავენ, მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენდა კვირა დღეებით ავლაბარსა და შუა ბაზართან გამართული *მუშტი-კრივი*, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ

უბნებად დაყოფილი მამაკაცები. ეს იყო ნამდვილი ფიზიკური ვარჯიშობა¹⁴⁷. თბილისის უბნებსა და მიმდებარე სოფლებს მოკრივეთა საკუთარი დასები გამოჰყავდათ. მუშტი-კრივი ქალაქის სხვადასხვა უბნებში იმართებოდა, მაგრამ მთავარი ცენტრი ბოტანიკური ბაღის სამხრეთი იყო, თათრების სასაფლაოს ზემოთ. მცირე მასშტაბის კრივი ხშირად იმართებოდა კვირა დღეებში სალაცხოზე, ჭირიანთხევეში, ნახშირის უბანში, მოლნინის მოედანზე და სხვა ადგილებში. კრივი ყეენობის ერთ-ერთი დამამთავრებელი ეპიზოდი იყო. გადმოცემით, თბილისში მოკრივეთა ორთაბრძოლებს *ერეკლე მეფეს* ესწრებოდა. თბილისის ცნობილი მოკრივეები ყოფილან: *სათო, კუნძუა, ქანლა, ვიემიხაკა, ვირჯონხა* და სხვები. მუშტი კრივის ბანაკს ბევრი ბელადი ჰყოლია. ყველაზე ძლიერი ყოფილა ქარაფქანდოლა, რომელსაც ბოლოს ხელწერილი ჩამოართვეს, რომ მუშტი აღარავისთვის დაერტყა. გარდა მუშტის კრივისა, თბილისში სცოდნიათ აგრეთვე „ხრიდოლი“ (კრივი ცალი ხელით), „სალდასტი“ (ქვის კრივი). ამ უკანასკნელში იყენებდნენ შურდულებსა და ხის ხმლებს. აქვსენტი ცაგარელის თქმით, ამ „უწყინარი“ იარაღითაც ბევრი თავგახეთქილი, თვალწავარდნილი და ცხვირპირდამტკრეული რჩებოდა. „უშუშტო კრივით“ „ცხვირპირის დამტკრეევას“ სულაც არ მოსდევდა საშუადამო დაპირისპირება – ორივე მხარე სახალხო ადგილებში მიდიოდა და დროსაც ერთად ატარებდა. „სალდასტი კრივი“ მთავარმართებელ *ბარიატინსკის* დროს აიკრძალა. ჩვეულებრივი კრივი კი, როგორც აღვნიშნეთ, 1870-იან წლებამდე შემორჩა.

თბილისში გავრცელებული ყოფილა აგრეთვე ხის ხმლებით ბრძოლა. იგი წარმოადგენდა თავისებურ სამხედრო თამაშობას, რომელიც იმართებოდა ბოტანიკური ბაღის მახლობლად, თათრების სასაფლაოსთან დაბახანის ხევეში¹⁴⁸.

ქალაქში ერთმანეთს აჭიდებდნენ ყოჩებს, მამლებს და აქლემებს. თბილისში ბაქოდან ნავთი აქლემებით შემოჰქონდათ. ამ აქლემებით მეთავლები მართავდნენ ჭიდაობას. აქლემები კისრებით ჭი-

¹⁴⁷ ა. სურგულაძე, განახლებული თბილისი. – თბილისი 1500. საიუბილეო კრებული, თბ., გვ. 68.

¹⁴⁸ მ. გიორგაძე, ნარკვევები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1946, გვ. 33.

დაობდნენ. ყველაზე გავრცელებული კი მანც *ყოჩების ჭიდაობა* ყოფილა. ყოჩებს ბრძოლის წინ თურმე ქერით ათრობდნენ, კისერზე კი ფერადმძივიანი საყელოები ჰქონდათ ჩამოცმული, ქოჩორი – ენდროთი შელებილი.

თბილისელთა კიდევ ერთი საყვარელი გასართობი გახლდათ *ჭიდაობა*, რის გარეშეც ფაქტობრივად არცერთი დღესასწაული არ ტარდებოდა. ქართულ ჭიდაობას XIX საუკუნის თბილისში თავისი წესი და რიგი ჰქონდა. მოჭიდავეები გაღვლილი საჭიდაო ჩოხით იყვნენ შემოსილი. ის უმთავარესად უქმე დღეებში იმართებოდა. პირველობას ერთმანეთს ქალაქის სხვადასხვა უბნის ფალავნები ეცილებოდნენ. მიიჩნევენ, რომ ჭიდაობა საქართველოს დედაქალაქში სოფლებიდან გავრცელდა. თბილისელი მოჭიდავეების უმრავლესობა სამეგრელოსა და იმერეთის მკვიდრი იყო. ბევრისათვის ჭიდაობა პროფესიადაც კი იქცა. მსაჯებად მაყურებელთაგან ამორჩეული პირები ინიშნებოდნენ. წრეში წესრიგის დასაცავად ყოჩად ჭაბუკებს არჩევდნენ, რომლებიც გრძელი სახრეებით უვლიდნენ სარბიელს და აზარტში შესულ მაყურებელს უკან ახევიებდნენ. ასპარეზობას მოზარდები იწყებდნენ, მათ ჭაბუკები ცვლიდნენ, ბოლოს კი სახელგანთქმული ფალავნები გამოდიოდნენ. შერკინებას შნოსა და ლაზათის მატებდა ზურნის აზარტული ძელოდით თანხლება. სანახაობას მუდამ უამრავი ხალხი ესწრებოდა. ჭიდაობისათვის განკუთვნილ მრგვალ, ნახერხმოყრილ ასპარეზს, სადაც ფალავნები ცდიდნენ ძალებს, „საჭიდაო წრეს“ ეძახდნენ. ერთ-ერთი უძველესი წრე მთაწმინდაზე იყო. იქ გამართული სანახაობის ხშირი სტუმარი ყოფილა *გრიგოლ ორბელიანი*. მოგვიანებით მსგავსი საჭიდაო სარბიელი მიხეილის (ახლანდელი დავით აღმაშენებლის) პროსპექტის ბოლოში მოუწყვიათ. იქ, ბაღნარში, რომელიც იტალიელებს ჰქონიათ დაქირავებული და ამიტომაც „იტალებების ბაღი“ ერქვა, თავს იყრიდნენ საქართველოს სხვადასხვა მხრიდან, რუსეთიდან, ზოგჯერ აზიისა და ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული ფალავნები. ათასცხრასიანი წლებიდან ასეთი „საჭიდაო წრეები“ სხვაგანაც გაჩნდა, მაგალითად, ვერეზე – ფიქრის გორაზე, ოქროყანაში, ისანში, ნაძალადევში. თავდაპირველად თბილისში ჭიდაობა მუშტაიდის ბაღში ტარდებოდა. აღნიშნავენ, რომ მოჭიდავეთა შერკინებებს ათი ათასი კაციც კი ესწრებოდა. ასპარეზობის დღეებში „საჭიდაო წრეებთან“ თავს იყრიდა

მთელი ქალაქის ეტლები, „დროშკები“, ურიკები, რომლებსაც უამრავი მაყურებელი მოჰყავდათ. ქართული ჭიდაობის პოპულარობა უბადლო შემსრულებლებმა განაპირობეს. თაობიდან თაობაში გადადიოდა სახელგანთქმული ფალაგნების – *დავით ხიზამბარელის, ივანე ყირიმელაშვილის (კულა გლდანელის), ნესტორ ესებუას, კოსტა მაისურაძის, ალექსანდრე კახნიაშვილის, ვანო ბანცურის, კოპიტეშვილის, ლოლაძის, ადამაშვილის, წამალაშვილის, ირაკლი ვაჩნაძის, სანდრო კანდელაკის* და სხვათა სახელები. ცნობილია, რომ კულა გლდანელს თიანეთში დიდი ჭიდაობა გაუმართავს და შემოსული თანხით პეტერბურგში ვაჟ-ფშაველას სასწავლებლად წასვლა დაუფინანსებია. ქართული ჭიდაობის თბილისში მოსახლეობის ფართო ფენებში პოპულარიზაცია, ყაბახისა და ღოღისაგან განსხვავებით, განაპირობა, იმან, რომ ის არავითარ მოკაზმულობასა და ზედმეტ ხარჯებს არ მოითხოვდა. ჭიდაობაზე საუბრი ქალაქში გავრცელებული გამოთქმით უნდა დავასრულოთ: „მუშა უნდა მუშაობდეს, // ქარავანი ქარავნობდეს, // შენისთანა კარგი კაცი // ქალაქს უნდა ფალაგნობდეს“.



ქართული ჭიდაობა. ვანო ხოჯაბეგოვის ნახატი

დღესასწაულები და გართობა-თამაშობანი ძველ თბილისში: ბერიკაობა-ყენობა

თბილისელებისათვის ყველაზე საყვარელ ყენობაში ჩართული იყო ქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობა, ყველა სოციალური წრის წარმომადგენელი. ყენობის შინაარსისა და რაობის შესახებ ბევრი რამ მხოლოდ პოეტ *იოსებ გრიშაშვილის* საშუალებით ვიცით¹⁴⁹. ის იყო ფართო მასშტაბის გასართობი სანახაობა და, ფაქტობრივად, ევროპულ კარნავალს ბევრი რამით გავდა. მთავარი ის იყო, რომ ყენობაში ხალხი თამაშობდა და მასში გარკვეული პერსონაჟები იყვნენ დაკავებული. ისტორიული წარსულის განსენებით ქართველი ხალხი ხაზს უსვამდა იმას, რომ ის ვერავინ ვერ დააჩოქა და დღესაც ცოცხალია და მომავალშიც ვერავინ დაამარცხებს და რომ კვლავაც იარსებებს. იოსებ გრიშაშვილს XIX საუკუნის ქართული პრესიდან მოყავს ამონაწერები, რათა უკეთ ჩაეწვდეთ ყენობის არსს: „დადგა ყველიერის უკანასკნელი დღეები, მთელი ტფილისის ქალაქი: ავლაბარი, ნარიყალა და ჩულურეთი ყენობის სათამაშოდ ემზადებოდა. სეიდაბადის ხელოსნებს, ფეიქრებს, ხუროებს და მჭედლებს ბევრი სამუშაო ჰქონდათ აღებული. ისინი ამზადებდნენ ხის ხმლებს და ხანჯლებს, საცერე რგოლებს და შურდულებს. მთელი ქალაქი გაცოფილი იყო ორ უბნად, ერთი იყო ისანი და მეორე ნარიყალა. ... ნარიყალას მცხოვრებნი იყვნენ *მუხრან-ბატონი, ორბელიანი, ბარათაშვილი* და *ერისთავი*. ისნის მხარეზედ იყვნენ კახეთის მებატონეები: *ჭავჭავაძე, ჩოლოყაშვილი, ვახვახიშვილი, ჯანდიერი, ჯორჯაძე* და სხვ., *ერძოლოვს* ნარიყალელების მხარე ეჭირა. ყენი უნდა გამოსულიყო ისნელებიდან და შემოსეოდა ქალაქს, დაეკურა მთელი ქალაქი და გზების გზავჯვარდინებზე ჩაყენებინა თავის მოხელეები, ჯარის უფროსები, რომ გამვლელ-გამომვლელებისათვის ხარჯი გამოერთმიათ. ამ დროს ნარიყალას მომხრენიც საიდუმლოდ ამზადებდნენ თავიანთ ჯარებს. ... მცხოვრებნი ნახევარი ყენისაკენ იყვნენ, ნახევარი სოლოლაკის ხევში დაიძალა. ყენმა დაიდგა ტახტი სეიდაბადის მალლობზე. ... მისი მოხელენი

¹⁴⁹ ი. გრიშაშვილი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, ბათუმი, 1986. გვ. 18-24.

იჭერდნენ გამგლეღ-გამომგლეღებს და მიჰყავდათ ყეენთან თავყანის საცემლად. ... ნაშუადღევს ყეენს მოახსენეს, რომ ქვეყანა აჯანყდაო, რომ ერი განუღდა მას და ქართველები სოლოლაკის მაღლობს გაღმოდგაო. მაშინვე ყეენი გაემგზავრა საომრად, მაგრამ უკვე გვიან იყო. ყეენი საქართველოს ჯარებს ტყვედ ჩაუყარდა ხელში“ („კვალღ“, 1893, №6)¹⁵⁰.

ი. გრიშაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ „ყველიერის ორშაბათს, თბილისის თითოეულ უბანს თავისი ყეენი გამოჰყავდა. ამ დღეს ყეენად ამირჩევენდნენ ისეთ კაცს, ... რომელიც „გონება-მახვიღლი, ოხუნჯი და მოძრავი უნდა ყოფიღიყო“¹⁵¹. „ამ კაცს მორთავდნენ კარიკატურულად: თავზე ეხურა შაქრის ქალღლისაგან გაკეთებული წოწოღა ქუღი, ერთ ხელში ხმღის მაგივრად ქაფქირი ეჭირა, მეორეში – ჟანგიანი შამფური, რომელზედაც ვაშღი ან ხახვი იყო წამოგებული. ყელზედ ეკიღა თაღლითი მძივები, ტანთ ეცვა გაღმობრუნებული ტყაპუჭღი, რომელზედაც მოჭერიღი ჰქონდათ თივისაგან დაგრეხიღი მსხვიღი თოკი (თულღო); ყეენის ამაღა გამგლეღ-გამომგლეღებს გზას უღობავდა, ყეენის სასარგებლოდ ხარკს ახღევინებდა... ყეენი კღ რომელსაც ხელში დავთარი ეჭირა, აღნიშნავდა შემოსული ფუღლის რაღდენობას“¹⁵². „ზოგჯერ ყეენს ზურგ-შექცევითაც დასვაღდნენ სახეღარზე და ხელში ამ „ღიდყურა რაშის“ კუღს მისცემდნენ“. „ზოგჯერ კღ ყეენი ... მოთავსებული იყო ცოტა მომაღლო აღვიღას, ფეხმორთხმული იჯდა გოღორზე და ყალიონს სწევდა, გვერღით საღრჩობეღა იყო ამართული, ვინც გაწესებულ ხარკს არ გადაიხღდიღა, იმას საღრჩობეღით ეშუქებოდნენ“. 1888 წღის მონაცემებით ყეენი „პიანიცა კაპიტნის“, „ჯვრიანი პოღლკონიკის“ მუნღირებითაც გამოუწყვიათ. ყეენობის ზეიმი კღ ასე მთავრღებოღა: ნაშუადღევს ყეენს პირდაპირ მტკვარში გადაისვრიღდნენ. ხოლო ხარჯღადებული თბიღისეღლებისაგან მოგროვიღი ფუღლით ხორაგს ყიღუღობდნენ და რამღენიმე დღის განმავღობაში დაუსრუღებღად ქღიფობდნენ ორთაჭაღაში, ვერეს ბაღებში, დიღუბეში. ზემოთ საუბარი გექონდა საერთოთბიღისურ ყეენობასა და ყე-

150 ი. გრიშაშვიღი. ძვეღი თბიღისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 20-21.

151 ი. გრიშაშვიღი. ძვეღი თბიღისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 21.

152 ი. გრიშაშვიღი. ძვეღი თბიღისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 22.

ენობაზე, რომელიც თბილისის სხვადასხვა უბანში ტარდებოდა. რა თქმა უნდა, ოდითგანვე თბილისასთვის საერთო ყეენობა იყო დამახასიათებელი. მაგრამ, დროთა განმავლობაში მისი თავდაპირველი ხასიათი შეიცვალა და გამარტივდა. თბილისის ტერიტორიულმა და დემოგრაფიულმა ზრდამ შეუძლებელი გახადა საერთოსაქალაქო კარნავალის ჩატარება. ამიტომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა მისი რამდენიმე უბანში გამართვა. მაგალითად, 1886 წელს ის ჩაუტარებიათ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ავლაბარში, კუკიაზე, სოლოლაკში, ხარფუხში. ამავე დროს კარნავალისადმი თანდათან შეიცვალა ხელისუფლების დამოკიდებულება, რადგან მონაწილენი მათ მიმართ საკმაოდ კრიტიკული იყვნენ. 1893 წელს ყეენობის გამართვის საშუალება ხელისუფლებამ მხოლოდ სამ უბანში – ვერაზე, ავლაბარსა და ორთაჭალაში მისცა, ხოლო 1894 წლიდან საერთოდ აკრძალა. აკრძალვამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც უბრალო მოსახლეობაში, ისე ქართულ საზოგადოებაში.

როდღაც ზეიმობდნენ თბილისელები ყეენობას, ძნელია გარკვევა. ზოგიერთი ამ დღესასწაულისა თუ სპექტაკლის შემოღებას მურვან-ყრუს შემოსევის დროს უკავშირებდა. ფაქტია, რომ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართველები თავიანთ მტრებს, მოძალადეებს და დამარცხებულებს აქილიკებდნენ და თანამემამულეებს იმედს უნერგავდნენ, იმედს იმისა, რომ ყველა მტერზე საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდოდნენ. კვლავ იოსებ გრიშაშვილს დავესესხები: „მწუხარება და უბედურება ქართველ ხალხს სიცოცხლის წყურვილსა და უნარს ვერ უკარგავს. ისტორიის გრძელ მანძილზე იგი თავგამოდებით იბრძვის, მაგრამ ბრძოლის მეორე დღესვე მას შეუძლიან მოლიმარის სახით გაითამაშოს ამ სისხლით მორწყულ ასპარეზზე. ქართველ ხალხს ისტორიული ტკივილები დაუწყურდა და იმანაც თვისი გუშინდელი კაემანი გასართობ სანახაობად გადააქცია. ყეენობა სწორედ ასეთი გასართობია. ჩვენს ხალხს ისე არაფერი უყვარს, როგორც მასიური გართობები. ... დღეობა, ლხინი, ჯირითი, ბურთი, – ყველგან მასიურობა, ყველგან წყურვილი მასიური მოლხენის. ყეენობაც ერთი კეთილშობილური გამოხატულებათაგანი იყო

ამ მასიური გართობისა¹⁵³. ჩვენის მხრივ დავეძინოთ, რომ ქართველთა გადარჩენაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, იქნებ მათი ხასიათის ამ თვისებამაც ითამაშა გარკვეული როლი.

ყვენობა ყველიერის დღესასწაულს განეკუთვნებოდა. ისევე როგორც სხვა დღესასწაულების დროს, ყველიერის დადგომასაც ქალები სამზარეულოში საქმიანობით იწყებდნენ. ამ დროს აუცილებლად ცხვებოდა ნაზუქი და ფენოვანი ქაღები, რასაც *შიოს-ქადასაც* უწოდებდნენ, რადგან ყველიერის ხუთშაბათს წმიდა შიოს დღეს აღნიშნავდნენ. ამ დღესათან იყო დაკავშირებული საინტერესო წესჩვეულება სახლიდან თავგების გაძევებისა. ყველიერის დროს თბილისელთა საყვარელი გასართობი *საქანელა* იყო. საქანელას თითქმის ყველა სახლის ეზოში კიდებდნენ. საქანელა მხოლოდ გოგონებისათვის იყო განკუთვნილი. იყო მეორეგვარი საქანელაც, რომელსაც *ბუქნას* უწოდებდნენ. მასზე რამდენიმე გოგონას შეეძლო დაჯდომა. მიაჩნიათ რომ ყველიერის საქანელას რიტუალური დანიშნულება ჰქონდა – თუ გოგონა ამ დღეებში საქანელაზე არ იქანავებდა, მაშინ მას უსიამოვნებანი ელოდა.



ყვენობა. ლადო გუდიაშვილის ნახატი

¹⁵³ ი. გრიშაშვილი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, ბათუმი, 1986.გვ. 24.

ძველ თბილისში ბერიკაობასაც მართავდნენ. დღესასწაული იწყებოდა ყველიერის კვირაში და გრძელდებოდა დიდმარხვის პირველ ორშაბათამდე. ბერიკაობის წინ აკეთებდნენ ნიღბებს გოგრის მაგარი ქერქისაგან, ნაბღისაგან, ქსოვილისა და ტყავისაგან. ეს იყო ადამიანისა და სხვადასხვა ცხოველის (ცხვარი, თხა, ტახი, კურო...). გარდა ამისა, ერთი კაცი მეორეს წელში ჩაეჭიდებოდა და მათ აქლემად მოკაზმავდნენ. იცოდნენ სხვადასხვა თავსაბურავის დამზადება, მაგალითად, ბერიკას თავზე კრუხ-წიწილებიან ბუდეს ადგამდნენ. დღესასწაულის ძირითადი ეპიზოდი იყო ნიღბოსანთა მსვლელობა, მათი კარდაკარ სიარული. ბერიკაობა იმართებოდა ძველი თბილისის ყველა უბანში (ავლაბარი, კუკია, ჩულურეთი, ხარფუხი, კალოუბანი, აბანოთუბანი...). ირჩევდნენ მთავარ ბერიკას, „დედოფალს“, ბერიკებს, „თათარს“, სხვადასხვა საკრავებზე დამკვრელებს და მედროშეებს, რომლებიც მეორე დღეს ბუკითა და ნალარით ხალხს დღესასწაულის დაწყებას ამცნობდნენ. დღესასწაულის სიუჟეტი ბერიკასა და მისი „დედოფლის“ ქორწინებაზეა აგებული. დღესასწაულს ახასიათებს მისწრაფება უმაღლესი საზოგადოებრივი რანგისაკენ. მისი პერსონაჟები არიან მეფე, კეისარი, ხონთქარი, ყანი, გენერალი, მონღელები და ა. შ. მათ გვერდით შესაფერისი ადგილი უკავიათ სხვადასვა დროის დამპყრობლებს – *მურვან-ყრუს, შაჰ-აბასს, თემურლენგს, არაბს, თათარს, ლეკს, რუს გენერლებს, „პიანიცა კაპიტანს“*, იყო *ბისმარკიც* და გენერალი *ბულანჯეც*. დღესასწაულში მრავალი სამხიარულო ეპიზოდი შედიოდა, რომელთა საერთო პრინციპი იყო სოციალურად მაღლის გროტესკული დამდაბლება. ბერიკას განასახიერებდა მკვირცხლი ვაჟკაცი, რომელსაც ცხვრის ტყავის ქურქი ეცვა, „დედოფალი“ (პატარძალი) მხიარული უწვერულვაშო ვაჟი იყო, ქალურად მორთული. ზოგს ნიღბის ნაცვლად სახე ნახშირით ჰქონდა შემურული. მონაწილეთა წესი იყო ყველა უბნის და მეკომურის შემოვლა, გზადაგზა ცეკვა-თამაშის გამართვა და „საყველიერო“ სიმღერით მასპინძლის გამხიარულება. ვირზე უკულმა გადამჯდარ ბერიკას კუდი ხელში ეჭირა. ბერიკას გვერდით „დედოფალი“ და ხის ხმლებით შეიარაღებული ამაღა მოდიოდა. ბერიკები სახლებშიც შერბოდნენ და სურსათს იტაცებდნენ. შემდეგ ქორწინების ინსცენირება ეწყობოდა. ბერიკაობის დროს საქანელაზე ქანაობა და ბუქნა სავალდებულო იყო. ახლგაზრდა ქალები ქანაობ-

დნენ იმ იმედით, რომ კარგი წელიწადი დაუდგებოდათ და გამრავლდებოდნენ. ბერიკაობის დასასრულს ბერია კვდებოდა და მისი დატირების რიტუალი ეწყობოდა. მას დასტიროდა „დედოფალი“, დღესასწაულის ყველა მონაწილე კი ეროტიკულ სურვილებს ავლენდა მის მიმართ. შემდეგ ბერია ცოცხლდებოდა, დაერეოდა თავის „მტრებს“ და იბრუნებდა „მოტაცებულ“ დედოფალს. თბილისის ხშირი სტუმრები ყოფილან კუმისის, შინდისის, ტაბახმელის, კოჯრის, თელეთის ბერები. ბერიკაობა საყოველთაო მხიარულებას იწვევდა. ბერიკაობაში თბილისის სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობა მონაწილეობდა და ეს დღესასწაული მრავალეთნიკური მოსახლეობის თანაცხოვრების უაღრესად საინტერესო გამოვლენა იყო¹⁵⁴.

საყოველთაოდ გავრცელებული ადრესაგაზაფხულო დღესასწაული იყო *ყველიერი*. ყველიერი გრძელდებოდა ერთ კვირას და წინ უსწრებდა დიდმარხვას. ყველა ოჯახი იმარაგებდა ფქვილს ორშაბათ დღეს ნახუქისა და ქადის გამოსაცხობად. XIX საუკუნეში რუსების გავლენით, თბილისელებმა დაიწყეს საყველიერო „ბლინების“ გამოცხობა. ყველიერის კვირაში თბილისის თითქმის ყველა სახლის ეზოში ხეზე ჩამობმულ საქანელაზე შემომსხდარი გოგონები მღეროდნენ: „ყველიერში ყველი ვჭამე, აღდგომას კი კვერცხები...“ ყველიერის კვირაში ტარდებოდა ბერიკაობა. ყველიერში არსებობდა ერთი წეს-ჩვეულება, რომელსაც „სახლიდან თავგების განდევნა“ ერქვა. ხუთშაბათს, წმიდა შიოს დღეს, ოჯახის დიასახლისი ცალ ხელში ახალგამომცხვარ პურს დაიჭერდა, მეორეში ასკილის ტოტს ყოველ კუთხე-კუნჭულს ურტყამდა და გაიძახოდა: თავო, თავო, გამოდიო. შემდეგ პურსა და ასკილის ტოტს სწრაფად გადასცემდა კართან მდგარ პატარა ვაჟს, რომელიც უკანმოუხედავად გარბოდა, რათა, რაც შეიძლებოდა შორს გაეტყუებინა თავი.

ძველ თბილისში იცოდნენ *ჯოჯოობაც*. ეს ხალხური დღესასწაული იმართებოდა აღდგომის შემდეგ პირველ სამშაბათს. თბილისელი ქალები, განსაკუთრებით ქალიშვილები, შაქრის რამდენიმე ნატეხით ქალაქის ძველ უბანში – ავლაბარში, უფრო ზუსტად, ავ-

¹⁵⁴ ჯ. რუხაძე. ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბ., 1999.

ლაბრის სამხრეთით, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე *ძაღლის უბანში* მიდიოდნენ, სადაც მდინარის კბოდეზე იმართებოდა ჯოჯობა. მორწმუნე ქართველი ქალები ლოცულობდნენ და სურვილების შესრულებას შესთხოვდნენ მამაზეციერს. ლოცვა-ვედრების შემდეგ ისინი შაქრის ნატეხებს უყრიდნენ ქარაფიან ნაპირზე ბინადარ „ჯოჯოებს“. მიუხედავად იმისა, რომ ამ რიტუალს მრავალი მლოცველი ასრულებდა, მისი წარმოშობა XIX საუკუნეების ქალაქელებს აღარ ახსოვდათ. ეს იყო ერთ-ერთი ძველი თბილისური წეს-ჩვევა, რომელიც შთამომავლობამ რალაც სახეცვლილებით შემოინახა. ჯოჯოობის წარმოშობის შესახებ შემორჩენილი გადმოცემა მოგვითხრობს, თითქოს ძალიან დიდი ხნის წინ აქ, ამ ადგილზე ცხოვრობდა ერთი უცხო კაცი, რომელიც თურმე სასწაულებს ახდენდა, მაგალითად, ხელის ერთი მოსმით თუ შეხებით ადამიანის ტანზე გამოყრილ ჭორფლს აქრობდა. მაგრამ რა კავშირი იყო ძაღლის უბნის „ჯოჯოსა“ და იმ სასწაულთმოქმედ ადამიანს შორის, გადმოცემა არას გვამცნობს. სავარაუდოდ იმ უცხო კაცის სახელი *ჯოჯო* შეიძლება ყოფილიყო.



ყენობა. ლაღო გუდიაშვილის ნახატი

საადღვომო კვირას, სამშაბათობით თბილისელები აღნიშნავდნენ *დოდოობას* – წმიდა დოდოს დღეს. დოდოობის სარიტუალო ცერემონიალი ტარდებოდა ავლაბარში. მიიჩნევენ, რომ *წმიდა დოდო* უიღბლო ადამიანებს მფარველობდა. ამიტომ წმიდა ადგილთან მიდიოდნენ ისინი, როლებსაც რომელიმე ახლობელი სახლიდან შორს, ციხეში ან ტყვედ ჰყავდა. წმიდა დოდოს მღვიმესთან სალოცავად მიმსვლელ ქალს თან აუცილებლად უნდა მიეტანა შაქარი. შაქარს იქ არსებულ ხვლიკს უგდებდნენ. ამ დროს თუ ხვლიკი ქალს პირდაპირ თვალებში შეხედავდა, ეს კარგის მომასწავებელი იყო.

თბილისელებში, განსაკუთრებით გოგონებს შორის, ფრიად პოპულარული იყო „შვიდმაისობა“. ამ დღეს გოგონები ერთად იკრიბებოდნენ ჩვეულებრივ ან ეზოებში, ან სახლების სახურავებზე/ბანებზე და სიმღერის, ცეკვის, მხიარული საუბრისას დროაადრო შესცქეროდნენ ცას. არსებული რწმენით, 7 მაისს აუცილებლად უნდა მოსულიყო წვიმა. ამ წვიმას კი მიეწერებოდა არაჩვეულებრივი თვისება – ის კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა თმის ზრდაზე. ამიტომ გოგონები იშლიდნენ თმას და ერთ ფეხზე შემხტარნი მხიარულად შესძახებდნენ: „შვიდი მაისის წვიმა“.

მნიშვნელოვანი სალოცავი იყო მთაწმიდა; ის უმთავარესად ქალთა სამლოცველო იყო. *თედორე ტორნაუ* წერდა: „ხუთშაბათობით მთელი თბილისის ქალები დილაადრიან შეუდგებოდნენ ხოლმე *მამადავითის* აღმართს ეკლესიაში სალოცავად. ქალები შეუთქვამდნენ ფეხშიშველა ასვლას მამადავითის აღმართზე: გასათხოვარი ქალები შესაფერ საქმროსა სთხოვდნენ, უშვილონი – შვილს, ფეხმძიმენი – ბედნიერ მშობიარობას, მიტოვებულები – ახალ ბედნიერებას. ეს ქალები ეკლესიის ნესტთან საძირკველს პატარა კენჭს მიადებდნენ, თუ მიეკვრებოდა – ნატვრა აუსრულდებოდათ, თუ კენჭი ჩამოვარდებოდა, მაშინ ყოველი იმედი ამაო იყო“. საყურადღებოა, რომ შვილის გამოსათხოვრად მოსიარულე მლოცველ ქალს ერქვა „ბერი“. ასეთ „ბერს“ თეთრი სამოსი ეცვა და თმაგაშლილი იყო¹⁵⁵.

მთაწმიდაზე აღდგომის მეშვიდე ხუთშაბათს „მამადავითობის“ დღესასწაული იმართებოდა. თბილისის და მის ახლო ადგილთა მცხოვრებნი ფეხით, სახედრებით, ცხენებით და ურმებით მოდიოდ-

155 ი. ბალახაშვილი. ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 58.

ნენ მამადავითობაზე, ზოგნი ერთი, ორი და მეტი დღის სავალი ადგილებიდანაც.

აღნიშნა, რომ თბილისში ქართველებთან ერთად სხვა ეთნიკურ ერთობათა წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ფრანგმა *ტურნეფორმა* შეამჩნია, რომ სხვადასხვა ეთნოსის რელიგიურად და კონფესიურად განსხვავებული მოსახლეობა გაჭირვებისა თუ ავადმყოფობის დროს ერთმანეთის წმინდანებს მიმართავდნენ. ეს ცნობა ეთნოლოგებსაც აქვთ დადასტურებული. გვიანობამდე ქართველები, სომხები და თათრები შემწეობისათვის ერთმანეთის წმინდანებს მიმართავდნენ. მამადავითში ქართველებთან ერთად *დავითობას* თავს იყრიდნენ სომხები, თათრები, ქურთები... ასევე სხვადასხვა ეთნოსისანი იყრიდნენ თავს *ბარბარობას* ნავთლულში¹⁵⁶.


თბილისელთა წლიური სადღესასწაულო ციკლი ახალი წლის აღნიშვნით იწყებოდა. ქალებს წესად ჰქონდათ ახალი წლის წინ, დეკემბრის დღეებში სახლისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, ჭურჭლისა და ავეჯის გაკრიალება, ლოგინისა და ხალიჩების დაბერტყვა. საახალწლოდ აცხობდნენ *ბასილას* – მამაკაცის შიშველი ფიგურის გამოსახულებით. ბასილა წმიდა ბასილისადმი იყო მიძღვნილი, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია 1 იანვარს აღნიშნავდა. თბილისელებს საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა ჰქონდათ: *ვოზინაყი*, *თაფლი*, *ვაშლი*, *ქიშმიში*, *თხილი*, *წაბლი*, *ნუში* და სხვ. ახალი წლის დადგომამდე ჩვევად ჰქონდათ ჰაერში გასროლა. სწამდათ, რომ ტყვია ხვდებოდა კუდიანებს, ავსულებს და სხვა უწმინდურ არსებებს. გათენებისას კი აუცილებლად სახლში მეკვლე უნდა შესულიყო ტაბლით, რომლის ოთხივე კუთხეში სანთელი ენთო და რომელზედაც დაწყობილი იყო ტკბილეულობა, ხილი. ახალი წლის პირველივე დღეს თბილისელები ერთმანეთს სტუმრობდნენ.

თბილისელთათვის დიდი დღესასწაული იყო ნათლისღება. სწამდათ, რომ ამ დროს შუაღამისას წამიერად მტკვარი ერთ ადგილას ჩერდებოდა. სწამდათ ისიც, რომ თუ ამ დროს წყალს ამოიღებდნენ,

¹⁵⁶ ნ. მინდაძე. ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, თბ., 2013, გვ. 196.

წყლის წვეთი მარგალიტის მარცვლად გადაიქცეოდა. ამავე დროს, თბილისელებს ისიც სწამდათ, რომ ავლაბარის ხიდთან მტკვრის ფსკერზე მცხოვრები დევები ყოველმხრივ ცდილობდნენ გულადი ადამიანებისათვის ხელი შეეშალათ: ისინი წარმოუდგენელ ხმაურსა და ყვირილს ტეხდნენ და აგრეთვე ადამიანს ქვებს ესროდნენ. ამ დროს საჭირო იყო თავშეკავება, სიმშვიდე და არავითარ შემთხვევაში უკანმიხედვაც არ შეიძლებოდა; საწინააღმდეგო შემთხვევაში კი ადამიანი ადგილზე გაქვავდებოდა.

თბილისელებისათვის განსაკუთრებულ დღესასწაულებს წარმოადგენდა *თელეთობა* (ძირითადად მონოფიზიტებისათვის) და მცხეთობა. ამ დღესასწაულებზე ისინი ოჯახებით ჩარდახიანი ურმებით მიემგზავრებოდნენ.



წისქვილი მტკვარზე

ქორწინება და ქორწილი თბილისში

ძველმა თბილისელებმა ქორწილიცა და გლოვაც ორიგინალური იცოდნენ. საქართველოში თავისი საქმიანობით სწორედ თბილისელი *მაჭანკლები* გამოირჩეოდნენ. აქ ისინი თავისებურ პროფესიულ ფენასაც კი ქმნიდნენ. როგორც აღინიშნა ქალის გასინჯვა ხშირად თბილისის გოგირდოვან აბანოებში ხდებოდა. წარმატებულ *მაჭანკლობას* ნიშნობა მოსდევდა, *ნიშნობას* – ქორწილი, *ქორწილს* – მზითევი, *მზითევს* – ძეობა, *ძეობას* – ნათლობა... შეუძლებელია იმის უთქმელობა, რომ XIX საუკუნის თბილისში მზითევმა ერთგვარად დამახინჯებული ფორმა მიიღო. ბურჟუაზიული ურთიერთობები, გაჭრული სული ამ სფეროშიც შეიჭრა. მზითევის წაღება შემდეგნაირად აქვს აღწერილი იოსებ გრიშაშვილს: „წინ ზურნა მიდის (რომელიც ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ჰანგს უკრავს: „საქორწილო“), მერე პატარა ბიჭი მიდის, რომელსაც გულზე მისვენებული სარკე მიაქვს, შემდეგ ამ სარკიან ბიჭს ორ-ორი ჭაბუკი მისდევს, რომლებსაც თავზე უწყვიათ წყვილ-წყვილი ბალიში – ფურფუშებიანი, საურ-გადაფარებული და ცისფერი ბაბთებით შეკრული; შემდეგ მოდის მუთაქები (ესეც წყვილ-წყვილი), სადა ყალბ-მქარის ბაბთებით და ფუნჯებით მორთული; თვითველ მუთაქას თან ახლავს კოხტად დაკეცილი ყანაოზის მანებიანი საბანი; შემდეგ სამურაბე ტაშტი (ლაგანი); ხელის ყუთი თავის საწვრილმანოთი; შემდეგ შკაფი, კამოდი, მაფრამა და, დასასრულ, წყვილი „პოდნოსის კრაოტი“ (ან ერთი კრაოტი ორსაწოლიანი); ამ კრაოტზედ ხშირად მეზობლების თვალის მოსატაცებლად გადაკრულია ლომებიანი რუსული ხალი... ეს დასანახად გამოტანილი მზითევა, პირველად „ნეფის“ ოჯახში ეს ნივთები შედის. დანარჩენი კი, სიის მიხედვით ლაგდება ბოლჩაში და სკივრში... [ვრცელ ჩამონათვალში ბევრ რამეს ვხვდებით, მათ შორის] „ორი გასამთლული შიბაქი, ერთი ვაჟისათვის, მეორე ქალისათვის“¹⁵⁷.

თბილისში 1832 წელს ნამყოფი ბარონი *ტორნაუ* შენიშნავდა: „*მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ქართველი, რავინდ ღარიბიც*

¹⁵⁷ ი. გრიშაშვილი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, ტფ., 1927, გვ. 61, 62.

იყოს, უღვინოდ პურს არ გატეხს, მე მათ შორის იშვიათად შევხვედრივარ ლოთებს. ქართველი კეთილია, გულახდილი, გამბედავი, უღარდელი, არ არის კარჩაკეტილი, უყვარს ქეიფი და მეომრობა. მრეწველობა და ვაჭრობა მათი საქმე არ არის...“¹⁵⁸ დავსძენთ, ქართველთა ეს დახასიათება, რომელიც მან თბილისის მაგალითზე მოგვცა, ყველა ეთნოგრაფიულ ჯგუფს თანაბრად ეხება.

ქორწინება საოჯახო ურთიერთობის, ოჯახის შექმნისა და გამრავლების აუცილებელი წინაპირობაა. ქორწინებით იწყება არა მარტო ორი ადამიანის, მეუღლეების ურთიერთობა, არამედ ორი სრულიად განსხვავებული გვარისა და მათთან დაკავშირებული სანათესაოს (აგნატიკური, კოგნატიკური, ხელოვნური, სულიერი) გაერთიანება ერთ დიდ სანათესაოდ.

ქორწინების ასაკსა და დროს განსაზღვრავდა არა ქალი ან ვაჟი, არამედ მათი მშობლები და ოჯახი. რადგან ქორწინება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და მისი მომზადება მხოლოდ დიდი ოჯახის მესვეურებს შეეძლოთ. თბილისელთათვის იშვიათი იყო მოტაცება.

სანამ საქმე ქორწინებამდე მივიდოდა, უნდა მომხდარიყო სავალდებულო წინაპირობების შემოწმება. პირველ რიგში გამორიცხული უნდა ყოფილიყო წყვილებს შორის ნათესაური ურთიერთობა 7-9 თაობამდე. ასევე მკაცრად იცავდნენ სოციალურ სტატუსს. დაუმეგბელი იყო თავადაზნაურს გლეხის ქალი მოეყვანა ცოლად. ყველა თავისი წრის, სოციალურად და წოდებრივად თანასწორს ეძებდა. საქართველოს სხვადასხვა მხარეში არსებობდა თავისებური აკრძალვები. მთიან რეგიონებში მიუღებელი იყო თანასოფლელებს შორის ქორწინება. ასევე არ შეიძლებოდა ერთი ხატის ყმებს შორის ქორწინება.

საქორწინოდ მომზადებული ქალ-ვაჟის შეთვალეიერება ძირითადად ხდებოდა ხატობებზე, სახალხო დღესასწაულებზე, ქორწილებში. დიდ ქალაქებში კი იქ არსებულ სანახაობებზე: კრივზე, ჭიდაობაზე, მუშაითობაზე, ყაბაზზე და სხვ. ადგილებში. მას შემდეგ როცა „საბელო“ შეირჩეოდა, იწყებოდა საპატარძლოს „გაჩხრეკა“, შემოწ-

¹⁵⁸ დ. ბერძენიშვილი. უცხოელები საქართველოსა და ქართველების შესახებ, თბ., 2008, გვ. 36.

მება მთელი მისი „ჯიშისა“ და „ჯილაისა“. ხომ არ ჰყავდა ახლო სანათესაოში თანდაყოლილი ფიზიკური ან სულიერი ნაკლის ადამიანები, რათა მათი შთამომავალი ჯანსაღი დაბადებულიყო. შემდეგ ხდებოდა უშუალოდ საპატარძლოს შემოწმება ფიზიკური, ასაკობრივი, მორალური, მატერიალური, ხასიათისა და უნარ-ჩვევების შესახებ. ეს ყველაფერი იმიტომ კეთდებოდა, რომ შემდეგში წყვილს შეძლებოდა ოჯახის დამოუკიდებლად რჩენა და სხვაზე არ ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი.

საქორწინო კავშირის დამყარებამდე ქალისა და ვაჟის მხარეები ხაზს უსვამდნენ მათი აღზრდილის პირად ღირსებებს. სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა საზოგადოებაში წყვილთა შეფასების კრიტერიუმები სხვადასხვა იყო. თუ მაგალითად სასიძო სოფლიდან იყო, მისი შუამავალი სიამაყით აღნიშნავდა, რომ სასიძო ისეთი მომკელი იყო, რომ „მისი ერთი ხელეური ერთ ძნათ შეიკვრისო“ (თ. გ.). თუ სასიძო ხელოსანი იყო, ამბობდნენ, „მისი ჩამოსხმული ურძის თვლები საზღვარგარეთ გადისო“ (თ. გ.). ასეთივე შეფასებები ხდებოდა სარძლოს მიმართაც. განსხვავება მხოლოდ ის იყო, თუ რომელ სოციალურ წრეს ეკუთვნოდა სარძლო და შეფასების კრიტერიუმებიც ამის მიხედვით განისაზღვრებოდა. თუ სარძლო დაბალი წრის წარმომადგენელი იყო და თავისავე წრის სასიძოს ურიგებდნენ, მაშინ აქცენტი მის ფიზიკურ ძალაზე, ამტანობაზე და სამეურნეო უნარ-ჩვევებზე კეთდებოდა. მშობლები თავიანთ ვაჟებს ურჩევდნენ აქცენტი ფიზიკურად ძლიერ, ჯანმრთელ ქალზე გაეკეთებინათ. „შვილო – ხშირად ეტყოდა მამა თავის ვაჟს, – ისეთი ქალი უნდა შეირთო, რომ ლოგინში არ დაგეკარგოსო“¹⁵⁹.

სხვა ნიშნების მიხედვით ხდებოდა მაღალი წრის საზოგადოების წარმომადგენელთა შეფასება. არისტოკრატიულ ოჯახებში ვაჟის აღზრდის დროს მეტ ყურადღებას აქცევდნენ მათ სპორტულ და სამხედრო წვრთნას. უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა მაღალი წრის ქალის აღზრდას. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის ალექსანდრე ორბელიანი თავის ნაწერებში: „იმიტომ იყვნენ დედაკაცებს ჯერ ყმაწვილობაში საღმრთო წერილს ასწავლიდნენ, კერვა-ხელთსაქმეს და მას უკან საერო წიგნებს, ანუ ხელწერილებს

¹⁵⁹ ი. გრიშაშვილი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 68.

აკითხებდნენ. ამასთან კარგ ზნეობას, კარგ თვისებას ასწავლიდნენ, შემდეგ ქცევას, მიმოხვრას, თავის უმანკოების სიწრფელის სიმართლითა. თან ცდილობდნენ ყოველი წმინდა და პატრიოსანი ხასიათი ჩაეწვეთათ თავისი მოთმინებით, იმათ ბუნებაში¹⁶⁰.

ქალისადმი განსაკუთრებული მზრუნველობა ამ მხრივ გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მათ ამ ტრადიციით შვილების აღზრდის შესაძლებლობაც ჰქონდათ¹⁶¹. ასეთ ტრადიციებზე აღზრდილმა არისტოკრატმა ქალებმა გადაარჩინა ქართული საზოგადოება. მათ მიერ აღზრდილმა შვილებმა აღამაღლეს ქართული საზოგადოება და შექმნეს ქართული მწერლობის შესანიშნავი ნიმუშები, რომელზედაც იზრდება თაობები. ამის შესახებ შესანიშნავად წერს იტალიელი მოგზაური *არქანჯელო ლამბერტი*: „ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი. ისე რომ, თუ ვისმე უნდა კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელიმე ქალს მიებაროს სასწავლებლად“¹⁶².

როდესაც ოჯახი „გაჩნრეკვის“, გაკითხვის შემდეგ იღებდა დადებით გადაწყვეტილებას სარძლოს სათხოვნელად, იწყებოდა ზრუნვა შუამავლის შესარჩევად. ხშირად ამ მოვალეობას ვაჟის ახლო ნათესავები: ბიძები, მამიდები, დეიდები, უფროსი ძმები და ნათლიები ასრულებდნენ. შუამავლად შერჩეული პირები გამოირჩეულნი უნდა ყოფილიყვნენ გარეგნობით, მჭერმეტყველებით და სოციალური მდგომარეობით. ასეთ პიროვნებას სასძლოს ოჯახი ანგარიშს უწევდა. შუამავლის უარით გასტუმრება ვაჟის ოჯახის დამცირებას ნიშნავდა და ამიტომ შუამავალიც ცდილობდა ისეთ ოჯახში მისულიყო ქალის სათხოვნელად, რომელიც მეტნაკლებად შეეფერებოდა ვაჟის ოჯახს. მოციქულის ანუ შუამავლის ფუნქციას მთაში მამაკაცი, ბარში კი ქალი ასრულებდა. XIX საუკუნის შუა ხანიდან კი შუამავალი პროფესიონალმა „მაჭანკალმა“, „მარჯაკალმა“ შეცვლა. შემდეგში „მაჭანკლები“ კარგად გარიგებული საქმისათვის სარფიან შემოსავალს იღებდნენ. დასაწყისში მათი ანაზღაურება ნატურით ხდებ-

160 ალ. ორბელიანი, ნაწერი, გვ. 105.

161 ვ. ითონიშვილი. ქორწინების ზოგიერთი წეს-ჩვეულება ძველ თბილისში, თბ., 1959, გვ. 7.

162 არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, ტფ., 1933, გვ. 164.

ბოდა – მამაკაცისათვის ხარის ტყავი და ქალისათვის – ჭრელი საკაბე. შემდეგ უკვე ფულადი ანაზღაურებით დაიწვეს საქმეების მოგვარება. „მაჭანკალი სარძლოს ოჯახში რამდენიმეჯერ მიდიოდა, რათა მისთვის სასურველი შედეგისათვის მიეღწია. მათი ვიზიტი ზოგჯერ უარით მთავრდებოდა, მაგრამ „მაჭანკლები“ საქმეს არ ეშვებოდნენ და სასიძოს ოჯახს აიძულებდნენ „ქალის კარი ხელმწიფის კარიო“ (თ. გ.) და საქმის სირთულიდან გამომდინარე გასამჯულოს უფრო უმატებდნენ. ხშირად პირველ თხოვნაზე მაჭანკალს პასუხს არ სცემდნენ, რათა ქალის ოჯახსაც ჰქონოდა ინფორმაცია მეორე მხარეზე და ნათესავებისათვისაც ეკითხა აზრი.

ქალის გასინჯვის თბილისური წესებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი გარეგნობის შემოწმების ზოგიერთი ისეთი ჩვეულება, რომელიც საქართველოს სხვა ადგილებში მოქმედ წესად არ გვევლინება და მხოლოდ თბილისისათვის ნიშანდობლივ მოვლენად გვეჩვენება. ეს გახლავთ აბანოში საპატარძლოს წაყვანისა და მაჭანკლების მიერ მისი გასინჯვა-შემოწმების წესი, რაც გამსინჯველთა გემოვნების და მიღებული გასამჯულოს შესაბამისად, საქმის დადებითად თუ უარყოფითად გადაწყვეტის საწინდარი იყო¹⁶³.

თბილისის აბანოებში არა მარტო შერჩეულ საპატარძლოს ფიზიკური შემოწმება ხდებოდა, არამედ დეტალური დათვალიერება ტუჩ-კბილისა და პირის ღრუსი, ლაპარაკის დროს ახლოს მივიდოდნენ, რათა გაეგოთ, საპატარძლოს პირში სუნი ხომ არ ჰქონდა და ამის შემდეგ იღებდნენ გადაწყვეტილებას. აბანოშივე ხდებოდა აგრეთვე საპატარძლოს შერჩევაც. იოსებ გრიშაშვილი წერს: „რასაკვირველია, მაჭანკალი ქალები არც აბანოში ივიწყებენ თავიანთ პროფესიას. ბევრი ლამაზი ქალის ბედი გადაწყვეტილა აბანოში, ბევრი სანდომიანი „ქალი და რძალი“ გაბედნიერებულა და ბევრი ფიზიკური ნაკლი აღმოსჩენია გატიტვლებულ ქალს“¹⁶⁴.

მას შემდეგ რაც საქართველოში სამეფო ხელისუფლება გაუქმდა და რუსული მმართველობა დამყარდა, ბევრი რამ შეიცვალა ქართველთა ყოფაში და ეს ცვლილებები განსაკუთრებით თბილისის

¹⁶³ ვ. ითონიშვილი. ქორწინების ზოგიერთი წეს-ჩვეულება ძველ თბილისში, გვ. 8.

¹⁶⁴ ი. გრიშაშვილი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 68.

შეეხო. რუსეთთან შეერთებამ ბევრი მანამდე არსებული ტრადიცია შეიწირა. თბილისელთა ყოფაში სწრაფად იკიდებს ფეხს ევროპული სტილი, იმდენად, რომ ეროვნული ტანსაცმელიც კი ქრება. ეს ცვლილება განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ქალაქის არისტოკრატიაში. ამის შესახებ გრიგოლ ორბელიანი აღნიშნავდა: „მოვიდა გამოჩენილი მხატვარი *ზიჩი*, რომელსაც სურდა დაეხატა კარტინისათვის Демон ქართველი კაცი და ქალი ძველებურის ტანისამოსით და ვერავენ ვიპოვეთ. ღმერთმა უშველოს ტასო ოგლობოჟიოს (ორბელიანი), მან მისცა თავისი საქორწინო ტანისამოსი... და ამით დიდათ გაახარა ზიჩი. ასე განათლდა, ისე წახდა საქარველო, რომ თავისი დიდათ აღარა უნდა რა და დიდად ჰსცხვენიათ ქართული ჩაცმა“¹⁶⁵. ანალოგიური ცვლილებები შეეხო თბილისელთა ყოფის თითქმის ყველა სფეროს. ეკონომიურად წინა პლანზე წამოსულმა სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა მტკიცედ დაიწყეს რუსული და ევროპული წესების დანერგვა. „ბალ-ბანკეტები“, „ვეჩერ-სობრანიები“ მათი ცხოვრების წესი გახდა, რამაც შეიწირა ეროვნული ტრადიცია. ამაზე *ილია ჭავჭავაძე* გულისტკივილით აღნიშნავდა: „ხომ ჩემი ქალაქია, მაგრამ აქ გული არ მიდგება, თითქოს ჩვენები აბრაგებულან, გახიზნულან და სხვები დასახლებულანო... ლეჩაქი რა არის, ლეჩაქიც კი ვერად გვინახავს, თითქოს ნამუხთან ერთად ისიც მოუხდიათ და გადაუგდიათო“. თბილისელთა ცხოვრებაში შემოჭრილმა ახალმა რეალობამ თავისი ასახვა ჰპოვა საქორწინო ურთიერთობების წინა პირობების ჩამოყალიბებაში. ქალისა და ვაჟის ბედნიერებასას გადაამწყვეტი მნიშვნელობა მზითევმა შეიძინა. იოსებ გრიშაშვილი მართებულად აღნიშნავდა: „შეიძლება ეს სიტყვები „მზითევი“ ეხლა ჩვენთვის საჩოთირო და საღიმილოც იყოს, მაგრამ იმდროინდელი პატრიარქისთვის „მზითვის სია“ პირველი ქვაკუთხედი იყო მომავალი ბედნიერების შესაქმნელად“¹⁶⁶.

მზითევს ყოველთვის თავისი გამორჩეული ადგილი ჰქონდა ქართველი ქალის საოჯახო ყოფაში. ის იყო მისი ახალი ოჯახის ეკონომიური საფუძველი და მისი სრულფასოვანი წევრობის გარანტი ახალ ოჯახში, მაგრამ ახალი რეალობიდან გამომდინარე „მზი-

¹⁶⁵ ი. გრიშაშვილი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 21-22.

¹⁶⁶ ი. გრიშაშვილი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 57.

თევმა“ მიიღო მახინჯი ფორმა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა დაბალი წრის საზოგადოებაში. თუ ქალის გათხოვება მაჰმადიანური ოჯახისათვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო იყო, ქართულ რეალობაში ქალის გათხოვება მძიმე ტვირთად აწვა ოჯახს. გასათხოვარი ქალის შეფასების მთავარი კრიტერიუმი მისი მატერიალური შესაძლებლობა გახდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ნიკო ნიკოლაძე ასეთი სიტყვებით მიმართავდა საცოლვე ვაჟებს: „ცოლის შერთვის დროს უფრო ხასიათსა და ზნეს მიჰხედეთ, ვიდრე მზითევსო“¹⁶⁷. მაგრამ იმდროინდელი საცოლვე ვაჟები მატერიალურ კეთილდღეობას უფრო ელტვოდნენ. მათი ასეთი მისწრაფებები იმდროინდელი ქალაქის ხალხურ პოეზიაშიც აისახა: „წყალში თევზი დაცურავს, // ბოლოს იქნევს, თავს – არა, // ეხლანდელი ვაჟები // ქრთამს ეძებენ, ქალს – არა!“ მათი მოთხოვნები იმდენად პრეტენზიული იყო, რომ პირდაპირ უთვლიდნენ ქალის ოჯახს, რომ საცოლვეს უეჭველად უნდა ჰქონოდა „დიდროვანი სახლები“, „ავეჯები ახლები“, „ოთახები ევროპულად მორთული“, „საწოლში მარმარილოს ვანები“. ასეთ მოწოდებას ნინო ორბელიანი პასუხებს: „შენ რად გინდა მარმარილოს ვანები, // თუ დავცხება – მტკვარშიც ებანები, // შენ მოსძებნე საქართველოს ქალები, // თუ სხვა შეგხვდა, დაგიდგება თვალები“¹⁶⁸. პოეზია პოეზიად რჩებოდა, მაგრამ ცხოვრება კვლავ თავისი გზით მიდიოდა. „მზითევი“ კვლავ რჩეოდა წყვილთა შორის ურთიერთობის დამაგვირგვინებელ საშუალებად. მზითვის სიები გახდა საპატარძლოს მთავარი საგზური მომავალ ოჯახში. მზითვის სიები დროისა და წოდების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. მაღალი წოდების ქალებს მატერიალურ ძვირფასეულობასთან ერთად ატანდნენ ყმა-გლეხებსაც. „ურიების ზითევში გატანება ქართველ მებატონეთ ჩვეულებად ჰქონდათ, ურიებს კაი ფასი ედოთ, ამიტომ საქართველოში არ ყოფილა ერთი სახლიშვილი, რომ მათ ყმა ურია არა ჰყოლოდა. მათ ყმობას მით უფრო ნატრობდნენ მებატონენი, რადგანაც დაჩაგრულნი უფრო უკეთესად უხდიდნენ ხარკს, ვიდრე ყმა ქრისტიანი გლეხები“¹⁶⁹. თბილისური ყოფის

167 ნ. ნიკოლაძე. ნაწერი, წ. I, 1980.

168 ი. გრიშაშვილი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 60.

169 ზ. ჭიჭინაძე. ქართველი ებრაელები საქართველოში, ტფ., 1904, გვ. 27.

შესანიშნავი მცოდნე იოსებ გრიშაშვილი თავის ნაშრომში „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“ ჩამოთვლის „კაცთაგან მიუწვდომელ სამკაულებსა და საუნჯეს, უსასყიდლო ოქრო-ვერცხლსა და მარგალიტებს. ასევე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას მზითვის სიებში დაფიქსირებულ ქართულ წიგნებზე. გარდა სასულიერო ხასიათის წიგნებისა, ჩამონათვალშია: ვეფხისტყაოსანი, ქართლის ცხოვრება, სიტყვათა კონა, ქილილა და ღამანა, ზეილანიანი, ვარდ-ბულბულიანი, გაზაფხულისა და შემოდგომის გაბაასება, ანბათქება, მაჯამა, ღრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, კატელორია, სიბრძნე-სიცრუე, ვისრამიანი, ჩარდარვიშიანი, მირიანიანი, დაფნის ქალაქი, ყარამანიანი. ასევე მოხსენიებულია „ინდოეთ-ჩინეთიდან მოტანილი სამელნე“, რომელიც ალბათ იმ ეპოქაში იშვიათ ნივთს წარმოადგენდა. ეს უბრალო ჩამონათვალი მაუწყებელია იმისა თუ რაოდენ განსწავლულები იყვნენ მაშინდელი მაღალი წრის ქალები. მზითევის გარეშე არ თხოვდებოდა არც მაღალი წრის ქალი და არც ისინი ვინც მარჩენალი მამა გარდაცლილი ჰყავდა. თბილისური ამქრის წევრები განსაკუთრებით ზრუნავდნენ თავიანთი გარდაცვლილი მეგობრის ოჯახზე. ვაჟებს სახელოსნოებში მიაბრუნებდნენ და ქერივს ამქრის წილიდან აძლევდნენ გასათხოვარი შვილის სამზითვო თანხას. ამ ფულით ქალის დედა თავის შვილს საჭირო მზითვებს უძენდა.

ეს დასანახად გამოტანილი მზითევია. პირველი „ნეფის“ ოჯახში ეს ნივთები შედის, დანარჩენი წვრილმანი კი სიის მიხედვით ლავდება ბოხჩაში და სკივრში. აი, ეს სიაც: „სახელითა მამისათა და სულისა წმიდისათა, ამინ! ვაძლევ ჩემს ნანინანატრ ქალს ყველაფერს, რაც სულს იქით მაბადია: ერთი მორთული პატარძალი, ერთი აბანოზის შიფანერკა, ოთხი ბალიში თავისი საურებით, კარაკოშკას ოთხი ფარდა, ერთი პურის კიდობანი, ორი შამფური თორნიდან პურის ამოსაყრელად (კავიანი და საფხეკი), ერთი ვარცლი თავისი ასტამით (ძველად ყველა ოჯახში თონე იყო; პურს სახლში აცხობდნენ), ერთი დუჟინი შიმშატის კოვზი, კაი ფაბრიკისა, ჰავანგადასტა თავის სარახუნებელი, მდივანოვის ქართული კალენდარი, აბანოს ფეხის აგური, ერთი აბანოს აზლუდი, თექვსმეტი კარი ყარამანიანი, ერთი წყვილი ხაფანგი, ზინგერის საკერავი მაშინა, თორმეტი კოჭი ნიტკის ძაფი, ორი გასანთლული შიბაქი, ერთი ვაჟისათ-

ვის, მეორე ქალისათვის; ერთი ვერცხლის პოდნოცი, წონით რვა გირვანქა და 83 მისხალი, აბანოს ფუთა თავისი ქისით, მურაბის ტაშტი, სპილენძის ლანგარი და ტოლჩა, ნახევარი ღუჯინი ყვითელი ცოცხი ქუთაისისა, თუშფალანგი, ქარვის დიდი კრიალოსანი, მამამთილისათვის ბურნუთის კოლოფი – ზედ შაჰის სურათია დახატული, დედამთილისათვის რუფაკი – ერთი ტერნოს კაბა ჩაფარიშებით, მაზლის ცოლისათვის – აბრაშალი, ბლონდის ლეჩაქი, სარეცხი ტაშტი, სამი ქვაბი, ზედადგარი და ფურნის თავა, ექვსი ცალი მწვანე ბაღდადი, დაბასმული ჩიქილა, სარდაფის (სადაფის?) ფიალა უმარილით გატენილი, ორი ხელი ლოგინი, ორი ხალიჩა თავისი დასაბერტყი კეტებით, სარეცხის თოკი შპილკებით, კარაბადინი, ზუთი კოშტი თხის ქონი, ერთი ჩარექა ჰინა და ბასმა ბროწეულის ქერქარეული, – თავის ტკივილისათვის კარგია, ერთი ასხმა პანტის ჩირი – თუ მეფე მუცელში გაიხსნას, უებარი წამალია“.¹⁷⁰ მზითვის ჩამონათვალში მოხსენიებული ნივთები და საგნები ცხადყოფენ თუ რაოდენ ძვირად უჯდებოდა ოჯახს შვილის გათხოვება. ამიტომ მზითევის შეგროვება გოგონას დაბადებიდან იწყებოდა. მასში მონაწილეობდა ოჯახთან ერთად ახლო სანათესაო. შეუძლებელია იმის უთქმელობა, რომ XIX საუკუნის თბილისში მზითევა ერთგვარად დამახინჯებული ფორმა მიიღო. ბურჟუაზიული ურთიერთობები, ვაჭრული სული ამ სფეროშიც შეიჭრა.

მხარეების შეთანხმებისა და მზითევის საკითხის მოგვარების შემდეგ „სასიძო საცოლეს ბეჭედს ან სხვა რაიმე ნივთს უგზავნიდა. ეს იყო ქალის დაწინდვის ნიშანი. მერე საქმრო მიდიოდა მომავალი ცოლის სანახავად, თან მიჰქონდა საჩუქრები. ქალიანნი სასიძოს სადილს უმართავდნენ, რომელსაც „ორჭამა“ ერქვა¹⁷¹. ქალის დაწინდვისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების შემდეგ ორივე მხარე იწყებდა საქორწილო მზადებას. ამ სამზადისში მონაწილეობდნენ არა მარტო მექორწინე ოჯახის წევრები, არამედ მათი მეზობლები, მეგობრები და ახლო ნათესავები. ქორწილის საკითხების მოგვარება ვაჟის მხარის ვალდებულება იყო. ამ საპატიო მოვალეობას ნეფე თავის უახლოეს მეგობარს, მეჯვარეს ან ნათლი-

¹⁷⁰ ი. გრიშაშვილი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 68-70.

¹⁷¹ ი. ბალახაშვილი, ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 24.

ას ანდობდა. ქორწილი ძირითადად ვაჟის ოჯახში იმართებოდა. ამიტომ ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე იწყებოდა სახლისა და ეზო-კარმიდამოს მოწესრიგება და დასუფთავება. თუ სტუმართა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ნეფის ოჯახი დაიტევდა, მაშინ თბილისში იყო სპეციალური დარბაზი „მუნთუანთ დარბაზი“ (მუნთუაშვილების), რომელსაც ვაჟის ოჯახი ქირაობდა გარკვეული დროით. დაბალი წრის წარმომადგენელთა ქორწილი ერთ ან ორ დღეს გრძელდებოდა, დიდებულებისა კი თითქმის მთელი კვირა. საქორწინოდ საუკეთესო დროდ შემოდგომა ითვლებოდა, როდესაც პროდუქტების სიუხვე იყო. კვირის დღეებიდან კი უპირატესობას შაბათ-კვირას ანიჭებდნენ. ქორწილის წინა დღეს ქალსა და ვაჟს თავიანთი ახლო მეგობრები და მეჯვარეები აბანოში მიჰყვებოდნენ და ეხმარებოდნენ განბანვა-გაპარსვაში და საქორწინოდ მოწესრიგებაში. დათქმულ დღესა და დროს ნეფის მაცრიონი საპატარძლოს სახლისაკენ გაემგზავრებოდნენ. მიუხედავად იმისა, პატარძალი ქალაქგარეთ უნდა გაეყვანათ თუ ერთი ქუჩიდან მეზობელ ქუჩაზე უნდა გადაეყვანათ ყველანი შეკაზმულ ცხენებზე ამხედრებულები მყარულის სიმღერით მიემართებოდნენ ეკლესიისაკენ ჯვრის დასაწერად. ეკლესიასთან მიახლოებისთანავე ყველანი, როგორც ნეფე-პატარძალი ისე მათი მაცრები განურჩევლად ღირსებისა და წოდებისა, ჩამოქვეითდებოდნენ და ფეხით გაემართებოდნენ ეკლესიისაკენ. ჯვრისწერის ცერემონიალის დასრულების შემდეგ „გამოვლენ ეკლესიით, მაშინ ეჯიბი სიძისა და მყრის ძლისად ამის ქვეშ განვიდნენ სიძე და სძალი“¹⁷². ჯვარდაწერილები კვლავ მუსიკით მყარულითა და სროლით გაემართებოდნენ პატარძლის სახლისაკენ, კართან ქალის დედა ხვდებოდა ჯვარდაწერილებს და პირში შაქრის ნატეხს ჩაუდებდა ორივეს. პატარძლის მშობლების დალოცვის შემდეგ იმართებოდა ნადიმი. ქეიფისა და გართობის შემდეგ ნადიმის დასასრულს, ეჯიბი წამოდგებოდა და ქალის ოჯახში ვაჟის მინატანს აღნიშნავდა, რის შემდეგაც მას უფლება ეძლეოდა პატარძლისათვის პირბადე აეხადა. ამის შემდეგ ხდებოდა ქალის მზითვის სიის წაკითხვა. თუ წარჩინებული ოჯახი იყო ამას ეჯიბთან ერთად მდივან-მწიგნობარი აკეთებდა. ამ წესების შესრულების შემდეგ, ფეხზე მდ-

¹⁷² ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. I, გვ. 16.

გარი მექორწინები გამოსცლიდნენ ღეთისმშობლის სადღეგრძელოს, შემოსდახებდნენ მაყრულს და გაემართებოდნენ ნეფის სახლისაკენ. ერთი ოჯახიდან მეორისაკენ გასავლელ გზას მაყრები მხიარულობაში, სხვადასხვა თამაშებში და შეჯიბრში ატარებდნენ. ვაჟის სახლში პირველად მახარობელი მიდიოდა თოფის სროლითა და ყიჟინით. პირველ მისულ მახარობელს ოჯახი ღვინით უმასპინძლდებოდა და მარჯვენა მკლავზე ფარჩის ნაჭერს „წითელ ქალაღის“ მოახვევდნენ. დედოფლის მაყრებს თან მიჰქონდათ მზითევი. ვაჟის ოჯახის კართან ახლად ვეკარდაწერილებს ხვდებოდნენ მშობლები და შაქრის პირში ჩადებისა და დალოცვის შემდეგ იწყებოდა ნადიმი. თბილისური ქორწილი წარმოუდგენელი იყო მუსიკის გარეშე. ყველა მექორწინე ცდილობდა მათი სუფრა დაემშვენებინა ცნობილ საზანდარ-მომღერლებს. მუსიკის გარდა თბილისური ქორწილისათვის დამახასიათებელი ყოფილა სპორტული თამაშობების მოწყობა. ამას მოწმობს თეიმურაზ მეორის თხზულების შემდეგი ადგილი: „როდის იქნება ქორწილი ან სხვა დღეობა კარგიო, // ყაბახზედ ოქროს ვაშლს შესმენ ძვირფასის, იყოს ვარგიო“¹⁷³. ქორწილზე მოწყობილ ყაბახში გამარჯვება დიდ პატივად ითვლებოდა და გამარჯვებული სოლიდურ ჯილდოსთან ერთად დიდ სახელსაც იხვეჭდა.

ფეოდალური ხანის თბილისში მეფის კარზე მოწყობილი ჯვრის წერისა და საქორწინო ლხინის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ფრანგმა მოგზაურმა *ჟან შარდენმა*. მოგზაური აღწერს მეფის სასახლეს, საქორწინო სუფრას, ნადიმის მსვლელობას, საღვინე ჭურჭელს და სმის ტრადიციებს: „მესამე თავი საჭმელი რომ შემოვიდა, მაშინ შეხურდნენ და საკვირველად დაიწყეს სმა ... მე რომ დამელა იმდენი, რამდენიც ჩემს გვერდზე ჯდომმა სვა, იქვე მოვკვდებოდი; მაგრამ მეფემ ხათრი გაგვიწია და უბრძანა, ჩვენთვის არ დაეღვეინებინათ სადღეგრძელოები. ჩვენ წინ იდგა ღვინო, წყალი და ოქროს თასი; როცა მოვითხოვდით, მაშინ გვასმევდნენ, როცა დაიწყებოდა სადღეგრძელო, საკრავებს დაუკრავდნენ და იმღერებდნენ“¹⁷⁴. დაბალი წრის საზოგადოების თბილისში არსებული საქორწინო ურთიერთობების ზოგიერთი ტრადიციის შესახებ საინტე-

¹⁷³ თეიმურაზ მეორე, თხზულებანი, გვ. 72.

¹⁷⁴ ჟან შარდენი. მოგზაურობა საქართველოში, 1935, გვ. 105-106.

რესო ცნობებს გვაწვდის *ფრედერიკა ფონ-ფრეიგანგა*: „როგორც კი სასიძო შეჰყავთ პატარძლის სახლში, ჯდება თავის ტურფა უცნობის გვერდით და იცავს ხანგრძლივ სიჩუმეს. ერთმანეთს რომ ზურგი შეაქციონ, შეიქმნება შთაბეჭდილება, თითქოს გაბუტულნი არიანო. მაგრამ მოკრძალებული პოზა, რომელსაც ისინი იცავენ, თითქოს ღალატებს: „ჩვენ შეგვაუღელეს, ნუ გაგვიჯავრდებით, ეს ჩვენი ბრალი არ არის“. ქორწილის ცერემონიალის დასასრულს პატარძალს ხსნიან თავსაბურავს და ხშირად სიძე პირველად ხედავს თავის საცოლის სახეს... პატარძალი ქანდაკებასავით გამოიყურება, სასიძოს სახეზე კი იელვა სწრაფ-წარმავალი მოწონების გამომეტყველებამ, როდესაც მან დაინახა თავისი ძალზე ახალგაზრდა და საკმაოდ ლამაზი ცოლი“¹⁷⁵.

ქორწილში ეპატიუებოდნენ როგორც წერილობით, ისე დაძახებით. 1840-იან წლებში შეძლებული და პრივილეგირებული ოჯახები ქორწილში სპეციალური ბილეთით ეპატიუებოდნენ, რომელიც დაბეჭდილი იყო ველენის ქაღალდზე. ქართველებისა და სომხების უმრავლესობა ასეთ ბილეთებს ქართულ ენაზე ბეჭდავდა. საქორწინო ლხინი თბილისში დიდხანს გრძელდებოდა. სხვა ზემოთ ნახსენებ რიტუალებთან ერთად, საყურადღებოა ერთი ჩვეულება. თუ ნეფის მამა გარდაცვლილი იყო და ცერემონიალს ვერ ესწრებოდა, საქორწინო ლხინში მონაწილე ახლობლები მიდიოდნენ მის საფლავზე და იქ „ნეფის ცეკვა“ იმართებოდა. ამის შესახებ შესანიშნავი ცნობები აქვს აღწერილი ძველი თბილისის მეხოტბეს იოსებ გრიშაშვილს.

ჯვარისწერა იყო ქალაქური ქორწილის ცენტრალური აქტი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჯვარისწერა შუალამისას ხდებოდა, ქორწილი მიმდინარეობდა მთელი ღამის განმავლობაში. ამას ოფიციალური ხელისუფლება უარყოფითად უყურებდა. ამის გამო 1827 წელს მაშინდელ მთავარმართებელს მიტროპოლიტ იოანესათვის წერილით მიუმართავს, რომ გვიან შუა ღამისას ჯვარისწერა აღარ ჩაეტარებინათ 9 საათზე გვიან. ხოლო გამონაკლისი შემთხე-

¹⁷⁵ ლიტერატურული საქართველო, 1938, №9.

ვის დროს, სამღვდლოებას პოლიციისათვის უნდა შეეტყობინებინა¹⁷⁶. ჯვრისწერა ერთ საათს გრძელდებოდა.

თბილისური ქორწილი მარტო დარბაზებში და მწვანე მღვდლოზე არ იმართებოდა. ქეიფსა და დროსტარებას მიჩვეული თბილისელები, განსაკუთრებით კი ყარაჩოლები და აშულ-მუსიკოსები მტკვარზე მოცურავე ტივებზე აგრძელებდნენ ქეიფს. „მთვარიან ღამეს ექვს ტივზე ნეფე-დედოფალი იყო მღვდლით, ეჯიბით და მდადეებით; იქით ნაქეთიერი ბიჭები ორთაყვირს ატრიალებდნენ მტკვრის ტალღებში; ერთ მხარეს ქეიფი და ცეკვა იყო ღუდუკზე. მეორე მხარეს ცეცხლი ჩახჩახებდა, რომელზედაც წყლით სავსე კოჭობი იდგა თევზისთვის“.

მრავალდღიანი თბილისური ქორწილი დარბაზებიდან, ბალებიდან მწვანე მინდვრებიდან, ტივებიდან უეჭველად გოგირდოვანი აბანოებით მთავრდებოდა.



ნეფის ცეკვა მამის საფლავეზე. ვანო ხოჯაბეგოვის ნახატი

¹⁷⁶ Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, с. 199.

საოჯახო ყოფა

ბევლთბილისელთა ოჯახსა და საოჯახო ყოფაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ის გარემოება, რომ ქალაქში ბუღმევიად ზღებოდა მიგრაციული პროცესები, როგორც ქვეყნის შიგნიდან, ისე გარედან. ამასთანავე ეს გადმოსახლებანი იყო არა ცალკეული ოჯახების, არამედ ცალკეული ინდივიდებისა. გადმოსახლებულები კი ძირითადად იყვნენ მამაკაცები, რაც სქესობრივ შემადგენლობაში გარკვეულ დისპროპორციას ქმნიდა: მამაკაცები მნიშვნელოვნად ჭარბობდნენ ქალებს. ამიტომაც იშვიათი არ იყო თბილისელი მამაკაცების დაქორწინება საგარეუბნო სოფლებში მცხოვრებ ქალებზე.

XIX საუკუნის აღწერის დავთრების მიხედვით, თბილისში ჭარბობდა პატარა ოჯახები, რომლებიც შედგებოდა ორი თაობისაგან: მშობლებისა და შვილებისაგან. იშვიათი არ იყო როდესაც მშობლებსა და შვილებთან ერთად ცხოვრობდა პაპა და ბებია. 1824 წლის კამერალური აღწერით თბილისში მცხოვრები ქართველების ოჯახების შემადგენლობა სწორედ ასეთი იყო. იშვიათად იყო არასრული ოჯახი, რომელშიც ან მამა ან დედა არაა დაფიქსირებული.

1824 წლის კამერალურ აღწერაში დიდი ოჯახებიცაა აღრიცხული. მაგალითად, ერთ-ერთი ქართული ოჯახი 18 სულისაგან შედგებოდა, რომელშიც შედიოდნენ ოჯახის უფროსი (55 წლის), მისი მეუღლე (33 წლის) ერთი ვაჟი (2 წლის) და ორი ქალიშვილი (16 და 11 წლისანი); ამას გარდა, ოჯახის შემადგენლობაში შედიოდა ოთხი ძმა (50, 43, 39 და 30 წლის). ოთხივე ძმა დაქორწინებული იყო და სამ მათგანს შვილები ყავდა. საარქივო მასალა მეუღლეებს შორის საკმაოდ ასაკობრივ სხვაობაზე მიუთითებს: ოჯახის უფროსი 25 წლით უფროსი იყო თავის ცოლ-ზე. მომდევნო ძმებსა და მათ ცოლებს შორის ასაკობრივი სხვაობა იყო 17 წელი, 24 წელი და 22 წელი. მეორე ძმის 19 წლის მეუღლეს 6 წლის შვილი ჰყავდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ის 12 წლის ასაკში იყო გათხოვილი. ზემოხსენებულ 1824 წლის აღწერაში კიდევ რამდენიმე დიდი ქართული ოჯახია დაფიქსირებული.

დიდი ოჯახები არსებობდა თბილისის სომხურ მოსახლეობაშიც. თუმცა სომეხთა შორისაც პრიორიტეტი პატარა ოჯახს ჰქონდა. შედარებისათვის საყურადღებოა, რომ ათსულიანი ოჯახი სომ-

ნებს შორის 1824 წელს შვიდი (1,8%) იყო, ქართველებს შორის – ოთხი (1,3%). ოთხულიანი ოჯახების პროცენტული მაჩვენებელი სომხებში 20,8 იყო, ქართველებში – 23,8¹⁷⁷.

დიდი ოჯახები დადასტურებულია 1848 წლის აღწერაშიც, მაგრამ ისინი იშვიათად აჭარბებენ 10 სულს. ამ დროს 2-5 სულისაგან შემდგარი ქართული ოჯახების პროცენტული რაოდენობა 77,8 იყო, იმავე რაოდენობის სომხური ოჯახები 69,6% იყო. 7-8 სულიანი ოჯახები სომხებში ბევრად ჭარბობდა. 1853 წელს ორი დიდი ოჯახი იყო დაფიქსირებული გერმანელებს შორის. 1886 წელსაც უპირატესობა პატარა ოჯახებს ჰქონდა. ამ დროს ქართველთა შორის კვლავ პრიორიტეტი ჰქონდა 2-4 სულიანი ოჯახს (48%). სომხებს შორის კი 2-6 სულიანი ოჯახების პროცენტული რაოდენობა 78,8 გახლდა. თითქმის ანალოგიური ვითარება არსებობდა რუსულ ოჯახებში. დიდი ოჯახის ერთეული შემთხვევები მხოლოდ მოლოკანებს შორის იყო. შენიშნულია, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან თბილისში არსებული დიდი ოჯახები ირღვეოდა, თუმცა განაყარი ძმები ერთგვარ ტერიტორიულ ერთობას ინარჩუნებდნენ¹⁷⁸. XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისში ერთობ ძნელი იყო გაყვრილი ოჯახები ერთმანეთის გვერდით დასახლებულიყვნენ – ძველი სახლის გვერდით თავისუფალი მიწის ნაკვეთები არ იყო. ასეთი ახლად წარმოქმნილი ოჯახები უმეტეს შემთხვევაში იდეოლოგიურ ერთობას ინარჩუნებდნენ, გააჩნდათ მყარი სისხლიერი ნათესაობა, ეხმარებოდნენ ურთიერთს. იყო შემთხვევები ერთსართულიანი სახლებზე მეორე სართულის დაშენებისა. 1886 წლის საოჯახო სიებით ოჯახის უფროსებად დადასტურებული არიან მცირეწლოვანი ვაჟები, განსაკუთრებით თათრებს შორის. ასეთი შემთხვევები იყო რუსებსა და გერმანელებს შორისაც. როგორც ჩანს, იმდროინდელი კანონმდებლობით ქვრივი ქალი არ შეიძლებოდა ოჯახის უფროსად ჩაეწერათ. დადასტურებულია შემთხვევები როდესაც კომლის უფროსი იყო არა უფროსი ძმა, არამედ მომდევნო. ეს კი იმ შემთხვევაში ხდებოდა, როდესაც ასაკით უფროსი ხანგრძლივად გარე სამუშაოზე იყო გასული. ქვრივი ქალის ოჯახის უფროსის შემთხვევები

¹⁷⁷ Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, с. 168.

¹⁷⁸ Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, с. 173.

უფრო ადრინდელ, მაგალითად, 1824 წლის აღწერაშია დაფიქსირებული. ქვრივი ქალის ოჯახის უფროსად ყოფნის შემთხვევები ყველა ეთნიკურ ჯგუფშია დაფიქსირებული.

XIX საუკუნის თბილისში შიდაოჯახური ურთიერთობები კვლავ პატრიარქალურ საფუძველზე იყო მოწყობილი: ოჯახის წევრები მის უფროსს ემორჩილებოდნენ, უმცროსები – უფროსებს, ქალები – მამაკაცებს. პატარძლები იცავდნენ უმძრახობის წესჩვეულებას. უმძრახობას ძირითადად სიყრმისშვილის/პირმშოს ყოლაძედ იცავდნენ. ევროპეიზაციასთან ერთად ეს ტრადიცია მალე გაქრა, პირველ რიგში მაღალი წრის წარმომადგენლებს შორის. ისინი თავიანთ შვილებს ასწავლიდნენ ფრანგულ და რუსულ ენებს, ევროპულ სამეჯლისო ცეკვებსა მუსიკას; ნებას რთავდნენ ქალიშვილებს დასწრებოდნენ ხალხმრავალ შეხვედრებს, სუფრებს. XIX საუკუნის შუა ხანებიდან კი ევროპეიზაცია ქალაქის მთელ მოსახლეობას შეეხო. ევროპეიზაციის საქმეში დიდ როლს თამაშობდა ლიტერატურული სალონები, ახლად გახსნილი სკოლები, გიმნაზიები, გაზეთები ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე, თეატრები, სხვადასხვა საზოგადოებები. ეს არსებითად ცვლიდა ქალაქის ტრადიციულ ყოფას, რა თქმა უნდა, საოჯახო ყოფის სფეროშიც, მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაში. თუმცა მთელ რიგ ტრადიციებს ერთგულად ინარჩუნებდნენ. ქართველს არ შეეძლო მარტო სადილობა, მისთვის აუცილებელი იყო საზოგადოება, მუსიკა, სიმღერები, მხიარულება. მან შეინარჩუნა სტუმართმოყვარეობის წესი. ოლშანსკი, რომელიც 1830-1840 წლებში იმყოფებოდა თბილისში, წერდა, რომ თბილისელის ოჯახში შეიძლება უცნობი ადამიანი თავისუფლად შევიდეს, რადგან მან იცის ქართველის მხიარული ხასიათისა და გულკეთილობის შესახებ, მოულოდნელი სტუმრობით ის სრულიადაც არ განაწყენდება, რადგან სტუმარი ღმერთის მიერაა გამოგზავნილი. ამავე დროს, ის სტუმარს ოჯახის წევრების ცეკვით, ჩონგურზე დაკვრითა და სიმღერითაც ამხიარულებს¹⁷⁹.

ქართული ტრადიციით უძრავი ქონება მემკვიდრეობით გაუზიარებელია. თბილისში ეს ტრადიცია დარღვეულა. XIX საუკუნეში დაფიქსირებულია არაერთი შემთხვევა ქალიშვილზე მემკვიდრეობის

¹⁷⁹ Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, с. 180.

გადაცემისა. მამაკაცის მოვალეობას შეადგენდა გამოემუშაებინა არა მხოლოდ ოჯახის შესანახი თანხა, არამედ მოემარაგებინა პროდუქტებით, წყლით, შეშით, ნახშირით. ქალები ძირითადად საოჯახო საქმეებით იყვნენ დაკავებული, ზრდიდნენ ბავშვებს, კერავდნენ და ქარავდნენ. ქალების გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით ქვრივები, ნაქარგების გაყიდვით ცხოვრობდა. ქართველი და სომეხი ქალები ხშირად დაიარებოდნენ ერთმანეთთან სასაუბროდ. XIX საუკუნეში ხანში შესული თბილისელი ქალები ხშირად იხსენებდნენ წარსულს. აივნიდან და სახლის ბანიდან ქალაქის ცხოვრებასაც აღევნებდნენ თვალყურს. 1820-1840 წლებში დაიწყო თბილისელი ქალების ტრადიციული კოსტიუმის შეცვლა ევროპულით. თუმცა XX საუკუნის დასაწყისშიც არა ერთი და ორი ქალი დადიოდა ტრადიციული ქართული კაბით.



ქალების ცეკვა დაირისა და ჩონგურის თანხლებით

გლოვისა და დაკრძალვის წესები

დაკრძალვის წესებს თბილისში თავისი ტრადიციები და თავისებურებები ახასიათებდა. თბილისელთა გლოვისა და დაკრძალვის წესების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მისი მცხოვრებნი მაინც და მაინც ყოველთვის არ იცავდნენ ორთოდოქსალური რელიგიების ტრადიციებს¹⁸⁰. მიუთითებენ იმ ფაქტის შესახებ, რომ გრიგორიანელი სასულიერო პირები ხშირად მონაწილეობდნენ მართლმადიდებელთა დაკრძალვაში და, პირიქით, მართლმადიდებელი მღვდლები – სომხების დაკრძალვაში. 1887 წლის პრესაში მოთხრობილია, რომ რიყეში მაცხოვრებლის რუსის (მოლოკნის) გრიგოლ სმირნოვის დაკრძალვას დაახლოებით ზუთი ათასი კაცი დაესწრო. გარდა რუსებისა (ძირითადად მოლოკნები), პროცესიის მონაწილენი იყვნენ ქართველები, სომხები, თათრები. დაკრძალვის შემდეგ ქართველები მიცვალებულის პატივისცემის ნიშნად დარჩნენ სასაფლაოსთან და ზურნის ჰანგებზე კახური ღვინით მის შესანდობარს სვამდნენ და საფლავზეც ღვინოს ასხამდნენ¹⁸¹. იოსებ გრიშაშვილს გადმოცემული აქვს, როგორც თავად ამბობს, საიათნოვას სახელოვანი მემკვიდრის – *აშულ ჰაზირას* (აბრამ აბრამიშვილის) დაკრძალვა: „მოკვდა ჰაზირა და მის საფლავზე არ ისმოდა თითბრის ინსტრუმენტების სამგლოვიარო ჰიმნი, – ჭიანჭურს შესწირა თავისი ჯეელობა და ჭიანჭურებმა დაიტირეს უკანასკნელად. მისმა შეგირდებმა განსვენებულის საფლავზე გამართეს ღვინი – დიად, ღვინი და არა ქელეხი! და, როგორც ყარაჩოლელი ნეფე მიდის ხოლმე თავის მამის საფლავზე და ზურნაზე ცეკვით გამოსთხოვს დალოცვას, ისეც ჰაზირას მოწაფეებმა მის საფლავზე დაუკრეს ჰაზირას საყვარელი ჰანგები, რომ მათი ოსტატის მადლიანი ნიჭი შეგირდებში გადასულიყო და ჰაზირასებურ ჰანგებს კვლავ დიდხანს ეცოცხლა. დაუკრეს „მასრაფი“, წარმოსთქვეს ლექსები, შემდეგ ძველი ჩვეულების თანახმად, მის საფლავზე დააწყეს საკრავები, უსიტყვოდ შეჰფიცეს მისი ანდერძის დაცვა და სანთელ-

¹⁸⁰ Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси, с. 199.

¹⁸¹ Похороны Кузьмича. – Кавказ, 1887, №13.

ანთებულნი დაბრუნდნენ ჰაზირას ბინაზე, თითქოს ეს ხალხი ჰაზირას ქორწილში ყოფილიყოს და არა მის დასაფლავებაზე¹⁸².

XIX-XX საუკუნეებში თბილისში დაკრძალვისა და გლოვის წეს-ჩვევამ სახე იცვალა. თბილისში მას თანდათან ჩაენაცვლა რუსეთის გზით ევროპული დაკრძალვის წესი.

XIX საუკუნეში თბილისში მიცვალებულს მესამე დღეს კრძალავდნენ. ქალაქის ქრისტიანული მოსახლეების დაკრძალვა ხდებოდა მეორე და მეოთხე დღესაც. მიცვალებულს თავთან დადგმული ჰქონდა ხორბლით სავსე ჯამი, წყლიანი ჭურჭელი, ანთებული სანთელი და კელაპტარი.

ადამიანის გარდაცვალებიდან ორი-სამი საათის განმავლობაში სპეციალური დესპანი სიჭყვიერად ნაცნობებს, მეგობრებსა და ნათესავებს ატყობინებდა ოჯახის წევრის გარდაცვალებას. გარდაცლილის სახლში ყველა მომსვლელი ჩვეულებისამებრ თავის მწუხარებას რაც შეიძლება მეტად გამოხატავდა: ქალები (თავდაუხურავნი) მკერდში იცემდნენ, იდგნენ თავდაუხურავნი, იხოკდნენ სახეს, მამაკაცები მოდიოდნენ მოპარსული წვერით და იდგნენ ქუდმოხდილნი; მწუხარებას ხმამაღლა გამოხატავდნენ, ყვირილით გამოიტირებდნენ მიცვალებულს. დაკრძალვაზე სამძიმრის სათქმელად მოსულნი, იცვამდნენ შავი ფერის ტანსაცმელს.

დაკრძალვის წინა დღეს მიცვალებულს პანაშვიდისათვის განბანდნენ და ჩააცმევდნენ სასუღარო ტანსაცმელს. ამისათვის ყოველ უბანში იყვნენ საგანგებო პირები – *მსუდრავები*. დაკრძალვის ცერემონიის დროს მსუდრავს სვამდნენ მიცვალებულის ნათესავებს შორის. ამისათვის ის გარკვეულ გასამრჯელოს იღებდა. მიცვალებულის ჩასასვენებელი ჭურჭელი – კუბო დაკრძალვის წინა დღეს მიჰქონდათ (XVIII საუკუნის 70-იან წლებში კუბოთი მხოლოდ დიდ თავადებს კრძალავდნენ. ყველა დანარჩენს მის გარეშე უშვებდნენ მიწაში). დასაფლავების წინა დღეს იმართებოდა პანაშვიდი. მაღალი ფენის წარმომადგენელთა პანაშვიდზე ისმოდა სიმებიან საკრავებზე შესრულებული სამგლოვიარო მუსიკა („ავე მარია“), ვაჭარ-ხელოსანთა სახლებში კი – დუდუკისა და საზანდარის ჰანგებს აყოლილი მედოლის სიმღერა („ვაი, რა დაკარგეთ“...). ძველი თბი-

182 ი. გრიშაშვილი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 189.

ლისის მოსახლეობაში ფართოდ ყოფილა გავრცელებული მოტირალი ქალების საგანგებოდ მოწვევის წესი, თუმცა მაღალი წრის წარმომადგენლები მიცვალებულს მოთქმით თითქმის აღარ ტიროდნენ – ეს ცუდ ტონად მიიჩნეოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფართოდ გავრცელდა გარდაცვლილის ახლობლების განცხადებების გამოქვეყნება ქართულ და რუსულ გაზეთებში. იტყობინებოდნენ წესის აგების, გამოსვენების დროისა და დაკრძალვის ადგილის შესახებ. ასეთი განცხადებები გაზეთებში თავსდებოდა გარდაცვლილის ნათესავების სახელით. გარდაცვალებასა და დაკრძალვას შორის ვადა განისაზღვრებოდა მიცვალებულის არა ეთნიკური, არამედ სოციალური ნიშნით. ამიტომ თბილისის საზოგადოების პრივილეგიებული ფენის მიცვალებულთა დაკრძალვა ხდებოდა მესამე დღეს. ამავე ხანებში შემოვიდა ყვავილებისა და გვირგვინების მიტანა.

დასაფლავების დღეს ეკლესიიდან მღვდელს იწვევენენ. ჭირისუფალი ამ დღისათვის ეკლესიიდან გამოიწერდა „დროშას“ (ფურვალს – რკინის წვრილ ტარზე მიმაგრებულ ქსოვილს იესო ქრისტეს ან ღვთისმშობლის გამოსახულებით), რომელიც დამკრძალავ პროცესიას მიუძღოდა წინ. მიცვალებულს სასაფლაოზე ხელით მიასვენებდნენ, მდიდრებს კი „ამფუანით“. პროცესიას მიაცილებდა სასულე ორკესტრი ან აღმოსავლური საკრავის დამკვრელები. დაკრძალვა მთავრდებოდა ქელეხით, რომელსაც მხოლოდ მიცვალებულის ოჯახის წევრები, ნათესავები და ახლობლები ესწრებოდნენ.

დაკრძალვაში მთელი ქუჩა და უბანი ღებულობდა მონაწილეობას. მაღალი ფენის წარმომადგენლთა დაკრძალვაზე კი ზოგჯერ მთელი ქალაქი იყრიდა თავს. დაკრძალვაზე ჩვეულებრივ თავს იყრიდა სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლები.

ამქრის ღარიბი წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ამქარი ვალდებული იყო დაკრძალვისთვის თავისი სალაროდან გადაეხადა სათანადო თანხა. ასევე, საერთო სალაროდან გაიცემოდა დახმარება იმ შემთხვევაშიც, თუ ამქრის წევრს ვინმე გარდაეცვლებოდა ოჯახში. მიცვალებულის საფლავზე მეზურნე-მედუღუკეს იწვევდნენ და ღვინით შენდობას ეუბნებოდნენ გარდაცვლილს. ამქარი უპატრონო მკვდარსაც მარხავდა შეგროვილი ფულით.

თბილისელი სომხების დაკრძალვის წესები თითქმის არ განსხვავდებოდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თბილისში მოსულ ამ ეთ-

ნიკურ ერთობას გათავისებული ჰქონდა ადგილობრივი ტრადიციები. სომხები ცდილობდნენ ნათესავებისათვის სამგლოვიარი ტანისამოსი შეეკვრათ. ამ ჩვეულებას კი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის წინამძღვრები ებრძოდნენ. მიუხედავად ამისა, ამ ჩვევამ თავი XX საუკუნის დასაწყისამდე შემოინახა.

ებრაელები მიცვალებულს იმავე დღეს კრძალავდნენ. მიცვალებულს სინაგოგის შესასვლელთან ასვენებდნენ. ხახამი ქადაგების დროს ლაპარაკობდა ქართულად და ებრაულად. სასაფლაოზე მიცვალებულს მხოლოდ მამაკაცები მიაცილებდნენ. მაჰმადიანებიც მიცვალებულს იმავე დღეს, მზის ჩასვლამდე მარხავდნენ. აქაც საფლაოზე მხოლოდ მამაკაცები გადიოდნენ¹⁸³.

მუსლიმების მთელი რიგი დაკრძალვის ჩვეულებანი თითქმის არ განსხვავდებოდა დანარჩენთაგან – აქაც ისევე ტირიოდნენ, ყვიროდნენ გაშლილი თმებით და ირტყამდნენ მუშტებს თავსა და მკერდზე, იხოკავდნენ სახეს. მხოლოდ მამაკაცები იჯდნენ იატაკზე გაფენილ ხალიჩაზე ფეხმორთხმულნი. შარიათის ნორმების დაცვით მუსლიმების დაკრძალვა ძალიან მალე, იმავე დღეს, მზის ჩასვლამდე ხდებოდა. დაკრძალვის დროს შიიტი მუსლიმების აუცილებელი ელემენტი იყო ცხენი. პროცესიას წინ ცხენი მიუძღოდა. ტრაპეზს ისინი სასაფლაოზე მართავდნენ. ქალები პროცესიას შუა გზაში ჩამოსცილებოდნენ და სახლში ბრუნდებოდნენ. მიცვალებულის განბანაც სასაფლაოზე ხდებოდა, რისთვისაც იქ სპეციალური შენობა არსებობდა. თუ გარდაცვლილი ქალი იყო, განბანვას ქალი ახდენდა.

¹⁸³ თ. ბერიძე, დ. გიორგაძე. დაკრძალვა. – თბილისი. ენციკლოპედია, თბ., 2002.

თბილისის სასაფლაოები

ქალაქის ინფრასტრუქტურის შემადგენელი ნაწილი იყო სასაფლაოები. გიულენშტედტი 1771 წელს აღნიშნავდა თბილისში სასაფლაოების სიმრავლეს: „20000 მოსახლეობისათვის ისედაც პატარა ფართობიდან დიდი ადგილი უჭირავს ეკლესიებსა და სასაფლაოებს“¹⁸⁴. 1864 წელს თბილისში ცხრა სასაფლაო ყოფილა, რომელთა შორისაც სამი მართლმადიდებლებისა იყო, სამი – გრიგორიანელების, თითო – კათოლიკების, ლუთერანების და მუსლიმების. ქალაქის ინტენსიური განაშენიანების გამო, ყველა სასაფლაო დასახლებულ უბნებში აღმოჩნდა. 1877 წელს ხელისუფლებას სურდა სასაფლაოების გარეუბნებში გადატანა, მაგრამ დასახული მიზნები ვერ განახორციელეს. XX საუკუნის პირველ ათწლეულში თბილისში, თურქეთიდან ქურთი-იეზიდების გადმოსახლების შემდეგ, ნავთლულში ქურთების სასაფლაოც გაიხსნა. აქვე არსებობდა ებრაელთა სასაფლაოც, სადაც სუბოტნიკებისთვისაც ერთი მონაკვეთი იყო გამოყოფილი. ქალაქის ზრდამ სასაფლაოების რაოდენობის ზრდაც გამოიწვია. 1911 წელს თბილისში უკვე 22 სასაფლაო იყო.

წყაროებში მოხსენიებულ სასაფლაოთაგან ყველაზე ადრინდელი „საგოდებელი“/„სალოდებელი“ ყოფილა. მას ასახელებს *იოანე საბანისძე*. მისი მონათხრობიდან ირკვევა, რომ აბო თბილელის ცხედარი გაიტანეს მტკვრის გაღმა, ქალაქის გარეთ, ქალაქის სასაფლაოზე, რომელსაც „საგოდებელი“ ეწოდებოდა და რომელიც ქალაქის საპყრობილეს – სადილეგოს აღმოსავლეთითაა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანის“ ავტორი მას „სალოდებლს“ უწოდებს: ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა სალოდებელისასა“. *ლეონ მელიქსეთ-ბეგი* აღნიშნავდა, რომ „საგოდებელი“ ძველი თბილისის სასაფლაოს სახელწოდებაა. ე. წ. სირაჩხანის ადგილზე, ე. წ. დარეჯანის კოშკის მახლობლად, ზოლო „სადილეგო“ – საპყრობილეა მერმინდელ „მეტეხი“-ს ადგილზე“¹⁸⁵.

¹⁸⁴ გიულენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი პირველი, გაიგულაშვილის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 89.

¹⁸⁵ ლ. მელიქსეთ-ბეგი. ძალისა-თბილისი-ფაიტაკარანი. თსუ 1500 წლის კრებული, 1958, გვ. 38.

თბილისში ჩვეულებრივ სასაფლაოები ეკლესიების მიმდებარე ტერიტორიებზე იყო მოწყობილი. ქალაქის 1735 წლის გეგმაზე ვახუშტის მტკვრის მარჯვენა მხარეს დატანილი აქვს სამი სასაფლაო: „სასაფლაო სომეხთა“, რომელიც მდებარეობდა ვანქის უბანში, ეკავა ახლანდელი ათონელის ქუჩის ნაწილი მტკვრის ქუჩამდე (უშუალოდ ესაზღვრებოდა ორბელიანის უბანს); „თათართა საფლავი“ (ე. წ. „გორხანა“) მდებარეობდა ბოტანიკური ბაღის ადგილას, წავკისისწყლის მარჯვენა მხარეს. გარეთუბანში, ქაშუეთის ეკლესიასთან კაპიტან ჩუიკოს გეგმაზე დატანილია ქართველების სასაფლაო. სასაფლაო ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით იყო და აღწევდა ახლანდელი ვ. ჭანტურიას ქუჩამდე. XX საუკუნის 20-იანი წლების გეგმაზე მტკვრის მარცხენა მხარეს, ახალ კუკიაზე, მალაქების უბნის აღმოსავლეთით, ავჭალის გზის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა გერმანელ ლუთერანთა სასაფლაო. ეს სასაფლაო XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე ფუნქციონირებდა. მტკვრის მარცხენა მხარეს, ავღაბარში XIX საუკუნიდან ფუნქციონირებს ქართველ მართლმადიდებელთა პეტრე-პავლეს სასაფლაო. 1907 წლის თბილისის გეგმის მიხედვით, ნავთლულში, ნავთლულის ხევის მარცხენა მხარეს, სამხედრო ჰოსპიტალთან, წმიდა ბარბარეს ახალი ეკლესიის ჩრდილოეთით იყო მართლმადიდებელთა ორი, ებრაელთა, ლუთერანელთა, სომხების, საავადმყოფოს, ჰოსპიტალის, სამხედრო და მაჰმადიანთა სასაფლაოები. ყველა ჩამოთვლილი სასაფლაო ერთმანეთის გვერდითაა და ერთმანეთისაგან ხელოვნური სამანთაა გამოჯნული. 1919-1920 წლებში თბილისში მიმდინარეობდა გრიპის ეპიდემია, ე. წ. „ისპანკა“, რომელმაც თბილისის მოსახლეობასთან ერთად იმსხვერპლა იმ დროს თბილისში მყოფი ინგლისის სამხედრო მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი ნაწილი. მათ ასაფლავებდნენ არსენალის გორაზე, რკინიგზის გაღმა, ელიას უბანში გამოყოფილ ადგილას, ე. წ. „ინგლისელთა სასაფლაოზე“.

მტკვრის მარჯვენა მხარეს იყო მართლმადიდებელთა ძველი ვერის სასაფლაო; დაიკეტა XX საუკუნის 30-იან წლებში (ახლანდელი ვერის ბაღი). XX საუკუნის 30-40-იან წლებში დაიკეტა ვანქის გრიგორიანული, მაჰმადიანური სასაფლაო „გორხანა“ ბოტანიკური ბაღის ნაწილში. სასაფლაოები ძირითადად გალავანშემოვლებული იყო, თოითოეულ საფლავს კი მესერი

ჰქონდა და საფლავის ძეგლი ედგა: ჯვარი, ანგელოზი, სვეტი. ქრისტიანულ სასაფლაოთა საფლავის გარეგანი გაფორმება და წარწერა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა გარდაცვალებულის სოციალური წარმომავლობისა და ამქვეყნად მისი საქმიანობის მიხედვით. საფლავის ქვებზე ხშირად იყო ეპიტაფიები: „უფალო, მომიხსენიე საფლავსა ამას მდებარე, მოვშორდი წუთისოფელსა შავ მიწას ამოვეფარე“. თბილისში, სასაფლაოებს გარდა, მიცვალებულებს ხშირად კრძალავდნენ ეკლესიებში და მათ მანლობლად. დროთა სვლამ ბევრი მათგანი გაანადგურა. ეკლესიებში უფრო კრძალავდნენ სამეფო გვარის წარმომადგენლებს, ეკლესიის მსახურთ, მაღალი სოციალური წრის ხალხს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარიდან თბილისში მუშაობდნენ საფლავის ქვების დამამზადებელი ხელოსნები. მათგან ყველაზე ცნობილი იყო იტალიელების – *რიცისა* და *ანდრიოლეტის* ქვის დასამუშავებელი სახელოსნო, რომელთა სარეკლამო განცხადება ქვეყნდებოდა თბილისის თითქმის ყველა გაზეთში. ასევე პრესაში დიდი როლდენობით იბეჭდებოდა სამგლოვიარო განცხადებები.

თბილისში ორი პანთეონია მთაწმინდისა და დოდუბის. თბილისში პანთეონის შექმნის იდეა XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩაისახა, მას შემდეგ, რაც *დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის* ეზოში დაიწყო ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების დაკრძალვა. პანთეონის ჩამოყალიბება დიდუბის ეკლესიაში ფაქტობრივად დაიწყო XX საუკუნის ათიანი წლებიდან, როდესაც აქ დაკრძალეს ცნობილი მოღვაწეები: *კიტა აბაშიძე, ლუარსაბ ბოცვაძე, იოსებ ყიფშიძე, სოფრომ მგალობლიშვილი...* 1938 წელს სასაფლაოს ნაწილი, სადაც გამოჩენილ პირთა საფლავები იყო შემოიფარგლა და 1939 წელს ოფიციალურად გამოცხადდა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთადიდუბის პანთეონად. აქ სხვა სასაფლაოებიდან გადმოსვენეს *პ. იოსელიანის, ე. გაბაშვილის, ნ. ხიზანაშვილის, დ. მეგრელის, ა. ერისთავ-ხოსტარაის, იეთიმ-გურჯის, უიარაღოს (ე. თათარაშვილის)* და სხვათა ნეშტები.

მთაწმინდის პანთეონის დაარსების იდეა გაჩნდა 1915 წელს, *აკაკი წერეთლის* დაკრძალვის დღეებში, იმის გამოც, რომ აქ უკვე განისვენებდა *ილია ჭავჭავაძე*. მთაწმინდის პანთეონი ოფიციალურად გაიხსნა 1929 წელს, *ალექსანდრე გრიბოედოვის* გარდაცვალების

მე-100 წლისთავზე, რომლის ცხედარი აქ 1829 წელს დაკრძალეს. მთაწმინდის ისტორია კი VI საუკუნეში იღებს სათავეს, როდესაც აქ წმიდა მამა – *დავით გარეჯელი* დასახლებულა და სამლოცველო აუგია, რის გამოც ეკლესიას შეერქვა *მამადავითის* სახელი. ქართველი საზოგადოებრიობის გადაწყვეტილებით აქ გადმოსვენეს *ნიკოლოზ ბარათაშვილის* (1938), *ვაჟა-ფშაველას* (1935), *იაკობ გოგებაშვილის* (1940), *უშნგი ჩხეიძის* (2000) ნეშთები დიდუბის პანთეონიდან, *კოტე მარჯანიშვილის* ნეშტი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სკვერიდან (1964).



კათოლიკეთა სასაფლაო

XX საუკუნის გამოჩენილ მოღვაწეთა გარკვეული ნაწილი დაკრძალულია პანთეონებთან გათანაბრებულ ადგილებში. ამ მხრივ აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე. წ. ეზოსავანე, სადაც განისვენებენ უნივერსიტეტის დამფუძნებლები: *ივანე ჯავახიშვილი*, *პეტრე მელიქიშვილი*, *დიმიტრი უზნაძე*, *კორნელი*

*კეკელიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი წერეთელი, ივანე ბერი-
ტაშვილი, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე...*

ყოფილი ხოჯევანქის სასაფლაოზე, მისი გაუქმების შემდეგ (1930-იანი წლები), სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მცირე პანთეონია.



ვერის სასაფლაო

თბილისური მუსიკა და ცეკვები

ეთნომუსიკოლოგები ერთმანეთისაგან მიჯნავენ სოფლურ და ქალაქურ მუსიკას. თავისებური და ორიგინალური იყო თბილისური ხალხური მუსიკა. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ქალაქური სიმღერები და საკრავი მუსიკა აღმოსავლურისა და დასავლურის ნაჯვარი იყო. *დიმიტრი არაყიშვილი* აღმოსავლურში სპარსულს, სომხურს და აზერბაიჯანულს გულისხმობდა, დასავლურში კი – ევროპულსა და რუსულს. ზემოთქმული განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სპარსეთთან და რომ აქ ყოველთვის დიდი იყო აღმოსავლური კულტურის წილი. XIX საუკუნის თბილისში გავრცელებული იყო როგორც აღმოსავლური, ისე ევროპული საკრავები. აღმოსავლურ საკრავთაგან ცნობილი იყო *თარი*, *საზი*, *ჭანური/ქამანჩა* (ეს სამი საკრავი უფრო თათრებისა ყოფილა), *ზურნა* (ზურნას ძირითადად სომხები უკრავდნენ), *დუდუკი* (დუდუკი ქართულია. ამ საკრავს აღმოსავლეთის ქვეყნებში ანალოგი არ მოეპოვებოდა. ის მხოლოდ თბილისური იყო. უფრო ყარაჩოღელებისა ყოფილა), *დოლი*, *დაირა* (დაფი), *დიპლოპიტო* (ნადარა). აღმოსავლური საკრავები თბილისში XVII საუკუნეში გავრცელდა¹⁸⁶. ევროპულიდან შეიძლება დავასახელოთ *გიტარა*, *გარმონიკა* (ბუზიკა), *არღანი* (არღანი თბილისში ოდესიდან შემოსულა. თავდაპირველად მოსახლეობის ყველა ფენაში გავრცელებულა, მაგრამ არისტოკრატიას აუთვალისწინებია და უფრო კინტოებისა და მოხეტიალე მუსიკოსების საკრავი გამხდარა, რომლებიც რუსეთიდან იყვნენ შემოსული და რომლებსაც თან დაჰყავდათ მომღერალი ქალები)... ქართული საკრავებიდან – *ფანდური/ჩონგური*, *გუდასტკვირი/საზანდარი*, იშვიათად *სლაშური*. თბილისისათვის ინსტრუმენტალური ანსამბლებიც იყო დამახასიათებელი; ესენია *დასტა* და *საზანდარი*¹⁸⁷.

ინსტრუმენტალური ანსამბლები უკრავდნენ ქორწილებში, ღვინისა და ჭირის დროს, ხელოსანთა საღვთოებისა და შეკრებე-

186 მ. შილაკაძე. ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები და თანამედროვეობა, თბ., 1988, გვ.26.

187 მ. შილაკაძე. ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები... გვ.18-19.

ბის დროს. ქორწილებში დილით აუცილებელი ყოფილა ზურნაზე „დილის საარი“. ზურნაზევე სრულდებოდა საგანგებო ჰანგი „საქორწილო“ მზითვის გადატანის დროს¹⁸⁸. XIX საუკუნის თბილისში აღმოსავლური მუსიკის საყოველთაოდ გავრცელების გამო, იმდროინდელი მოწინავე ქართველები გარკვეულ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ: „ქართველებო! აიღევით ყიზილბაშურს ყიყინზედ, იმათ სიმღერების ჯმებზედ ჳელი, რა შეედრება ჩუენს მამაპაპის სიმღერისა ჳმებსა, რომელიცა ჩუენი ავდენი ათასობით წლების მოვანება, მხოლოდ ჩუენი კუთვნილი საკუთარი გალობანი, სიმღერანი და დიდინები დაგვიმტკიცებს, რომ ჩუენი საქართველოს და იმერეთის ერნი არიან ძველი ივერიანელების შვილისშვილები, ვითარცა პიტალოს ოქროთგან, პიტალო ოქრო გამომდნარი და ამის შემდეგ გემართებს თავის მოწონება თუ როგორ?“¹⁸⁹. შენიშნავენ, რომ ძველად თბილისში, ისევე როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ყველა მხარეში, ქორწილი მაყრულის გარეშე არ იქნებოდა. თბილისში, ხელოსანთა სხვადასხვა ამქართან ერთად, მუსიკოსთა ამქრებიც ყოფილა. „აღმოსავლური ჰანგები თბილისში „გაქართულდა“, გამრავალხმინადა, ქართული მუსიკალური აზროვნების პრიზმაში იქნა გადატეხილი. ამაში გამოიხატა ქართულის გავლენა აღმოსავლურ საკრავებზე და არა მარტო აღმოსავლურზე, ევროპულზეც, რომელიც როგორც ითქვა, გაცილებით გვიან, XIX საუკუნიდან იწყებს შემოსვლას საქართველოში“¹⁹⁰. შალვა ასლანიშვილის სიტყვებს დავუმატებთ: „შემოტანილი მელოდიები იღებდნენ ქართულ იერს, რადგან მათ „შეეგება“ ძლიერი მუსიკალური კულტურა, რომელსაც ჳქონდა შემდგომი განვითარების უნარის მქონე საუკუნეობრივი ტრადიციები. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა მელოდიებმა შეითვისეს, ასე ვთქვათ ქართული ტიპის სამხმიანობა, რომლის ჳარმონიული კანონზომიერებანი (აკორდთა ფუნქციონალური დამოკი-

188 მ. შილაკაძე. ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები... გვ.20.

189 ა. ორბელიანი. ივერიანელთა სიმღერა, დიდინი და გალობა, – „ცისკარი“, 1861, გვ. 160.

190 მ. შილაკაძე. ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები... გვ.32.

დებულება, საკადანსო ფორმულები) გარედან შემოტანილ ძირითად მელიოდის დაემორჩილნენ“¹⁹¹.

ქართველ მეფეთა კარზე სხვა დამკვერელთა შორის ყოფილან მესტვირეებიც. XVII საუკუნის მეორე ნახევარში დაწერილ პოემაში „სიბილიანში“ ვკითხულობთ: ბრძანა მეფემ, „წინ დასვით, ვინც კაი საზანდრებია“: „დასხდნენ და მალლა დაუკრეს // ხმა ტკბილად ალაძრებია... // ჩანგსა კვრიდენ და ქამანჩას, // ჩონგურებს და დამბურასა... // ზურნასა და დაბდაბასა, // სტვირი უხმობს ხმა შვიდრვასა“¹⁹². მესტვირეები მშრომელთა წიალიდან იყვნენ გამოსული, რომელთათვისაც ეს პროფესია დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. სამესტვიროდ თბილისს ისინი შემოდგომასა და ზამთარში შემოივლიდნენ ხოლმე. მესტვირეები ეროვნულ ჰანგებზე აღილინებდნენ მსუბუქი, ნარნარი ხალხური ლექსის ნიმუშებს და საკუთარ იმპროვიზაციებს. მესტვირე „ძეობის“ აუცილებელი ელემენტი იყო. მესტვირეებს ქორწილებშიც ხშირად იწვევდნენ. *ალექსანდრე ორბელიანი* გადმოგვცემს: „მეფე-დედოფალს ეკლესიიდან ჯვარდაწერილებს რო გამოიყვანდნენ, მომღერალნი მყარულს სიმღერით წაუძღვებოდნენ მღერით, იქ მხიარული ღზინი უნდა გამართულიყო, სხვადასხვა სოფლურის სიმღერებით. თან თუ მესტვირე ეყობებოდათ, იმის სტვირის დაკვრაზე როკვას დაიწყებდნენ ქალნი და კაცნი. ის მესტვირე მრავალს ქებას შეასხამდა მექორწილებს, სხვადასხვა სიმღერის ხმებში, რომელიცა ამისათვის მიიღებდა საჩუქარსა ყველასაგან“¹⁹³.

შემონახულია ერთი „მესტვირული ლექსი“, რომელშიც კარგად არის აღწერილი თბილისი და თბილისური ყოფა: „ნეტარ ქება როგორ ითქმის // ამ თბილის ქალაქისაო? // ზამთარი არის ბროლისა, // ზაფხული ზურმუხტისაო; // გარს ახვევია ბაღები, // ჩარხი უბრუნავს წყლისაო, // შიგ წისქვილები უბრუნავს, // გარშემო უფლის წლისაო, // ქალაქში აბანოები, // ბაღალი ხმელეთისაო, // ძირიდამ ამენებული, // აუზები არს ქვისაო, // მალლიდამ

¹⁹¹ შ. ასლანიშვილი. ნარკვევები ქართული ხალხური მუსიკის შესახებ, I, თბ., 1954, გვ. 251.

¹⁹² ი. ბალახაშვილი. ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 115.

¹⁹³ ცისკარი, 1861, №1.

გადაჭედელი // წითელი აგურისაო, // გვერდიდამ ფანჯარაები, //
 სანატორია მზისაო, // ვინც შევა, აგრევე გახდის, // როგორც თოვ-
 ლია მზისაო, // ქალი და რძალი გამოდის, // ვითა ყვავილი ხისაო.
 // ღუქნები ბევრი დამართეს, სასხლომი ბაყლებისაო; // ქვემ ქუჩები
 დაატანეს, // სარბენი არის გზისაო; // წინ ნათხარი ორმოები, //
 ნაგები სარდაფისაო, // ხლის ლაინი ბევრია // და, ფარჩა ბეზირგნი-
 საო. // საყდარიც ბევრი ააგეს // ამ თეთრი ქვითკირისაო, // ხატი
 და ჯვარი შიგ არის, // სალოცავია ღვთისაო; // ბერი და მღვდელი
 ამდენი, // როგორც რომ წვიმა წყლისაო, // ხაზინაები აწყვია, //
 მოჭრილი თამაზ-ხნისაო“¹⁹⁴.



დასტა

¹⁹⁴ ციტირებულია კ. კეკელიძის ნაშრომიდან: „თბილისი ძველ ქართულ ლიტერატურაში“, – თბილისი 1500. საიუბილეო კრებული, თბ., 1958, გვ. 166.

ცნობილი მესტვირეები ყოფილან ახალციხელი *კოტაშვილი*, *იკვიაშვილი*, *გიორგი ქებაძე*, *ბიკელა ოდიშელი*, *ტახტისძირელი ანდრია ნადირაძე*, *სხირტლაძე*, *ბლიაძე*. XVIII საუკუნის მესტვირის ბლიაძის შემდეგ მათ გვარში მესტვირობა მემკვიდრეობით გადასულა. ხალხში კარგ მესტვირეს მერე ბლიაძეს ეძახდნენ. მესტვირე და ბლიაძე სინონიმებად იქცა. გაზეთი „დროება“ წერდა: **„ყოველ კაი რაჭველ ხუროს „ლანდიას“ ეძახდნენ, როგორც რომ დღესაც ეძახიან კაი მესტვირეს „ბლიაძეს“, კაი პური მეკლს „თაბაგარს“ და მოჭიდავე ფალავანს „ხიზამბარელს“⁴⁹⁵.**

თბილისის მუსიკალური კულტურა მრავალსაუკუნოვანი ქართული მუსიკის განუყოფელი ნაწილია. მაგრამ ის გარკვეული ორიგინალობითაც გამოირჩევა, რაც განაპირობა მოსახლეობის ეთნიკურმა ნაირგვარობამ. შენიშნულია, რომ ქალაქურმა მუსიკამ თავის მხრივ დიდი როლი ითამაშა ქართული პროფესიული მუსიკის ჩასახვასა და განვითარებაში. ქართული ქალაქური ხალხური მუსიკა აღმოსავლური და დასავლური განშტოებისაგან შედგება. პირველ მათგანს თუ ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული, რომელმაც საბოლოო კრისტალიზაცია XVIII საუკუნეში განიცადა, დასავლური განშტოება თბილისური ხალხური მუსიკისა XIX საუკუნეიდან იწყება. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თბილისური მუსიკის შემადგენელ თითოეულ ნაკადს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მუსიკალური ენა და მელოდიური წყობის სპეციფიკური თავისებურებანი ახასიათებდა.

ზეპირი ტრადიციის კლასიკური მუსიკის მრავალმხრივი შემოქმედება – *მკოსანი*, *მუტრიბი*, ერთხმიანი ლექს-სიმღერების ავტორები, მომღერლები და მესაკრავენი, ჯერ კიდევ X საუკუნის საქართველოში ფართოდ იყვნენ ცნობილი, როგორც ქართული ქალაქური მუსიკის კულტურის შემქმნელები.

მკოსნობის ტრადიცია XIX საუკუნემდე გაგრძელდა, რასაც მოწმობს მხატვრული ლიტერატურა და საისტორიო საბუთები. ამავე დროს აღინიშნა სასულიერო მუსიკის აღორძინების ტენდენციაც. ერეკლე მეფეს თავის კარზე შემოკრებილი ჰყავდა *მგალობლები*, *მუსიკოს-მომღერლები*, *მკოსნები* და *აშულები*. მათგან ყველა-

¹⁹⁵ ი. ბალაზაშვილი. ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 118.

ზე მეტად აღსანიშნავნი არიან *მგოსანი ბესიკ ვაბაშვილი* და *აშული საიათნოვა*. თავისი ლექს-სიმღერებით აშულები და მგოსნები მარტო მეფის კარსა და თავდაზნაურობას კი არ ემსახურებოდა, ისინი ხალხის, განსაკუთრებით ქალაქის დემოკრატიული ფენების – ყარაჩოხელების, ხელოსნების... წრეში მოღვაწეობდნენ.

თბილისური მუსიკალური ფოლკლორის თვალსაჩინო ნიმუშებია: „ორთავ თვალის სინათლეკ“, „ქვეყანა ცალად არა ღირს“, „ღვინოვ, კახურო“, „მითხარ, მითხარ“, „ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს“, „სად არის შოთას საფლავი“, „გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო“, „აღსდექ, თამარ დედოფალო“...

XIX საუკუნეში თბილისში დაიწყო ქართული ქალაქური ხალხური მუსიკის განვითარების ახალი ეტაპი, რაც აღინიშნა ახალი სასიმღერო სტილის წარმოქმნით. ის ქალაქური მუსიკის დასავლური განშტოების სახელწოდებით არის ცნობილი. ამ დროიდან ფართოდ გაეხსნა კარი მუსიკალური კულტურის მძლავრ ნაკადს. ქართველი ხალხი ევროპულ მუსიკას გაეცნო XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან. ამ ფაქტს ხელი შეუწყო თბილისში ახალდანერგილმა არისტოკრატიული სალონების ტრადიციამ. აქ ფორტეპიანოზე (პირველი ფორტეპიანო თბილისში XIX საუკუნის 20-იან წლებში ჩამოიტანეს.), ვიოლინოზე, კლარნეტზე, ჩელოზე სრულდებოდა ევროპელი კომპოზიტორების ნაწარმოებები. ამის პარალელურად თანდათან მრავლდებოდნენ ეზო-ეზო მოსიარულე მუსიკოსები, არღანზე დამკვრელები. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა გიტარამ.

მანამ, სანამ ოპერის თეატრი გაიხსნებოდა, თბილისელები უკვე ეზიარნენ ევროპულ მუსიკას. ამიტომ იყო, რომ იტალიური ოპერის პირველსავე დადგმას (1851 წლის 9 ნოემბერი. გ. დონიცეტის „ლუნია დი ლამური“) თბილისის საზოგადოებრიობა მომზადებული შეხვდა. მოსახლეობამ სწრაფად შეითვისა ოპერის ცალკეული ნაწყვეტები და ზეპირად გაავრცელა. შემდეგ კი ევროპული მუსიკალური სტილისათვის დამახასიათებელი გამომსახველობის ხერხების გამოყენებით შეიქმნა ორიგინალური ერთხმიანი და სამხმიანი სიმღერები. ამის შესანიშნავი ნიმუშებია პოპულარული ორი სიმღერა – „სულიკო“ და „ციცინათელა“.

ამრიგად, XX საუკუნის დამდეგისათვის თბილისის მუსიკალური ფოლკლორი წარმოდგენილია სამი სახით: სოფლური სიმღერე-

ბით და ქალაქური მუსიკის აღმოსავლური და დასავლური განშტოებებით. ამავე პერიოდში ყურადღებას იქცევს ამ სამი სხვადასხვაგვარი სტილის ხალხური მუსიკალური შემოქმედების შეჯვარების შედეგად წარმოქმნილი სიმღერები: „გინდ მეძინოს“, „ახ, მეზურნე“, „შენ არზრუმის ცისკარი ხარ“, „საყვარელო, აზიზო“ და სოფლური სიმღერებისა და დასავლური განშტოების ქალაქური სიმღერების ტიპური რიტმ-ინტონაციების შეჯვარების შედეგად მიღებული ნიმუშები: „სალამი, ჩიტუნებო“, „დღეს მერცხალი შემოფრინდა“, „მიყვარს ფაცხა“¹⁹⁶.

საუკუნეების განმავლობაში ქართველმა ხალხმა უმდიდრეს სასიმღერო შემოქმედებასთან ერთად შექმნა მრავალფეროვანი, გამომსახველი, ტემპერამეტიანი ცეკვები. თბილისში ჩაისახა რომანტიკული შინაარსის წყვილთა ცეკვა, ქართული ქორეოგრაფიის მწვერვალი, ქორეოგრაფიული ნოველა ქალ-ვაჟის სიყვარულზე „ქართული“, რომელიც ძველად „სადარბაზოს“, „სანადიმოს“, „საარმიფოს“, „დავლურის“, „ლეკურის“ სახელს ატარებდა. ძველი თბილისის ყოფის ამსახველია ქალაქური ფოლკლორის ისეთი ნიმუში როგორცაა „კინტოურ-ბაღდაური“. საზვასმით უნდა ითქვას, რომ ამ ცეკვას ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიასთან ფაქტობრივად საერთო არაფერი აქვს.

XIX საუკუნის დასაწყისის თბილისში დაინერგა სამეჯლისო ცეკვები. მეჯლისებზე ევროპული ცეკვების გვერდით დიდი წარმატებით სრულდებოდა ქართული ხალხური ცეკვებიც. ცეკვა „ქართულის“ საუკეთესო შემსრულებლები ყოფილან *ნიკოლოზ ბარათაშვილი*, *მართა სოლოლაშვილი*, *დარია ბევთაბეგიშვილი*, *ალექსანდრე ჭავჭავაძის* ასულები – *ნინო* და *ეკატერინე*... XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილ მოცეკვავეებად მოიხსენიებენ მწერალ *ალექსანდრე ყაზბეგს* და ა. *ალექსიძეს*. ალექსანდრე ყაზბეგი 80-90-იან წლებში ქართულ თეატრში მოღვაწეობდა. ის წარმოდგენის დივერტისმენტებში სხვასთან ერთად „ქართულს“ ისეთი ოსტატობით ცეკვავდა, რომ მაყურებელი ხშირად მხოლოდ ამისათვის დადიოდა წარმოდგენებზე. ა. ალექსი-

¹⁹⁶ მ. ქავთარაძე. მუსიკა. – თბილისი. ენციკლოპედია, თბ., 2002.

ძემ კი ქართული ცეკვის საუკეთესო შესრულებისათვის რუსეთის ეთნოგრაფიულ გამოფენაზე დიდი ოქროს მედალი დაიმსახურა¹⁹⁷.



ტაშფანდური თბილისის საცხოვრებელი სახლის ბანზე. გრაფიურა

ძველ თბილისში არცერთ დღესასაულოს, მეჯლისს, ძეობას, ქორწილს, ჩვეულებრივ მოღონებას არ ჩაუვლია ცეკვის გარეშე. XIX საუკუნეში ქალაქში ცნობილი იყვნენ „ქართულის“ მოცეკვავენი, რომელსაც მაშინ „ლეკურს“ უწოდებდნენ. სხვა ცეკვებთან შედარებით, ყველაზე მეტად პოპულარული ის იყო. საღამო ხანს ქუჩები, მოედნები, აივნები და ბანები ხალხით ივსებოდა. „ადგილის განურჩევლად მეფობდა ხმა საზანდარისა, ჟღერდა ჩონგური, ჭიჭყინებდა ზურნა, წკრიალებდა დაირა და ტაშისკვრის ხმაზე სრიალებდა ლეკური“¹⁹⁸. *[აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ლეკურს არაფერი აქვს საერთო ლეკთა ლეკურთან. აი, რას წერდა ი. ზურაბაშვილი, როგორც ლეკების ცეკვის, ისე ქართული დავლურის ანუ ლეკურის შესახებ: ლეკების ლეკურში „გამოვა ორი მოსხლეტილი ახალგაზრდა ჩერქეზულ ახალუხში, ფეხზე წულა-მესტით, დაუვლიან მცი-*

197 ა. ჩხეიძე. ქორეოგრაფია – თბილისი. ენციკლოპედია, თბ., 2002.


198 ი. ბალახაშვილი. ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 189.

რედს და გაჩერდებიან. მერე ერთი შემოტრიალდება ვიწრო წრეში თავის გარშემო, ჩაივლებს მარცხენა ხელს ხანჯალში, რომ მოძრაობის დროს არ უშლიდეს, და გაუსვამს ფეხს. ფეხის გასმა იძენდა რიტმულია, თანაც მთელი ფეხის გულით, გვერდებით მიწას ფეხს არ აშორებსო. ამასთანავე ზედა ტანის რხევა სულ არ ეძნევა, თითქო იგი მხოლოდ მუხლებს ქვემოთ მოძრაობდეს, გააკეთებს პირუეტს, ე. ი. ფეხის თითებზე შედგება და შემოტრიალდება, ან ზევით ახტება და ანაზდევულად გაჩერდება, თანაც მოკვიბრეს შესძახებს: ახლა შენაო. მერე მარცხენა ასევე ყველაფერს, რაც პირველმა გააკეთა და, თავის მხრით პირუეტამდე წაუმატებს რაიმე ახალ ფიგურაციას; მაგალითად, ფეხის გასმის დროს ანაზდევულად მარცხენა ფეხის ტერფს მარჯვენაზე შემოიღებს და ისე ცალ ფეხზე გაქანდება. მერე მარცხენა ფეხით გაიძეორებს ასეთ ფანდს, გახტება და დასძახებს მეტოქეს: ახლა შენაო. ასე და ამგვარად თვითიული მათგანი ყოველ გამოსვლაზე რაიმე ახალ ფიგურაციას უმატებს, ვიდრე მათი რეპერტუარი მთლიანად არ ამოიწურება. ამის შემდეგ, ორივენი ჩამოუვლიან საბოლოოდ, შედგებიან ფეხის თითებზე და გათავდა¹⁹⁹. ახლა იმავე ავტორის ქართული ლექსის დახასიათება წავიკითხოთ: ქართული „განსაზღვრული იდეაა, რომლის განსახორციელებლადაც სათანადო ტექნიკა გამოყენებული. რამდენადაც ლექთა ლექურში ფეხის ტექნიკა თვითმიზანია, იძენდა ქართულ ლექურში – იგი სარჩულია, დამხმარე საშუალება მიზნის განსახორციელებლად. აქ ლექური გააზრებულია. საგულისხმოა, რომ ქართველმა მამაკაცის სურვილის მოკამათით მამაკაცი კი არ გამოიყვანა, არამედ – ქალი! ამით მან მთლად გადააბრუნა ამ საცეკვაოს მნიშვნელობა. მან შეუქმნა შინაარსი ლამაზ, მოხდენილ, მაგრამ უშინაარსო სულთა სწრაფვას. ლექური მთლიანი პოემა ტრფიალებისა, მას აქვს სათანადო დასაწყისი – „შორით ბნელა, შორით ალვა“. მას აქვს განვითარება – „კაცსა მიხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა“; მას აქვს დასასრული – „სიყვარული აგვამაღლებს“. ლექური ისე იწყება, ისე ვითარდება და ისე მთავრდება, რომ ვაჟი ქალს არც ერთხელ არ ეხება, მხოლოდ დამთავრების

199 ი. ზურაბაშვილი. ხალხის შემოქმედი გენია, 1949, გვ. 15-18.

სურათი გვიჩვენებს, რომ მათი ბედი გადაწყვეტილია, ისინი უნდა შეერთდნენ²⁰⁰.

ქართულ ცეკვას XIX საუკუნეში ოფიციალურ ბალეტზეც ასრულებდნენ. შემდეგ თანდათანობით თბილისში რუსულმა და ევროპულმა ცეკვებმაც იწყო გავრცელება.



იარაღისა და ვერცხლის სახელოსნო

²⁰⁰ ი. ზურაბაშვილი. ხალხის შემოქმედი გენია, 1949, გვ. 18-20.

ნაღლი და ყარაგიოზას თეატრი თბილისში

ქართულ სახიობას და თეატრს თბილისში თავისი ისტორია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია წინააღმდეგი იყო ასეთი საერთო გართობა-სანახაობისა, რათა მრევლს არ დაევიწყებინა ჭეშმარიტი სარწმუნოება, სამეფო კარი მუდმივად ზრუნავდა და მფარველობდა მუსიკოსებს, მენაღარეებს, მესტვირეებს, მსახიობებს, მედაფდაფეებს. სასახლის კარისა და მთელი თბილისის სახიობას სათავეში ედგა საზანდარბაში. ქალაქის საზანდარები გაერთიანებული იყვნენ ცალკე ამქარში (თაბუნში).

ცალკე არსებობდა ნაღარახანა (სამხედრო ორკესტრი). ნაღარახანის შემადგენლობაში ქართველებთან ერთად სომეხი და „თათარი“ დამკვრელებიც შედიოდნენ. ერეკლე მეორის მეფობის დროს სასახლის კარის სახიობას მეთაურობდა ცნობილი საზანდარი *მაჩაბელი*. ქართველი დიდებულები მას ხშირად იწვევდნენ ღვინში და ქორწილებში. ამავე პერიოდის ცნობილი სახიობები იყვნენ იარალი შანშიაშვილი და საიათნოვა. მეფე ერეკლეს კარის საზანდარი მაჩაბელი კრწანისის ბრძოლაში ერთ-ერთ რაზმს მეთაურობდა და თავისი სიმღერით მეომრებს ამხნევებდა და ბრძოლის ჟინს უღვივებდა. სწორედ ამ შესანიშნავ საზანდარსა და მეომარს იხსენიებს *ლადო ასათიანი* თავის ლექსში „სალაღობო“: „... დაუკარიო! და იმღერეთ შადიანი, // ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი. // დაუკარით ძველებური დარდიანი, // დაუკარით არწივების ასაფრენი“!

ერეკლეს კარზე მოღვაწეობდა გაბრიელ მაიორი, რომელსაც სასახლის ახლოს გამართული ჰქონია თეატრი. მაცურებელი ამ თეატრის წარმოდგენებს ბილეთებით ესწრებოდა.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში თბილისში დრამატული წრე ჩამოაყალიბა *გიორგი ავალიშვილმა*. მან დაწერა შესანიშნავი ქართული კომედია „თემიურაზ მეფე“. ავალიშვილის მიერ დაარსებულ დრამატულ თეატრში იღვმებოდა არა მარტო ქართული წარმოდგენები, არამედ ნათარგმნი ნაწარმოებებიც. *დავით ჩოლოყაშვილმა*, რომელიც ბესიკის შემდეგ პირველ „მესტინედ“ იყო მიჩნეული, თარგმნა ტრაგედია „ეფილენია“.

გიორგი ავალიშვილის მიერ დაარსებული თეატრი, მიუხედავად მისი ხანმოკლე არსებობისა, დიდი მნიშვნელობის კულტურუ-

ლი მოვლენა იყო ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ისტორიაში.

სამეფო კარი და მაღალი საზოგადოება სასახლეში და კერძო სახლებში მართავდნენ წარმოდგენებს და მათი მაყურებელი პრივილეგირებული საზოგადოება იყო, დაბალი წრის საზოგადოებისათვის სულიერ საზრდოს წარმოდგენდა **ნაღლი** (ზღაპარს ნიშნავს) – მოძრავი თეატრი. ნაღლი ძირითადად სახალხო დღესასწაულებზე იმართებოდა ღია ცისქვეშ მინდორში ან მოედანზე. როგორც იოსებ გრიშაშვილი აღნიშნავს, *ნაღლის* თემა ძირითადად ზღაპარი იყო და მისი პერსონაჟები – „კეთილი და ბოროტი გმირები“. ხშირად ეს თეატრი ბიბლიურ თემებსაც ეხებოდა.

აიღებდნენ აშულები რომელიმე სასულიერო ამბავს, ჯერ გალექსავდნენ, შემდეგ შეურჩევდნენ სხვადასხვა ხმებს, კილოებს და გამოდიოდა ნამღვილი მისტერია... ყაფანი წარმოდგენდა სცენას, აშულები – არტისტებს; ხალხი ძირს იყო გაშლილი, მომღერლებო იდგნენ მაღლობ ადგილას და მათ შორის იმართებოდა ასეთი დიალოგი: „–ის რა არის, რაც ქვეყანაზე არ იხსენიება? –პირველი ზღვა არის, რომელსაც სარქველი არა აქვს, // მეორე – ცა, რომელსაც ბოძი არა აქვს, მესამე – კაცის ხელის გული, რომელსაც ბალანი არა აქვს“. ასეთი ხასიათის კითხვა-მიგების შეჯიბრი ძირითადად საეკლესიო დღესასწაულზე სრულდებოდა და მისტიური საიდუმლოების ელფერი დაჰკრავდა. როცა წარმოდგენები ქალაქში ყაფანზე იმართებოდა, ნაღლის შინაარსი საპაექრო დიალოგით იცვლებოდა. მაგალითად: (პირველი აშული) „– რა ჰკიღია ციდან მიწამდე? // – ვინა მშვიდდება ყველაზე ადვილად? // – რა გადადის ხელიდან ხელში“? (მეორე აშული) „–ციდან მიწამდე ჰკიღია წვიმა. – ყველაზე ადვილად მშვიდდება ბავშვი. – ხელიდან ხელში გადადის ფული“. ასეთი პიესები, საპაექრო დიალოგები, ჭკუის სავარჯიშოები, მოსწრებული პასუხები მოქალაქეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ასეთ წარმოდგენებს უამრავი მაყურებელი ჰყავდა. ყოველი მოქალაქე ადგილის დასაჭერად ადრევე მიდიოდა მოედანზე და „მუქთად“ ისმენდა აზრებს კაცთმოყვარეობაზე, სიკეთეზე, სიავეზე, პატიოსნებაზე, ერთობა-სიყვარულზე და სხვ. (ი. გრიშაშვილი).

ნაღლი, (მოძრავი თეატრი) მხოლოდ ზაფხულობით იმართებოდა ღია ცის ქვეშ. დანარჩენ დროს მათი ასპარეზი იმ დროს არსებული ცნობილი ყავახანები იყო. ნაღლს რამდენიმე ათეული წლის ისტორია აქვს და არსებობა შეწყვიტა ოთხმოცდაათიან წლებში, როცა ტფილისის გარეუბნებში „სახალხო წარმოდგენების“ გამართვა დაიწყო.

ნაღლის პარალელურად ყავახანების ზედა სართულზე იმართებოდა მინიატურული წარმოდგენები, რომელსაც ხალხი „ყარაგიონას თეატრს“ უწოდებდა. ამ პატარა ჩრდილების თეატრის სახელწოდება ოსმალეთიდან მოდის. მისი წარმოშობის შესახებ არსებული ლეგენდა გამოქვეყნებული აქვს იოსებ გრიშაშვილს.

„ჩრდილების თეატრის“ სცენა დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: დარბაზი სრულიად ბნელდება. თეთრ ტილოზე, რომელიც გადაჭიმული იყო მთელ სცენაზე, სჩანდნენ რაღაც ბუნდოვანი ჩრდილები: ეს ჩრდილები თანდათან გარკვეულ სახეს იღებდა, ბოლოს კი ნათლად სჩანდა მინიატურული ხალხი, რომელიც ლაპარაკობდა, ცეკვავდა, კომბლებს იქნევდა და სხვ. მაგრამ ესენი ნამდვილი მსახიობები როდი იყვნენ! ამ გადაჭიმულ ტილოზე აჩვენებდნენ აქლემის ტყავისაგან ან მუყაოსაგან გამოჭრილ მოძრავ ფიგურებს. ამავე დროს ერთი კაცი, რომელიც ამ ფიგურებს ამოძრავებდა, ფარდის უკან იდგა და დამსწრეებს მომქმედი პირების თავგადასავალს მოუთხრობდა, ხოლო სადაც კითხვა-მიგება იყო საჭირო, იქ კილოს იცვლიდა და სხვ. ერთი სიტყვით, ეს ერთი კაცი, რომელიც ყარაგიონას სახელს ატარებდა, ყველა პერსონაჟის ნაცვლად თითონ ლაპარაკობდა: ქალურად, კაცურად, ომახიანად, ზილის ხმაზე. ეს „ბაძვა“ ისე არტისტულად იყო განსახიერებული, რომ მთელი ყავახანა „აღტაცებაში მოდიოდა“ (ი. გრიშაშვილი).

ბოლოს ეს „ჩრდილების თეატრი“ თავისი ყოველდღიურობით გადაიქცა სატირის თეატრად. თეატრის პერსონაჟები დასცინოდნენ ყველას და ყველაფერს: მაღალსა და დაბალ წოდებას, ძლიერსა და სუსტს. შაითანბაზრის ყავახანებს „ჩრდილების თეატრის“ გამო უამრავი ხალხი სტუმრობდა და იღებდა მისთვის სასურველ სულიერ საზრდოს. იოსებ გრიშაშვილი აღნიშნავდა, რომ „ყარაგიონის ჩრდილები“ მკრთალი და პრიმიტიული გამონატულებაა იმ სათეატრო

სელონებისა, რომელიც ხალხის ესთეტიური ტკობის საშუალებად იყო გადაქცეული“.



ხიდი მდ. ვერეზე



XIX საუკუნის თბილისის სატრანსპორტო საშუალებანი

სარჩევი

შესავალი.....	5
თბილისის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.....	7
თბილისის ისტორია (მოკლე მიმოხილვა).....	10
თბილისის ტერიტორიული განვითარება და უბნები.....	20
დემოგრაფიული ვითარება ძველ და თანამედროვე თბილისში.....	34
თბილისის მოსახლეობა სოციალური თვალსაზრისით.....	44
თბილისის მმართველობა.....	48
თბილისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა.....	52
რელიგიურ-კონფესიური ჯგუფები თბილისში.....	65
ეთნიკური პროცესები XIX საუკუნის თბილისში.....	79
თბილისელთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა. ხელოსნობა და ხელოსნები თბილისში.....	86
ვაჭრობა და ბაზრები თბილისში.....	97
სტუმრები და სასტუმროები თბილისში.....	106
ღირშესანიშნვი ნაგებობები თბილისში. სალოცავი სახლები.....	111
თბილისის გარეგანი იერსახე და თბილისური სახლები.....	116
თბილისური ეზოები.....	128
თბილისელთა სამოსი.....	131
თბილისელთა კვების რაციონი.....	138
სატრანსპორტო საშუალებანი.....	144
წყალი თბილისელთა ცხოვრებაში.....	154
ყინული თბილისელთა ცხოვრებაში.....	158
გართობის საშუალებანი.....	160
თბილისური პარკები და ბაღები.....	164
თბილისური აბანოები.....	169
ადამიანთა ურთიერთობები თბილისში. გასართობები.....	178
ქეიფი თბილისში.....	185
თბილისური ფოლკლორი.....	188
სპორტული სანახაობანი თბილისში.....	190
დღესასწაულები და გართობა-თამაშობანი ძველ თბილისში:	
ბერიკაობა-ყენობა.....	199
ქორწინება და ქორწილი თბილისში.....	209
საოჯახო ყოფა.....	222

გლოვისა და დაკრძალვის წესები.....	226
თბილისის სასაფლაოები.....	230
თბილისური მუსიკა და ცეკვები.....	235
ნაღლი და ყარაგიოზას თეატრი თბილისში.....	245



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com



როლანდ თოფჩიშვილი
თეიმურაზ ზვიზიაძე
**ეთნოლოგიური
თბილისი**

